# იმედი

## 1881

წელიწადი პირველი

**№№ III და IV, მარტი და აპრილი.**

თფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1881

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მარტის და აპრილის წიგნების შინაარსი:

I. მეტივე (მოთხრობა)—შაქროსი . . . . 3

II. თავადის სიზმარი (ლექსი)—გ. ჭრელაშვილისა . . . . . . . . . . . . . 33

III. მეომარი (ლექსი)—ლ. რ—ზ—კ—ლისა . 35

IV. იმედ-მიხდილი (ლექსი)—დ. ქართველიშვილისა . . . . . . . . . . . . 37

V. უკანასკნელ სისხლის წვეთამდის (მოთხრობა მისტრის ბერენსისა)—ოლ. დეკანოზოვისა . . . . . . . . . . 39

VI. ახალ მოდის ექიმი (ლექსი რუსულიდგან)—მიხ. ასათიანისა. . . . . . . . . 126

VII. ბედნიერი ქალი (ლექსი რუსულიდგან)—ს. ნასიძისა . . . . . . . . . . 130

---

VIII. ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი (დასასრული)—სტ. ჭრ—შვილისა . . . . 1

IX. რამდენიმე სიტყვა ჩვენ მეურნეობაზედ — ***-სა . . . . . . . . . 29

(იხილეთ მესამე გვერდი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივერია

ყოველ-თვიური

სალიტერატურო და საპოლიტიკო

ჟურნალი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 марта 1881 г.

წელიწადი პირველი

მარტი და აპრილი

თფილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1881

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 марта 1881 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მ ე ტ ი ვ ე.

## (მოთხრობა).

დამდეგი იყო ღვინობის თვისა და ერთი იმისთანა დღეთაგანი, რომლის სიცხის ბუღი კიდევ გაგონებს, რომ ზაფხული ჯერ დიდიხანი არ არის, რაც მიილიაო. ცის კამარას კარგა მოლურჯო ფერი ჰქონდა და ზედ რამდენიმე თოვლივით თეთრი უზარ-მაზარი ღრუბლები იყვნენ გაკრულნი. ამ დროს ორთქლით მატარებელი ქშიტინით ზღაპრულ გველაშაპისამებრ მიიკლაკნებოდა ქართლის ერთ ფართო კუნჭულში. ცოტახანს შეჩერდა და წივილით უშვებდა ცაში თეთრ კვამლს. აი ისარგებლა ამით და ვაგონიდგან გადმოვიდა შავ სერთუკში სამგზავრო მაღალ ყელიან წაღებით უფ. ჩალოლაძე. თავჩაღუნულმა, გადუხვია რკინის გზასა; ნამგზავრს კუჭი „ჩამაყარეს“ ეძახდა, და, იმის საუბედუროთ, უცებ მას ცხვირ წინ დახვდა ერთი იმ დუქანთაგანი, რომლებიც ასე ბლომაა ამ ჩვენ ფართო დედა ქართლ-კახეთში და შეადგენენ მის სამკაულს, ეხლანდელ წესების ბურჯს.... როგორც ობობას ქსელი, ასე არიან ესენი მოდებულნი და შიგ ჩაბმულ ბუზიყლაპიებს ობობასეებ ჰსუტავენ აქ დახლიდრათ მჯდარნი პოლოს-მიკიჩეები. ჩალოლაძესაც არ დააკლეს ამათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი მოკეთობა და ერთ უხეირო „გაძლობაში“ გამოუსუტეს თხელი ჯიბე. ახი კი იყო იმაზედ: გაძლობა განა კაცს შეჰფეროდა?! დაძმარებული, ფიქრებით სამსე, ის თავჩაღუნული დაადგა ცუდათ ნაკეთებ გზატკეცილსა. იმას ბევრათ აღონებდნენ დუქანში ნახული სურათები და თვით გზატკეცილიც თავისის დედა ჰაზრით. გზატკეცილს დაბჯენილ თვალებს დიდხანს აღარ აშორებდა.... ბოლოს აიხედა და დაინახა, რომ ის მიდიოდა ხეობაზედ, რომელიც სიტურფით ბევრ საქართველოს მშვენიერ ადგილებს არ ჩამოუვარდებოდა: სამხრეთით ტყით მოსილი კენწერ ტიტველა მთები, ჩრდილოეთით ფრიალო ყვითლათ გამომცქერი სიმაღლეები, შუაში კალოსებ დაცემული ხეობა, რომელზედაც ახლო-ახლო იყვნენ მოფენილნი სოფლები, შემკულნი მშვენიერის ვენახებით, სავსე წყაროებით, ბლომა ხეხილებით; იქვე მოხუოდა მშფოთავი მტკვარი, რომელსაც სამხრეთით ერთოდა ამ არემარეს ნიადაგის დამაჟუჟუნებელი მთის ცელქი და მჩქეფარე მდინარე.—ჰე, ამ მშვენიერ და მიწყნარებულ არემარეშიო, ფიქრობდა ჩოლოლაძე, მშვენივრათ არ ჩეეძინება კაცის ტვინსა, ამ კაცობრიობის ნიშან წყალს!... მაშინ ოდნავლა იწყებს ფეთქას მბჟუნტავი გული!...

მართლა და ამ მშვენიერ არე-მარეში ეძინა ყველას—კაცსაც კი, რომელსაც ყველაზედ ძრიელ არ შეჰფერის ძილი! აქ ცხოვრება ძილზედ უფერული იყო. პოლოს-მიკიჩეებს თუ ჰქონდათ ტვინის ჩლუნგი ძაფები დაჭიმული, რომ პირლია და მძინარა ტეტიებისათვის ადვილათ ამოეცალათ ჯამიდგან ლუკმა; თორემ დანაშთენი ცხოვრება დახმუნჭულ შუბლს არაის გაუშლიდა.... შუბლის გაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა კი არა—ეს ცხოვრება ჭკვიდან გადასარევი რამ იყო ფიქრის, ანუ გონების კაცისთვის, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ყველას ანგარიშობს. ეკონომიური, სოციალური და ზნეობითი მოვლენანი ისე არეულ-დარეულიყვნენ აქა, რომ მიდლეში ვერ იტყოდი, თუ სულ უბრალო რამეს რა დიდი შედეგი უნდა ჰქონოდა. მაგალითათ, მართლის თქმაზედ ხომ უეჭველათ პატივისცემა და გაგონება უნდა იყოს შედეგათ; აქ კი სიმართლის ჯილდოთ მიიღებდით ირმის ანუ ყოჩის რქებს, ლაფით და წუმპით სამსე ჯამფილა თაბხებს, კეტებს—ხანჯლებს და, ვინ იცი, რას არა. ჭამის შედეგი ხომ ყველგან ვაძლომაა და, რასაკვირველია, თქვენგანი ყველა დარწმუნებულია, რომ სადილს იმიტომ სჭამენ, რომ ჯანი და ღონე მოიმაგრონ; იქნება ჩვეულებრივ ვინმე ქარაფშუტულათაც დაუმატოს, რომ ინგლისის ლორდები ბევრ ბიფშტეკს რომ სჭამენ, იმიტომ პარლამენტშიაც გონივრულათ ლაპარაკობენო; მაგრამ აქ კი ჭამას სრულებით ეგ დანიშნულება არა ჰქონდა: აქაური „კეთილშობილობა“ სხდებოდა საჭმელათ მრგვალი თოთხმეტი საათი, ყველა მათგანი სჭამდა საშინლათ ბლომათ, მაგრამ დარჩებოდა კი ხოლმე მუცელ-ცარიელი, ღონე მიხდილი. ბარბაცით, თვალების ბრიალით, სამი დღე მერე უძილოთ ეგდებოდა, რომ გამონელებისას ისევ შასდგომოდა ამნაირივე „ჭამას“. აბა ამ შედეგს საიდანვე უნდა ჰლოდნებოდი ან ეს ანგარიში სწორეთ გამოდიოდა?! აი ამაზედ უფრო უსწორ-მასწორო ანგარიში და არ მოულოდნელი შედეგები: ტლინკვა ხომ ერთნაირ მხეცების თვისებაა, აქ „კეთილშობილთ“ უპირველეს სამკაულს შეადგენდა. გარყვნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვების ხმარება ხომ ყველგან გონების და ზნეობის წამხდარობის შედეგია, აქ ეს დიდ პატიოსნობათ იყო მიჩნეული ანუ იქაურათ „განათლების" ნიშანი გახლდათ. ამის გარდა, „განათლებათ" კაცებისათვის ითვლებოდა გაუთლელი „კავალრობა", „სტატიების" ხმარება, გლეხების სუდში თრევა, შინ ცოლების ტყეპა და გარეთ გლეხებისა, ქაღალდის თამაშობა და, ვინ იცის, რა სისაძაგლე არა; ქალებისთვის კი, პირველათ და ყოვლად პირველათ ჭორი და ფერ-უმარილი, მერმე და მერმე პრანჭვა-გრეხა, უსაქმურობა, ყველას გაკილვა-გალაფვა და სხვა.... ამ გიჟურ ანგარიშს დიდი ძალა ჰქონდა ისე რომ ცოტა ხან ამის საზღვარში ვინც კი დატრიალდებოდა, თითონ იმასაც ეერეოდა ანგარიში; ჯერ ამისთანა სისაძაგლეზე ღრეჭას მოჰყვებოდა და მერე კი თითონაც ნელნელა გაუჯდებოდა გვერდებში, რომ კეთილშობილს სხვა სისხლი აქვს, გლეხს სხვა, რომ ჩანგლის „რიგიანათ" დაჭერა, ბოთლის „რიგიანათ" ხელის მოვლება, ღვინის დასხმის დროს, გინდ ტლინკვა, ქეიფი, ქაღალდის თამაშობა განათლების აუცილებელი სამკაულებიაო...

გლეხების ცხოვრებაში უფრო უკუღმართი ანგარიში იყო, ჭკვიდან გადასარევი შედეგები, გულ სატკივნი და დამაფიქრებელი მოაზრე კაცისა. ამ უკუღმართ ანგარიშის და შედეგების მიზეზების გასაგებათ გლეხის ცხოვრებაში დადიოდა უფ. ჩოლოლაჩეც. აი როგორი ანგარიში იყო აქაურ გლეხების ცხოვრებაში: პეტრემ თევდორეს ხარი მოუკლა „ლობიო რათ გამითელაო", თევდორემ სამართალში იჩივლა. მოვიდა მამასახლისი ზაქარა გზირით და ერთი ჩალხანაც წაართო თევდორესვე, დუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქანში დააგირავა და მოსამართლებითურთ არაყი გადაჰკრა. ,,თევდორეს ხარს ცხრა ძირი ლობიო გაუფუჭებია, აგრე უნდა—ხალხი გამაგრდებაო". ან კიდევ უფრო გადასარევი: ,,კვრისტავი" მოუვიდათ სოფელში, მამასახლისი ცხენების დასაბმელ ადგილს ეძებს, მივიდა მოსე გლეხთან: ,,შენ ბოსელში უნდა დავაბაო". მოსეს თავის პატარა ბოსელი კამეჩებით ჰყავს სამსე, გარეთ კი ცივი და ბნელი ზამთრის ღამეა. მამასახლისი, ყასიდათ, აგებ მოსეს დავცინცლო რამეო, იმის საქონელს კარში ერეკება—,,კვრისტამმა" ბძანაო. მოსე უძალიანდება—,,აგე დათაანთ ნიკლას ბოსელი ცარიელიაო",—მამასახლისი სამიოდ ჯოხს მოსეს ურტყამს და მერე ძალათ ჯაჭვს ჩამოიწყვეტამს და მიდის ყროყინით ,,კვრისტავთან", სადაც მოსეს შეუდგენენ ,,ახტსა"; მეორე დღეს უნდა თავი იმართლოს, მაგრამ მამასახლისი, გზირები, მოსამართლეები ყვირილით ხმას აწყვეტინებენ. საწყალ მოსეს ტირილი მოსდის.... აქ იმას მიუახლოვდება ამ საქმეში კუდ ჩაბმული მწერალი და ეუბნება მოსეს:

— მებრალები, შე საწყალო, არა იცი რა და დაიღუპები, ვერა ჰხედამ, რო ყროყინებენ, ყელის ჩალბობა უნდათ?!

— ოღონდ მიშველე, შენი ჭირიმე ივანე, და ამ ჭირს ამაშორე, თორემ ვინ მამაძაღლი სულს დაიშურებს!

— ჰო, ბიჭო, მეც მეცოდები, იმიტომ გეუბნები, თორემ.... მოიცა თითო თუმანი მოხელეებს მიე, სამი ,,კვრისტავს", ხალხი კიდევ დაგვპატიჟე და მორჩები.

— ფულს როგორ დავიშურეფ, შენი ჭიიმე, მაგრამ ხელათ მაგდენი არა მაქვს.

— რამდენი გაკლია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამი თუმანი.

შინ არა გაბადიარა? გაყიდე.

— ორი ქოსმანი მყავს, მაგრამ ვინ იყიდის?

— ჰე, შვილო, მადლი ქენი, მარილიც მოაყარეო, ნათქვამია. მებრალები და მევე გიშველი; ქოსმანები ხუთ-ხუთ მანათში მე მამე—ავიყვან—ეგეც შენი თუმანი, ორ თუმანსაც გასესხეფ, სარგებელში შემოდგომაზედ ოთხ კოკა ღვინოს მამცემ—შენ რომ საფერავის წვენ დააყენეფ ხოლმე, გესმის, მოსეჴ!...

აქ მოსე ქჩროს ქექით ეუბნება: მადლობელი ვარ, შენი ჭიიმე, შენი სიკეთე ნუ მომიშალოს ღმერთმა.... თუმც ჰგრძნობს, რომ ჩაფლეს... პატარახანს უკან, „კვრისტავი“ და მოხელეები ფულებს ჩუმათ სთვლიან და მერე სახალხოთ ყვირიან:

მე ბრიყვო, ალარ გაბედო „ბუტონჩიკობა“, ეხლა „ახტს“ გიხევთ და არ გვინდა შენი საცოდაობის ყურება, თორემ გაჩვენებდით!—ხალხიც ერთხმივ—გადღეგრძელოთ ღმერთმა, რომ გლეხი კაცი გებრალებათ....

აი შედეგი, ანგარიში — საიდგანაც გატყავებულია გლეხი!!...

ან კიდე: წელს ნედლას პური ბევრი მოვუიდა, ზამთარში კი ზის კერას წინ და მშიერ მუცელზედ მაგრა იჭირებს ქამარს, არ იჭყიველოსო. რათა? საიდამ გაჩნდა ასეთი მოულოდნელი შედეგი?

ჩალოლაძეს ამისთანა ანგარიშებით გლეხის ცხოვრებიდან სამსე ჰქონდა ჯიბეები და ბევრჯელ ჩაუყურჭუმალავდებოდა ხოლმე შიგ, რომ გეეგო, რათ არის ესეთი უკულმართი ანგარიში ხალხის ცხოვრებაში და როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გასწორებულიყო და სწორე ანგარიში შემოსულიყო ხალხში? როგორც კაი ექიმი, ეს ჯერ ავანტყოფობის მიზეზებს ეძებდა, რომ მერე წამალიც მიეცა. ეს, ალოზრდილი სისაწყლეში და დაბალ ხალხ შუა, მერე საკმაოთ გარდილ გონებით და სწავლით, ადვილათ უახლოვდებოდა დაბალ ხალხს და სოფელში იკვლევდა იმ მიზეზებს, რომლებიც მუდამ უკულმა აბრუნებენ ქვეყნიერობის ჩარხსა.... იმას მალე გადეეშალა თვალ წინ უზარმაზარი შავის ასოებით დაწერილი ხალხთა ცხოვრების წიგნი და ბევრჯელაც გაგვაცნობს, მკითხველო, ამ წიგნიდგან ჩვენი ხალხის უბედურ ცხოვრებაზედ მოკითხულთან.

დაუბრუნდეთ ჩალოლაძეს მგზავრობას. იმან, თავ ჩალუნულმა და ფიქრებში წასულმა, გაიარა კარგა გზა, როდესაც უცებ ვილაცამ ზედ ყურთან კი მიაძახა:

— კნიაზ გაუმარჯოსო!

ამან უთხრა „გაგიმარჯოსო“ და, რო მიიხედა უკან, ერთი დაბალ-დაბალი, ჭკვიანური სახის გლეხი დაინახა. გაბოლილ თეთრ ჩოხაზედ იმას მოეჭირა ჭიაფრის სარტყელი და თავზედ ეხურა გრგვალი შავი ქუდი. სარტყელზე და ქუდზე ჩალოლაძემ შეატყო, რომ ეს გლეხი მეტივე უნდა ყოფილიყო.

— მე, ბიძიავ, კნიაზი არა ვარო, უთხრა იმან.

— სულ ერთია—იმას კი ჰგევხარ და, მიუგო მეტივემ დაცინვით.

ჩალოლაძემ ტუჩების კვნეტით მიუგო: სცდები, თორემ სულ ერთი კია, ძმობილო.

— არა უშავრაო, ღვარძლიანათ წაიყრანტალა მეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემ და ორივემ დაიწყეს ლაჯუნი გზაზედ მუნჯათ.

გლეხთან სხვა ჯურის კაცი, რაც გინდ დინჯათ უნდოდეს წასვლა, მაინც ჩიტივით მიხტის, მეტადრე თუ მოკლე სავალიც აქვს. ასე მოუვიდა ჩალოლაძესაც; იმას ეგონა დინჯათ მივდივართო, მაგრამ მეტივე ქშიტინით მისდევდა. კაი ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მეტივემ კიდევ დაცინვით ამოილაპარაკა.

— „ებეი, დახე, თუ დამიცადოს! მე მეგონა, დადგება და მეტყვის—ეე პაჭიჭი რო ჩამოგეჩაჩა, გაისწორეო—და თანაც ამოუდგა მხარში.

— ე ოხერი, ვერ დავინახე, თქვა ჩალოლაძემ და მიჰხვდა, რომ გონიერ გლეხთანა ჰქონდა საქმე.

— ვერ დაინახე, დალოცვილო, შავი გროში რო დაგვარდეს, გაიგებ და ეს ვერ დაინახე!...

ეჰ, შვილოსან, ერთი ქალაქიდგან უნდა მომდევდეს ფეხით შენისთანა კაცი, რომ ოხტაში მოგივიდეთ, მაგამ ეჰ.... აქ ამოიოხრა მეტივემ.

— ეხლა გზებიც სხვანაირია და კაცებიც სხვანაირი ხართ. ეს რომ სთქვა ფჩხილებიდგან თავამდე ცივათ აავლო თვალი ჩალოლაძეს, რომელმაც ხელი დაარტყა ბეჭებზედ და უთხრა:

— ყოჩაღი კაცი ხარ, მეტივე უნდა იყო.

— ჰე, დალოცვილო, მიუგო იმან, „პირში მაქებელი—ეშმაკის მოციქულია“ არ კი გეწყინოს, ბატონო!.. რო მეტივე ვარ; მაგაში კი არა სტყუი.

ცოტა ხანს უკან ჩალოლაძე და ჩვენი ბაციკა მეტივე, ეს იყო ამ კაცის სახელი, დამეგობრდნენ. ბევრ რამეზედ მოჰყვნენ ლაპარაკს და როცა ჩალოლაძემ წელან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი ისე ცუდი დახდომა მოაგონა ბაციკას, იმან დაიწ-
ყო:

— დალოცვილიშვილო, საცა შენისთანა შლაპკია-
ნი ვნახე, ამ ოხერ წუთი სოფელში ან მუჭას მიშვერ-
დნენ და „დავაის“ მეუბნებოდნენ, ან არა და ფეხების
ბრახუნით „ახტი გადახტის“ მიყვიროდნენ. აი გინდა, ე
ტიალა რალაც „პარახოსტა“ რო გაჩნდა წინა პირველათ,
შენ ხარ ჩემი ბატონი! ხო მოგეხსენება მეტივე ვარ—
ზევით ბორჯომში უნდა წავსულიყავ, ონავრობა *) იყო,
ტიები უნდა მეყიდნა, ქალაქში ჩამეტანა. დილა ადრიან
ავდექ, „ტანციაზე“ მიველ, „ბილეთ“ ავილებ და „პარა-
ხოსტით“ წავალ მეთქი. გამიწყრა ღმერთი, მიველ, ამო-
ვილე ერთი საწყალი მანათი და ხუხრუტანიდგან წვერიან
კაც მივაწოდე და უთხარ: ბორჯომში ბილეთი, მეთქი.
იმან მანეთი უკან გადმომიგდო და ხმა კი არ გამცა. მე
მეორეთ მივაწოდე. იმ შაჩვენებულმა ისევ უკანვე გად-
მომიგდო და რუსულათ რალაცა თქო. ამაზედ გამომი-
ვარდა „ჯანდარმი“ და იმდენი სიკეთე მოქცეს, შენი
ჭიიმე, რამდენიც მე იმან მითაქა. ასე გონია პიროუტყვსა
სცემენო, არც კი მითხრეს, თუ რაზედა მცემდნენ. ი
ტიალა „პარახოსტი“ ჩემ ცემაზე წავიდა კიდეც. მე ვი-
ფიქრე, მეორე დღეს, ე ოხერა დაჩვეული ვიყავიდა! ვი-
ფიქრე, ი დიდწვერა უფროსი ქრთამს თუ მთხოვს მეთქი.
დავიჭირე ერთი დიდი ინდოური, წავიყვანე „ტანციაზე“
და ხუხრუტანიდან კი მივაწოდე უფროსს... გამიწყრა ჩე-
მი ბატონი, მამცეივდნენ აქეთ-იქიდგან, დამდეს ძირს,
წიხლით და მუჰტებით სულ ჩამანგრიეს. თავ-პირ დამტვრე-

*) წყალ-დიდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული, მე კარზედ გამოველ, თვალებიდგან ველარას ვხედამდი. ვილაც ღვთისნიერმა წყალი დამისხა, რო პირზე შავისხი და თვალები ავახილე, დავინახე, რომ გარს სუ შლაპკიანები მეხვივნენ. უნდა მამეცხრილა, მაგრამ იმათ დამიყვავეს, მანათი გამომართვეს და ბილეთი მომიტანეს. ინდოური და ერთი სხვა მანათი იმათ ქრთამში მივე. თურმე იმაზედ უცემივართ იმ ღმერთზე ხელ აღებულებს, რომ ბორჯომში არა, მიხაილოვკაში უნდა გეთქოვო, ბორჯომში რკინი გზა არ მიდისო. არა, ე ტიელა ჭკვიანათ ვერ გამაგებინებდა? მაგრამ, შვილო, გლეხი კაცი ამათ საპარსათ და სატყაპუნებლათ გაჩენილი ჰგონიათ. ჯერ ჩვენც რომ მაგრე ვამბობთ: „გლეხი კაცის გაჩენაში ღმერთი არა რევებულაო“! მაგრამ ეგ ხომ იმათ გვათქმევინეს!.....

— ამალამ ჩემი ტუმარი ბრძანდებოდეო, უთხრა მეტიევმ, რადგან ამ ლაპარაკში იმის სოფელშიაც შევიდნენ. სოფელი მტკვრის პირას მდებიარებდა და შესდგებოდა მიწაში ჩამძვრალ დარბაზებისაგან, მშვენიერ ვენახებისაგან და გლეხების მტერ-მოყვარეების რამდენიმე ზეზე მდგარ სახლებისაგან. ჩაღოლაძე დაჰმორჩილდა, რადგან მეტი გზა არა ჰქონდა და ორივემ შესვლა დააპირეს მიწაში ჩამძვრალ დარბაზში.

— ცოტა დაიკუზე, კარებში თავი არ აჯახო, უთხრა სიცილით მეტიევმ. ჩაღოლაძე მოიკვანტა და შიგ შუა დარბაზში კი დაიბადა. აათვარიელ-ჩაათვარიელა მეტიევს სადგომი, შემდეგ „აქა მშვიდობის“ თქმისა, აქაც დაჰხვდა თითქმის ისევე, რაც სხვა გლეხების სადგომში: შაბოლილი, მიწაში აშენებული ქვითკირის კედლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან დიდი ქვითკირის თარო, რაზედაც ეწყო: ჯამები, ჩამჩები, ხელადები, ლულიანი ჩარექეები, პირდალმა ყანწები, ერთი მტვრიანი ჯიხვი და სხვა... თაროს წინ იდგა შავი დედა ბოძი, წითელი კვერცხების ნაჭუჭებით აჭრელებული; იქვე იყო ჩვენი სიცოცხლე კერა, რომელსაც თავს დასტრიალებდა ჩვენი ნაცნობი შავი საკიდელი, კარებთან იყო სალოგინე, ესე იგი ლასტი, რაზედაც ეწყო ლოგინი; კერასთან იდგა თავშავის ახლათ მოდუღებული წვენი. წალოსთან ატუზულიყო თორმეტი წლის მეტივის ქალი, რომლის შავი თვალები ენთებოდნენ და ცდილობდნენ როგორმე ამ სადგომიდან მოშორებას. მართლა და ჩალოლაძემ რამწამს თვალი აარიდა, თვალებიც და ქალიც მაშინვე კარში გასრიალდნენ. მეტივეს ცოლმა მოიტანა კერას წინ ჭილოს ნეჭა, ოდნივ სალამი მისცა სტუმარს, სიგძეზედ მოკეცა, დადო და ჩალოლაძემ მოიკეცა კერას პირს.

— აბა, დედა-კაცო, ერთი გაიჩენჩე, ხომ იცი ტუმარ დახვედრა უნდა, გამოთქვა მეტივემ და თანაც ჩოხას იხდიდა.

— წელანდელს აქეთ სამჯერ მოსულა ჩემი მაზლი სოსე, ნათლობა გვაქვს ამაღამ, იქ მოდიო, უპასუხა ცოლმა.

— ე, შენ კიდე... ტუმარი ჩვენია, ჩვენ უნდა დავხვდეთ, წარმოსთქვა მეტივემ ცოტა წყენით.

ამ დროს სახლში კიდეც შემოვიდა მეტივეს ბიძაშვილი ახალგაზდა, წითელ-გულისპირა, ირგვლივ თმა შამოკრეჭილი და შეზარხოშებული—სოსე. გამარჯობა თქვენი, თქვა იმან და მიუბრუნდა ბაციკას: „დღეს სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯერ მოველი; ბიძა ჩემმა გამამგზავნა, ჩემ ძმას დაუძახე—ბალღი უნდა მოვნათლოთ. წამო, აბა უშენოთ რა იქნება, „ძმა ძმისთვისა, ამ დღისთვისა“—რაღა თქმა გინდა, აბა!...

— რავქნა, ე ტუმარი? თქვა ბაციკამ.

— ტუმარი, კაცო, რა, ვერ დაუხვდებით!?.. მიუგო სოსემ.

ბაციკა ადგა, შავი ჩოხა ჩაიცვა, ზედ ვერცხლის ქამარი შამოირტყა, შავ ქუდს ორიოდე ბეწვი ააცალა და დაიხურა, ქამარზედ ჭრელი სარფინკის ხელცახოცი ჩამოიკიდა და უთხრა ჩალოლაძეს:

— ძმაა, დამემდურება, თორემ აქ კაი დროებას გავატარებდით. არა უჭირს რა, ეხლა წავიდეთ, მეტივეა, მდიდარი არის, იქ სხვაც სულ მეტიეები იქნებიან და ხომ გაგიგია: მეტიეებს პირის პატივი უყვართო... არ მოგაწყენენ.

— სულ ერთიაო, წაიდუდუნა ჩალოლაძემ, და გავიდნენ კარში. ის კი იყო შამგლიფერდა. ბაციკა თავის სტუმრით ეკკლესიისკენ წავიდნენ. ეს იყო იმ ეკკლესიათაგანი, რომელიც ჩვენ მამა-პაპის გმირს გორგასლანს ეეშენებინა. საშინელი ტინის ქვები იყო ზედიზედ დადებული და ისე იყო აშენებული უზარ-მაზარი ეკკლესია, რომელსაც ეხლა დეეკარგა თავისი დიდება და ინგრეოდა; თითქოს იმ ანდერძით გადმოეცა ჩვენთვის ჩვენ სახელ დიდებულ მეფეს, რომ ის ქვის გროვათ უნდა გვექცივნა. უწინდელ გულ-მხურვალე გალობის მაგიერ, ეხლა ერთი უბადრუკი დიაკვანი, საცოდავათ თავისთვის და სხვისთვისაც გაუგებარ სიტყვებს ჩხაოდა. სულ ქონიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი ყველასთვის უცნაურს რაღასაც აჩქარებით ლუღლუღებდა. საყდარში ოდნივ ბჟუტავდნენ სანთლები, რომლების სინათლეზედაც საყდრის შიგნიდგან გუმბათზე მძინარე მტრედებს დეეღვიძნათ; ფრთების ფართხუნით ადგილიდგან-ადგილზე გადადიოდნენ. ზოგი კიდევ წაილუღლუნებდა ხოლმე, თითქოს ღვდელს ლუღლუღში აჯავრებსო. საყდრის შუა ემბაზთან ეკუნტა ბებერი ბებია და რაღაცას ჩიფჩიფებდა. ბავშვი კნაოდა, იქვე მდგომი მეტივეები ათასში ერთხელ გაიქნევდნენ ხოლმე უზარ-მაზარ ხელებს, პირჯვრის გამოსახატათ.. ღვდელმა, რომ ბავშვი ემბაზისაკენ წაიღო, მეტივეებმა ერთხმით წაიყრანტალეს:

— ღვდელო, კარგა ჩააყურყმალავე ეგ გოჭი, რომ კაი მეტივე გამოვიდესო... ნათლობა გათავდა, ყველანი კარში გამოვიდნენ. მშვენიერი მთვარე სინათლეს ჰფენდა მშვენიერსვე არე-მარეს. ყველა იქ მყოფ სულდგმულს მისძინებოდათ და საბრალო ქოხებიდგან დამაშვრალ გლეხების კვნესა ისმოდა. ცოცხლები საფლავებში კვნესიანო, მწარეთ გაიფიქრებდით თქვენ...

ცოტახანს შემდეგ ჩვენი ბაციკას ძმის სახლში სტუმრები ისხდნენ გძელ ტახტზედ. წინ სამი ჯურა სუფრა ეშალათ და ზედ ეწყო ლავაშები, თიხის თებშებით ხორაგი, ზედ ყანწი და ჯიხვი დასეირნობდნენ. იქ ისმოდა: „ნათლი, ღმერთმა გაღლეგრძელოს, ღმერთი იყოს შენი ოჯახის შემწე“. და სხვა კილოიანი სიტყვაც ბევრი დაიბადა.

— რა გიჭირამ ე ჯამი და შიგ იყურები, კომბოტოს წილი ხომ არა გგონია, დალიე, თორე ასე გაგიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ღვინით თავსა, რომ კამეჩი ბლაღოჩინათ გელანდებოდეს! გადაჰკრა ერთმა მეტივემ იმის პირ-და-პირ მჯდომელა გზირსა, რომელიც ბნელათ იმზირებოდა ღვინით სამსე ჯამში.

— შენ, ეი, დამეხსენი. შენ რო ჰსომ, შვილო, შენ დიდი თავიცა გაქვს უთხრა ღვარძლიანათ გზირმა.

— „ჩემი თავი ქუდს შენ ხომ არა გთხოვს“! უპასუხა ამაყათ მეტივემ—თითქო მართალი თქო.

— „შენ, ეი, საწყალი კაცის საკიდელას არა ჰგევხარ—დაცალე, ე ჯამი გვინდა“, უთხრა ახლა სხვა მეტივემ იქვე მჯდომ მართლა საკიდელივით გარუჭულს შავათ და საკიდელივით შრომით მოკაკულს გლეხს.

ჩალოლაძემ უნებურათ შეჰხედა კერასთან ჩამოკიდებულ საკიდელს და გაიცინა. ამაზედ გვერდზე მჯდომმა მეტივემ უთხრა:

— რას იცინი, ეგ საწყალი კაცის საკიდელი კი არა, მეტივესია, მდიდრისაო.

ყველა შეატყობდა, რომ მეტივეები სჯობნიდნენ საწყალ გლეხს. კაი სურათი წარმოგიდგებოდათ, მკითხველო, ცოტახნის შემდეგ რომ შეგეხედნათ მეტივის სახლში: შავ კედელზედ დაინახამდი მიყრდომილებს ახოვან და გიჟმაჟ მეტივეებს. ერთ-ერთს უეჭველათ ნახავდით ხელში თიხის ჯამით, რომელშიაც ბნელათ იმზირება, თითქო შიგ თავისი ბედი ჩაჰვარდნია და უნდა ამოიღოსო. ხამუშ-ხამუშ ნუნუათი გაბრუჟებული, ზოგი მათგანი წამოიძახებს: „შენ კი გენაცვალე, ღმერთო, რომ ეს წყლები დაამდორე; ყველაფერი გააჩინე, ქართლში დასდე დიდი ხოვლე, ერთი ცუდი საქმე მიყავ, ჩემ საყვარელს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშორე"... ფილოსოფოსობს და ტრფობა აქვს გულში ჩვენ გლეხს ღვინოში!...

გათენდა. ჩალოღაძე ადრე ამდგარი ბანზედ იდგა და იქიდგან სიამოვნებით უმზერდა მტკვარზედ მწკრივათ მიმცურავ ტივებს, რომლებზედაც წუხანდელი მისი ნაცნობი მეტივეები იდგნენ, თავისი საშინელის და უშველებელის მკლავებით ზორბათ უსომდნენ ორთაყვირებს. მტკვრის წინწკლები მაღლა ადიოდნენ და მზეზე საამურათ ლაპლაპებდნენ. იქვე დაინახა ჩალოღაძემ ქეჩოს ქექით სამუშაოზედ მიმავალი ჩვენი გარუჯული მოქეიფე გლეხი, რომელიც საცოდავათ ღიღინებდა:

„შავო, შავბნელო ივანე, ვერ ამოუხველ სევდასა
კლდეში ჩაჰჩეხე ურემი, კაცი ვერ გაღიხედამსა..."

— შავი და ბნელია გლეხის სიცოცხლე, ეს ცხადათა სჩანს იმათს სიმღერაში. ფხიზელ გლეხს ეს ლიტონი ჭეშმარიტება თავის ბედკრულის ცხოვრებისა ცხადათ ეხატება, თვალ-წინ ელანდებიან: იასაულები, მოვალეები, მწერლის და მოხელეების ოინები, შინ ცოლშვილის სიტიტვლე, ფქვილის გოდრის სიცარიელე, საკომლოს გატანა და ვინიცის რა არა! ეს იმას გონებას უბურამს, იმიტომ თავს იღრჩობს თავის მოყვანილ მჟავე ნუნუაში, თუ შეჰხვდა, ან თუ აქვს... ღმერთმაც შეარგოს!!

— ჩალოღაძე გამოეთხოვა ჩვენ ბაციკა მეტივესა და გაუდგა გზასა. სოფელზედ რომ ამოიარა, გზის პირზედ შეგროვილიყვნენ კარგა ბლომა გლეხები, ერთი ახოვანი მათგანი და, როგორც ეტყობოდა, მეტივე, ხმა მაღლა ყვიროდა.

— შვილო, მე ლიტრი კაცი ვარ, რომ სამ ჩარექიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ლიტრაზედ ამიყვანეთ? რა ნახეთ ჩემში, გინდათ გამანადგუროთ?!...

— მეც წინა თოჯში ორ თუმანზედ ექვსი გროში მეწერა, ეხლა ზოდები ვიპოვე, რო შაურში აუყვანივართ?... ეს სუ მა კომლობა გასაქრობ ივანე მწერლის ზრალია.. ეგ არი ჩემი მტერი! ამბობდა გაუბედავათ საწყალი და ტანისამოს დაფლეთილი გლეხი, რომელსაც ეტყობოდა დარდით სული ყელში მოჰბჯენოდა.

ჩალოლაძეს, ამის გამგონეს, ის სურათი დეეხატა, რომელიც ზოგჯერ ზომაზედ გადამეტებულათ მიაჩნდა: ეხლა კი მიჰხვდა იმ ნამდვილ ჭეშმარიტებას, რომ არსება, რომელსაც ჰქვიან გლეხი, არის კერძი ულმერთო შრომისა. ის დღითი დღე უარუთქმელად ეწევა ბეგარას, აძლევს სახემწიფო გადასახადს. ამაების შესრულება ჰფხვნის მის გულიდგან ყოველსავე სხვა მოვალეობას. მერე კიდევ, რომ ეს არის სულდმული, რომელიც გადაჩვეულია ყველაფერზედ დაფიქრებას. ის მარტო კითხულობს: „რამდენი შამომაწერეთ?" „რა არის ჩემზედ საკომლო?" აი ამ გვარი ხარჯების გაწერა არის ხოლმე მიზეზი ყოველივე ამათი ყრილობისა; სხვაზე ლაპარაკი აქ არა იქნება რა ხოლმე. გლეხი მარტო თავის საცოდავ სიცოცხლეშია ჩაყურჭუმალებული, თავის ნიჭს სხვაზედ არაზედ იჩენს. იმის მაგიერ საზოგადო საქმეებს აკეთებენ სოფლის ყლაპია მოხელეები.... ისიც კარგია, თუ ოდესმე „გაჰშტრაფამენ" რომელსამე პირლია გლეხს და დანარჩენ პირლიეებს თითო ჯამი ღვინო ერგებათ... იმასაც ვერა ჰგრძნობენ მაშინ, რომ ეს მოხელეებისაგან დასაპნული ვირი როდის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე იმათ კარებზედაც დაჩოქებს. დარწმუნდა ჩალოლაძე, რომ ეს მწარე სურათი მართალი ყოფილა.

## II.

ბაციკას მთელი ცხოვრება პირ-და-პირ ეწინააღმდეგებოდა უბრალო ანგარიშსა. მინამ მეტივეთ გახდებოდა, საშინლად საბრალო რამ იყო, მეტივობას კი ფეხებზედ ეკიდა ყველა საწყალი. ჩალოლაძესაც უამბო იმან ყოველივე თავისი თავ-გადასავალი.

ბაციკა ჯერ ისევ პატარა იყო, როცა მამა მოუკვდა. იმან დაურჩინა ერთი დანგრეული ქოხი, ერთი ვენახი, ისიც არტემა სომეხთან დაგირავებული, დახანხალებულ-დაჩაჩანაკებული ბებერი დედა და მოვალე კნიაზი ივანე. ბაციკა თვრამეტი წლისა იყო, რომ კნიაზმა წელიწადში სამ თუმნათ თავის ვალში აიყვანა. სულ ათი თუმანი თავნი იყო და სამი თუმანი სარგებელი უნდა ეძლივნა, მაშ გადაწყვეტის იმედი ჯერ-ჯერობით ბაციკას სულაც არ უნდა ჰქონოდა. არტემას ათ თუმნის სარგებელში მიჰქონდა ბაციკას ვენახის ღვინო და თავნი საუკუნოთ კისერზედ ეკიდია. ბაციკას დედა ეჯდა ჯარას და აბზრიალებდა, ათასში ერთხელ სხვას სამუშაოთ თუ გაჰყვებოდა და შინ ერთი ორიოდე გამამცხვარ პურს მოიტანდა, ჯაფის ფასსა; იჯდა, ასველებდა ხმელ-პურს წყლით, ჰღეჭდა და აზუზუნებდა ჯარას. თითონ ბაციკასაც მოჯამაგირობაში შავი დღე ედგა. ხომ გაგიგონიათ: „მოჯამაგირის დღესაო არ დეელევა კვნესაო“.. მეტადრე კნეინა ექცეოდა ჩვენ ბაციკას ცუდათ. იმის სახარების ფურცლებში ეწერა—„ჩულურეთი და კუკია სულ ერთ ალაგას კუნტია; მოჯამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირის საგძალი არის გამხმარი კუტიაო"; მალ-მალაც წამოჰროშავდა ხოლმე ამას და ხმელა პურს გარდა არას მიაკარებდა ხოლმე ბაციკას.

ერთხელ ქირათ, იმათ სოფელში მივიდა ქალაქიდგან იმათებურივე და ეხლა გასომხებული ბერიკაცი. ის აუტყდა: არტემას უჩივლე, ვენახ წაართმევო, ჩემ მეგობარ ჩინოვნიკებთან მომყე და ისენი თუ აქ ვერა, პირ-და-პირ ,,სინადში" მისწერამენო. ბაციკამ დაიჯერა ესა; ცოტა ხნობით დეეთხოვა კნიაზს, ისესხა ხუთი მანეთი ფული, გაიძღოლა ბერი-კაცი და წაიყვანა თავისი ბებერი დედა. მეორე დღეს სისხამ დილას ბაციკა და დახუთული მისი დედა მისდევდნენ ბერი-კაცს და მიაფრასტუნებდნენ ქ. გ—ის ქუჩებზე. ბერი-კაცი ყველა დუქანში ხმის კანკალით კითხულობდა: ,,კნიაზ სანთლიკუდა სადა დგასო?" ამაზედ ზოგი დასცინოდათ და ზოგი ,,არ ვიცის" ეუბნებოდა. ბოლოს ერთ დუქანში კიდე იკითხეს ,,კნიაზ სანთლიკუდა", რაზედაც ხარხარით უპასუხეს—,,კნიაზობას ცოტალა უკლიაო" და გაუშვირეს თითი პირ-და-პირ სახლისკენ. შესვლის უმალვე ჩვენ მგზავრებს დანგრეულ მოაჯირიდგან საცოდავათ გადამღრძვალი, რუსულ ქუდა და კუზიანი სულდგმული უქნევდათ ხელს. ბერი-კაცმა ქუდი მოუხადა ,,კნიაზ გაუმარჯოსო", ბაციკამ მაშინვე ქუდი იშვლიპა და დაიჭირა იღლიაში. შევიდნენ სახლში წუნარათ. სანთლიკუდა სკამზედ გამოიჭიმა, მრისხანე სახე მიიღო და ამაყათ იკითხა: ,,რა საქმეა?" ბაციკა უკან იდგა, ქერში იყურებოდა და სულ ის აგონდებოდა, ,,სინადში მისწერამსო". ბერი-კაცმა ბაციკას დედას მუჯლუგუნი წაჰკრა, შენ ყველაზედ კარგა იტყვიო და იმ ცხონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულმაც, ერთი კი ჩაახველა, წინ წადგა და სარეკელი-ვით დაიწყო.

,,ჩემმა ცხონებულმა ქმარმა, ამისმა მამამ, იმისი სუ-ლის ცხონებამ—ტყუილათ არ დავიფიცავ, მამით-პაპამდე და სხვა და სხვ... გაათავა ბებერმა, სანთლიკუდამ ნაგლე-ჯი ქაღალდი აიღო, ზედ გაბლაჯნა და უთხრა:

ეს ერმალოს წაუღეთ, ის ჩემი მეგობარია დიდი ჩი-ნონიკი და საქმეს გაგიკეთებთო. ბაციკას დედამ ბარათი ჩამოართო და ერთი დაგლეჯილი მანეთი იმას მიაწოდა. იმან სიამოვნებით ჩამოართო, მაგრამ ბაციკა კი ბრაზე-ბით მიჰყვარდა დედას, კარში რო გამოვიდნენ, და უძა-ხოდა:

— აბა, შე კომლობა ამოწყვეტილო, ერთი მანათი დუქანში დავხარჯეთ, ერთი აქ მიეეცით, ჩვენ სამი მანათი-და დაგვრჩა და საქმე კი ჯერ ფრჩხილის ტოლაც არ გა-გვიკეთებია.

ბევრი ბრაცუნის შემდეგ იპოვეს ერმალოცა. ისიც ამაყათ გამოიჭიმა სკამზედა, ბებერმა მუჯლუგუნის შემ-დეგ ისევ სარეკელივით დაიწყო:

,,ჩემი ცხონებული ქმარი, ამისი მამა მამით-პაპამდე და სხვ...“

ბაციკა ჭერში იცქირებოდა და ,,სინოდშიო“ აგონ-დებოდა. ერმალომაც ვილაც როსებასთან მიუწერა, მანე-თი სიამოვნებით ჩამოართო და უთხრა:

—ჩემ მაგიერ უთხარით, ისეთ არზას დაგიწერთ, ქვა გახეთქოსო...

მივიდნენ როსებასთანაც. იმან რაკი ბებრის ჩიფჩიფი მოისმინა, ,,არზა“ დაუწერათ, ნაჩალნიკს მიართვითო. ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკას დედამ ორი მანეთიც იმას მისცა, თითონ კი დარჩნენ ღვთის ანაბარას, მაგრამ მაინც ბაციკას უხაროდა: „სინადშიო“ მალ-მალ წამოიძახებდა ხოლმე..

მივიდნენ „ნაჩალნიკთან“, იქ ერთ ოთახში დააყენეს, სადაც ბლომათ იყვნენ გლეხები. ზოგს ძირს ეძინა, ზოგს სკამზედ სთვლემამდა, ცუდი სუნი იდგა. ყველას უბიდგან „არძები“ უჩანდათ. დიდხანს ელოდნენ ჩვენებიც და სხვებიც „ნაჩალნიკს“, მაგრამ არვინ გამოდიოდა. ბაციკას და მის დედას შიმშილით მუცლები ეწოდათ, მაგრამ რა ჰქონდათ საჭმელათ?!. აი, ძლივს, დაიძახეს „მოდისო“, ბაციკა ფეხზედ წამოდგა, შეჰხედა და გამოვიდა ერთი მაღალი წითელ შალვარა, ხელში ვერცხლის წკეპლით—კაცი ხელებზედ თეთრ ხელ-თათმანებს იცვამდა. „აბა ენკენისთვე და სიცივე გაგონილა“ წაიბუტბუტა ბაციკამ. ყველამ არძები გაიწოდეს; ბაციკას დედასაც თეთრი ქაღალდი ეჭირა გაწვდილ ხელში, და ხელი სიბერისაგან და შიშისაგან საშინლათ უცახცახებდა. „ნაჩალნიკმა“ ერთი ზიზღით გვერდზედ გადმოჰხედა მოჩივრებს „პრიდუ“ დაიძახა, ხელები გაასავსავა და ჩაჯდა ეტლში... ყველამ საშინლათ ამოიოხრეს. ბაციკა კი გაჩენის დღეს იგინებოდა..

შიმშილმა შეალონა ჩვენი მაჩივრები, ბოლოს თითქმის დალამდა. ბაციკას შიმშილით გული უღონდებოდა.. აი, „ნაჩალნიკი“ გარედან შემოვიდა, ბაციკას დედას ჩამოართვა „არძა“, დაჰხედა და გადაუგდო უკანვე. ბაციკას თითქმის გული შეუღონდა. იმისმა ბებერმა დედამ კიდე რაღაც დაიწრიპინა—„ნელზია“! დაიყვირა რიხით „ნაჩალნიკმა“ ამის შემდეგ საწყლებს თითონაც არ ესმოდათ, როგორ გამოვიდნენ კარზედ... ორთავ დიდხანს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აღარა ესმოდათ რა... ბოლოს ისევ ცხონებული მოვიდა გონებას და შიმშილით შეწუხებულმა მწარეთ ამოიძახა: ,,შვილო, აი გამხადე ეს ბაშმაკები, მეფურნეს მიე და პური გამოართვი"—ბაციკა საჩქაროთ მიჰვარდა ფეხებზედ დედას, დაჰხადა ახალი, ვინ იტყვის, რა ტანჯვით ნასყიდი ბაშმაკები და იყიდა იმით ლუკმა პური. შეჭამეს, მაგრამ ორივ მწარეთ ადგნენ და გამოსწიეს შინისკენ. ბაციკას დედას ქვებისაგან დაშაშრულ ფეხებიდგან სისხლი დასდიოდა და თვალებიდგან ბაშმაკების გაყიდვაზედ აფქვევდა მწარე ცრემლს. ბაციკას გულ-მუცელი ცოდვით ეკლანძებოდა და ბრაზებით სული ყელში ებჯინებოდა. მოვიდნენ შინ. ბაციკა მეზობლის მარანში შევიდა და ნახა, რომ არტემას იმის ყურძენი კიდეც ჩეეყარა საწნახელში და თითონ ბაქნიდგან შიგ იცქირებოდა. გული აემღვრა, ბაციკას შავმა ალმურმა აუარა, მიჰვარდა არტემას, გადმოაგდო ბაქნიდგან და საშინელის ძალით ჩააზილა წიხლი ღიპიან მუცელში. საწყალს პირიდგან სისხლი ამოუვიდა. იქვე მოცვივდნენ მოხელეები. ბაციკა ნაცვალსაც ეძგერა, ჯაჭვი ჩამოაწყვიტა. სალამოზედ შეკრეს მაგრა; მწერალმა ,,ლეპორტი" დაწერა და გაისტუმრეს ქ. გ—ში. გაიყვანეს თუ არა, წითელ შალვარამ, ამ საქმეში გამოცდილის ხელებით, ათიოდ ლაზათიანი სილა ურტყა: როგორ თუ შენ მამასახლისს ჯაჭვი დააწყვიტე და მოვალე არტემას სცემეო"! მერე მწერალს უბძანა რიღაცის დაწერა, ბაციკას ამოჰკრა კუკუ, იქით ოთახში შეაგდო და იქ ჩაკეტეს. მიყუჩდა ჩვენი ბაციკა... მარტო ყურს უგდებდა მოკაკულ და გადამღრძვალ მწერლის კალმის ფხაკაფხუკს, თითქოს თავის ბედის წერის გადაწყვეტილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შეეტყო იმ ფუხაკუნშიაო. უცებ გაიხედა ფანჯრიდამ კარში ბაციკამ და დაინახა, რომ გზაზედ არყისაგან მთვრალი რუსი მკვდარივით ეგდო, ზედ მიჰდგომოდა „დესეტნიკია" თუ რაღაც ეშმაკი, სცემდა საბრალოს წიხლით, „ვსტავაიო" უყვიროდა, თითქოს ვერა ჰხედამდა, რომ იმას ადგომის თავი აღარა ჰქონდა. „პაიდომ" უყვიროდა კიდევ ის ნადირი, თუმც ცხადი იყო, რომ საწყალს ფეხის გადადგმის ილაჯი არა ჰქონდა... ათრევდა, თითქო ხეაო, თანაც ბრაზდებოდა ამ უბედურზედ. ანამუსებდა საწყალს და თავის სიბრიყვეს ვერა ჰგრძნობდა. ბაციკას ბრაზები მოუვიდა, მიჰვარდა ფანჯარას, უნებურად დაარტყა ხელი და დაიყვირა. იქ რომ ყოფილიყო, არტემასაებ ანთხევინებდა სისხლს.

. . . . მაგრამ, აი, გაიღო ტუსაღანას კარი, შემოცვივდნენ სამი კაცი და დაუწყეს ბაციკას ულმერთო ცემა, მერე შეკრეს და დააგდეს უძლური, თავ-პირ-დამსხვრეული, გულ-მუცელ ჩანგრეული. ერთი სარფინკის ხელცახოცი ჰქონდა ჯიბეში, ისიც ამოეცალათ საწყლისთვის. დიდხანს ვიჯექ „ლოშპიტალშიაო", იტყოდა ხოლმე ბაციკა; რო მოვრჩი, იქიდან მუჯლუგუნის ცემით „სალდასტებმა" ციხეში გადმამიყვანესო. ციხიდანაც მუჯლუგუნის ცემით რამდენჯერმე მიმიყვანეს „მირონის სუდშიო", ზოგს გზაზე ვებრალებოდი და ზოგი კი, უფრო მდიდრები, იტყოდნენ ხოლმე—„ახია, მაგ რაზბონიკზეო".

ბოლოს გამოუშვეს ბაციკა. დალონებული და შერცხვენილი გამოჰწია იმან თავის სოფლისკენ. მაისი იყო. მშვენიერი არე-მარე უფრო ალონებდნენ საწყალს. შიგ ოფელში რამწამს შავიდა, თავის ნათლიაანთ ტეტიკა შეჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდა. იმან გაუმჟღავნა ბებერი დედის სიკვდილი, რომელიც ბაციკას დარდს გადეეტანა. ბაციკას ელდა ეცა, უგრძნობლადღა მიათრევდა ფეხებს, თითონაც არ იცოდა, სადა.. მიაღწია თავის სახლამდე. ახლოს რო მივიდა, დაინახა, რომ იქ სახლის მაგიერ ჭინჭარი და კანაფი იყო ამოსული, იქვე ეგდო გაშავებული საყვავე და დედა-ბოძი, ჯერით არ წაქცეული, შავბნელათ უყურებდა პატრონს. თავდაკიდული იჯდა ჩვენი ბაციკა თავის სახლის ნანგრევზედ და ბოლმით ცრემლიც კი აღარ მოჰდიოდა! უცებ ყურთან ვიღაცამ დაუძახა: „ვინახარ შენ"? ბაციკამ აიხედა და დაინახა თავისი მეზობელი პავლე მეტივე. იმან წვერში ველარ იცნო, მინამ არ დააკვირდა და, როცა იცნა, გაკვირვებით თვალები დააჭყიტა. ცოტახანს უკან პავლემ ნუგეშობა დაუწყო ბაციკას და თავის სახლში წაიყვანა. იმ ღამეს მოილაპარაკეს, რომ ბაციკა პავლესთან მობოლოდ უნდა ყოფილიყო ტივზედ—ჩატანაში სამ მანეთათ.

მეორე დღე ონავრობა *) იყო. მტკვარი ბაციკას გულზედ უფრო ამღვრეული მოჩქროდა. იმათ აუშვეს ნაძვის დიდი ტივი, პირჯვარი გადიწერეს და გამრაზებულმა მტკვარმა მერცხალივით გაათრინა. „მარჯვნივ მოუსვი ორთაყვირი! მარცხნივ.-—ჰა, შენი ჭირიმე!" ამხნევებდა გამოცდილი პავლე და თითონ კი თოფივით ატყლაშუნებდა ორთაყვირს. ნაპირები ზევით მიფრინავდნენ. ასე ჩაიარეს „საყორნია" **), რომ ბაციკას თვალი არც კი შაუხამხამებია, თუმც პავლეს კი ალმური აუვიდა. არც

*) წყალ-დიდობა.

**) მორევია მტკვარში, რომელიც ტივებს აფუჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კაცი ჭამიამ“ *) შეაშინა, თუმცა ყაინარმა ტივიც გადუბრუნათ და პავლემ კიდეც შეჰღრიალა. ასე იყო ბაციკა ჯავრით გამოჩერჩეტებული. ისეთი მიფრინამდა ტივი, რომ წირვის დარეკის დროს ის სატიოზედ ქალაქში ება. მაშინ ტივიდან რომ ღვიძლი ძმა გადაგვარდნოდა, ხელს ვერ გაიწვდიდი. ასე დაიწყო ბაციკამ მებოლოობა.

მერე აუშვებდნენ ხოლმე ჩვენი ორი ნაცნობი ქარელში ტივსა და ბაციკა მაშინვე შამოჰძახებდა „ხეურს“ ანუ „ტიურს“ **).

„ქარელში ტივი აუშვი, იქვე მოიღერა ყელი,
„საყორნიას“ მივატანე, ფინთათ შემიცვალა ფერი;
ორივე წყალში დამეხრჩო მებოლოე, ხელის მკვრელი,
—„აი და, ბაციკავ, შეუკიდებდა პავლე.
„მამა შენ კარგათ ვიცნობდი, თავთხელს ესროდა ბადესა,
შენ იმის შვილი არა ხარ, ტყუილათ ახეთქამ ბაქებსა....

ბაციკა ისევ დაიწყებდა:

„ტიო ჩემო, ჩემო ტიო
მორთულო და მოკაზმულო,
ორთაყვირო მოსასმელო,
ზედ კულავ და ზედ სასმელო,
სატიოზედ ჩაჭუსულიყავ,
ორმოც-თუმნათ გაჭუსულიყავ და სხვ..

ასე მასლაათით ჩადიოდნენ სატიოზედ, იქ ყველა მეტივეები ერთათ მოიკეცამდნენ ტივზეთ და ქეიფობდნენ.

---

*) ესეც მორევია, სადაც ყაინარები ერთ მინუტს სულ გადააბრუნებენ ტივს მაგრამ მეტივე ამოზუნზლული ისევ ამოჭყვება.

**) „ტიური“ ანუ „ხეური“ სიმღერაა, საცა ორნი ლექსებს მღერიან. ეს მეტივების სიმღერაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ბაციკა თითონაც მეტივეთ გახდა. მალე ფული იშოვა და ეხლა, ერთი ორასიოდე თუმანი ნაღდი ჰქონდა შინა, უწინდელი სისაწყლე აღარც კი აგონდებოდა. მთვრალი რუსი კი არა, ეხლა იმის თვალ წინ გინდა ყველა ამოეწყვიტნათ, ის ხელს აღარ გაიქნევდა, ოღონდ იმის ჯიბესთევს კი არ გეხლოთ ხელი...

### III.

გავიდა კარგა ხანი, მარტის დამდეგი იყო. საშინლათ ციოდა. ცივი და ღონიერი ქარიშხალი, თითქოს ბოროტი და განდევნილი სული, ისე ღმუოდა თფილისის ქუჩებში და მოჰქონდა თოვლ-ჭყაპი. ჩალოლაძე ის იყო სოფლიდგან ჩამოვიდა. ბინა არსადა ჰქონდა, ღამდებოდა. იაფინჯ და ყაბალახ მოხვეული, ის მიაბიჯებდა მუხრანიანთ ხიდთან, როცა მტკვრისკენ მიმარბენმა ხალხმა მიიზიდა მისი ყურადღება. ჩალოლაძეც გაეშურა იქით და მიადგა მტკვრის პირს, სადაც იდგა ბლომა ხალხი, იქვე ჩანდნენ ქალაქის „დიდი" გვამნიც. მტკვარი საშინლათ გაცოფებული მირბოდა, თითქოს უნდოდა ეს წინდაუხედავი წუთისოფელი წეელეკა. ჩალოლაძემ გაიხედა იქით, საითაც ხალხი იცქირებოდა და დაინახა: შიგ წყალში, პატარა ბურჯზედ ორი ამოზუნზლული კაცი კანკალებდა სიცივით. თურმე გაბრაზებულ მტკვარს ეეწივნა და ნახევარი ტივი ზედ ბურჯზედ შეედო, მებოლოვეც და მეტივეც ორივ ბურჯზე შეესხა ამოზუნზლულნი, იაფინჯები და ქუდები კი წეერთო წყალს. ბურჯის გარშამო მტკვარი საშინელის ძალით დუღდა და ცოფიანივით დუქებს ისროდა; თავისის ხმაურობით, მეტივეების ყურებამდის აღარავის

ხმას არ უშვებდა. ქარი და სიცივე უბედურ და ნაბანევ გმირებს ულმერთოთ ეპყრობოდნენ და ესენი მუქის ტოლეებილა კანკალებდნენ ტივზედ. ნავი ვერა გზით ვერ მიუყენეს და ყველამ გადაწყვიტა ამ უბედურების სიკვდილი... მეტივემ გამოცდილობით იცოდა, რომ „სხვისა ქირი—ლობეს ჩხირიო“, იმიტომ იშვირა ფეხები და გედეერია ზვირთებში. მოუსვა, ოდესმე საშინლათ ღონიერი და ეხლა უღონო ხელი. ხალხმა სული გატრუნა... მეტივე საცოდავათ ებრძოდა ცივს და შავბნელ ზვირთებს... ძლივს გამობობღდა. იმას დასტაცეს ქალაქის ბიჭებმა ხელი და წაიყვანეს სადღაცა. დარჩა ბურჯზედ საწყალი მებოლოვე. საცოდავის თვალით გააცილა იმან თავისი არ მშველელი ხალხი.... ამბობდნენ მეორე დღეს ის სიცივისაგან გაფიჩხული გამოიტანესო....

ჩალოლაძე დაღონებული დაბრუნდა, მოვიდა ერთ მეფურნესთან, პაპიროზის მოკიდება ჰსურდა და ცეცხლი მოითხოვა; რადგან ძრიელ ციოდა კარში, შიგ ფურნეში შევიდა. იქ ფურნეზედ დაინახა გაჭიმული წყლიდგან გამოსული მეტივე, რომელიც საცოდავათ ქშინავდა. ის გულ აღმა იწვა საშინლათ გაცხელებული, შუბლზედ ღრმა ღარები უმტკიცებდნენ, რომ ვაი ვაგლახის მოწამე უნდა ყოფილიყო ეს საბრალო. ჩალოლაძემ დაცქერების უმალვე იცნო, რომ ეს მის ნაცნობი ბაციკა მეტივე იყო. დააცქერდა ნაცნობ პირი სახეს და იმან თვალები გადმოატრიალა.

—„რაო, ვერ მიცნობ, ბაციკა?“ ჰკითხა საწყალს. იმან თავისი ნაღვლიანი თვალები მიაბჯინა და სიცხისაგან გახურებული ტუჩებით წარმოსთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ჰო, ღმერთსა მადლი, რომ შენა გნახე, ერთი დაბძანდი, გეტყვი ჩემ გულის პასუხს და ღვთის გულისათვის ყური მიგდე მეტ.... მეტიეს...“ ჩალოლაძემ ყური დაუგდო თუმც გაიგო, რომ სიცხეში იწყო საბრალომ როშვა.

— „შენ ხო კარგა იცი, შენი ჭირიმე, ჩემი სოფელი მეტ—ია, მტკვრის პირას დევს, გაღმა მხარს რომ ეძახიან. მტკვრის პირას წამოსკუპული ეკკლესიით ხო შორიდანვე საჩინოა—ესეც კაი ღვთის წყალობაა, ჰა შენი ჭირიმე“. ჰროშამდა საწყალი: „უცეცხლოთ რომ წამოდუღდება ხოლმე, ისიც ბლომათ მოგვდის. მინდორი ცოტა გვაქვს, ისიც საბატონოა—ჰე, რა ვარამი სიტყვაა ეს სატიალო... მინდორს პური კარგი მოჰყავს—მაგრამ კაცები კი ვერაფერი!..... ჩვენი მამა-პაპის საცოდავი, დიდი ცაცხვი იქ არი, მამულებს რო გვიჟუჟუნებს დეძმის სათავეში, სულ ბამბის ძაფით არი შებოჭილი, შეგეწიოს იმის მადლი, ვაი იმის ლამის თევაც მმართებს!.. სათავეში კალმახიც ბლომაა და მშიერ კაცს ბევრჯელ ამოუმსებს ხოლმე მუცელს; არც ეს არი ურიგო, არა შენი ჭირიმე?!“

აქ მეტივე ცოტა ხან შედგა, ეტყობოდა სიცხე საშინლათ ემატებოდა და ამის შემდეგ აუცილებელიღა იყო. მერე ისევ დაიწყო:

— ე, მიყვარს ჩვენი ცელქი დეძამი... იმის ბუტბუტი მიყვარს!.. რო ბუტბუტებს, უთოოთ სულიც უდგა... სული რო უდგა და დიდიხნისაა, ბევრიც იცის, ბევრი უნახამს... ახ, ერთი ბუტბუტის მაგიერ მკაფიოთ გამოეთქვა, რა რიგი შემიყვარდები!... რამდენ გულსაკვდავ ამბებს გვეტყვი უწინდელს და ეხლანდელს?! ბევრჯელ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარდნილა ბატონის სახლიდგან ბატონისაგანვე ნამუს შერცხვენილი მოახლე და უღვრია შენ პირებზედ მწარე ცრემლები... რამდენჯერ მოუბანია შენის წყლით, ბატონისაგან ან იმის მოურავისაგან ნაცემ ყმას სისხლიანი თავპირი! თითონ ბატონის სახლიდგან რამდენი კვნესა და ავი ამბები გსმენია?!.. ეხლანდელი იასაულებისაგან გლეხების დაწიოკების ხმაც ხომ გსმენია?.. ჩინოვნიკებისაგან მათრახის შლაპა-შლუპის ხმა; გლეხისაგან ბედის წყევლა, რომელსაც წასულა ის სამართლის საპოებლათ სასამართლოში, დაბრუნებულა, ჩამომჯდარა დალონებული შენ ნაპირებზედ ხმელა პურის წყალში ამოსასველებლათ! ჰე, რამდენი სხვა... ახ ნეტავ ლაპარაკი შეგეძლოს, უთხრა ყველას!... იქნება იმიტომ მიყვარდე, წყალო, რომ მეტივე ვარ? ჩემი სევდა რომ შენ დენას გაატანოს, მაშინ უფრო შემიყვარდები... ჩემ სოფლის ახლო მოხევის მშფოთავი მტკვარი, შემოდგომით ოჩხის თევზს არ გვაკლებს, მგონი ურიგო არც ეს იყოს?!.. მიყვარს მტკვარი გაზაფხულობით, ონავრობას; მაშინ უფრო წააგავს ის მეტივეს ამღვრეულ გულს. ზაფხულში, ხომ ის მეტივეებს გვეცოდება. ონავრობას ბევრჯელ გაუკვეთნია მტკვრის ზვირთები ჩემ საშინელ ხელს და ღონით დასმულ ორთაყვირს!.. ზაფხულში კი ბევრჯელ მიბრაცუნებია, მტკვარო, შენ ტინიან ნაპირებზედ ფეხები, საშინელის ძალით მიწევია ჩემი დარიყული ტივი და გვიწყევლია გაჩენის დღე მე და ჩემ მებოლოვეს. ზედ ტივზედ გვდებია შემწვარი ბატი და ტიკით ღვინო. მაგრამ ჩავსულვართ სატიოზედ.-ვისლა ახსომს ტანჯვა! შამამირტყამს ვერცხლის ქამარი და თავ-მამწონეთ გამიკლია კუკიის ხიდზედ. მტკვარს ეში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიან მეტივის ორთაყვირისა, იმიტომ ვერც კადრულობს იმის დაღრჩობას! აი ეს ათი წელიწადია, ჩვენი სოფლიდგან ერთათ ერთი მეტივე დაღრჩო გლახა თათაშვილი... კაი მეტივეც იყო, ღმერთმა აცხონოს და ბევრჯელ კი აუყვირებია ზორბა მკლავებით მოსმული ორთაყვირი!... ვერაფერი ნათქვამია გლეხის ლექსი:

მენახირის გუდა შერცხვა,
მეტივისა ჯალაბიო,
ვენაცვალე გუთნისდედას,
მუცელი აქვს მაძღარიო".

გუთნი დედა ვერ აუვა თავის პურით დალაქს, ღვდელს, იასაულსა, მელალესა, მენახირესა, სომხებსა და ისე მოვალეებსა, მეტადრე ჩვენ მხარეზედ, სადაც ნახევარს მიწის პატრონს აძლევ; როდესაც მეტივე იყიდის ქარელში ტივს ხუთ თუმნათ, ქალაქში სატიოზედ თხუთმეტ თუმნათ გაჰყიდის. ჰე, ბატონო ეხლა რაღა მაგონდება, როცა, როვორც ყველა მეტივეს, მეც ერთი ორასიოდე თუმანი ხმელი ფული მაქვს შინ. ჰე, ეხლა აღარ მაგონდება ჩემი სისაწყლე... ეს შენც გითხარი! აქ ბაციკა გადმობრუნდა, ეტყობოდა სიცხეს სიკვდილისკენ მიჰყავნდა.

—„ჰო, შენი ჭირიმე მაძღარს მშიერი აღარ მახსოვდა მეტიობაში. ეს ვიმდევს ჯავრათ და დიდი ჯავრიც არის. შენებურათ ჩემ ცხოვრებაში ანგარიში არ იყო, ამ ოხერ წუთი სოფელში თვლა მაკლდა, თუმც ჩოტკის კაცი ვიყავ და ანგარიშიან გლეხს მეძახდნენ. რაკი გავმდიდრდი, ლორის ხასიათი მომეცა, ნამდვილი ლორი გავხდი, რო მნდომებოდა გაჭირებაში ვისთვისმე შველა, ლორი კაცი შიგნიდგან მეუბნებოდა: „რას შერები, რა შენი საქმეაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰე, ტყუილათ კი არ მითხარი შენ, რომ მინამ კაცს სწავლა არა აქვს და ცხოვრებაში რიგიანი ანგარიში არ იცის, მინამ ის ნამდვილი ღორიაო"!.....

. . . აქ საბრალო მეტივე ერთი გაიზმორა და გიჟ-მაჟი სული ამოჰხდა უზარ-მაზარ სხეულიდგან.... გაქრა ბაციკა მეტივე!.. მეორე დღეს დილა ადრიან სამიოდე მეტივემ გაახვიეს ბაციკას გვამი იაფინჯში, დაუდეს ურემზედ და წაიღეს თავის მამა-პაპის სასაფლაოზედ დასასაფლავებლათ. გავიგე, რომ ვერაზედ დაჰხვედროდნენ იმათ პოლიციელები, ერთი ათიოდ თუმანი ქრთამათ ეელოთ და მხოლოდ მაშინ დეენებებინათ მცხედარი. ეხლა ჩვენი ბაციკა მეტივე, მკითხველო, ჰმარხია შენ ნაცნობ მეტ—ის ეკკლესიასთან და იქიდგან ყურს უგდებს მოზუტზუტე და მშფოთავ მტკვარს... ,,ცხოვრებაში სწორე ანგარიშიო" გვეუბნება მისი საფლავი.....

შაქრო.

## თავადის სიზმარი.

ერთ სალამოზე სევდა მომაწვა,
სამხარი ვჭამე, ძილს მივეც თავი,
ვსთქვი ჩემთვის, ეგებ ცუდი ვქენ რამე,
იქნებ ღმერთთან მაქვს შესაწირავი?

ჩვეულებათაც სულ ისა მქონდა,
რასაც დღე რასმე ცუდსა ვიზამდი,—
ან გლეხსა ვცემდი, ვარბევდი ვისმე,
ყველას სიზმარში ღამე ვხედამდი.

კიდეც დავწექი, დავხუჭე თვალი,
სიზმარი ვნახე შესაზარელი:
მითომ უეცრათ მომკვდარვიყავი,
მთლად გამქრალიყო ჩემი სახელი;

სულ ყველაფერი, რაცკი რამ მქონდა,
მითამ გლეხები შუა იყოფდნენ,
ჰხნამდნენ, ჰთესამდნენ, ჩემ ტყესა სჭრიდნენ
შალბაშს და ღალას აღარ იხდიდნენ!

ცოლი ტიროდა, თმას იწიწკნიდა,
დამძახდა: „ადექ, სად მიხვალ, სადა!?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხნი კი იქით შესანდობს ჰსვამდნენ,
ჩემ სიკვდილს შემდეგ გაჰხსნოდათ მადა!

მე შეუტიე: ,,ბიჭო, რას სჩადით?
ჩემს ქონებისთვის რა ონა გიკრაშთ?
წადით, მომიტათ, ვისაც რა გმართებთ—
ქათამი, კვერცხი... ბევრს ნუ მიჰქარამთ!

,,გეყო, ძამიავ! — მათ შემომძახეს —
გამოგვივიდა ჩვენ სხვა კანონი:
რაცხან გვიმონე, შეგრჩეს მხოლოდ ეგ,
ეხლა კი ჩვენ ვართ ჩვენი ბატონი!"

ამ ხმის გამგონეს, გამისქდა გული,
შევხტი უეცრათ, ტახტზე ნაწოლი,
თავი ვიტკინე, ვილა ჩიოდა,—
კილამ გავსრისე იქ ჩემი ცოლი!

შუალამისას, გალვიძებულმა,
ტანზე ჩავიცვი, ვიშიშვლე ხმალი,
სულ დავიარე ჩემი გლეხობა,
გადუტრიალე სულყველას თვალი!

გათენდა დილა, ვნახე მინდვრები,
ტყეც ისევ ისე სულ სრული არი,
გლეხებიც ისევ ფეხ ქვეშა მყავანან!..
მაშ ეს სიზმარი ტყუილი არი!?..

გ. ჭრელაშვილი.

1881 წ. მარტის 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეომარი.

კეკლუცო ქალო, ცბიერებით ნუ დამლოულუნებ:
შენს საალერსოთ, გულის ჭიავ, არა მცალია.
თუმც „სიყვარულით" და ვედრებით ყურებს მიყრუებ,
მაგრამ ჩემს გულში, გეუბნები, სხვა რამ ალია.

* *
*

კალთიდამ მომწყდი, დასანავსად ნუ მეკიდები!
წივილით ფეხთ ქვეშ გველისაებ ნუ მეკლაკნები!
სხვა რალა გიყო, გეუბნები, რომ მებრალები—
და გთხოვ, გეთაყვა, ნუ მაგვიანებ, ნურც მევედრები!

* *
*

ეგ სიყვარული კარგი არის, თქმა ალარ უნდა;
ჩემთვისა ისე, როგორც შენთვის მას ბედი უნდა;
მაგრამ მაგან არ ამკიდოს საგძლისა გუდა—
რომ ქერქი მივცე, თუ მშიერი მგზავრი დამიხვდა.

* *
*

სხვა სიყვარული, სხვა გრძნობაა გულში ჩასხმული;
სიბრალული გულში იბრძვის და იკეცება!
რა ვქნა, სულო! ის მეტათაა ცეცხლით აგზნული,
ჭკვასა და გრძნობას თავისაკენ მიეზიდება.

* *
*

მოდი, მომყე, გაიხედე რა ამბავია:
ჩემი ძმები მტერთ სამარად ჯარებს აწყობენ..
ხომ გითხარი, რომ მე შენთვის არა მცალია!...
ყური დაუგდე, რას ამბობენ, რას ჩურჩულობენ:

* *
*

,,გავემუროთ, დაცემულნი წამოვაყენოთ,
,,ბოროტებას ფეხით შევსდგეთ და გავამტვეროთ,
,,ხალხი ერთხელ სწორე გზაზედ გადავაყენოთ,
,,უშოვნოთ ბინა, შევიყვანოთ და დავაყენოთ."

* *
*

მაშ რას მომტირი! მე იმათკენ მიმეჩქარება,
ჯერ მსურს იმათა ხალხის ხსნაში გადავეშველო,
თუ რასაც ველტვი, ის ბედისგან ამისრულდება,
მაშინ, იქნება, შენს სურვილსაც გამოვუელვო.

ლ. რ—ზ—კ—ლი.

1881 წ. მარტის 25.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იმედ მიხდილი.

ერთხელ დრო მქონდა მეც ვრწმუნებდი კაცისა ძალას;
ფიქრით ვსცხოვრებდი, ფანტაზიით ვხატდი მომავალს:
კაცისა ხელში ვხედავდი მე აღმართულს დროშას,
და წინამძღომელს გამომსხნელსა, წმიდა ბაირაღს.

ოხ, ჟამნო სიყრმის წარსულისა, თქვენ შემოგჩივით!
რისთვის მაძლევდით ცრუ იმედსა? არ მიბრალვიდით?!
რად მასხელებდით ცრუ ფიქრითა, თვალთ რად მიხვევდით?
ჩემის სისუსტით, კეთილ-გულით რად ჰსარგებლობდით?

მძლავრად მიმაჩნდა იმ ფიქრის დროს კაცობრიობა,
უმაღლეს მაჩნდა მომავალის დანიშნულება.
მწამდა მის ძალა, ნდომა, ლტოლვა, შემძლებულება,
და იმ დროს მწამდა უძლურ კაცის ბედნიერება.

მარამ წავიდა დრო სიყრმისა და დრო ოცნების:
მარტოკა ფუჭი ფიქრი აღარ მაკმაყოფილებს,
მსურს, შეუთვისო ფიქრსა ფუჭი წესი ცხოვრების,
მარამ ძალ არ მიძს, უძალობა უფრო მაწუხებს.

მომშორდი იქით, ფუჭო ფიქრო, წესოც ცხოვრების!
დაღლილი არის ჩემი გული, ვერც ერთს გენდობის!
მე მსურს სამარე საუკუნო, დრო განსვენების,
ან მოშორება გონებისგან გრძნობის უფლების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მსურს, მიყვარდეს ყველა კაცი, ვით ძმა ნამდვილი...
მარამ, ბნელ ფიქრო, შენა ჰგონებ იყოს ადვილი?
შენგნით წამხდარსა, გამიქვავდა მე გული ჩვილი,
და მეზიზღება ყველა სული, თუნდ ღვიძლი შვილი!

სოფელში დავალ, ვითა უცხო შეჩვენებული,
ვით კაცის მტერი, ყველასაგან მოძულებული,
ფიქრით მოცული, დავლასლასებ გულით დახშული, —
ვერ შემითვისეს, ვერ-ვინ მნახა შერიგებული!

მეფე სოფლისა მტკიცეთა ზის ტახტს მხიარული,
დიდთა უჭირავთ ისევ ქვეყნის ხორცი და სული:
მდიდარი ძღება მით, რომ ღარიბს არა აქვს პური,
მით, რომ ხალხს ცარცვავს, იგი არის ოქროთ შემკული.

მათ არ შევნატრი, ამაოა სოფლის დიდება:
მაშ შერცხვეს კაცი, ვინც მღერის, როს სხვას ეტირება,
ვინც ფეხ-ქვეშ ჰქელავს, რაც მის მსგავსსა სხვას ენატრება,
ვინც პირად ბრწყინავს, სულით კი სატანას ედარება.

შევნატრი იმას ვისაცა აქვს სარწმუნოება:
ვისაცა სჯერა ქვეყნად კაცის ბედნიერება,
ან მომავალი ბრწყინვალედა დაეხატება;
ვინც რწმუნებს მარტო, და ლოდინით არა ბეზრდება.

დ. ქართველიშვილი.

1881 წ. თებერვლის 27

---

ბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## უკანასკნელ სისხლის წვეთამდის.

(მოთხრობა).

მისტრის ბერკნსისა.

**1879—80** წ. საშინელი ზამთარი იყო. ყველა სტიქიებმა—ბუნებამ, დრომ და ამინდმა აუტეხეს ბრძოლა კაცსა. სილარიბემ და ავათმყოფობამ ალუმართეს ძლევის დროშა იმათაც კი, ვინც ჩვენში შედარებით საუკეთესო მდგომარეობაში იყვნენ. აქ, ირლანდიაში, ხალხის უბედურებამ ბევრად გადააჭარბა კაცის წარმოდგენას. უდიერი შიმშილის ნიშანი, რომელიც მძლავრის ხელით განდევნილი იყო შორს და ბნელს კუნჭულში და რომელიც აქამომდე არ სჩნდა აშკარად, ეხლა ისევ წამოდგა ფეხზე ამ უბედურს ზამთარში; გაუჭირვებლად გაპო ქალალდით აშენებული ზღუდე, რომლის ძალითაც სურდათ მისი შეკავება, და, როგორც ძველად ნათქვამი ვეშაპი, თავისუფლად დაიარებოდა ამ მხრის ერთი კიდიდამ მეორემდის.

განა არ გაუმართავთ საზოგადო ხელის-მოწერა დამშეულთა სასარგებლოდ? განა არ დაარსდა ამისთვის თანხა გერცოგინია მარლბოროსი? თუ სულ გაზვიადებულნი არიან ეს მოთხრობაები შიმშილობის თაობაზე? ჰკითხავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ თავის თავს მდიდარი ინგლისელები, მდიდრათ მორთულ ბრწყინვალე სასახლეებში, შეშით და ქვა-ნახშირით მოღუღუნე ბუხრებთან მსხდომნი. დიახ, მადლობა ღმერთსა, კეთილ-მოქმედებამ გადაარჩინა რამდენიმე ათასი კაცი სიკვდილს და სასოწარკვეთილებას, მაგრამ განა შესაძლოა კოვზით დაინთქას ზღვა ხალხის უბედურებისა?

მოქმედება ჩვენი პატარა მოთხრობისა წარმოსდგება დასავლეთის ველური მთების შუა, რომლების უმშვენიერესს კალთებს ეჯახებიან მღელვარე ზვირთები ატლანტიის ოკეანისა. ამ ტიტველს და ხრიაკს მთის ფერდობზე საცოდავათ ეკუნტა ნახევრად დანგრეული ქოხი. მგზავრი მოულოდნელად წააწყდებოდა მას ზედ, რადგანაც ხამი თვალისთვის ის შორიდგან შეუნიშნავი იყო. შესანიშნავს არას წარმოადგენდა ეს ქოხი. ამ გვარი ქოხები იმ არე-მარეში ათასობით იყვნენ. შესაძლოა, რომ არხიტექტორს თავდაპირველად ჰქონდა სახეში დაეტანებინა იქ კარები, აქ ფანჯარა და, ასე გასინჯეთ ბუხარიც, მაგრამ ეს მისი აზრი ისევ აზრად დარჩენილა. მცხოვრებნი ამ უბედურის სადგომისა გამოდიოდნენ რაღაცა გვერდზე წამოწოლილი, კედელში დატანებული ნახვრეტის შემწეობით. ფანჯარა იყო დაცობილი თივით და ჩხირებითა. ცეცხლის კომლი შიგ თავისუფლად დასეირნობდა და ბოლოს გამოჰქროდა გარეთ კედლების და ჭერის უთვალავი დარანების შემწეობით.

კარის საძირკველზე იჯდა თერთმეტ-თორმეტი წლის გოგო, გამოხვეული ისეთ ფლასებში, რომელთაც კაცი მხოლოდ ირლანდიის ბავშვზედ ნახავს. როგორ იცვამდა ეს ბავშვი თავის უბედურს ტანსაცმელს, ან ეს უკანასკნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი როგორ ადგებოდა ტანზედ, ღრმა საიდუმლოდ დარჩა. მგონია კი, ეს საუდუმლო მდგომარეობდა იმაში, რომ ბავშვი ტანსაცმელს მისს დღეში არ იხდიდა. იმას ეჭირა ხელში შვიდი-რვა თვის ბალღი და ნაზად აქანებდა. ერთიც და მეორეც ისეთი სუსტი და გაკნაჭულები იყვნენ, რომ არავინ არ მოიფიქრებდა თუ უფროსი რვა წლისა მეტისა იყო და უმცროსი ოთხის თვისა.

დასორსვლილი, დაუვარცხნელი თმები ურიგოდ ეყარნენ მორას სახეზე და ჰფარავდნენ მისი სახის ყველა ნაწილებს, გარდა გასაკვირველი ირლანდიური ცისფერი თვალებისა, იმ თვალებისა, რომელთ ბრწყინვალებას ვერასოდეს ვერ დააბნელებს ვერც ჭუჭყი, ვერც შიმშილი და ვერც უბედურება. ეს ველურის გრძნობით ანთებული დიდი თვალები გაშტერებული გასცქეროდნენ ნისლიანს სივრცეს, საიდამაც ისმოდა ყრუ კვნესა მთის ნაკადულისა, რომელიც იკვლევდა გზას თვალ-გადუწვდენელს და თავისუფალს ოკეანთან შესაერთებლად. უეჭველია, ბავშს ფიქრში ეხატებოდა სასიამოვნო, ფანტაზიური სურათები, იმიტომ რომ მისს ბაგეებზე გამოჩნდებოდა ხოლმე ღიმილის ჩრდილი, რომელიც სხვა უფრო ბედნიერს დროს, უთოოდ, გარდაექცეოდა მხიარულ სიცილად.

მაგრამ, აი, ვიღამაც ხელი მოჰკიდა მას მხარზედ და ის ისევ სამწუხარო სინამდვილეში გამოიყვანა. მორა შეხტა, წამოდგა და დაუწყო ჩუმად მზერა თავის დედას.

იგინი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. დედა ჩამოსხმული მორაა, გარდა იმედებისა და სიჭაბუკისა; ის ხნით უფროსია, ტანად მაღალი და უფრო გამხდარი, მაგრამ ისეთივე ჭუჭყიანია, როგორც მორა და ისეთივე ფალა-

სები აცვია. იმისი სახე წარმოადგენს ორიგინალს, რომლის კოპიოსაც შეადგენენ გასაკვირველი თვალები ბავშვისა. მაგრამ გრძნობა და ფიქრი, რომელიც სჩანს ბავშვში, დედის სახეში გაუქვრია დროს და მწუხარებას; იმის სახეში დარჩენილა მხოლოდ ერთი ველური, ჩლუნგი, დამშეული გამოხატულება.

— დავიჯერო, კატლინსა სძინავს? ეკითხება ის გაოცებით:—ბალღი ჩემზე უფრო ჭკვიანია. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის რამდენი ღამეა მე თვალი არ დამიხუჭავს.

— ძნელია ძალიან შიმშილი, უპასუხებს მორა:—მაგრამ შეიძლება ამაღამ მამა მოვიდეს და კარტოფილი მოიტანოს. იმან უთოოდ იშოვა სამუშაო კორკში. ამბობენ ის კარგი და დიდი ქალაქიაო.

— ის ისეთი კაცი არ არის, რომ სამუშაო იშოვოს და, თუ მოვა, ისევ ხელ-ცარიელი. ის არაყმა დალუპა, მაგრამ იმისი ბრალი კი არ არის, რომ არაყი მასზედ ღონიერია.

— ეგ მართალია, დედა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა როგორმე ვიშოვოთ პურის ნატეხი პატარა კატლინისათვის. აი რამდენი ხანია, რაც საწყალს, ერთი წვეთი შრატიც კი არ უნახავს გემოთა.

ამ სიტყვებით მორა აძლევს დედას ფალასებში შეხვეულს ბალღსა. საწყალმა დედაკაცმა წინათვე მოიოხა გული ტირილითა და ეხლა მისს თვალებს ცრემლი აღარ ეკარება. ის დაიხარა და დახედა შიმშილისაგან მიხრწნეული ბალღის გალეურჯებულს სახესა,—მძიმედ ამოიოხრა და სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა ნახე, იქნება, იპოვო პატარა პურის ქერქი მაინც იმ კუნჭულში, სადაც ლორი სჭამდა ხოლმე.

მორა ჩუმად და უიმედოდ დაემორჩილა. ის ბობღვით აფათურებდა ხელებს ქოხის მოშორებულს კუთხეში. უფრო ბედნიერს დროს იმ კუთხეში იყო ხოლმე ლორი, მაგრამ ექვსი კვირის წინათ, რომელნიც მორას საუკუნედ ეჩვენებოდა, ის გაყიდეს, იმიტომ რომ მამულის პატრონისთვის უნდა მიეცათ ქირა. ბოლოს ბავშვი ბრუნდება დედასთან და სასოწარკვეთილებით უყურებს კატლინს. ის გაჩერდა, როგორც გაქვავებული. ნუ თუ გვიანღაა და ველარას უშველიან ბალღს?

— დედა, ეუბნება მწუხარებით გვემული მორა, ნუ მოვკლავთ კატლინს შიმშილით! კატლინ! კატლინ! უძახის ის ხმამაღლად, თითქო ცდილობსო, გამოუძახოს იმ ქვეყანას წარმავალი პატარა სული.

მაგრამ სანთლის მსგავს ბალღის სახეზედ არ ეტყობა არავითარი ნიშანი სიცოცხლისა. აღარ ისმის მისი გულის გამგმერი კვნესა, რომელიც არ აძლევდა ძილს არც დედას და არც მორასა. თვალები უკვე დახშული აქვს. მწარე ფიქრმა, რომ კატლინი კვდება, მოუკლა გული საწყალ ბავშვსა და იმას არ შეეძლო ცრემლები შეემაგრებინა.

— ძალიან ცუდად არისო, სთქვა დედამ, გადასცა კატლინი მტირალ მორას და, რადგანაც მისი ტირილი მას წყლულს უძრიელებდა, შეჰყვირა:—ჩუ, ნუ ღრიალებ!

ის შედის ქოხში და ბობღვით ეძებს იატაკზე პურის ნატეხს ან კარტოფილს, ან კიდევ რომელსამე მივარდნილს ოჯახურ განძს, რაშიაც მეზობელი მოგვცემდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცემდა ექვსს პენსსა (ფულია). მაგრამ ყველა მეცადინეობა ამაოა და ერთად ერთი შედეგი ამ მეცადინეობის არის ის, რომ იმან გააღვიძა ერთი ცოცხალი არსებაც. ეს რა ცხოველი განისვენებდა ბნელი, ჭუჭყიანი მყრალი ხვრელის კუთხეში? ოხ! ეს იყო ადამიანი, ექვსი თუ შვიდი წლის ბიჭი. ნახევრად ტიტველი, ველური, არეული და უმიზნოდ მაცქერალი თვალებით ის მხეცურად სცემს თავის საწყალს დედას, რომელმაც უსაზრდოდ განუღვიძა შიმშილის გრძნობა.

მაგრამ დედა, რომელიც შეჩვეულია უფრო უარესს შეწუხებას, არ აქცევს ამას ყურადღებას და ისევ ეძებს. ბავშვი კი მაინც არ სცხრება; მისი სატანჯველი მეტის მეტია, რომ ის ადვილად დაივიწყოს; ეხლა მას ჩაუყვია პირში თითები, ლოღნის მათ და ცდილობს მით გააყრუოს შიმშილი, რომელიც შეუბრალებლად უხრავს და უფლეთავს შიგნეულებს, მაგრამ ეს ძალდატანება მისგან ამაოა, და თავისის მაღალი კვნესით ის აზრუებს ჰაერსა.

— მორა, მორა, მორა! ქვით-ქვითებს ის: ერთი კარტოფილი მაინც მომეცი. მორა, მორა, მორა!

— სუ! პატა! სუ! უპასუხებს მორა, ჩვენ არაფერი არა გვაქვს და საწყალი პატარა კატლინიც ხვალ მოკვდება და წავა ცაში ანგელოზათ.

მაგრამ მისი საკუთარი მწუხარება არ აძლევს პატას ნებას გამოხატოს თავისი თანა-გრძნობა პატარა დის უბედური მხვედრისადმი და ის ისევ საცოდავათ განაგრძობს კვნესას.

არც ერთს სულდგმულს, ამ ჭერ ქვეშ მყოფს, მთელი ოცდათხი საათის განმავალობაში არა უჭამიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამშეული სიკვდილი ცივად შესცქეროდა მათ თვალებში; იმათ დაგირავეს უკანასკნელი ფალასი და შესჭამეს უკანასკნელი კარტოფილიც.

ერთი კვირის წინეთ მორას მამამ გამოიჩინა გმირული გამბედაობა და გადასწყვიტა კორკში სამუშაოს საშოვრათ წასვლა. მორა ბავშურად იმედნეულობდა, რომ ისინი გადარჩებოდნენ, მაგრამ მისმა დედამ კი მწარე გამოცდილებით იცოდა, რასაც ნიშნამდა ეს სამუშაოს ძებნა. ცოლს მაინც უყვარდა თავისი ზარმაცი ქმარი და უხაროდა, რომ ის თავის თავს მაინც გადაარჩენდა სიკვდილისაგან; ამასთანავე მისი წასვლით ერთი მჭამელი აკლდებოდა სახლს,—ის ყოველთვის უთავაზებდა ხოლმე მას საუკეთესო და უხვს კერძსა. დიახ, იმას უყვარდა, იგი თუმცა ის იყო ზარმაცი, ლოთი და ხშირათ კიდეცა სცემდა ხოლმე ცოლსა და შვილებს სიმთვრალეში. იგი მას უყვარდა ეხლაც ისეთივე მხურვალე გულით, როგორც თხუთმეტის წლის წინათ, როცა ის, ახალგაზდა და ლამაზი, ცდილობდა ამის სიყვარული მოეპოებინა და თუმცა ამისთვის სამძიმო იყო მასთან გაშორება, იქნება საமუდამოთაც, მაგრამ არც იმას ივიწყებდა, რომ იქნება მისთვის იქ უკეთესი იყოსო, დეე, წავიდესო! იმის წასვლის შემდეგ, მალე მცირე ღონისძიებაც ცხოვრებისათვის შემოელიათ. პატრიკმა, კატლინმა, მორამ და მათმა დედამ ნახეს პირის-პირ მომაკვდინებელი შიმშილი.

## II.

ბნელს ქოხში არაფერი არა მოიპოებოდარა, გარდა ტურტლიანი ნამჯის გროვისა მივარდნილ ბნელს კუთხეში, ერ-

თად ერთი გატეხილი სკამისა, ორი თუნუქის ჭურჭლისა, ისე დაძველებულის და დანსხვრეულის, რომ ერთს გროშსაც არავინ მისცემდა მათში. კერა იყო ცივი. ტორფის მოსატანათ, რომელიც, საუბედუროდ, შემცირდა, საჭირო იყო მხნეობა და ღონე, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ისინი მოკლებულნი იყვნენ. ყველა ამ მწარე ფაქტებს კარგათ გრძნობდნენ დედაც და ქალიც და იმათი გონება მოცული იყო ბნელის ფიქრებითა, როცა უეცრად ქოხის დირეზედ გამოჩნდა ვიღაცის ჩრდილი; სტუმარი ამ ველურს და შორს გადაკარგულს ხვრელებში იშვიათი იყო და ამიტომ ორივე შეკრთნენ, მაგრამ იმედმა ხელმეორედ გაუნათლა მათ გული.

ნუ თუ ეს იყო გულ-კეთილი პატერი ჯონი, მოვლენილი თვით ზეციდან, რომ გადაარჩინოს იგინი სიკვდილისაგან!? არა, ეს იყო დედა-კაცი, მათი ახლო მეზობელი, რომელიც სცხოვრებდა მილ-ნახევრის სიშორეზედ მათგან. ის იყო ძალიან გულკეთილი ადამიანი, მაგრამ იყო ისეთივე ღარიბი ან, თუ შესაძლოა ვსთქვათ, უფრო ღარიბიც, იმიტომ რომ იმის უბედური სახლი ხმიანებდა მთელი ნახევარ დიუჟინი პაწაწა, ტიტველ-შიშველი ბავშვებითა. მორა და დედა მისი მაშინვე მიხვდნენ, რომ ისინი მისგან შველას არ უნდა მოელოდნენ; მორა მაინც წამოდგა ხელში აყვანილი ბავშვით და ბუნებითვე დაყოლილის სტუმართ-მოყვარეობით მიესალმა მას.

— მე მხოლოდ გზათ შემოვიარე თქვენსკენ, მისტრის სიულლვან, სთქვა იმან ხვნეშით, რომ გახაროთ ერთი სასიამოვნო ამბავი, მე მივდივარ ბალინავინში, საიდამაც უნდა მოვიტანო საჭმელი ბალღებისათვის. პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველსავე სიტყვის ხსენებაზედ საჭმელზე, მორას თვალები შურით გაუბრწყინდნენ. ასე გასინჯეთ, პატრიკმაც კი დაანება კვნესას თავი და ყურები აცქვიტა. მისტრის სიულლივანი კი კითხავდა, თუ საქმე რაში მდგომარეობდა.

— თითონ პატრი მოვიდა ჩვენთან მთებში, უპასუხა სტუმარმა, რომელიც იყო ჯანმრთელი, მაღალი, ღონიერი და ყოველგვარი შრომის ამტანი დედა-კაცი, და გამოგვიცხადა, რომ ჩვენ ყველას შეგვიძლიან მივიღოთ საჭმელი ბალინავინში, ვიღაც ქალს.... ძალიან შესანიშნავს ქალს, თითქმის ისეთს შესანიშნავს, როგორც კოროლევა, უზრუნვია ჩვენზედ, ღარიბებზედ. ის მოსულა ბალინავინში ბევრ მდიდარ ჯენტლმენებთან ერთად და ყიდულობს თავის საკუთარი ოქროთი პურს და წვენს დამშეულთათვის. აბა, მისტრის სიულლივან, აიღეთ თქვენი ქესტიანკა და წამოდით, მე არ შემიძლიან დაყოვნება, ბნელდება და ბავშვები მელიან.

მანამ მორა და მისი დედა გამოირკვევოდნენ განკვირვებისაგან, ის კიდეც გაჰქრა მთის ბილიკზედ. არ შეიძლება აღწერა იმ გრძნობისა, რომელმაც შეიპყრო იგინი ამ ამბის გაგონებით. ეს სასიამოვნო ამბავი იმათ ეჩვენებოდათ შეუძლებელ საქმეთ, რაღაც ველურ ფანტაზიათ. მაგრამ ამ მეზობელ დედა-კაცის საზოგადოთ სიმართლის მოყვარეობა და მისი საჩქაროთ წასვლა ამტკიცებდნენ მისი სიტყვების სინამდვილეს. ერთ წამს დედა და ქალი მიეცნენ რაღაც ველურს და უჭკუო მხიარულებას, თითქო მთელი მათი უბედურება ამით გათავდაო, მორას თვალებიდამ წასკდა ცრემლი, რომლებიც ეცემოდნენ პატარა კატლინის უგრძნობელ სახეზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, წადი ჩქარა! შეჰყვირა პატრიკმა და აიღო თავი ჭუჭყიანი საწოლიდამ, ბალინავინამდის დიდი გზა არ არის და დღეს ჩვენ ყველანი დავიძინებთ მაძღარის კუჭებით.

პატრიკმა, რომელსაც თითქო უნდოდა თავისი დიდი თვალებით ჩაენთქა გამხდარი სახე თავის დედისა, ბევრი მწუხარე დღეების შემდეგ, პირველად ეხლა გაახმიანა მოწყენილი და ბნელი ქოხი თავისი ყრუ სიცილითა.

მაგრამ, ფხიზლათ მოფიქრების შემდეგ, მისტრის სიულლივანის სახე მოიღრუბლა და ყოველივე იმედი მისთვის გაჰქრა.

ბალინავინამდინ იყო ექვსი გრძელი მილი. იმათ ნამდვილათ არ იცოდნენ თუ ეხლა რამდენი საათი იყო, მაგრამ შიმშილზედ ატყობდნენ რომ ხუთი უნდა ყოფილიყო, მორას დედა ვერასოდეს ვერ დაიკვეხებდა ღონიერობით და ეხლა ხომ, მომეტებულ შიმშილის გამო, საშინლად დასუსტებული იყო; ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ის არა სთვლიდა თავის თავს იმდენათ ღონიერათ, რომ გაევლო ექვსი მილი, მერე იმ დაკლაკნილ მთის ბილიკებზედ.

პატრიკმა დაინახა, რომ დედა არ ემზადება წასასვლელად და დაიწყო ხელ-მეორედ ღრიალი; მორამ კი, თითქო მიხვდა დედის აზრსაო, მშვიდობიანად სთქვა:

— მე წავალ და მოგიტანთ თქვენ, ყველას, სიცოცხლეს, თქვენ ხომ იცით, რომ მე ისე ადვილად დავხტივარ მთებზე, როგორც თხა. აიღო თაროდგან ძველი ქესტიანკა, მაგრამ მისტრის სიულლივანმა შეაყენა; მორას წასვლა მხოლოდ სისულელე იქნებოდა, ამიტომ რომ ამ ბავშვს არავინ მისცემდა საჭმელს და ამასთანავე იმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ბალინავინის გზა იცოდა, რომელზედაც იმას მხოლოდ ორჯელ ევლო თავის სიცოცხლეში, დიდი ხნის წინეთ.

უძრავმა და გალურჯებულმა კატლინის სახემ მისცა გამბედაობა კეთილ დედა-კაცს.

— მე თითონ წავალ, სთქვა იმან, თანაც აილო ქესტიანკა და აკოცა ბალლს; ნუ გეშინია, პატ, მე მოგიტან შენ საჭმელსა, დაუმატა იმან და თავი ნაზათ გაუქნ-გამოუქნია ხელითა.

ბავშვმა შეჰყვირა სიხარულით, გაიქნია თავისი პატარა, ტიტველა, ჭუჭყიანი ფეხები და ხელ-მეორედ მოიგრაგნა გორგალივით თავის ნამჯის ხმელს ლოგინზედა. აქამდის ერთად ერთი გზა პატრიკის პატივისცემის დასამსახურებლად იყო იმისი კუჭის გაძღომა. მორა და იმისი დედა იყვნენ მუდმისად იმის საზრდოს მძლეველებათ და ამიტომ ისინი ორივე უყვარდა მას ერთნაირად, მაგრამ ბოლოს ხანებში მისი მოთხოვნილება იყო იმდენად გადამეტებული ჯეროვანს საზღვარს, რომ ისინი ჰკარგავდნენ მის თვალში ნდობასა. მაგრამ, თუ მისტრის სიულლევანი მოიტანდა სავსე ქესტიანკას, მაშინ, რასაკვირველია, ის მსწრაფათ დაიჭერდა ისევ წინანდელს ადგილს მის პატივისცემაში.

საწყალი დედა-კაცი მეტს აღარ ჰოჰმანობდა; ყველა წამი დაყოვნებისა მის გზას სიძნელეს უფრო უმატებდა. იმას იმისიც ეშინოდა, რომ სრულებით დაუბნელდებოდა, სინამ მიახწევდა ქალაქამდის. ის გაეხვია, როგორც შეეძლო, თავის ფალასებში. მორამ შენიშნა, რომ დედის სახე იყო იმდენად ფერ-მკრთალი, რამდენათაც უძრავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე ბალღისა, როდესაც მან აკოცა და გაუდგა გზას გაბედულის ნაბიჯით.

ღრუბელი შემოეხვია მთებს და სველი ნისლი ამოიმართა ზღვიდამ. ნისლი და წვიმა ჩვეულებრივი მოვლენანი არიან ამ ადგილებისა, მაგრამ მისტრის სიულლივანმა იმასაც კი არ მიაქცია ყურადღება, რომ ის ერთი წამის შემდეგ შეიძლებოდა ძვლებამდინ დასველებულ იყო.

მორა იჯდა კარზე და თვალს ადევნებდა დედას, სინამ იგი არ მიეფარა მთებსა. მერე იმან დაიწყო ქანება პატარა კატლინისა და თან დაბლის ხმით ბზუკუნებდა რაღაცა ირლანდიის ხალხურ ლექსსა. ის მალ-მალ შეჩერდებოდა ხოლმე და უცქეროდა შიშით, ხომ არ მომკვდარა ბალღიო. ის იყო თვითონ მამაცი გოგო, მაგრამ მაინც გული ეტანჯებოდა იმ ფიქრით, ვაი თუ ბავშვი ხელზედ მომიკვდესო. ის დახედამდა ხოლმე და სიხარულით შენიშნამდა, რომ იმის გული კიდევა სძგერს. ასე განვლო ორ საათზედ მეტმა; პატრიკს ეძინა; ცოტ-ცოტათი არე-მარის სიჩუმემ, მარტოობამ და სიკვდილის შიშმა ისე იმოქმედეს ბავშვის უიმისოთაც სუსტ და შერყეულ ნერვებზედ, რომ ის კმაყოფილებით გააღვიძებდა პატსა, თუ არ შეეკავებინა გრძნობას, რომ ეს იქნებოდა საშინელი უსამართლობა. კატლინს მაინც რომ დაეკვნესა ან დაეტირნა, რაც უნდა იყოს ეს სიცოცხლის ნიშანი მაინც იქნებოდა.

შებინდდა. ქარი ზუზუნებდა და წვიმა დოლივით არახუნებდა ერდოზე. ეს მორასათვის ნაცნობი ხმები ეხლა მის გულს ავსებდნენ შიშითა. იმან დაიცო ყურებში თითები, მაგრამ მაინც ესმოდა ქარის სტვენა და წვიმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შხაპუნი. ყველა ცრუ მორწმუნე ლეგენდები, რომლებიც კი იმას გეეგონა ბალღობის დროს, ეხლა გაუცოცხლდნენ მეხსიერებაში. ბოლოს იმას მოეჩვენა, ვითომ მთიდამ დაეშვა რაღაც ჩრდილი. მთელი სხეულით აკანკალებული, გაექანა ქოხში და კატლინითურთ ხელში დაეცა ნამჯაზედ, პატრიკის გვერდით.

— პატ! პატ! ბუტბუტებდა ის, რადგან გრძნობდა რომ პატის ბავშური საბრალო ხმა განუბნევს საშინელს მოლანდებებს.

მაგრამ პატრიკს არა ჰქონდა ნუგეშის ცემის თავი და ჩუმათ წიხლებს ესროდა. ამ დროს მორას მოუვიდა თავში ბრწყინვალე აზრი.

— აღექი, დაარწე კატლინი, უთხრა მან ნაზის ხმით, სინამ მე წავალ და მოვიტან ტორფს ცეცხლის ასანთებათ, თორემ ხომ სირცხვილია, რომ დედა მოვიდეს, საჭმელი მოიტანოს და აქ კი ცეცხლი არ დახვდეს?

ცეცხლზედ გათბობა ისეთი მიმზიდველი რამ იყო მისთვის, რომ პატრიკი წამოჯდა და დათანხმდა გამოლაპარაკებაზედ. მორამ დაუდო ხელზე კატლინი.

— აბა, შენ იცი როგორც კაი გადია იქნები, დაუმატა მან, და მე ახლავე ავანთებ მხიარულს ცეცხლსა, რომ ორივ გავათბოთ.

თავდაპირველად მორამ მოიფიქრა ცეცხლი, როგორც საშუალება პატრიკის გასაღვიძებლად, მაგრამ ეხლა ის დარწმუნდა, რომ ცეცხლი თავის თავათაც კარგი რამ არის, რომ მას ყველაზედ უკეთ შეუძლიან გაჰფანტოს შიში. ის გაბედვით გავიდა წვიმაში და სიბნელეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სრულიად დაავიწყდა მოჩვენებაები, რომლებიც მსწრაფად განჰქრნენ მხნე და პატიოსანის შრომის წინაშე.

ტორფის წყებამდის იყო საკმაოდ დიდი გზა, ამისათვის დასუსტებულმა და დაქანცულმა ქალმა რის ვაი ვაგლახით გაავსო კალათი, დაიდგა თავზედ და გაუდგა გზას შინისკენ. ამასობაში სრულებით დაბნელდა და მას წარმოუდგნენ თვალ წინ წინანდელი მოჩვენებაები. იმან გააჩქარა ფეხი და ცდილობდა დამშვიდებულიყო იმ ფიქრით, თუ გაჩაღებულ მხიარულ ცეცხლზე როგორ გათბებოდა იმის დედა, როცა შინ მოვიდოდა.

შუა გზაზედ იმას უნდა გაევლო მაღალი, შავი, კაჭის ფლატეს გვერდზედ, რომელიც იმას უყვარდა, როგორც ძველი მეგობარი. ზაფხულობით მორას ბევრჯელ კარგა ხანი გაუტარებია იმის თავზე, სადაც იჯდა და ითბობდა ხოლმე მზეზე თავის თეთრ ფეხებსა. მაგრამ ეხლა ის იჩვენებოდა რაღაც საშიშრად, ის თითქო გაზდილიყო და ჩამავებულიყო. მორა გაჩერდა და წინ წასვლა ველარ გაბედა. მაგრამ, მეტი ჯანი არ იყო, სხვა გზა არ არსებობდა, შემოიკრიფა უკანასკნელი ძალა და გაუჩქარა ნაბიჯი, თან კი მრუდეთ გამოსცქეროდა თავის მრისხანე საყვარელსა. უცებ ფლატეს ძირში რაღაც შავმა საგანმა გადუღობა მას გზა, ბავშვი შეშინდა და გაჩერდა, როგორც ჩარჭმული ბოძი. საგანი, რომელიც მის წინ შავად ჩნდა, ერთი მხრიდამ მეორეზედ ირხეოდა. მორას უნდოდა დაეყვირნა, ან გაქცევით ეშველა თავისათვის, მაგრამ ენამ აღარ დაუჯერა, მუხლები მოეკვეთნენ და იდგა, როგორც გაშეშებული.

საგანმა, რომელმაც განაღვიძა მორაში შიში, გადად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა ორი ნაბიჯი და პირის პირ შეხვდა მას. მორამ მაშინ გაარჩია, რომ ეს იყო კაცი, მხოლოდ ძალიან მაღალის ტანისა. ამასთანვე ის იცნობდა ამ კაცს. ეს იყო შავი გიუ. ის ყველგან იყო ცნობილი ახლო-მახლო ადგილებში, როგორც ცუდი კაცი.

როცა მორამ ნახა ვისთანაც ჰქონდა საქმე, თავისუფლად ამოისუნთქა და დამშვიდდა; თვით უსაშინელესი კაციც კი სჯობიან ზესთაბუნებითს მოჩვენებასა. შავი გიუ სცხოვრებდა მარტოდ მარტო ერთს მიყრუებულ მთის კუთხეში. არავის არ შეეძლო მიკარება იმის სადგომთან, ჯერ თითონ სახლის პატრონის და მერე იმისი უზარმაზარი ბულდოგის (ძაღლის) შიშითა. იმას სთვლიდნენ მდიდრად და ძუნწათ. ამბობენ, ვითომ ერთხელ ორი ღარიბი დედა-კაცი, რომელთაც არ მიაქციეს ყურადღება ხალხის ლაპარაკს, წავიდნენ მასთან იმ მიზნით, რომ ეთხოვნათ მისთვის მოწყალება. ისინი, შემდეგ მოუთხრობდნენ, რომ ის მათ მიეგება დიდის წყევა-კრულვით, თან ისე საშიშრათ იქნევდა თავის დიდს კეტსა, რომ დედა-კაცები შიშით გაიქცნენ და ის კი უკანიდამ უშენდა ქვებსა.

კიდე ბევრ ამ გვარ ანექდოტებს ლაპარაკობდნენ იმის ულმობელობაზე და საკვირველს ქცევაზე. ის არ იცნობდა მეზობლებს და იმათაც არაოდეს არ უნახავთ იარმუკაზედ, ან დასაფლავებაზედ: მხოლოდ ხანდისხან შეხვდებოდნენ ხოლმე მთებში, სადაც ის დაიარებოდა თავის ძაღლით და კეტით; იმის გრძელს, შავს წვერს აფრიალებდა ქარი და ველური თვალები კი მრისხანეთ უბრწყინავდნენ. ერთის სიტყვით, მთლად ეს კაცი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა



საიდუმლო. ცხადია, რომ ერთი საიდუმლო გაშორებით საინტერესოა ხოლმე, სინამ მთელი დიუჟინი უბრალო, ყველასგან ცნობილი ფაქტები. იმისი არა ჩვეულებრივი, განმარტოებული ცხოვრება მიაჩნდათ შეურაცხებათ მთელი იმ მხარისათვის, რადგანაც ირლანდიელები განირჩევიან ერთმანეთში მისვლა-მოსვლით და სტუმართ—მოყვარეობით. დედები იმის სახელით აშინებდნენ შვილებსა და ახალგაზდა ქალები კი სთვლიდნენ ცუდს ნიშნათ, თუ შეხვდებოდნენ სადმე მას ქორწილის წინა დღეს.

მორას არასოდეს არ შეხვედრია ეს საშიშარი კაცი ასე პირის პირა. სხვა დროს ის გაიქცეოდა სინჯაფის სისწრაფითა, მაგრამ ეხლა მისი ნერვები ისე იყვნენ მოშლილნი და ისე უშემწეოთ გრძნობდა თავის თავს, რომ მისთვის დიდ ნუგეშათ ჩაითვლებოდა ცოცხალი არსების ყოფნა მის ახლო, ვინც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი. ასე გასინჯეთ, ბულდოგისაც კი არ შეშინებია, რომელიც ყველგან ფეხ-და-ფეხ დასდევდა თავის ბატონსა.

შავი გიუ ეტყობოდა იმას მოელოდა. მან გადულობა გზა და გაიწვდინა ხელი, რომ დაეჭირა მორა, თუ ის მოინდომებდა გაქცევასა. მაგრამ მორა იდგა გაუნძრევლად და კითხვითი სახით შესცქეროდა თავის დიდი, ველური თვალებით.

ამ მოულოდნელმა ქცევამ ეტყობოდა გააკვირვა შავი გიუ. იმან გაიშვირა ხელი მისი სახლისაკენ და ყრუის ხმით ჰკითხა:

— სად არის მამა შენი?

— მამა წავიდა სამუშაოთ კორკში და იქ იღებს ფულის ზვინებს, უპასუხა გაბედვით ქალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიტყვები თითქო სასიამოვნონი იყვნენ შავი გიუ-სთვის, მაგრამ იმან გაკიცხვით და დაუჯერებლათ გაიქნია თავი. ენას ძლივს იგნებდა, თითქო იშვიათი ხმარებისა-გან დაბმიაო, როცა ჰკითხა:

— დედა?

— დედა წავიდა ბალინავინში და მოგვიტანს იქი-დამ ბევრს საჭმელსა, უპასუხა ამაყათ ქალმა.

შავმა გიუმ მეტი აღარა სთქვა რა, დაუსტვინა ძაღლს და გასწია, ბავშვი კი იქ დასტოვა დიდათ შემკრთალი.

რა უნდოდა იმას? რათ ჰკითხულობდა ის იმის მშო-ბლებს? განა ის მათ იცნობდა? მხოლოდ აქ მოაგონდა მორას, რომ ყველა მეზობლებიდამ ერთად-ერთი მისი მშობლები არასოდეს არ ილებდნენ ხმას მაზედ. არც კი ახსენებდნენ ხოლმე იმის სახელსა. ყველა ეს ძალიან გასაკვირველი იყო.

დაღამდა კიდეც. მორამ გაიჩქარა ბიჯი ქოხისკენ, სადაც მას ელოდა საწყალი პატი. ის წინანდებულად სთვლემდა დაქანცულობისგან და კატლინი კი ედო ხე-ლებზე გაფიჩხებული. მორამ მოჰკიდა მას ხელი და პატმა უცებ შეჰყვირა: „დედა! დედა!“ და დააღო პირი, როგორც პატარა ჩიტმა ბუდეში. მაგრამ არც სად დედა იყო და არც საჭმელი და ის ისევ დაეცა ნამჯაზე და მისცა თა-ვი დავიწყებასა.

მორას არ შეეძლო დაეძინა. ის დაწვა ძმის გვერდ-ზე და თავისთან დაიწვინა ბალღი, მაგრამ აღელვებისაგან არ მოუხუჭამს თვალი. რაც შეეხება იმისგან მოტანილ ტორფს, ის ისე იყო დალალული და დასუსტებული, რომ ვერ შეიძლო მისი ანთება. პირველად ის სულ იმ ფიქრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იყო, თუ როდის მოუვიდოდა დედა, მერე კი მისი აზრები დამყარდნენ შავს გიუზე. რას იტყვის დედა, როცა გაიგებს იმის გასაოცარს შეხვედრას? ის დაწვრილებით იგონებდა ამ შესანიშნავს და არა ჩვეულებრივს შემთხვევას, მინამ თითონაც არ წაეძინა. რამდენი ხანი სთვლემდა,, მორამ თითონაც არ იცოდა, ის გამოაღვიძა რაღაც უეცარმა ყვირილმა. იმის სახელს ვიღაც მაღლა ხმით იძახდა.

იმან მაშინვე იცნო ხმა თავიანთი კეთილი მეზობელი დედა-კაცის და გაექანა კარებისაკენ. მართლაც, კარის ბჭეზედ იდგა მისტრის ოდანოგიო და ხელში ეჭირა ინდოეთის სიმინდის ქაშით სავსე ქესტიანკა. იმას დარჩა გასავლელი მხოლოდ მილ-ნახევარი და იმის მშიერი შვილები იქმნებიან მაძღარნი. ამ კეთილმა დედა-კაცმა შემოიარა მათთან სათქმელად, რომ ის დიდხანს უცდიდა თავის ჯერსა, ისე ბევრნი მოვიდნენ დედაკაცები ბალინავინში, და როცა მიიღო თავისი წილი გამოეჩქარა შინა. მისტრის სიულლივანი იმას შეხვდა მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქიდამ გამოდიოდა. უთუოთ ის ძალიან ნელა მიდიოდა, ან ძალიან გვიან წასულია. ალერსიანათ დაუქნია თავი მორასა და მისტრის ოდანოგიო გაუდგა გზასა.

იმისგან მოტანილმა ამბავმა ძალიან გაახარა მორა. მისმა დედამ ბედნიერად მიახწია ქალაქს და, რასაკვირველია, მალე გაავსებინა ქაშით თავისი ქესტიანკა. ფანტაზია უმაწვილს ცხადად უხატვიდა ამ სცენას. ქუჩის ბოლოში ტახტზედ იჯდა ეს შესანიშნავი ქალი, ოქროს კაბით და გვირგვინით თავზედ. ანგელოზის სილამაზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრწყინვებული, ის მთელ დღეს ურიგებდა ღარიბებს საჭმელსა, დიდ-მშვენიერი ღიმილით აღადგენდა იმედს სასო-წარკვეთილებით ღარიბების ჩამქრალ თვალებში. მორას ვერ შეეძლო წარმოედგინა მხოლოდ ერთი რამ, ესე იგი იმას ვერ წარმოედგინა იმოდენა ქვაბი საჭმლითა, რომელიც ჰყოფნოდა ყველა დამშეულებს.

განვლო ერთმა საათმაც. საწყალმა მშიერმა, მომთმენმა გოგომ აანთო ცეცხლი და დაიწყო თბობა, თითქო უნდოდა ამითი თავის ტანჯვები გაექარვებინა.

— დედა, დედა, წამოიძახა უცებ პატმა და მოუთმენლად გადატრიალდა, მე მშიან, მცივა! სად არის მორა?

პასუხი მეტი იქნებოდა. ცეცხლის მქრალ სინათლეზე იმან დაინახა კერასთან მჯდარი მორა ბალღითა. ის მიცოცდა მასთან და გაიჭიმა რაც კი სიგრძე ჰქონდა. იმან დაიწყო თავის გამძვალებული ფეხების თბობა. რასაკვირველია, სითბო დიდი ნუგეშია, მაგრამ რაც უნდა იყოს სითბო საჭმლის ადგილს ვერ დაიჭერს და ამიტომ მისმა კუჭმა დაიწყო ხელახლათ თავისი შესაბრალისი კვნესა.

მაგრამ პატი ყვირილითაც დაიღალა. იმან დაადო მორას მხარზე თავის ხუჭუჭ-თმიანი თავი და საწყლათ ტიკტიკებს:

— მორა, მორა, მორა!

იმანაც მოხვია მას ყელზედ თავისი თავისუფალი ხელი, მაგრამ კი არც ერთი სიტყვის თქმა არ შეეძლო. მისი დიდი თვალები კარებზედ იყვნენ მიქცეულნი.

რა მოუვიდა დედას? რატომ არ მოდის ის აქამდის? გზა ხომ არ დაეკარგა ამ ბნელს ღამეში? არა, იმან კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათ იცის ეს გზა და ყოველთვის იკვეხდა, რომ თვალ-დახუჭვილიც მივა ბალინავინამდის. ამასთანავე გზა პირ-და-პირია და სუბუქი, მხოლოდ მთის ძირთან, ქოხის გასწვრივ, ბილიკი დაკლაკნილი და ციცაბოა. ოხ, რა საზარლად ღმუოდა ქარი მათი ქოხის გარშემო!

— ჩუ! ფეხის ხმა! მორა წამოხტა.

არა, ეს მხოლოდ ქარი აბრახუნებს ერდოზე. საწყალო დედა! ის უეჭველია, დასველდა ძვლებამდის! თვით ულონიერესს მამაკაცისთვისაც კი საძნელოა ამ გვარს ამინდში.

— მორა, მორა, მორა! ნელად ჰკვნესის პატი.

— სსუ! სსუ! შეჰყვირა გოგომ და წასწვდა ხელში: — გესმის? დედა-შენი მეძახის: შენ აიყვანე ბალღი, მე კი დედასთან გავიქცევი, თორემ ის ვერასოდეს ვერ მოვა.

პატს არასოდეს არ უყვარდა ლოლიაობა თავისი პატარა დისა, მაგრამ არჩევანის დრო არ იყო. იმან აიყვანა კატლინი და უბედურს ისეთი სახის მეტყველება მიეცა, თითქოს წამებულიაო.

მორას შემოელია უკანასკნელი მოთმინება. დიდი ხნის ლოდინით წარმოუდგა, ვითომ ქარის სტვენასთან ისმის კაცის ხმაც, გამოვიდა და დაიწყო ყურის-გდება.

წვიმა და ქარი, როგორც გაცოფებული ეშმაკები, აპროწიალებდნენ მას, თითქო გადუწყვეტიათო, მისი ფალასები ათას-ნაირად აქციონო. ერთ წამს მას არ შეეძლო არც ადგილიდამ დაძვრა და არც სულის მობრუნება, მაგრამ შემდეგ შემოიკრიბა ყოველი ღონე, დაღუნა თავი, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და დაიყვირა, რაც კი ღონე იყო იმის დასუსტებულს სხეულშია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა! დედა! დედა!

იმას უპასუხებდა განწირული სტვენა ქარისა და ყრუ შხაპუნი უშველებელის წვიმისა. რა უნდა ექნა? ის იყო სრულიად უშემწეო. მაგრამ არც შეიძლებოდა დაენებებინა თავი საწყალი დედისთვის ბნელს მთებში, ამ საშინელს ამინდში!!. ჩუ! ამ ხანად ის არ შესცდა. შორი-ახლო ისმოდა სუსტი კვნესა. მორა გაექანა იქითკენ საიდამაც ისმოდა ეს ხმა. ქარი და წვიმა ატრიალებდნენ მას უკანვე, მაგრამ ის მამაცურად ებრძოდა მათ.

— დედა! დედა! უძახოდა მორა.

მის ახლო გამეორდა კვნესა, იმან გადადგა კიდევ რამდენიმე ბიჯი. ბილიკზედ იდო რაღაც შავათ. მორა დაიხარა, და, თუმცა ძრიელ ბნელოდა, მაგრამ მაინც კი იცნო თავის დედა, მიწაზედ გართხმული.

— თქვენ ეხლა სახლში ხართ, დედა! წამოდით, წამოდით, დამეყუდეთ მე, შეჰყვირა გოგომ და თან სცდილობდა აეყენებინა საწყალი დედა-კაცი.

იმას არ შეეძლო პასუხის მიცემა. მორას თითონ უკვირდა შემდეგში თუ, სად ჰქონდა მას იმდენი ღონე, რომ ის ფეხზედააყენა. ძლივ-ძლიობით იმან მიახწია ქალის შემწეობით ქოხში და იქ, ცეცხლა-პირას დაეცა ნამჯაზედ. მორამ აუწია იმას თავი და დაუწყო ხელების სრესა. აქ იმას პირველად მოაგონდა საგანი მისის მგზავრობისა. უბედურს დედა-კაცს გაშეშებულს ხელებში მაგრად ეჭირა ინდოეთის სიმინდის ქაშით სამსე ქესტიანკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III.

როგორ გაიარა ამ ღამემ, მორას არასოდეს არ შეეძლო ეამბებინა. ეს უბედური საათები მას ეჩვენებოდნენ რაღაც საშიშარ სიზმრათა. იმან არ იცოდა ცოცხალი იყო დედა, თუ არა, და იმისიც ეშინოდა, რომ პატარა კატლინიც მოკვდება.

პატრიკის გაჩუმება ხომ არ შეიძლებოდა. ქაშის დანახვაზე მას თვალებმა გაუმაძღრობით გაუბრწყინეს და მხეცურის მოუთმენლობით დაუწყო ცქერა მორას, რომელიც აცხელებდა ქაშსა. მისი სიხარული, მის შემდეგ, როცა მას კუჭი გაუთბა და გაუძღა, იყო ერთად ერთი ნუგეში საწყალი გოგოსთვის. თითონ იმასაც აღარ შეეძლო თავი შეეკავებინა შიმშილისაგან, მოუჯდა პატის გვერდზედ და შესჭამა მომატებული ნაწილი ქაშისა. მაგრამ იმას სძაგდა თავის-თავი ამ საქმის ქმნისათვის. იმას მიაჩნდა დიდ ცოდოთ გაძღომა, როცა მისი დედა და კატლინი იყვნენ ამისთანა უიმედო მდგომარეობაში. დიდი სულ-გრძელებით ცდილობდა როგორმე გრძნობაში მოეყვანა ორივე, მაგრამ ისინი გაფიჩხებული იყვნენ, არც ერთს არაფერი არ ეყურებოდათ და ვერც არაფრის გაგება შემდეგში შეეძლოთ.

გვიანღა იყო ეხლა პატარა კატლინისათვის ჭმევა. საჭმელი აღარ ჩასდიოდა მას პირში და მორამ მალე დასტოვა ის მოსვენებაში, რადგანაც ხედავდა, რომ ეს ძალ-დატანება მხოლოდ ტყუილად სტანჯამს მომაკვდავს ბალღსა. დედა კი ცოტ-ცოტათი გამობრუნდა პატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერგიული საშუალების წყალობით. პატარა პატი განსაკუთრებით უყვარდა დედას. თუმცა მთელი ექვსი წლის განმავალობაში ის დიდ ზრუნვას და მოვლას თხოულობდა დედისგან, როგორც ცელქი ბავშვი. მაგრამ რაღაც დედობრიულის სიყვარულის ჟინიანობის ძალით ჩუჭუჭ-თმიანი პატი შეადგენდა უმთავრეს მისს ნუგეშს ცხოვრებაში. იმას უყვარდა საწყალი, სულ-გრძელი და მამთმენი მორა, მაგრამ მის ძმისადმი კი გრძნობდა მომეტებულად მხურვალე დამოკიდებულებას. იქნება იმისი ყმაწვილური ეგოიზმი მოაგონებდა მას მეორე პატს, რომელიც მისთვის უფრო ძვირფასი იყო.

პატსაც თავისებურად უყვარდა თავის დედა და ეხლა, როდესაც იმან შიმშილი მოიკლა, არ შეეძლო გულგრილად ეცქირა თავის დედის უგრძნობლად ყოფნისათვის; რატომ არ ადგება და არასა სჭამს? მერე ის მიეკრა მას გულზე თავისი აბუძგნული თავით, მაგრამ, რაკი დედის ალერსი ვერა ნახა, იწყინა. იქნება დედა შიმშილისაგან გრძნობდა თავს ასე ცუდათ? მაშინ პატმა აიღო თავის რკინის ტოლჩა და ხის კოვზი, მიცოცდა დედის თავთან და მორამ ვერც კი დაინახა, როცა იმან ჩაუდო კოვზით ქაში პირში. საწყალმა დედა-კაცმა მწუხარებით გაიქნია თავი. ამ წარმატებამ პატი გაამხნევა და იმან დაუწყო პატარა თითებით პირში ჩატენა ქაშისა. ამ ძალადობის წყალობით, თუ თავისთავად, მისტრის სიულლივანი მოცოცხლდა, ამოიოხრა და გაახილა თვალები. მაშინ პატმა ალტაცებით მიაკრა თავისი ლოყა დედის სახესა.

დედამ იცნო თავისი საყვარელი შვილი, მოხვია მას თავისი დასუსტებული ხელი და ჩაყლაპა ქაში, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიკმა ჩაუდო იმას პირში. პირველი იმის გრძნობა იყო ის, რომ გადაუხადა უფალს მადლი, რადგან მშვიდობით მიაღწია შინამდის. მადლობა ღმერთსა, რომ ის არ მოკვდა წყვდიადში და წვიმაში. ოხ! რამდენი ტანჯვა გამოიარა მან ამ ღამეს, როცა ებრძოდა ბუნებას და თავის სისუსტეს! მათი აღწერა შეუძლებელია. ვერც იგრძნობენ ამ ტანჯვას ისინი, ვინც მდიდრულს სადილებს შეექცევიან ყოველ-დღე, ვისაც ყოველივე უხვათა აქვს, ვინც ფუფუნებაში და განცხრომაშია! მხოლოდ ღარიბნი, უბინანონი და მშიერნი თანა-უგრძნობენ, როდესაც შეიტყობენ ხოლმე სხვის მწუხარებას, იმიტომ რომ თითონაც კარგათა აქვსთ გამოცდილი სიმწარე ამ დუხჭირისა.

როდესაც მორამ ნახა, რომ მისი დედა გრძნობაში მოვიდა, იმან მიირბინა მასთან; მისდა სასიხარულოდ, დატანჯულმა და დაღალულმა დედაკაცმა ჩაყლაპა რამდენიმე ლუკმა ქაში, რომელიც მაინც ძალიან მცირე რამეს შეადგენდა, რადგანაც დედა-კაცი ისე იყო დასუსტებული, რომ, უეჭველია, ეს უბრალო საჭმელი მისი კუჭისათვის მძიმე მოსანელებელი იქნებოდა. მერე იმან მოიკითხა წყალი და დიდის მოუთმენლობით მოიკლა წყურვილი. რამდენიმე წამს უკან იმას კიდეც ეძინა მოუსვენარი ძილითა და თან გულში ჩახუტებული ჰყავდა თავისი საყვარელი პატარა პატი.

დაღალულმა და დასუსტებულმა მორამაც ჩქარა დაიძინა. როცა მეორე დღეს დილით იმან გაიღვიძა, მზის პირველი სხივები კიდეც ანათებდნენ იმათ შავ-ბნელ ქოხსა. ის იწვა ბალღთან ერთად გამქრალ ცეცხლა-პირას. ძილში შეცივნულს მორას გააჟრჟოლა და უსაზღდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი მოახვედრა პატარა კატლინს — ბავშვი იყო ცივი. გულ-გახეთქილი მორა დააცქერდა, ის აღარა სუნთქავდა. სანამ იმის დას ეძინა, პატარა კატლინი შეუნიშნავად მოშორდა ამ სიცივის, შიმშილის, ტირილის და ათას გვარ უბედურების ბინას, მაგრამ მორა აქ დარჩა. იმას ძალიან უყვარდა ბალღი და, თითქმის, იმისთვის მეორე დედასავე იყო. როცა იმან დაინახა ის მკვდარი, მოიფიქრა, რომ მას ჩასდებენ ყუთში და დაჰფლავენ სველს მიწაში,—საწყალმა გოგომ შეჰქნა ერთი ისეთი ღრიალი, რომ გამოაღვიძა დედაც და პატრიკიც.

მისტრის სიულლივანს უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ ისევ დაეცა მთელი სხეულით აკანკალებული. იმის დიდი თვალები არა ჩვეულებრივად იყვნენ დაჭყეტილნი და საფეთქლები ძალზედ უცემდნენ. იმას ვერ შეეძლო ვერც ერთი სიტყვის თქმა, მხოლოდ ყრუთა ჰკვნესოდა, თურმე საწყალს სახადი გამოაჩნდა. იმის შერყეულ ჯანს ვერ შეეძლო აეტანა შიმშილი, სისველე და დაღალულობა.

მთელი დღლა ის მოუსვენრად ტრიალებდა თავის ღარიბულ საწოლზე, ბოდავდა თავის ქმარზე, კორკის მშვენიერ მაღაზიებზე და სამუშაოზე, რომელიც იმის ქმარს ვითომ ძალიან ბევრი ეშოვნა. მერე იმას მოეჩვენა ვითომც ის და პატრიკი ახალ-გაზდები იყვნენ,. ახალი ჯვარდაწერილები, ვითომც ისინი დასეირნობდნენ მკლავმკლავ გაყრილნი მწვანე მინდვრებზე და ზღვის ნაპირებზედ. რა ბედნიერი იყო და როგორ ამპარტავნებდა ის თავისი ქმრით! მთელი ქვეყანა ეჩვენებოდა მას მშვენიერებათ და თვიანური პატარა ქოხი იმ მთაზე მდგომ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა სასახლეებზე უკეთესად. მაგრამ უცებ იმის ბოდვამ მიიღო შემწუხებელი ხასიათი, იმან დაიწყო ყვირილი, უძახდა გიუს და ევედრებოდა ვილასაც, რომ არ ეცემათ იმის პატრიკისთვის.

ვინ იყო ეს გიუ? ჰკითხამდა თავის თავს მორა და ვერაფერს მიმხვდარიყო. მაგრამ აი, ავათმყოფი ისევ დამშვიდდა. ის ეხლა ვითომ იყო პატარა ბავშვი და დასეირნობდა დედასთან ერთად, თავის ბატონის მდიდრად მორთულს გაბრწყინვალებულ ოთახში. ყველა, რაც კი მაშინ საოცარი და საუცხოვო ენახა ნათლად წარმოუდგნენ თვალ წინა. ისა ხედავდა თვალწინ სურათებს, სტატუებს, ხალებს და სარკეებს. ბოლოს იმან ნაზათ გაიღიმა და ჩაიძინა.

მორამ ყურადღება არ მიაქცია შეშინებული პატის ტირილსა და გაექანა, რაც ძალი ჰქონდა, თავიანთ გულკეთილ მეზობელს მისტრის ოდანოგიოსთან და შემკრთალმა უამბო ყველა, რაც მოხდა; ეს პატიოსანი ადამიანიც გამოჰყვა თან და ერთად მოვიდნენ ავათმყოფთან.

მთელი დღე მისტრის სიულლივანმა ბოდვაში გაატარა. მორა გაიქცა ბებია დედა-კაცთან, რომელმაც, კატლინის დაბადების შემდეგ, ყოჩაღად მოარჩინა მისი დედა და რომლისადმიც ბავშვი გრძნობდა განუსაზღვრელს ნდობასა. ამ შემთხვევაში დედა-კაცმა ჩაასხა მის დედას პირში არაყი, რომლის წყალობით ის კინაღამ არ დაიღრჩო და შემდეგ უფრო გაშმაგდა, სხვა მეზობლები იხედებოდნენ ხოლმე ერთი მეორის შემდეგ, ნაზი თანაგრძნობით იბრალებდნენ მორას და, როცა ეყურებოდათ დედის ბოდვა, მწუხარედ იქნევდნენ თავს. ბოლოს დედა-კაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალახებისგან შეაზავა რაღაც წამალი, რომელიც მისი აზრით უებარი იყო, მაგრამ იმანაც არა უშველა რა.

შუა დღის უკან მისტრის სიულღვანი უფრო ცუდად შეიქნა. ბებია უნდა წასულიყო სხვა ავათმყოფთან. იმან შემოაზომა ავათმყოფს კისერზე წითელი ძაფი ექვს ჯერ, და არწმუნებდა, რომ ამას ვერა ავათმყოფობა ვერ გაუმაგრდება. მორამ დაიჯერა მისი სიტყვა, მაგრამ წითელმა ძაფმა ვერ გასჭრა და მისი დედა უფრო და უფრო სუსტდებოდა.

საღამოზე, მორას დიდ-სასიხარულოდ, მოვიდა პასტორი დქონი. ავათმყოფმა ის ვერ იცნო, მაგრამ მორას სწამდა, რომ იმის იქ ყოფნა და ლოცვები მისს დედაზე სასიკეთო გავლენას იქონიებდნენ.

მეზობელი დედა-კაცები სათითაოდ წავიდნენ თავთავიანთ სახლებში, სადაც მათ მოელოდათ ყოველ-დღიური ზრუნვა. მორა დარჩა მარტო. ბებია დაჰპირდა დილით ადრიან მოსვლას და უფრო საიმედო წამლების მოტანას. მისტრის ოდანოგიო დაჰპირდა, რომ ათს საათზე მოვა და ღამეს მორასთან ერთად გაათევს. ღამდებოდა. საწყალმა ბავშმა მოფორცხა ჩალა, ქოხის ერთ კუნჭულში, მკვდარი ბალღის და პატისთვის.

ბიჭი ვერ მიხვდა, თუ რა მოუვიდა იმის დედას და პატარა დასა? იმას ეგონა, რომ მას სძინავს და სხვა არაფერი. პირველად ის ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა, რომ ნება არ მისცეს დედას მიჰკრობოდა, მაგრამ შემდეგ იმისმა ბოდვამ, დიდის ხმით ხარხარმა და უჭკუო ვედრებამ ისე შეაშინეს ის, რომ თითონაც აღარ ინდომა მის გვერდზე წოლა და კმაყოფილებით გადავიდა თავის ახალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწოლზე, რაზედაც უკვე განისვენებდა მკვდარი კატლინი. როცა სრულიად დაბნელდა. მორამ აანთო სანთელი, რომელიც ერთმა მეზობელთაგანმა მოუტანა, ჩაარჭო ფილაქანში და მოუჩრდილა დედისკენ. მადლობა ღმერთსა, დედა უფრო მშვიდობიანად იყო და ხანდიხან თითქო ეძინა კიდეცაო. რასაკვირველია, ხვალ ის უფრო გონზედ იქნება. მორამ, ეს ვითომ უკეთ ყოფნა თავისი დედისა, მიაწერა სასწაულთ მოქმედს წითელს ძაფსა, და უფრო მომეტებულის პატივისცემით იგონებდა მსწავლულს დედაბერსა.

მისტრის სიულლევანს, მართლაც, მთელი საათი ეძინა მშვიდობიანად. ამ დროს, უცებ მორამ გაიგონა, რომ ის მისს სახელს ახსენებდა. მისი ხმა გამოცვლილი, გრძნობიერი იყო სრულებითა. მორამ აუწია თავი და ნაზად ჰკითხა, ხომ არა გინდა რაო?

— წადი მორა და მოიყვანე შავი გიუ. წარმოსთქვა მან სუსტის, მაგრამ მკაფიოს ხმით.

მორა შეთრთოლდა. იქნება ეს გამეორებული ბოდვაა? ავათმყოფი კი განაგრძელებდა სიძნელით, მშვიდობიანის, მკაფიო ხმით ლაპარაკსა:

— მე ვკვდები, ჩემო საწყალო მორა. შენ უნდა წახვიდე მთაში და უთხრა შავს გიუს, რომ მისტრის სიულლევანი ძალიან ავად არის თქო და სურს მას მოელაპარაკოს.

მორა არ უჯერებდა თავის ყურებსა.

— რას ამბობთ, დედა, შეჰყვირა იმან:—უეჭველია, თქვენ შავს გიუზე არ გინდათ ლაპარაკი. თქვენი საცოდავი თავი სრულებით არეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის ექიმა ძალიან აალელვა ავათმყოფი და იმან ისეთი მხურვალებით გაუმეორა თხოვნა მორას, რომ ის დაჰპირდა უსათუოდ ასრულებას. შავ გიუსთან ბნელ ღამეში წასვლა იმას ისეთ საშიშრად მიაჩნდა, რომ ის არასოდეს ამას არ გაჰბედავდა, თუ არ დედის ალგზნებული თვალები, რომელთაც ის ერთს წამსაც არ აშორებდა მას, და თუ ბოლოს ჩუმად არ ენიშნებინა ხელით კარებზე.

ყოყმანი აღარ შეიძლებოდა. ეს ანთებული თვალები ყოველგან და მუდამ დაუწყებდნენ მას დევნას, თუ რომ მისს თხოვნას გადასულიყო. მორამ მეტი აღარ მოიცადა და გავარდა ქოხიდამ.

მოძრაობამ და ჰაერმა მისს სიმამაცეს უფრო მოუმატეს; იმან გაუჩქარა ფეხი და აქეთ-იქითაც აღარ იცქირებოდა. მაგრამ მალე იმას მაინც დასჭირდა სულის მობრუნება. ის დაეშვა ბალახზე, დაიფარა ხელები სახეზე და დაიცო ყურები. ერთი წამის შემდეგ ის მიჰქროდა ისევ გამალებული, მისი ფეხები თითქო მიწას არ ეკარებოდნენ და მირბოდა, როგორც ბოროტი სულისგან დევნული და შეშინებული. ბოლოს მან დაინახა სინათლე. ეს უთოოდ შავი გიუს ფანჯრიდამ გამოშუქს, ამიტომ რომ იმ ადგილს არავის სახლი არ იყო. მორა ერთს წამს შეჩერდა და შემდეგ ისევ განაგრძელა თავისი გამმაგებული რბენა. სინათლე თითქოს უახლოვდებოდა მას. ერთი უკანასკნელი ძალდატანებაც და ის იდგებოდა მეურის ალაყაფის კარებთან.

შავი გიუს სახლი არა ჰგავდა მორას უბედურ ქოხხა, ეს იყო მოზდილი ქვითკირის სახლი, აპირის ბანით. გარემოს ყველაფერი იყო ველური და ჩაშავბნელებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თითონ სახლი კი ცოტა არ იყოს მოწმობდა მის კომფორტზე.

მორას გული საშინლად უცემდა, იმან გაალო ქის კარები, მიირბინა სახლთან და ხმა მაღლად დაარაკუნა ორივ მუშტებით. პირველი პასუხი გასცა ძაღლმა მაღალი ყეფითა, ცოცხალ-მკვდარმა მორამ კიდევ გაიმეორა რახუნი. სწორედ მის თავს ზემოთ გაიღო ფანჯარა და შავმა გიუმ გამოჰყო თავი. იმან რაღაც სთქვა, ისე რომ მორამ ვერა გაიგორა. იმან მხოლოდ ინსტიკტით იგრძნო, რომ ეს იყო მუქარა და წყევა-კრულვა. შიშმა შეიპყრო იგი და ერთს წამს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ის შეაჩერა დედის ანთებული თვალების მოგონებამ.

— მისტრის სიულლვანი კვდება, შეჰყვირა იმან გაბედვით, და იმის სულს ვერ შეუძლიან დამშვიდდეს, თუ არა ნახავს შავს გიუს. მე იმან გამომგზავნა ამისთვის.

მისტრის სიულლვანის სახელმა საშინელი ცვლილება მოახდინა შავს გიუში. იმან დაანება თავი დამაყრუებელ წყევა-კრულვას და ძალზედ მოახეთქა ფანჯარა. ერთ წამს მიღრა ელოდა სულგაკმენდილი და შიშობდა, რომ ვაი თუ ჩემი სიტყვა ვერ გაიგო გიუმაო. მაგრამ აი, კარები გაიღო და ის უდგა პირისპირ ამ სახლის საშიშარ მფლობელსა.

მორა შიშისგან გადახტა უკან, მით უმეტეს, რომ ბულდოგი ბღრიალა თვალებით მოსდევდა თავის პატრონს უკანა. მაგრამ შავმა გიუმ შენიშნა ყმაწვილის შიში, დასტაცა ძაღლს საყელოში ხელი, შეაგდო ოთახში და გამოუკეტა კარი. ამ ქცევამ განუღვიძა მორას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ნდობა, ის მობრუნდა და გაიმეორა ის, რაც დედამ დაობარა.

მთვარე კაშკაშებდა ცაში და იმის ვერცხლისფერ სხივებზე მორამ ნათლად დაინახა, რომ მისგან მოტანილ ამბავმა ძალიან აალელვა შავი გიუ. ის იდგა უძრავად და არ შეეძლო არც ერთი სიტყვის წარმოთქმა, დასასრულ იმან აიღო ხელი და მოისვა თვალებზედ. ნუ თუ ეს ვეშაპი ტიროდა? ერთი წამიც და ის მოეფარა კარებსა.

მორამ დააპირა გაქცეულიყო, მაგრამ გიუ მალე გამოვიდა თავის ჩობახით ერთ ხელში და არაყის ჭურჭლით მეორეში. აქ მორას შიში რაღაც სასწაულებით გაეფანტა და იმან გადასწყვიტა გიუსთან ერთად წასვლა შინისკენ. შავმა გიუმ დაჰკეტა კარები, ჩაიდო ჯიბეში გასაღები და გაუდგა გზასა.

ის ისეთის მსწრაფის ნაბიჯით მიდიოდა, რომ საწყალი გოგო რის ვაი-ვაგლახით მისდევდა მას. როდესაც გიუმ შენიშნა ესა, იმან უკლო ნაბიჯებს. ეს იყო ნიშანი იმის გულ-კეთილობისა და თავმდაბლობისა, რომელმაც ისე იმოქმედა მორაზე, რომ უკანასკნელი შიშის ნაპერწკალიც კი, ამ საშინელი კაცისადმი, გაუქრო, ის ეხლა მშვიდობიანად მისდევდა მას გვერდზე და კმაყოფილიც იყო მასთან ერთად სიარულისა.

მთვარის შუქით განათებული, თოვლით შემოსილი თავები შორი მთებისა სჩანდნენ ძალიან ახლო და მათგან მობერილი ცივი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ქარი სწყლავდა საწყალს მორასა. ის არა გვარ ფიზიკურ ტანჯვას არა გრძნობდა, გაკვირვებული თვისი მოტანილი ამბის შედეგით და იმ საკვირველი ცვლილებით, რომე-

ლიც მოაზღინა შავს გიუში ცარიელმა მისი დედის სახელმა. რას უნდა ნიშნამდეს ეს? რა საქმე უნდა ჰქონოდა იმის დედას შავს გიუსთან? ნუ თუ სიზმარია ყველა ეს? მორა იფშვნეტდა თვალებსა, თითქო უნდოდა გამოფხიზლებულიყო ბურანიდგან, მაგრამ მის გარშემორტყმული სცენა და შესახედაობაც მისი საოცარის ამხანაგისა ზეჯითად უმტკიცებდნენ ამ საქმის სინამდვილეს. იმისი გრძელი, შავი წვერი, წარბების ქვეშიდგან გამომცქერალი ველურად მოელვარე შავი თვალები, მისი ლამაზი, მძლავრი ფიგურა, მისი გამბედავი წამოსადეგი სანახაობა და, დასასრულ, მისი მსხვილი ჯოხი, არ შეიძლებოდა კაცს მიეღო ფანტაზიის ნაყოფად.

ისინი მიდიოდნენ ჩუმად, მხოლოდ ორმოც-და-ათ ნაბიჯზედ მისტრის სიულლევანის ქოხიდამ, შავმა გიუმ ჰკითხა მრისხანე კილოთი:—განა მე გუშინ არ მოვედი აქა და არა გკითხე, რომ საჭირო ხომ არ არის მეთქი საჭმელი დედი შენისათვის? შენ კი მე მომატყუილე შენის უწმინდურის ენითა.

მართლაც და ისინი მიდიოდნენ სწორეთ იმ წამოწეულ ფლატეს გვერდზედ, რომელთანაც წინა დღეს მან გადულობა ვზა მორასა. მორას მოაგონდა მისი უეცარი იქ შეხვედრა და ეს ამბავი მან ეხლა სრულებით სხვა გვარად მიიღო. იქ მოვიდა იმისთვის, რომ დახმარებოდა რაშიმე მათ. ის იყო მათი ერთგული გულითადი მეგობარი და არა მრისხანე მტერი. მორას ეხლა მისი შეჭმუხვნილი წარბებისაც კი აღარ ეშინოდა, მან მოჰკიდა ხელი გიუს ხელსა და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მაშინ ძრიელ შემეშინდა, იმიტომ, რომ შავი გიუ—ეს ხომ საშიშარი კაცია.

ბავშვის ამ შენიშვნაზედ მისი სახე გაბრწყინდა და მაზე გაირბინა თითქმის სუბუქმა ღიმილმა; რამდენიმე წამს უკან ისინი კიდეც შევიდნენ ქოხში და იდგნენ მომაკვდავის სასთუმალთან.

ავათმყოფს თვალები დახუჭული ჰქონდა და თითქო ეძინაო. იმათ არ უნდოდათ იმისი შეწუხება. ის იწვა მშვიდობიანად, მხოლოდ სუნთქვა უჭირდებოდა. უეცრად მან გაიწვდინა ხელები და სთქვა, სრულებით მშვიდობიანათ, თითქო წინათვე სცოდნოდეს მისი იქ ყოფნა,

— გიუ!

ის დაეშვა მუხლებზედ აიღო მისი გამხმარი ხელი, მიიკრა გულზედ და აღარ უშვებდა თავისი ღონიერი ხელებიდამ.

მისტრის სიულლივანმა ზეზედ წამოიწია, ნელად გაითავისუფლა თავისი ხელი და დაადო იგი მის დახრილს თავზედ. ის შეთრთოლდა და მიიფარა ორივე ხელები სახეზედ. იმან იცოდა, რომ მისტრის სიულლივანი არ მოუწოდებდა მას, თუ არა ყოფილიყო უკანასკნელს დღეში- მაინც და მაინც მან ნაზათ უთხრა:

— კეტი მაურნინ, თქვენ, რასაკვირველია, ხვალამდის მორჩებით, მაგრამ ეს მითხარით, რა გაწუხებთ და გაღელვებთ?

მორა განკვირვებიდგან გამოვიდა. რა მოუვიდა საშიშარს შავს გიუსა? სად განქრა მისი ბრიყული ქცევა და მხეცური წყევა-კრულვა? ეხლა ის დაჩოქილი იდგა, ისეთი მშვიდი და წყნარი, როგორც ბავშვი.

— არა, გიუ, სთქვა მომაკვდავმა: მე არასოდეს აღარ მოვრჩები, ცხელება ჩამიყვანს მე საფლავში. მე თქვენთან გამოვგზავნე იმიტომ, რომ თქვენ კეთილშობილი გული გაქვთ და მე ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთანა.

— სთქვით, კეტი, ილაპარაკეთ ჩემთან დაუფარავათ, უპასუხა გიუმ, ღელვისაგან მთელი სხეულით ათრთოლებულმა: ნუ გეშინიანთ, მე ავასრულებ ყველა თქვენ სურვილებს, თუნდ რომ ჩემს სიკვდილსაც თხოულობდეთ.

— არა, გიუ, თქვენი სიკვდილი მე ვერ დამამშვიდებს, უთხრა მისტრის სიულლივანმა და გაუშტერა თავისი ცხელებისაგან განათებული თვალები: მე მინდა, რომ თქვენ იყოთ მეგობრად და ყურის მგდებლად ჩემის პატრიკისა, როცა მე აღარ ვიქნები ქვეყანაზედ და როცა მას აღარავინ ეყოლება, რომ დაუშალოს არაყის სმა და ცუდი საქმეების ჩადენა. თქვენ ხომ იცით, პატრიკი როგორ ჩქარა დანებდება ხოლმე ყოველ ბოროტებასა. ის ეხლა კორკშია, მაგრამ, უეჭველია, დაბრუნდება ხელცარიელი და იქნება მთვრალიც. თქვენ კეთილშობილი სული გაქვთ, ნუ დამიხოცამთ შვილებს შიმშილით და იყავით პატის მეგობრად. მე ვიყავი სასტიკი და უსამართლო თქვენდამი. მომეცით პირობა, რომ თქვენ დაიფარავთ პატს ბოროტებისაგან.

უბედური დედა-კაცი დაეშვა ჩალაზე სრულებით დაუძლურებული, თუმცა კი არ აშორებდა გიუს თვალს. გიუმ უცებ ვერ უპასუხა, ეტყობოდა, რომ იმაში სწარმოებდა მძიმე ბრძოლა. კეტიმ დაადო თავისი ხელი მას მხარზედ და განიმეორა მხურვალე ვედრებითა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იყავით პატის მეგობრად, გიუ, ღვთის გულისათვის, ჩვენი წარსულის მოგონებისათვის.

გიუმ აიმაღლა თავი, მისი ველური სახე ბრწყინავდა უმაღლესის სიყვარულის სინაზით. იმან აიღო მომაკვდავის ხელი და აღტაცებით წარმოსთქვა:

— კეტი, ჩემთვის ეს ძალიან ძნელია, მაგრამ მე მაინც ვიქნები მეგობარი პატის და თქვენი შვილებისა, ჩემს უკანასკნელს სიცოცხლის დღემდის, უკანასკნელ სისხლის წვეთამდის.

დადგა სიჩუმე. მისტრის სიულლივანს არ შეეძლო სისუსტისაგან ხმის ამოღება, მაგრამ იმისი სახე განათლდა ციური სიხარულითა, რომელიც წამსვე აღიბეჭდა გიუს ვაჟ-კაცურ სახეზედაც.

— დაგლოცოთ თქვენ ღმერთმა და ყველა წმინდანებმა, გიუ! სთქვა მან ძლივ გასაგონათ:—მე ვიცოდი, რომ თქვენ კეთილ-შობილი გული გაქვთ.

შემდეგ დახუჭა თვალები და თითქო სთვლემდა.

გიუ დარჩა ისევ დაჩოქილი მის თავთან, მორას კი ეგონა რომ მის დედას ძილი მოაღონიერებდა და დაიწყო ქაშის გაცხელება. მაგრამ არ გასულა ათი წამი, როგორც უეცრად მოისმა მხეცური სიცილი კაცისა. შემკრთალმა მორამ მოიხედა. მისი დედა იჯდა ჩალაზედ გაბჰყვრიალებულის თვალებით.

— პატ, პატ! წამოიძახა იმან და გაუწოდა ხელები რაღაც უხილავს არსებას:—ის იქნება შენ საუკეთესო მეგობრად.

მერე გააკანკალა და უსულოდ დაეცა გიუს ხელებზედ.

## IV.

საწყალი მისტრის სიულლივანის სიკვდილის ხუთმეტი წლის წინეთ, კეტი ოფლინი ითვლებოდა ყველაზედ ლამაზ და მხიარულ ახალ-გაზდა ქალად იმ მხარეში. ირლანდიის იმ კუნჭულში ითვლება ურიგობად, თუ ახალ-გაზდა თავის-თავად მოიწონებს ვისმეს და დაუწყებს ტრფიალებას. ადათათ აქვსთ, რომ დედ-მამამ თითონ უნდა აურჩიოს შვილს შესაფერი მეუღლე. ერთის სიტყვით, ეს არის ნამდვილი კომერციული საქმე. მამები დიდ ხანს ევაჭრებიან ერთმანეთს და ბოლოს გაათავებენ საქმეს რამდენიმე ძროხით. პატარძალს ჰყიდიან ისე, როგორც გოჭსა. ასე იფიქრეთ, ამ საქმისთვის ვაჭრობის დღეც კია დანიშნული. აქ ნება არა აქვსთ ახალ-გაზდებს, რომ მრთელი წლის განმავლობაში აწუხონ მოხუცები. ყველა-ფერს დრო აქვს დანიშნული და ყველიერის სამშაბათს კიდევ ირლანდიაში ზოგი ცოლს ირთავს და ზოგი თხოვდება. ამ ყველასათვის მხიარულს დროს მღვდლები ბლომა ფულებს შოულობენ ხოლმე და ხშირად პატარძალი თავის მომავალს ქმარს ეხლა პირველად ხედავს ეკკლესიაში.

კარგი იქნებოდა კეტი ოფლინისთვისაც, რომ მას მიედია ძველებურ დებულებისათვის და საქრმოს ამორჩევა მიენდო თავისი მშობლებისათვის. მაგრამ ის იყო განებიერებული ბავშვი და მოიქცა ისე, როგორც მეზობელ კუნძულელი რომანული ქალები, ე. ი. შეირთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმარი სიყვარულით, რის შედეგსაც ჩვენ ეხლავ შევიტყობთ.

რასაკვირველია, როგორც კი კეტი ოფლინი შეიცვალა მხიარულ ბავშვიდამ უფრო მხიარულ ქალად, მისს მამას, შემძლებელს ფერმერს, დაუწყეს დევნა ბევრი ახალ-გაზდების მამებმა, რადგან კეტის სილამაზე მათს შვილებს ერთობ ხიბლავდა. მაგრამ მოხუცი თავისებურად სჯიდა თავის ქალის ბედზედ და ყველას წინადადებას ის ეგებებოდა უჯათის უარით. მისი ფერმის გვერდზე სცხოვრებდა ბებერი მისტერ მაკ-გრატი, რომელსაც სთვლიდნენ ძალიან მდიდრად. მას ჰყავდა ერთი ვაჟი, მემკვიდრე მთელის თავის ქონებისა, გიუ. ორივე ბებრებმა დიდი ხანია გადასწყვიტეს გიუს და კეტის ქორწილი, და ელოდნენ მხოლოდ დროს, როცა კეტი გახდებოდა ჩვიდმეტის წლისა.

ახალ-გაზდები პატარაობიდგანვე ერთად ალიზარდნენ და კეტის ზედმოქმედება გიუზედ საგრძნობელი იყო. გიუ ბევრს შემთხვევაში არა ჰგავდა საზოგადო ტიპს ირლანდიელისას და თავის გულ-სწრაფი ხასიეთით და ჩხუბის დიდის სიყვარულით ის იყო ნამდვილი პადდი. მაგრამ მისი თვალები არა ბრწყინავდნენ მხიარულის ღიმილით, იმას უყვარდა მარტოობა, თუ მეტადრე მასთან არ იქნებოდა კეტი, რომელიც გაუნათლებდა ხოლმე მას სიბნელეში დალშულს ჭკუას. კეტი იყო ერთად ერთი მანათობელი მისის სიცოცხლისა. თუ კეტი იცინოდა, იმას ქვეყანაც მხიარულად ეჩვენებოდა და თუ კეტი წარბს შეიჭმუხვნიდა, მაშინ გიუც დადარდიანდებოდა და მოიწყენდა. იმან კარგად იცოდა თავიანთ მშობლების გადაწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მათს ქორწინებაზედ და ჩუმად სთვლიდა წლებს, თვეებს და დღეებს, რომელნიც მას აშორებდნენ იმ ნეტარს წამსა, როცა იმას შეეძლო კეტის თავისათ ჩათვლა.

მსუბუქ-აზროვანს ახალ-გაზდა ქალს არ შეეძლო დაფასება ამ საკვირველის ჭაბუკისა. იმას ის აჯავრებდა, რომ გიუ არ ჰგავდა თავის ამხანაგებს. გიუ უცქეროდა ცხოვრებას დამჯდარის ჭკუით და ეს ძალიან უსიამოვნო იყო კეტისთვის. თუ კეტი მას რაზედმე უწყენდა, ის მრთელს დღეს უპედურად, უსიამოვნოდ გაატარებდა, მაშინ, როცა სხვა ამაზედ ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ნამეტნავად, მოღრუბლული შეხედულობა და მოქურუხებული ხასიათი მხიარულ, უზრუნველ კეტისთან ვერ მოთავსდებოდა. ის თვითონ ყოველთვის იყო მხიარული და უნდოდა, რომ მის გარშემო ყველა მხიარული ყოფილ-იყვნენ. გიუ მას ხშირად მოაწყენდა ხოლმე თავს, მაგრამ როგორც ბავშობითვე ერთად შეზდილთან კეტი ჰგრძნობდა მისდამი მეგობრულს ლტოლვილებას, რითაც გიუ სრულიად კმაყოფილი იყო. კეტი მას აბრაზებდა და აწვალებდა, მაგრამ მაინც მისის მფარველობით და ერთგულობით ყოველთვის სარგებლობდა.

ბოლოს კეტიმ მიაღწია დიდი ხნის სურვებულს ხანს. ვიუმ ქრჟოლვით მოაგონა მამას ის დრო, საროდიოთაც იგი დაჰპირდა კეტიზე ჯვარის წერასა. მოხუცმა მაშინვე აიღო ჯოხი და მხიარულად გასწია მეზობლისაკენ. იმათ საქმე ორს წამში გაათავეს, პირობა დასდეს, რომ ქორწილი მომავალს კვირაში, ყველიერის სამშაბათს უნდა ყოფილიყო. ძროხებზედაც მორიგდნენ. პატარა სახლი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერმა უნდა გადასულიყო ახალ-გაზდების სახელზედ. საქმე ისე კარგად წავიდა, რომ ბებრები ლაზათიანათ შეზარხობდნენ.

მეორე დღეს უამბეს ახალ-გაზდებს ეს სასიამოვნო ამბავი. გიუ, მომეტებულის სიხარულით, რომ მისი ოცნებანი მალე არსებაში მოვლენ, გაშეშდა. ბებერი მაკ-გარტი ვერ მიხვდა ამ გამოუთქმელს სიხარულს და ეგონა: უთოოდ ძროხები, რომლებიც კეტის მზითევს შეადგენდნენ, ეცოტავაო, და არწმუნებდა, რომ პირ-იქით იმან ძალიან სარფა ჰქნა და კიდევაც მოატყუილა მეზობელი.

მაგიერად ეს ამბავი კეტიმ სულ სხვა-ნაირად მიიღო. იმან გადაწყვეტილად უთხრა მამას, რომ არასოდეს არ შეირთავს გიუს. ის კიდეც დაიცინებოდა იმაზედ, რომ ოდესმე უნდა გამხდარიყო ჯავრიანი, მოწყენილი გიუს ცოლათა. იმისი საქრმო იყო პატრიკ სიულლივანი, და თუ ვისმეს შეითვისებს, უექველია პატს და არა სხვა ვისმეს. მამა ბევრს უჯავრდა, დასწყევლა თავისი ნებიერი და თავწასული კეტი, მაგრამ პატარა კუდიანმა მაინც თავისი გაიყვანა. მეორე დილით მოვიდა პატის მამა და მისცა წინადადება თავის შვილის სახელობით. მოხუცს ოფლინს მალე გადაათქმევინეს მაკ-გრატისადმი მიცემული პირობა.

კეტის საშინლად უყვარდა პატი, ის მისთვის საქაოს ყველაფერს შეადგენდა. მხიარულმა, მომხიბლავმა, მაგრამ უქმმა და ზარმაცმა პატიმ სამს დღეში დაიმორჩილა კეტის გული, ის გული, რომლის შეძენასაც ამაოდ სცდილობდა გიუ მთელს თავის სიცოცხლეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებერი ოფლინი კარგათ ჰგრძნობდა თავის დანაშაულს და სანანურად ჰქონდა თავის ბებერი მეგობრის ლალატი. მაგრამ კეტი როგორც უნდოდა ისე ამოქმედებდა მამას. ის ემუქრებოდა, ვითომ მცირეოდენ მისი ნების უარყოფაზე, გაიქცევა და წყალში დაიღრჩობს თავს. მოხუცმა დაუთმო, მაგრამ რადგანაც ეშინოდა მაკ-გარტის და მისი შვილის მრისხანებისა, წავიდა თავისის ქალით ოცი მილის სიშორეზედ, ნათესავებთან; იმათ დასტოვეს წერილი, რომელიც აცხადებდა მათს საიდუმლოს. პატი და იმის მამა გაჰყვნენ თან და მეორე დღეს ქარაფშუტა ახალგაზდები შეერთდნენ საუკუნოდ.

ჯვარის წერის შემდეგ, კეტი, სრულიად კმაყოფილი თავის მხვედრით, ტიკტიკებდა, ყბედობდა და იცინოდა ნაცნობ დედაკაცებში, როცა პატი მოშორდა არაყის მოსატანად. უეცრად ოთახში შემოვარდა მეზობელი და, გაყვითლებულმა და აღელვებულმა, შეჰქნა ყვირილი, რომ გიუ—გრატი ეძებრა მწვანე მინდორზე პატსა და, უეჭველია, მოუკლავს არ გაუშვებს.

გულ გახეთქილი კეტი გაიქცა ბრძოლის ველისკენ; მართლაც, ახალგაზდა კაცები იბრძოდნენ თავგამოდებულები სასიკვდინოთ. გიუ მოვიდა იმ ბეჯით განზრახვით, რომ მოეკლა თავისი ბედნიერი მოწინააღდეგე. ამ საშინელს წამში კეტიმ შენიშნა, რომ ის თითქო სულ გამოცვლილიყო, მოუხეშავი, სულელი ჯაბუკის ნაცვლად იმან ნახა თავის წინ მხნე, გამბედავი და შემძლე კაცი გიუ.

კეტიმ კარგად იცოდა, რომ პატი ევრეთს მძლავრს მტერს ვერას დააკლებს, ის იყო უფრო სუსტი და უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ტანისა. მართლაც, გიუმ მალე დასცა ის მიწაზე და თითონაც დააწვა ზედ. პატი უაზროდ, უფიქრელად სცემდა, საცა მოხვდებოდა, გიუ სიბოროტისაგან გაშმაგებული სასიკვდინოდ სცემდა. გარე-შემოხვეული ხალხი უცქეროდა შიშით და გაოცებით ამ ჩხუბსა. ყველანი მოელოდნენ, რომ პატს გიუ მოჰკლავს, მაგრამ არავის არ უნდოდა მათი გაშველება, რადგანაც დიდი ბედნიერება არის ირლანდიელებისთვის ჩხუბი.

კრიტიკულს წამში გამოვარდა ასპარეზზედ კეტი და ჩავარდა მებრძოლთა შუა. ის ინსტიკტით მიხვდა, რომ მთელი მისი ძალა შესდგებოდა გიუს სიყვარულში, ამიტომ ეცა მას ხელებში და ჩამოეკიდა კისერზედ; პატს ღონემ სრულიად უმტყუვნა; გიუს შეეძლო ერთის დაკვრით გაეთავებინა მისი სიცოცხლე, მაგრამ იმისთვის ძნელი იყო კეტის ხელიდამ განთავისუფლება. მისი პატარა ხელების შეხებამ ჩამოაცალა იარაღი გაჯიუტებულ დამმარცხებელს. მას არ ესმოდა კეტის მხურვალე თხოვნა, ვერ ხედავდა იმის ცრემლებს. მაინც ნაზათ მოიშორა იგი და წამოდგა, არც კი დაუხედია უგრძნოდ მდებარე პატრიკისთვის, ისე ჩუმად გაშორდა; ის გააცილა ხალხის აღტაცებულმა ყვირილმა.

როგორც ყველა სუსტ ხასიათის პატრონს კაცსა, პატრიკ სიულლივანსაც არ შეეძლო დაევიწყა ეს ამბავი და მიეტევებინა თავისი დამარცხება. ის წითლდებოდა სირცხვილით, რომ კეტმა ნახა დამარცხებული; თუ იმას იმედი ჰქონოდა, რომ ოდესმე შეიძლებს გიუს დაძლევას, უეჭველია, ის პირველსავე შემთხვევაში განაახლებდა ბრძოლას, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ამიტომ მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში ჩაინერგა მწარე სიძულვილი გიუსადმი, რომელიც დროს განმავლობით უფრო და უფრო უძლიერდებოდა, -მით უფრო, რომ ამ სიძულვილს მოემატა მოშურნეობაც.

იმან აუკრძალა ცოლს ყოველივე კავშირი და თითქმის ლაპარაკიც თავის მტერთან. ეს ბრძანება ძალიან ძნელი ასასრულებელი იყო, რადგანაც, მამის სიკვდილის შემდეგ, გიუ გადასახლდა იმავე მთებში. მაგრამ ეხლა ისინი სცხოვრობდნენ კარგა შორს იმ სოფლიდგან, სადაც ბრძოლა მოხდა და, თუ იცოდა როდისმე ვინმემ, რომ კეტი ოფლინი ერთხელ გიუს საცოლო იყო, დროს განმავლობით სრულებით დაავიწყდათ.

გიუს ცოლი აღარ შეურთავს და იმ დღიდგან ატარებდა მარტოობაში საოცარს ცხოვრებას. მისი ბუნებით მოღრუბლული ხასიათი უფრო მრისხანე გახდა, იმისი ყველას ეშინოდა, და არცარავის უყვარდა. მისი ცხოვრება იყო საიდუმლო და ეს დანაშაულობა არ შეეძლოთ მისთვის მიეტევებინათ. ამასთანავე ის იყო მდიდარი და ყველა საქმე ისე ემარჯვებოდა, რომ ეჭობდნენ, ვითომ მას ქონოდეს რაღაც საიდუმლო კავშირი მავნე სულთან. როცა მეზობლებს ცუდი კარტოფილის მოსავალი ჰქონდათ, იმისი საუკეთესო იყო ხოლმე, როცა მეზობლებს პური არ მოუვიდოდათ, იმას მშვენიერი სამკალი ჰქონდა. რა საქმესაც კი ხელს მოჰკიდებდა, ყველაში გაიმარჯვებდა. არ ვიცით ცოდნით მოზდიოდა, თუ ბედის შემწეობით, მხოლოდ ისკი ბეჯითად ვიცით, რომ საქმე ასე იყო და ამიტომ იმას ყველანი სთვლიდნენ ძალიან მდიდრათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზედ უფრო იმ მიზეზით არ ჰქონდა ხალხში გიუს კარგი სახელი, რომ არასოდეს არავის არა შველოდა და არც არავისთან მეგობრობა ჰქონდა. ცოტ-ცოტათი ყველანი ჩამოეცალნენ და ისიც მიეცა განმარტოებულ ცხოვრებას, რომელიც სწორეთ მის გემოვნებას ეთანხმებოდა. დროს განმაელობით მისი გვარიც კი დაავიწყდათ; ის გახდა მეზობლებისთვის შავ გიუთ და საშიშრათ მთელი იმ მხარისათვის.

მხოლოდ შესახებ მისტრის სიულლვანისა ის ამხელდა მეგობრულ გრძნობებს. საწყალი, სიღარიბით და მწუხარებით დაჩაგრული, დედა-კაცი დიდის სიამოვნებით ისარგებლებდა მისის მეგობრობითა. იმან ახლა მწარე გამოცდილებით დაინახა, თუ რა კეთილ-შობილური სული იპოებოდა მასში, და რა ნაზი გულ-კეთილობა იფარებოდა მისს მიუკარებელ კან ქვეშ. კეტი სცდილობდა, რამდენჯერმე, შეერიგებინა ის და თავის ქმარი, მაგრამ პატს არ შეეძლო წარსულის არც დავიწყება და არც მიტევება და ამიტომ მისი სიძულვილი გიუსადმი დღითი დღე უფრო მატულობდა. ერთხელ, როცა ის შინ მობრუნდა, ნახა იქ გიუ, რომელსაც კეტი უამბობდა მას თავის მწუხარებას, რადგან იმათ ცოტ-ცოტათი მიაწიეს სიგლახაკემდის. პატმა არ უთხრა არც ერთი სიტყვა გიუს, მაგრამ, როგორც კი ის წავიდა, საშინლად სცემა ცოლსა. ეს იყო პირველი შემთხვევა მის სიცოცხლეში და კეტიმ ის გაამართლა მით, რომ მთვრალი იყო. ზნეობითი ცემა უფრო უმძიმესი იყო ფიზიკურზე; დროს განმაელობით ის შეეჩვია ამ ცემას, რომელიც უფრო ხშირდებოდა დღითი დღე, მაგრამ პირველი ცემა ღრმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩნდა იმის საწყალს, მტკივანს გულს. იგი წინანდებუ-ლად დასტრფიალებდა თავის ლამაზს, გარყვნილ ქმარს და ცდილობდა დაეფარა ყველა მისი ნაკლულევანებანი; იმისთვის ის არ იყო ზარმაცი, ლოთი, თავ-მოყვარე და საძაგელი, არამედ, ის იყო უგულითადესი საყვარელი ქმარი.

მას აქეთ კეტი აღარ ელაპარაკებოდა შავს გიუს, მაგრამ შეატყობინა კი უჯიათი სიძულვილი პატისა მისდამი და მწარე შედეგი, რომელიც ამას მოელოდა მისი ბრძანების გატეხისათვის. მაინც ეს არ უშლიდა გიუს, რომ ის დარ-ჩენილიყო მის საიდუმლო მეგობრად. ბევრჯელ გადურჩე-ნია იგი დალუპვისაგან. ხშირად, როცა უკანასკნელი საგ-ძალი კარტოფილისა გამოელეოდათ და არ იცოდა რა ექმია ოჯახობისთვის, მისტრის სიულლვანი იპოვნიდა ხოლმე დაფარულად მოტანილს მთელს ტომარა კარტო-ფილს. ერთხელ მათ გაყიდეს ღორი მამულის რენტის გადასახდელად და მეორე დღეს კი მორამ, რომელიც მაშინ სულ პატარა ბალღი იყო, თავის დიდ სასიხარუ-ლოდ, იპოვნა სხვა ღორი სახლის გვერდზედ.

მაგრამ ამ გარედგან შემწეობას ვერ შეეძლო ოჯა-ხის ფეხზედ დაყენება, როგორც წყლით ცხრილის ამსება არ შეიძლება. როგორც კი გამოვიდოდნენ ისინი ერთი შეწუხებიდგან, ლოთი და მფლანგავი პატი აგდებდა მათ სხვა ახალ უბედურობაში. ყველა ღონის-ძიება ამაო იყო. ისინი ნელ-ნელა, მაგრამ სწორის გზით უახლოვდებოდ-ნენ შიმშილით სიკვდილსა. ბოლოს, ჩვენი მოთხრო-ბის დაწყების წინეთ, იმათ გაყიდეს ძროხაც და ღორიც; ყოველივე საშუალება ცხოვრებისა მოესპოთ. მისტრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიულლივანს რცხვენოდა, რომ სცხოვრობდა იმ კაცის მოწყალებით, რომელსაც ისე სასტიკათ აწყენინა, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდა. პატისგან განთავისუფლებული, ის უთუოთ მიმართამდა შველის სათხოვნელად გიუს, მაგრამ ესეც რამდენიმე კვირით სადღაც წასულიყო; ასე, ამ გვარად მისი უკანასკნელი იმედიც განქრა და ოჯახს ბევრი აღარა უკლდა-რა შიმშილისგან სიკვდილამდე. ბალინავინში მოგზაურობის მეორე დღეს, როცა ის იწვა თითქმის უგრძნობლად, იმან ყური მოჰკრა, რომ ბებია დედაკაცი ელაპარაკებოდა მეზობლებს შავი გიუს დაბრუნებაზედ, რომელიც ვითომ უწინდებულად დადის მთებში და აშინებს ყველას თავის საშინელი სახით და ხმა-მაღალი წყევა-კრულვითა. ეს საკმაო იყო მომაკვდავი დედაკაცისათვის: იმან განიზრახა, ენახა შავი გიუ და მიენდო იმის ნაზ მზრუნველობისათვის თავის უქნარა ქმარი და საწყალი შვილები. ჩვენ უკვე შევიტყეთ, რომ ეს მხურვალე სურვილი დაგვირგვინდა წარმატებით.

მისტრის სიულლივანი იყო მთელი ერთი საათის მკვდარი. გიუ მაკ-გრატი ისევ ისე უძრავად დაჩოქილი იდგა მის თავთან. მორას ბღრიალი ხმა-მაღლად ისმოდა უბედურს ქოხში. ის სწორეთ გიჟდებოდა მწუხარებისაგან. სიცოცხლე, დედის სიყვარულს და მზრუნველობას მოშორებული, იმას ეჩვენებოდა შეუძლებლად. იმის სასო-წარკვეთილს ყვირილზედ მოირბინა პატმა, რომელიც წასულიყო ფეხ-შიშველა ახლო მთებზედ სარბენათ; იმან დიდათ დააჭყიტა თვალები და როცა, თვისდა საოცრად, დაინახა საშიშარი შავი გიუ, მიიტუზა ერთს მოშორებულ კუთხეში და დაუწყო მთელმა ტანმა კანკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ის, მორას მაღლა ხმით ღრიალზედ და ვაივავლახზედ, მიხვდა, რომ დედას რაღაც შეემთხვა საშინელი; მან შეიკრიბა უკანასკნელი ღონე და მიცოცდა იმის უსიცოცხლო ყვითელ სახესთან. მან არ იცოდა, რა არის სიკვდილი, მაგრამ უგრძნობლობამ და სიჩუმემ სხეულისამ შეაძრწუნა და გაჰგმირა მისი პატარა სული. ის დარწმუნებული იყო, რომ უთუოთ შავმა გიუმ შეაწუხა მისი დედა; მან დაივიწყა შიში და ეცა შეკუმშული მუშტებით, მაგრამ, მინამ მიაღწევდა თავის მტრამდის, იმან უცებ მოისაზრა, რომ იმისი პატარა მუშტები საკმაო არ იყვნენ ამ გვარის ეკზეკუციისათვის, და ის გაშმაგებული დაეტაკა შავს გიუს ხუჭუჭ-თმიან თავითა.

გიუმ ჩუმად დაიჭირა ის თავის ღონიერი ხელებით; ბავშვი წამოჭარხლდა და მხეცურად შეჰყვირა:

— ოხ, ოხ, ოხ! შავმა გიუმ მოკლა დედაი!

— ოხ, ოხ, ოხ! იმეორებდა მორაც.

— სუ, სუ! აჩუმებდა გიუ ბავშვებსა. მაგრამ პატი ისევ ყვიროდა და იცემებოდა; მაშინ გიუ ადგა იატაკიდგან და ხელში კი მაგრა ეჭირა პატი, რომელიც სცდილობდა მისი ხელიდამ გასხლტომასა. გიუ მოტრიალდა და პირის-პირ შეეფეთა კაცს, რომელიც შეუნიშნავად შევიდა ქოხში.

ეს იყო პატრიკ სიულლივანი. როცა ამან დაინახა თავისი ძველი საზარელი მტერი თავის წინ, არ უნდოდა დაეჯერებინა თვალებისათვის. ეს უთუოთ სიმთვრალით მომელანდაო და დაიწყო ჩუმათ თვალების ფშვნეტა.

გიუმ გაუშვა პატი და პირ-დაპირ შესცქეროდა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეის ბედნიერ მოწინააღმდეგეს, რომელიც იმან ქორწილის დღეს, ისე საშინლად დაამდაბლა კეტის თვალში.

პატრიკი დიდ-ხანს არ ყოყმანობდა. ის გრძნობდა მხოლოდ ერთსა: რომ მისმა ცოლმა ბრძანება არ შეასრულა. ის შეიპყრა ბრმა, მხეცურმა მძვინვარებამ; თავისი სიბოროტის ამონთხევა ლონიერს გიუზედ იმისთვის შეუძლებელი იყო და იმან მოიფიქრა მისი დასჯა უფრო საგრძნობელად.

იმან ეშმაკური ინსტიკტით იგრძნო, რომ თვითეული თმა მის ცოლისა ათასჯერ უფრო ძვირფასი იყო გიუსთვის, სინამ მთელი თავისი დიდი ფიგურა. იმან მხეცურად გადიხარხარა, რადგან წინათვე გრძნობდა თავის დღესასწაულობას.

კეტიმ გაბედა და მისი ბრძანება არ შეასრულა? იმან მიიღო სტუმარი მის იქ არ მყოფობის დროს! იმის უბოროტესი მტერი იყო მის სახლში, როგორც თავის საკუთარში და იმას კი სძინამს მის წინ მშვიდობიანათ! მე იაფათ არ დაუსომ ღალატს! ის მიიჭრა მასთან ელვის სისწრაფით.

მკვდარი ბალღი უწვა ეხლა დედას ხელებზედ და ორივენი იყვნენ წახურულები, რამდენათაც კი ნებას აძლევდა ფალასები. მძვინვარებით დაბრმავებულ პატს ეჩვენა, რომ იმათ ორივეს ეძინათ და მინამ მორა ან გიუ მიხვდებოდნენ იმის განზრახვას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა შემოჰკრა მუშტი პირის-სახეში უბედურს მკვდარს დედაკაცს.

იმან აიმაღლი ხელი მეორეჯაც, მაგრამ მჭვრეტელნი ამ საშინელი სანახავისა, ეცნენ მას და ძალით წაათრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს უკან. ის შეკრთა და მხეცურად იწყო ცქერა. რატომ არ გაიღვიძა? ან რასა ბუტბუტებდა მორა ხმა-მაღალს ქვითინში? იმან შეხედა შავი გიუს მოღრუბლულ და მრისხანე სახეს. რას უნდა ნიშნავდეს ესა? ის გაყვითლდა როგორც ლიმონი და დიდი ცივი ოფლის სხვილმა წვეთებმა დაასხა შუბლზედ. ბოლოს შეიკრიბა ღონე და სთქვა ყრუ ხმით:

— განა მოკვდა?

— ჰო, მოკვდა, უპასუხა გულ ამომჯდარმა მორამ.

ეს სიტყვები ლოდივით მოხვდნენ მას გულზე, თვალთ დაუბნელდა და მუხლთ მოეკვეთა. მისმა საწყალმა ცოლმა შური იძია ას-ჯერ უფრო მეტად. გიუს, მორას, პატის და მრთელს მის ოჯახს, რომელიც მან ჩააგდო სიღარიბის და მწუხარების უძირო უფსკრულში, არ შეეძლოთ მოეფიქრათ მისთვის უარესი სასჯელი. დელიკატნური ბუნება ნებას არ აძლევდა გიუს იქ ყოფნისას, როცა მისი ერთხელ ბედნიერი მოპირდაპირე ასრე მცირდებოდა. ის ჩუმად გამოვიდა ამ სიკვდილის ბინიდგან და ნელად გაემართა გრძელს უდაბნო ბილიკზე თავის სახლისკენ.

ცოტ-ცოტაობით, მორამ უამბო მამას ყველაფერი, რაც მოხდა, და ცდილობდა ენუგეშებინა იგი მაგრამ პატრიკი არ იკარებდა არა გვარს ნუგეშს. ის მხოლოდ ეხლა გრძნობდა ცოლის სიყვარულს და ერდგულებას, რომელმაც მისი გულისთვის უჩივლელად აიტანა იმდენი ტანჯვა. ის დაემხო მუხლებზედ თავისი მკვდარი კეტის წინ, ეხვეოდა მის უსულო სხეულს და ისტორიკულად ქვითქვითებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ-ხანს, მის შემდეგ, რაც გვამი საწყალი მისტრის სიულლივანის და მის პატარა კატლინისა მშვიდობიან სასაფლავოზედ მიაბარეს მიწას, სვინიდისის მხილებისაგან ტანჯული პატრიკი ვერ-სად ვერ ჰპოულობდა მოსვენებას და მცირე შრიალზედაც კი თრთოდა, შემოდგომის ფოთოლივით. როგორც ცის წყევა-კრულვა, ზდევნიდა მას შემაგინებელი ცემა. თუმცა პატერი ჯონი აძლევდა რიგიან დარიგებას და ნუგეშს პატრიკ სიულლევანს, მაგრამ ის, მისი დაბრუნების ტრაგიკული მინუტიდამ, სულ სხვა კაცი გახდა, უცებ დაბერდა, ჩამოხმა და დაეცა სულით.

## V.

სიცივეებმა ცოტ-ცოტათი გაიარეს და დადგა გაზაფხული. როდესაც განქრა პირველი კვეთება განწირულებისა, პატრიკი მიეცა მოქრუშულ ფიქრებს, რომელნიც იმის ხასიათს სრულებითაც არ ეთანხმებოდნენ. მთელი საათობით ის იჯდა ხოლმე კერასთან გაჩუმებული უმოძრაოთ. მორა უყურებდა მას განცვიფრებით შუბლ-ქვეშიდან და ეშინოდა ამ საოცარი მოქურუხებული კაცისა უფრო, მინამ მხიარული და შექცევის მოყვარე მამისა, რომელიც მთვრალი მოდიოდა ხოლმე ღამ-ღამობითა.

ახ, რა კარგი იქნებოდა, რომ მას ეშოვნა სამუშაო, წასულიყო მთებში და მით აეცდინა თავიდამ ის მუდმისი გარინდება, რომელმაც ჩააგდო მთელი მისი სიცოცხლე უძლურს და უნუგეშო უსაქმობაში!

მრთელი მათი ოჯახი, მაინც კიდევ, გიუს ხარჯზედ

სცხოვრებდა და ამ გამუდმებულმა სხვის შემწეობამ გაუხსნა მორას ახალი გრძნობა დამოუკიდებელის თვით-მოქმედებისა. მათდამი კეთილ-მოქმედება კაცისა, რომელიც თუ პირ-და-პირ არ იყო მათი ოჯახის მტერი, მაინც-და-მაინც სრულიად უცხო იყო მათ-თვის, ჩუმად უხრავდა მას გულსა.

მაინც კი ბავშვები საწყალი მისტრის სიულლევანისა არასოდეს ასე მაძღრები და მოსვენებულნი არ ყოფილან. პატარა პატმა, ყმაწვილური ბედნიერ უზრუნველობით, დაივიწყა ყველა თავისი წინანდელი მწუხარება და მხიარულად იცინოდა, სჭამდა რა პურს და კარტოფილს, რომელიც მოჰქონდა მისთვის შავს გიუს.

გიუ ეხლა ყოველ-დღე მოდიოდა ხოლმე ქოხში. ძველი მტრები ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, თითქო არც კი ხედვენ ერთმანეთსაო, მაგრამ მორა კი ატყობდა ხოლმე, რომ მის მამას, ყოველს მათი საოცარი კეთილის მყოფელის მოსვლაზედ, რაღაც შეზარავდა. იმან არ იცოდა მიზეზი ამათი მძულვარებისა, მაგრამ ეს უკანასკნელი ძრიელ აწუხებდა მას, რადგანაც ეხლა იმას ძალიან უყვარდა გიუ. მართლაც ისინი ყველაფრით დავალებულნი იყვნენ მისგან. იმას მოჰქონდა მათ სახლში საჭმელი, სითბო, ტანთ-საცმელი, იმედი და სიცოცხლე. მაგრამ მორას მამამ რაღაც საოცარის ძალით შეიძლო იმ ნიადაგზედ დაეყენებინა კეთილის მომქმედი გიუ, თითქო ის ყოფილიყოს მის მფარველობის ქვეშ. მადლობის ტვირთი დააწვა არა მის მხრებს, ვისიც ჯერ იყო. გიუ, პატის იქ-მყოფობის დროს, მადლს უხდიდა მორას გულ-კეთილად დახვედრისთვის. გიუ, სთვლიდა თავის-თავს პატრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისგან დავალებულად მით, რომ ეს უკანასკნელი სჭამდა იმის პურს და ითბობდა თავის ზარმაც ხელებს იმის ცეცხლზედ.

ბოლოს, ერთ მშვენიერ დილას, მორას დიდ სასიხარულოდ, პატრიკმა, მის ნაცვლად, რომ უსაქმოდ მჯდარიყო ცეცხლთან, აილო თავისი ჯოხი და გავიდა ქოხიდამ. მორა ვერა ხედავდა, რომ გამოეკითხნა რამ იმისთვის; მრისხანე გამომეტყველება მისი თვალებისა აშინებდა საწყალს ბავშვს, იმან ხმა არ ამოილო მის წასვლაზედ და შეწუხებით უმზერდა, როდესაც ის ეფარებოდა მთის ბილიკსა.

— ღმერთმა ჰქნას, რომ მან იშოვოს რამე სამუშაო, ჰფიქრობდა იგი: გიუ ძალიან კარგი კაცია, მაგრამ სად არჩენს ის უსაქმო, ზარმაც გლახებსა?

მაგრამ მოულოდნელმა ცვლილებამ, რომელიც მოხდა პატრიკ სიულლივანში, უფრო ახალი აღრეულება მიაყენა საწყალს მორასა. პატის ქცევა იყო რაღაც გაუგებარი და საიდუმლოებითი. ის ეხლა სრულებითაც აღარ რჩებოდა სახლში და, თუმცა არ მუშაობდა, მაგრამ მუდამ კი ლოთობდა და ეს აჩვენებდა, რომ იმას ჰქონდა რაღაც საიდუმლო შემოსავალი. ხანდისხან ის დაიკარგებოდა ხოლმე სამ-სამ დღეობით და მოვიდოდა მოულოდნელად მთვრალი ამხანაგებითურთ.

ამისთანა შემთხვევაში მორა და პატი მიიმალებოდნენ ხოლმე ქოხის მოშორებულ კუთხეში და მოიმძინარებდნენ თავსა. ხანდისხან ეს მყვირალა ამხანაგობა აავდებდა ხოლმე მორას, და მაშინ იმას უნდა ემსახურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის, მაგრამ უფრო ხშირად კი ყმაწვილებს ძილინებას აძლევდნენ.

ერთხელ, ღამე ცეცხლის ახლო შეიყარა ჩვეულებრივზედ მეტი გაბრაზებული დასი. მორას შესაზარად, მისი მამის მთვრალმა ამხანაგებმა მოინდომეს რაზედმე გულის გართობა, ააყენეს მძინარე პატი და მხეცური ხარხარით დააყენეს ფეხზედ, თითქმის ტიტველი. შიშისაგან მას უნდოდა ეტირნა, მაგრამ მამის შეხედვამ დაამშვიდა იგი.

უფროსი პატი იყო ძალიან მხიარულად, იმან აიყვანა თავისი შვილი და შეისვა მხარზედ, რამაც ძალიან გაახარა პატარა პატი. მერე დააწყებინეს ბალღს არაყის სმა და სწავლება საომარი ყვირილისა. იმას ასმევდნენ ღვინოს და აწყევლინებდნენ ბევრს მოწინააღმდეგე პირებსა. გამმონდის სახელი განსაკუთრებით ხშირად ისმოდა მათს წყევა-კრულვაში. პატიც, აღტაცებული არაყის და ტაშის კვრისაგან, იმეორებდა გაგონილ სიტყვებს, ისეთის მხურვალებით, რომ ლოთების დასი მოდიოდა აღტაცებაში.

— ყოჩაღი რამ არის შენი ბიჭი, პატ, შენიშნა მაღალმა, მზისგან გარუჯულმა კაცმა, რომელიც ამ დასის თავსა ჰგავდა.

— აბა შეჰყვირე: „მორს მტარვალებო! სიკვდილი მიწის მფლობელთა! სიკვდილი გამმონდის!“

— სიკვდილი გამმონდის! იმეორებდა მამის მხარზედ მჯდომი პატი და უკრავდა ტაშსა: სიკვდილი გამმონდის!

ბოლოს აღმაშფოთებელი სანახავი გათავდა. პატმა ერთს თავისი ქცევით აღტაცებულ კაცს, როგორღაც შინაურულად დაუწყო ლაპარაკი და იმან ისეთი სილა სტკიცა, რომ პატი გაექანა იმ კუნჭულში, სადაც მორა იწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა. მამა შვილს გამოესარჩლა და დაიწყო საზოგადო ბლადონი.

მორამ მიიფარა ხელები პარზე, იმან არ იცოდა რით გათავდება ეს ამბავი.

— კმარა, კმარა! შეჰყვირა მაღალმა გარუჯულმა კაცმა: გრცხვენოდესთ! ჩვენ ყველანი ძმანი და მეგობარნი ვართ, წმინდა საქმისთვის თავ-განწირულნი!

და იმან მშვიდობიანის სახით გააქრო ორი ქონის სამთელი, რომელნიც ანათებდნენ ამ საოცარს კრებასა. ეს ლაშქრობა ისეთი მარჯვე გამოდგა, რომ მეტი არ შეიძლება. მალე ყველანი გამოვიდნენ ქოხიდამ ერთმანეთის კინწისკვრით.

ამ გვარი სცენები გახშირდნენ და მორას სიცოცხლე გარდაექცა მძიმე ტვირთათ. იმას მუდამ ეშინოდა რაღაც საშინელებისა და მისი ერთად ერთი ნუგეში იყო გიუ. ის გაჩუმებული უსმენდა ყველა მის ნაამბობს, მწუხარედ აქნევდა თავს და არც კი სცდილობდა მის დამშვიდებას.

მართლაათაც, პატი მსწრაფად ეცემოდა და გიუს კი ვერ შეეძლო მისი შეკავება დაღუპისაგან. თანახმად თავის ფიცისა, რომელიც მან მისცა მომაკვდავ კეტის, იმას უნდა აესრულებინა დაპირება და გადაერჩინა პატი.

ეს ამ გვარი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და, მანამ გიუ მოიფიქრებდა, თუ რა ჰქნას, დადგა კრიზისი, რომელმაც გამოსცადა ის თავის ფიცის სიმტკიცეში, იმდენად, რომ არც კეტის, არც მორას და არც თვით მას თვალწინ არ წარმოუდგებოდათ.

იყო ცივი მოქრუშული მარტის დილა, მძაფრი ალმო-

სავლეთის ქარი უბერავდა. მორა იჯდა კარის ბჭეზე და თითქმის ვერც კი ატყობდა დარის სიავეს. ის ეძლეოდა მშვიდობიანს ტკბილს უსაქმობას. მისი მამა, ორი დღე იყო არ მოსულიყო შინა და მორა მის დროებით წასვლას სთვლიდა თავისი ცხოვრების ერთად ერთ მშვიდობიან დროთ. ის იყო ჩაფლული ფანტაზიურ ოცნებებში, როდესაც გამოაფხიზლა კეთილი გიუს მოსვლამ. ის იყო არა ჩვეულებრივ აღელვებულ მდგომარეობაში, მისი ჩვეულებრივი აპატია განქრა. მისი თვალები ველურად ელვარებდნენ.

— რა იყო? რა მოხდა? შეჰყვირა მორამ და წამოხტა ზეზედ.

— პოლკოვნიკის სინგლტონის მოურავი მისტერ გამმონდი მოუკლავთ. ის ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ დაწყევლილი პოლკოვნიკი სცხოვრებდა აქედამ შორს, დიდ ქალაქებში და უბრძანებდა ხოლმე მოურავს, რომ მან გამორეკოს სახლებიდამ წვიმაში და ტალახში ობოლქვრივნი, თუ ისინი ქირას ცოტას მაინც დააკლებდნენ. ამ გვარად მისტერ გამმონდს გადახდა იმ შევიწროებისთვის, რომელიც მან მიაყენა სხვებს და რომელშიაც თვითონ ბრალი არ ჰქონდა. ყმაწვილებს ერთმანეთისთვის შეეფიცნათ მისი მოკვლა და წარსულ ღამეს ის მკვდარი იპოვეს წყლის რუში.

აქ გიუ შედგა, და ძლივს მოიბრუნა სული. აქამდის მისგან ამ სიგრძე ლაპარაკი არავის გაეგონა და საქმე, რომელმაც ის აიძულა ამდენი ელაპარაკნა, უთუოდ რამ შესაზარი უნდა ყოფილიყო.

მართლაც, მისგან მოტანილი ამბავი საშინელი იყო.

შემკრთალმა მორამ დააჭყიტა თვალები. იმას თავის სიცოცხლეში წყევა-კრულვა და მუქარა ბევრი გაეგონა, სავაჭრო-დღეებში ის ხედავდა ბევრს ჩხუბებს, რომელნიც სისხლის ღვრამდის მიაწევდნენ ხოლმე, მაგრამ მათს მხარეში ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მოხდა ასეთი წინათ განზრახული, გულ-გრილი დამნაშაობა, კაცის კვლა! სისხლი გაეყინა მორას ძარღვებში. ამასთანავე ყველამ იცოდა, რომ თუ მისტერ გამმონდი ავიწროებდა ღარიბებს, ეს მისდა უნებურად ხდებოდა. პირ იქით, თითონ ის ძალიან გულ-კეთილი კაცი იყო და რაც შეეძლო სცდილობდა, რომ როგორმე შეემსუბუქებინა მწარე ხვედრი უბედურის ხალხისა, რომელიც მისი ბატონის მიწებზედ სცხოვრებდა. მორას ახსოვდა, რომ ერთხელ მან ტკბილი ღიმილით გარდაუგდო მას ერთი პენსი, რადგან მორამ მას ჭის კარი გაუღო. ეხლა კი, მორა ცხადად იდგენდა თვალ წინ, თუ მისი საწყალი სხეული, უსულო და გალურჯებული, როგორ ეგდო ტალახიან რუში.

ბუნებაც, თითქო, წინააღმდეგობას უწევდა კაცის საზიზღარ საქციელსა. ბნელი ღრუბელი ელვა-ქუხილისა წამოეფარა მთასა; გიუ, მორა და პატარა ქოხი წყვდიადით იყვნენ მოცულნი. ავდრის მომასწავებელი ორი-სამი მსხვილი წვეთი დაეცნენ საწყალ მორას სახეზედ, რომელიც მაღლა იცქირებოდა. ერთი წამის შემდეგ გაისმა საშინელი გრგვინვა ქუხილისა და დამაბრმავებელი ელვა გველივით დაიხლაკნა შავს ღრუბელზედ. მორა, გიუ და პატი საჩქაროდ შეეფარნენ ქოხსა. მათი შესვლის ერთი წამის შემდეგ დაუშვა საშინელმა კოკურა წვიმამ. მეორე ქუხილისაგან პატარა დაფუტუროებული ქოხი შეზანზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როგორც ქაღალდით აგებული შენობა. კიდევ დაიქუხა, მეორეთ, მესამეთ, ასე, რომ საქმე სახუმარი აღარ იყო.

ყმაწვილები მიეხუტნენ გიუს ცრუმორწმუნეობის შიშით. უცებ გარედგან მოისმა ფეხის ხმა. უთოოდ, რომელიმე საწყალს მგზავრს მოასწრო ავდარმა და ეძებს თავშესაფარსა. მორამ დაივიწყა თავის შიში და გამოჰყო თავი კარებში, რომ შემოიპატიჟოს.

მართლა და ქოხს მოუახლოვდა ვიღაც უბედური, ძვლებამდის დასველებული კაცი; ერთი შეხედვა საკმაო იყო მორასთვის, რომ მას ეცნო თავისი ზარმაცი, ლოთი მამა. იმას ძალიან შეეცოდა უბედური, რომელიც ასეთს ავდარში მოდიოდა, და თან გაეხარდა, რადგან შენიშნა, რომ ის მაგრად მოაბიჯებდა, ეტყობოდა, ფხიზელი იყო. მორა გაუშრობს მას ტანსაცმელს, გააძღობს და გაათბობს ცეცხლთანა; შესაძლოა, რომ მას ეშოვოს სამუშაო და მოიტანა თან ფულები, მაგრამ ეს ფიქრები, მალე გაიფანტნენ.

კიდევ გაისმა გრიალი და ელვის შუქზე მორამ დაინახა სახე თავისი მამისა, რომელიც კარებში შემოდიოდა. რამ გააყვითლა ის ასე სასიკვდინოთ? ნუ თუ ჭიქაქუხილმა?

— მამა! მამა! შეჰყვირა მორამ და სწვდა მის ხელს: იქნება თქვენ მთაში მოგეჩვენათ რამე? სთქვით, სთქვით, მაგრამ ნუ მიცქერით კი აგრე საშიშრად! ოხ!

მალე უბედურს ქოხში გაისმა საშინელი გმინვა. მორას გამჭრიახმა თვალებმა გაარჩიეს მამის სერთუკს და ჟილეტზე სისხლის ლაქები. ოხ! სისხლი! საწყალი ბავშვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებში ყველაფერმა ტრიალი დაიწყო, ისა ხედავდა ყველგან სისხლსა: ჭერზედაც კედლებზედაც და იატაკზედაც. საშინელი ნიაღვარი ხმიანობდა მისს გარშემო, ემუქრებოდა ჩანთქმასა და..... დიდის ძალ-დატანებით მორა გამოფხიზლდა თავისი ერთი წამის გარინდებისაგან.

გიუმაც შენიშნა გამამტყუვნებელი საბუთი მის ტანსაცმელზე და შეჰყვირა ზიზღით. პატრიკ სიულლივანმა არ წარმოსთქვა არც ერთი სიტყვა, მაგრამ მორას და გიუსთვის საჭირო არ იყო განჩინება ნაფიცი მსაჯულებისა, რომ მათ წინ მდგომს უბედურს კაცში ეცნოთ მკვლელი ჯონ გამმონდისა.

— დიახ, მე მოვკალ იგი, სთქვა ბოლოს გულ-გრილის განწირულებით მან, თითქო იმათს უსიტყვო კითხვაზედ უპასუხებდეს: ჩვენ გადავწყვიტეთ მისი სიკვდილი და წილი ვყარეთ. ბედმა ჩემზედ მოათითა. პატრიკ სიულლვანი თავის სიტყვას არ უღალატებს. უბედურმა შემამჩნია დამბაჩა და მითხრა: „პატ, მომეცით დამბაჩა, მე უნდა თქვენ დაგატუსაღოთ." მე მეტი აღარა მახსოვსრა, იმას უნდოდა გამოეტაცა ჩემთვის რევოლვერი, მე გავისროლე და ის დაეცა მკვდარი. იმასთან იყო მსახური, მაგრამ საზიზღარი, ლაჩარი, ის გაიქცა პოლიციის დასაძახებლად და მე კი მოვასწარ დამალვა. პოლიცია მეძებდა მე მთელ ღამეს და, რასაკვირველია, მიპოვის, იმიტომ რომ დაწყევლილმა მსახურმა მიცნო. პატრიკმა განწირულებით შეაჭყიტა თვალები მორას და გიუს.

ჯონ გამმონდის მოკვლამ ფეხზე ააყენა მთელი იმ მხარის პოლიცია, მით უფრო, რომ მსახური უბედურის მსხვერპლისა, პირ-და-პირ ამბობდა, რომ მკვლელში იცნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიკ სიულლევანი, თუმცა უკანასკნელს მართლად გამურული ჰქონდა სახე და ყალბი, გრძელი, შავი წვერიც გაეკეთებინა. ის, რასაკვირველია, გაიქცა მთებში და ყველა გასავლები მთის ბილიკებისა დაჭერილი იყო შეიარაღებულის ძალითა. პატრიკი მთელი ღამე დახეტიალებდა, ცდილობდა დაეხწია თავი, მაგრამ ყველა გზები იყვნენ შეკრულნი. სახლში მობრუნებას ის ვერ ჰბედავდა. მაგრამ მაინც კი ღონის გამოლევამ და განწირულებამ ის ბოლოს მოიყვანეს ამ ბუნებითს თავშესაფარში, რომელსაც, მაინც ვერ შეეძლო მისი დაფარვა; ის ეხლა მიჰხვდა, რომ უჭკუოთ გაყო თავი თოკში, იცქირებოდა მხეცურად აქეთ-იქით და თან კანკალებდა მთელის სხეულით.

— ჩქარა, მორა, ჩქარა, შეჰყვირა იმან უცებ და გაიძრო სისხლით გაწინწკლული სერთუკი: ჩამაყლაპე ერთი ყლუპა შრატი და მამეცი ცოტა კარტოფილი! მე მივდივარ მთებში. ღამე კი ისევ მელოდე შინა.

მორა დაემორჩილა. უბედურმა ხარბად შესვა მთელი კრუჟკა შრატი და შესჭამა რამდენიმე კარტოფილი. გიუ ამ დროს უყარაულებდა კარებთან თავის ბულდოგით. პატრიკმა მიიტანა თუ არა პირთან მეორე კრუჟკა შრატი, უცბათ ძაღლმა გულმოსულათ დაიყეფა, გარედამ მოისმა ლაპარაკის ხმა.

— პოლიცია, პატრიკ, პოლიცია! შეჰყვირა გიუმ: გაიქეცი აქედამ, ჩქარა, ჩქარა!

— ოხ! გიუ, გადამარჩინე, ღვთის გულისათვის, გადამარჩინე! წარმოსთქვა უარესათ გაყვითლებულმა პატრიკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიმალე, პატ! შეუბუზღუნა გიუმ.

მაგრამ პატს არ შეეძლო ადგილიდგან დაძვრა.

— სულ ერთია, მაინც მიპოვნიან, წაიბუტბუტა მან, მთელი სხეულით აკანკალებულმა.

— დაიმალე, დაიმალე, გაიმეორა გიუმ და სწვდა ხელში.

— წამოდით, მამა, წამოდით! შეჰყვირა მორამ და მოაცილა კარებსა.

პატრიკი დაემორჩილა და მიბობღდა ერთ კონა ფიჩხთან ქოხის ბნელს კუთხეში, რომელიც სრულიად მაინც ვერა ჰფარავდა მას.

ხმაურობა ახლოვდებოდა. მორა ხედავდა მწვანე მუნდირებს, რომლებიც მთიდამ ეშვებოდნენ. ბულდოგი გულზედ მოვიდა, მაგრამ გიუმ უბრძანა მას ქოხში შესვლა და ისიც დაიმალა კუნჭულში, მხოლოდ ისე კი არ თრთოდა შიშით, როგორც პატრიკი, პირ იქით იმას სისხლით აევსო თვალები და ელოდა მხოლოდ თავისი ბატონის ნების დართვას, რომ სცემოდა თუნდ მთელს პოლკსა.

შეშინებულმა და გაყვითლებულმა მორამ, შეაჩერა განწირულებით სავსე თვალები გიუს, თითქო მხოლოდ მას შეეძლო მათი გადარჩენა.

მოფიქრების და ყოყმანობის დრო აღარ იყო, გიუმ საჩქაროთ შეადგინა მოქმედების გეგმა, რაც უნდა ყოფილიყო პატრიკის სიცოცხლე უნდა დაეცვა. დარჩა მხოლოდ ერთი საშუალება მისი გადარჩენისათვის. სისხლის კანონი თხოულობდა მსხვერპლსა და მსხვერპლიც უნდა აღმოჩენილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვის სისწრაფით გიუმ გაიძრო თავისი პალტო და გადიცვა გასისხლიანებული სერთუკი პატრიკისა. ის მისთვის ძალიან მოკლე და ვიწრო იყო, მაგრამ როგორც იყო მოიწია და მშვიდობიანათ დაუწყო ცდა თავის ბედსა.

ერთს წამს უკან პოლიცია შემოერტყა ქოხსა, იმათ დაიგულეს ნადირი. მათ ყოფაქცევას, მათ შემძლებლობას ამხელდა რუკა და იმანვე მოიყვანა აღსრულებაში განზრახვა. დიდის ყოფით დაატუსაღეს გიუ. ავაზაკი მალე იპოვეს და უწინააღმდეგოთაც წაიყვანეს. ბრალდებულზედ ეჭვი შეუძლებელი იყო. იმას ჰქონდა შავი წვერი და ეცვა გასისხლიანებული სერთუკი.

— პატრიკ სიულლივან, უთხრა სერჟანტმა: მე თქვენ გატუსაღებთ კოროლევის სახელითა, რადგანაც გბრალდებათ წინად განზრახული კაცის კვლა. გიუმ ჩუმად დაღუნა თავი.

ამ წამს გამოვიდა ასპარეზზედ მსახური მისტერ გამმონდისა, რომელიც თან მოჰყვა პოლიციას.

— ეს პატრიკ სიულლივანი არ არის, სთქვა იმან:— ეს არის შავი გიუ. მე უსათუოდ შევსცდი, რადგანაც ძალიან ბნელოდა. მე მეჩვენა, ვითომც ფიგურა სიულლივანისა ყოფილიყოს, მაგრამ მაინც შემიძლიან დავიფიცო, რომ მკვლელსა ჰქონდა შავი წვერი და თვითონ ეს სერთუკი.

მაშინ დაუწყეს გიუს ჩხრეკა. იმის სერთუკის ერთ ჯიბეში იპოვეს რამდენიმე ტყვია. სერჟანტმა ამოიღო უბიდგან რევოლვერი, რომელიც გდებულიყო მკვდრის გვერდით. საფლავის მდუმარება სუფევდა, როცა ერთი იმ ტყვიათაგანი ჩასდეს ლულაში. ყველას ჟრუანტელმა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურბინა; ტყვია სწორედ ზომაზედ მოვიდა. სხვა რაღა საბუთები იყო კიდევ საჭირო? მკვლელი იყო დაჭერილი გამამტყუნებელ ნივთთან ერთად.

გიუმ ჩუმათ გაუწოდა ხელები; იმათ დაადეს ბორკილი და ის გამობრუნდა, რომ უკანასკნელად გამოეთხოვოს კეტის სახლს, მორას, ბულდოგს, თავისუფლებას და სიცოცხლეს. ნადირი მცაინადირეს და პოლიციელები კარგს გუნებაზედ მოვიდნენ; იმათ უკანასკნელად მისცეს თავისუფლება ტუსაღს, რომ გამოსთხოვებოდა მორას, თითონ კი გამოდგნენ კარის ბჭეზედ და მოუკიდეს ჩიბუხებს.

მხოლოდ ეხლა გაიგო მორამ მთელი აზრი გიუს კეთილშობილური მოქმედებისა. იმას ეშინოდა თავის მამის გამო და ამ მთაბეჭდილებით ღრმად ემორჩილებოდა გიუს. მაგრამ ამ წამში იმან იგრძნო მისი მოწამის მგზავსად თავის შეწირვა. მორამ კარგა იცოდა, რომ ამ გვარი დანაშაულობისთვის კანონი სიკვდილითა სჯის. განა შეეძლო იქამდის მიეშვა, რომ უკეთილშობილესს და უკეთესს კაცის თავზედ დაეფრქვიათ წყევა-კრულვა, როგორც საზიზღარ კაცის მკვლელზე? განა სამართლიანი იყო, რომ უბრალო დატანჯულიყო ბრალიანის მაგიერ? მაგრამ მორას მაინც კი არ შეეძლო მიეცა თავისი მამა იმ ხალხისთვის, რომელსაც სწყუროდა მისი სისხლი! არა! არა! ეს შეუძლებელია! მართალია, ის იყო დამნაშავე, მაგრამ მას და მორას აერთებდნენ სისხლის და ხორცის ჯაჭვები, რომლებიც უფრო მაგრები იყვნენ რკინის ბორკილებზედ. ის გრძნობდა, რომ საშველი გზა არ იყო, რომ გიუმ თვითონ შეიბორკილა ხელებიც და ფეხებიც. მხოლოდ წმინდა გულით აღიარებას ნამდვილი მკვლელისას შეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლო მისი გადარჩენა, მაგრამ მორა არ გრძნობდა თავის თავს იმდენად ღონიერად, რომ აეხსნა თვალები დაბრმავებული მართლმსაჯულებისათვის.

გიუმ თითქო გაიგო მისი აზრი. იმან დაადო მას მხარზე ერთი თავისი შებორკილი ხელი. როცა მორამ მოიწმინდა ცრემლები, შეხედა მას, ისეთი მხურვალე ვედრებით თითქო მოწყალებასა სთხოვსო. მაღალი ფიგურა, სქელი უბრალო შარვრით და ჭუჭყიან გასისხლიანებულ სერთუკით დაიხარა საწყალი ბავშვისკენ. გიუს სახეზედ ღიმილი ბრწყინავდა, მისმა შავმა თვალებმა დაჰკარგეს კვლავინდებული მხეცური ელვარება, შეჭმუხვნილი წარბები გაუსწორდა და სიტყვები თავისუფლად ისმოდნენ მის პირიდან.

— სუ! მორა, უთხრა მან მხიარულის კილოთი: — თქვენ ცუდი ბავშვი ხართ, თქვენ არ უნდა იტიროთ მაშინ, როდესაც მამა თქვენი გადარჩენილია. თვითონ განგებამ მომიყვანა მე აქა. სუ, მორა, სუ! კეტის სახლში, როცა ის ანგელოზი შესაძლოა აქაც იყოს, გიუს არ შეუძლიან თავისი სიტყვის გატეხა. მე დავიღალე, მორა, და სიცოცხლე მომბეზრდა; მე ძალიან მიხარიან, რომ მალე ვნახამ კეტის.

მისი სიტყვები ისეთის გაბედვით და სიხარულით იყვნენ ნათქვამი, რომ მორამ თავი დაანება ტირილს. ის შესცქეროდა გიუს პირ-და-პირ თვალებში, იგინი ბრწყინავდნენ ალტაცებით და კეთილშობილურ ამპარტავნებით. იმას მაღლა ეჭირა თავი და თითქო სცდილობდა თავის შეხსიერებაში ჩაებეჭდა ყველა უბრალო საგნებიც კი კეტის სადგომისა. გასამართლების და დასჯის დღესაც მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ ედგმება მხოლოდ ეს მოქრუშული ქოხი, განათებული შრომის მოყვარე და ერთგული კეტის სხივ ცისკროვანი სიცოცხლის ბრწყინვალებითა. სახრჩობელაზედაც მას მოესმის ყურებში კეტისგან დალოცვა.

მისტრის სიულლევანის სიკვდილის შემდეგ, გიუ ხშირად სტიროდა თავის მარტოობაზედ, მის უკანასკნელ სიტყვებს, მის ანდერძს—„იყავით პატის მეგობრად,“ ის არც ერთს წამს არ ივიწყებდა. როცა ხედავდა, რომ პატრიკი ახალს უფსკრულს უახლოვდებოდა და იმას კი არ შეეძლო მისი გადარჩენა, ის გრძნობდა მაშინ თავის თავს ბრალეულად, სიტყვის დამარღვევლად. ეხლა კი მოულოდნელად წარმოსდგა შემთხვევა, ბედნიერი შემთხვევა დაემტკიცებინა თვისი სიყვარული კეტისათვის, სიმტკიცე თავისი ფიცისა, მადლობა ღმერთსა, იმან შეიძლო, თუ როგორ ესარგებლა ამ შემთხვევით. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა სიცოცხლეს განმარტოებულ მეუდაბნოესთვის? რასაკვირველია, ბულდოგი, მორა და პატარა პატი, რომლებთანაც ის უკანასკნელს დროს ხშირად თამაშობდა, მას დაინანებენ, მაგრამ ისინი ისევ მალე დაივიწყებენ და ის კი მოკვდება იმ ნეტარის გრძნობით, რომ თავისი სიცოცხლე გასწირა კეტისთვის.

— მშვიდობით, მორა, უთხრა იმან ნაზათ: მშვიდობით ჩემო ლამაზო, შენ უნდა გაიზარდო და გასწიო პატის და მამიშენისთვის დედობა.

ის დაიხარა და პირველად ეხლა აკოცა ბავშვსა, მერე მოტრიალდა პატისკენ, რომელმაც ის იყო, შემოირბინა ქოხში, პოლიციელების ცხენების თვალყურიანად დათვალიერების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიხსენი ესენი, უთხრა იმან გიუს ბორკილებზე, და წამოდი ვითამაშოთ.

გიუმ დაიჩოქა და აკოცა მას. პატმა ყურადღება არ მიაქცია ამ არა ჩვეულებრივ სინარნარეს შავი გიუსას და განაგრძო:

— რათ ჩაგიცვამს შენ მამას სერთუკი?

— სუ! პატ, სუ! წადი ითამაშე ბულდოგთან, უთხრა გიუმ ღიმილით, გამოეთხოვა თავის ოთხფეხ მეგობარსა და უკანასკნელად გადახედა თავის სალოცავ ადგილს—კეტის სახლსა.

მორა გამოეკიდა მას, მაგრამ ის პოლიციელებით იყო კიდეც გარს შემორტყმული. ერთი წამის შემდეგ მორამ დაინახა, თუ როგორ ნელ-ნელა მიდიოდა ის მთის ბილიკზედ, შებორკილებული, სისხლით გასვრილ სერთუკში, მაგრამ ამაყათ აღებულის თავით, რომელზედაც თამაშობდნენ მრისხანე ღრუბლიდამ გამომჭვრეტი მზის ბრწყინვალე სხივები.

## VI.

გაიარა ექვსმა კვირამ. გიუს გასამართლების დღე დადგა და გათავდა წინათვე გადაწყვეტილ შედეგით. იგი ეხლა სულ-გრძელებით ელოდა თავის დასჯას რიჩმონდის სატუსაღოში, დუბლინში, რადგან მისი საქმე ირჩეოდა სატახტო ქალაქში განსაკუთრებული კომმისიით. მართებლობას ეშინოდა, რომ ადგილობრივი ნაფიცნი ერთობ მოწყალედ არ მოჰქცეოდნენ ბრალდებულსა. ხალხის მღელვარებამ მიაღწია უკიდურეს ზომამდის. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეთები სავსე იყვნენ მკვლელის შესახებ სტატიებით. გასამართლების დროს გულ-გრილად ქცევისთვის ზოგი უწოდებდა მას უწმინდურს ვეშაპსა, ზოგი უთითებდნენ მის სახის მეტყველებაზედ და ბრიყულ ქცევაზედ დამცველთა წინაშე. იგინი ულოცავდნენ მართლ-მსაჯულებას, რომ მან გადაარჩინა ქვეყანა ერთს საზარელს არამზადასა, რომელიც მის შესარცხვენად არსებობდა და თავისი უწმინდური ფეხით მიწას სთელავდა. დაამბოლოვეს ფიზიონომისტებმა, რომელთაც აღიარეს, რომ გიუს სახე და თავის ფორმა ნამდვილად აჩვენებენო, რომ მას დიდი მიდრეკილება უნდა ჰქონდეს ბიწიერებისადმიო.

ორმა თუ სამმა ხმამ გამოაცხადეს, რომ მაინც-დამაინც ბრალდებულში იყო რაღაც კეთილ-შობილური, რომ მისი მეტყველი სახე და ლამაზი ფიგურა სრულებითაც არ ამხელდნენ ბრალეულობის ან სირცხვილის გრძნობას. მაგრამ ეს თანა-მგრძნობთა ხმა ჩააჩუმა ზნეობით აღშფოთებულმა ხალხის გუნდმა.

გიუს არა-ფერი არ ეყურებოდა და არცარას აქცევდა ყურადღებას. მაშინაც კი, როდესაც წარმოსთქვეს მასზედ სიკვდილით დასჯის განჩინება, ის ერთი მუსკულითაც არ ათრთოლებულა. ამ შემთხვევამ ძალიან შეაზარა საზოგადოება. მეორე დღეს გაზეთებში ბევრს ლაპარაკობდნენ იმ ირონიულს ღიმილზედ, რომლითაც სასამართლოდამ გამოვიდა ეს გულ-ქვა ვეშაპი. მაგრამ ზალაში დაესწვრნენ ამ დროს ისეთი პირები, რომელთაც შეეძლოთ სრულებით სხვა რამე ეამბნათ. პატრიკ სიულლივანის ამხანაგები დიდის აღრეულობით ისმენდნენ სასამართლოს ბაას. იმათ ეშინოდათ, ვაი თუ გიუს დამც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველმა სულ სხვებს გადააბრალოს ეს საქმეო და, როდე-საც საქმე გათავდა, ისინი გამოვიდნენ ქუჩაზე, საშინლად განცვიფრებულნი და ამასთანავე სრულიადაც დამშვიდ-დნენ.

ეს ტლანქი, საოცარი, გაუგებარი და უპოპულიარო კაცი უნდა სიკვდილით დაისაჯოს და მათი მეგობარი პატრიკი კი დარჩება ცოცხალი და შესაძლოა კიდევაც სასარგებლო იარაღადაც გამოდგეს მათს ხელში. ისინი არ ელოდნენ ასეთს ბედნიერს შედეგს და კმაყოფილნი მობრუნდნენ ბალინავინში გიუს მალე სიკვდილით დას-ჯის ამბითა.

მორა, რომელმაც ამ შავ-ბნელს კვირაებში ბევ-რი რამ ისწავლა, ყოველ-დღე დადიოდა მთის დაკლაკ-ნილი ბილიკით ბალინავინში. ისა ჰგრძნობდა საშინელს ზიზღს თავისი მამისადმი და გამოუთქმელს სურვილს გიუს ამბის გასაგებათ.

მისი მამა არასოდეს ასე კეთილი და მისგან სიყვა-რულის ღირსი არ ყოფილა; ის ვერა ჰბედავდა ჩვეულებ-რივ გაერთო თავი ლოთობაში და, უნდა მართალი ვსთქვათ, არც ჰგრძნობდა მისს სურვილს. პირ-იქით ის ეძებდა ნუგეშს და დავიწყებას მძიმე შრომაში. მთელს თავის სიცოცხლეში, მან პირველად დაიწყო თავისი ოჯახი შვილის შენახვა პატიოსანის შრომითა. ეს გრძნობა მის-თვის ახალი იყო და მის თავის მოყვარებას პირ-ფერო-ლის სიამოვნებით ავსებდა.

მაგრამ თუ დანაშაულობა, რომელიც ამძიმებდა მისს სულსა, და საზიზღარი ჩუმი თანხმობა გიუს თავის შეწირვაზე არ აღელვებდა მამასა, მაგიერად იგი უფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდა გულს პატარა მორასა. ღამღამობით მორა წამოდგებოდა ხოლმე თავიანთ საერთო ნამჯის ქვეშსაგებიდამ და მიიკუნჭებოდა ქოხის მოშორებულს კუთხეში, რომ არ შეჰხებოდა მამის ულირსს და წაბილწულს სხეულს. მამას კი მშვიდობიანად ეძინა იმ დროს, როცა მორას ვერ შეეძლო თვალი მოეხუჭა. მორასთვის მისი ქცევის გაგება შეუძლებელი იყო. ნუ თუ ლოთობისაგან ის სრულებით დაეცა ზნეობით? ნუ თუ მას არა ჰქონდა სინიდისი და არ ებრალებოდა უბრალო კაცი, რომელიც მისი გულისთვის იტანჯებოდა? ნუთუ მას არ ეშინოდა ღვთის სამართლისა, რომელიც კაცთ მსაჯულებაზედ უფრო სამართლიანია?

პატრიკი ხედავდა, რომ მორა მას ერიდებოდა და ჩუმად, მწარედ მრისხანებდა მასზედ. აი მოვიდა ის დღეც, როდესაც შოიტანეს ბალინავინში ამბავი, რომელსაც მორა ასე დიდხანს ელოდა. გიუსთვის გადაეწყვიტათ სიკვდილი. მორა მრთელი დილა დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ცდილობდა შეეტყო ამბავი, რომელიც მისთვის ასე დიდათ საინტერესო იყო. არავის არ უნდოდა ეპასუხნა მის კითხვაზე და ყველა გამვლელები ბრიყვულად აარიდებდნენ ხოლმე თავს. მაინც კი ბრალდებულის სახელი და მისი პროცესსი ყველას პირზე ეკერათ, რადგანაც ისინი დიდათ საინტერესონი იყვნენ ყველა წოდების მცხოვრებთათვის. საღამოზედ, დაღალული და დაღონებული მორა ჩამოჯდა ვილასიც სახლის კარის კიბეზედ. აქ კი იმან სრულიად შემთხვევით გაიგონა ის, რის გაგებასაც ცდილობდა დიდ-ხანს ისე ამაოდ.

ორი ახალ-გაზდა, ჯან-მრთელი დედა-კაცი, რძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღვინის ფრად მღვივნი, მიდიოდნენ ქუჩაზედ: ერთს მათგანს ხელში ეჭირა ლოყებ დატკვრეცილი, მსუქანი ბავშვი. ისინი ლაპარაკობდნენ გიუს პროცესზე და მორა მოწიწებით უგდებდა ყურს.

— მე ძალიან მიხარიან, რომ იმისთვის სიკვდილი გადუწყვეტიათ, სთქვა ბავშვიანმა დედა-კაცმა: — რა სიმხეცეა მოკვლა ისეთი კეთილი კაცისა, როგორიც იყო მისტერ გამმონდი! მე იმას კარგად ვიცნობდი. — დანიშნული კი არის მისი ჩამოღჩობის დღე? ჰკითხა ცნობის მოყვარეობით მეორე დედა-კაცმა: — მე მინდა წავიდე სანახავად, მეც ვიცნობდი მისტერ გამმონდის.

— დღე ჯერ არ დაუნიშნავთ, მაგრამ ბრიტიგას გაუგონია, რომ მას ჩამოაღრჩობენ სამი კვირის უკან, ორშაბათს. იახ, ჯენი, ეს რა ემართება ამ გოგოსა?!

იმ წამს მორას თვალთ დაუბნელდა და დაეცა გულ-შემოყრილი. დედა-კაცებმა აიღეს ის ფილაქნიდამ და შეიტანეს მახლობელს, საწვრიმალო დუქანში, სადაც ის ცოტ-ცოტათი გამოერკვა.

მორა მობრუნდა შინ ცოცხალ-მკვდარი და შემდეგ ის აღარ წასულა ბალინავინში; პატარა ჭუჭყიანი ქალაქი იმისთვის სრულიადაც არ იყო საინტერესო. იმან გაიგო გიუს ბედის-წერის ამბავი. ყოველივე იმედი და მხნეობა განქრნენ მასში; ის გამუდმებულათ დაეხეტებოდა თავის სამშობლო მთებში, რაღაც გვარად აღშფოთებული.

ერთხელ დილით ის განაცვიფრა მოულოდნელმა შემთხვევამ: ვიღაცა დაკონკილმა ბიჭმა მოუტანა მას წიგნი, რომელიც ფოშტაში გდებულიყო მრთელი ოცდაოთხი საათი. მორა, რომელსაც მის დღეში წერილი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიელო და არც კითხვა იცოდა, ატრიალებდა ხელში კონვერტსა და დასცქეროდა ზედ. გულმა უგრძნო, რომ ეს წიგნი უბედურის გიუსაგან უნდა იყოს, და საჩქაროთ გაიქცა მეზობელ მისტრის ოდანოგიოსთან, რომელიც მრთელ მხარეში თავისი სწავლით იყო ქებული.

გამოჩნდა, რომ ეს წერილი იყო რიჩმონდის სატუსალოში პასტორისაგან გიუს თხოვნით დაწერილი. გიუ სთხოვდა მორას, რომ მას არ დაეკარგა დრო და წასულიყო მასთან გამოსათხოვრად. წერილში იყო ჩეკი ფოჩტის ბანკისა, მიუცილებელი საჭირო ხარჯის გადასახდელათ დუბლინამდის.

მისტრის ოდანოგიომ შეხედა მორას განკვირვებით და ეჭვით. ის იყო მუშაკი, გულ-კეთილი და უვნებელი დედა-კაცი: არა ჰქონდა მიზეზი ეჩივლა მისტერ გამმონდის შევიწროებაზე, დაენანა მისი მოკვლა და კმაყოფილებით მოისმინა გიუს სიკვდილის ამბავი.

მარგამ მორამ არ მოუცადა არც ქებას და არც გაკიცხვას, დაეშვა თავ-დაღმა შინისკენ. პატარა პატს შეეძლო უიმისოთაც ეცხოვრა რამდენიმე დღეს. რაც უნდა ყოფილიყო, მაინც კი მას უნდა აესრულებინა გიუს სურვილი. ის გაუვებრათ შებრუნდა შინა, ხელათ მოუმზადა თავის ძმას შრატი, პური და კარტოფილი, შემდეგ ისე მოუმზადებლად გაუდგა გზასა.

ბალინავინში იმან დაახურდავა თვისი ჩეკი ფოჩტის კანტორაში და მიიღო ჯგუფა ჭუჭყიანი ბანკის ბილეთები და პრიალა შილლინგები. იმას არასოდეს არ ენახა ამდენი ფული და ამიტომ მოიცვა შიშმა, რომ გზაზე არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურდონი. იმან გამოიკითხა, თუ როგორ დაუჯდება დუბლინამდის მისვლა და აიღო ბილეთი დილიჟანსში, რომელიც მიდიოდა კასტლტოუერში, სადაც იყო რკინის გზის სტანცია.

პაპანაქება მზე სწვამდა მგზავრებსა, მანამ დანჯღრეული, ძველი დილიჟანსი მთებზე აიმართებოდა. ცხენები ქაფში იყვნენ გაცურებულნი საშინელის სიცხისაგან. შედგებოდნენ ხოლმე, რომ მოლონიერებულიყვნენ თითო სტაქან არაყით, საათი საათზე გადიოდა, და ამასობაში დღეც მიიწურა. ბოლოს სახლებმა, რომელნიც გაჭიანურებულნი იყვნენ გზის სიგრძეზე, და მედილიჟანსეს ალელვებამ, რომელიც წარამარათ იქნევდა შოლტს, დაარწმუნეს მორა, რომ შესანიშნავი ქალაქი კასტლტოუერი შორს აღარ იყო. ჭეშმარიტის მადლობის გრძნობით მიესალმა ის ცივილიზაციის პირველს ნიშნებს, იმიტომ, რომ ძალიან დაიღალა და მშიერიც იყო. დილიჟანსში ის იჯდა გამხდარი კაცის და სქელი დედა-კაცის შუა, რომლებიც ყოველ სტანციაში ჩამოხტებოდნენ ხოლმე. გზაზედ სქელმა დედა-კაცმა ჰკითხა მორას, თუ სად მიდის ის.

— დუბლინში, უპასუხა მორამ გაუბედავათ.

— ამაღამ მიდიხართ და ისიც მარტო? გაოცებით წარმოსთქვა მისმა მოსაუბრემ: იქნება მეგობრები უნდა შეგხვდნენ კასტელტოუერში.

— მე მეგობრები დუბლინში მყავს, უპასუხა მორამ და გაწითლდა ტალახის მწვირეს ქვეშ, რომელიც მის სახესა ჰფარავდა.

— მეც ამაღამ მივდივარ დუბლინში, უთხრა სქელმა დედა-კაცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ აგრეა, იქნება თქვენ ნება მიბოძოთ თქვენთან ერთად წამოსვლისა?! ჰკითხა ამ მფარველი ქალის შეხვედრით ძალიან გახარებულმა მორამ.

იმან სრულებით არ იცოდა, შემდეგში როგორ გაეგრძელებინა თვისი მგზავრობა, რკინის გზის სტანცია და პოეზდი შეადგენდნენ მისთვის საშინელს გაუგებარ საგნებსა. ამიტომ მან ინსტიკტიურად ამოიღო რაღაც მჩვრიდგან მთელი თავისი ბილეთები და შილლინგები, რადგანაც მას არა ერთხელ შეუნიშნავს, რომ ფული თვით უნამდვილესი თილისმა არის, ყველა გვარ კარებების გასაღებათ.

— მე შემიძლიან მივცე გზის ფული, სთქვა მან ამაყად, და თუ თქვენ....

მორა შედგა. იმას უნდოდა მიეთავაზა სქელი დედაკაცისთვის ჯილდო მისის გულ-კეთილობისთვის, მაგრამ როგორ ექნა ეს კი არ იცოდა. შესაძლოა, რომ ამ შავ კაბიან დედა-კაცსა საწყენად დარჩეს. მისი შლიაპა, მორთული მწვანე ლენტებით და ყალბი ვარდებით, ჰბადამდა მორაში შიშს და ალტაცებასა.

მისმა ახალმა მეგობარმა უფრო ჩქარა გადასწყვიტა ეს ძნელი კითხვა. მაგრამ იმ სამი გირვანქა სტერლინგიდამ დახარჯა ბალინავინში დილიჟანსის ბილეთის ფასი და დანარჩენი ორმოცდა ხუთმეტი შილლინგი მომაცდუნებლად იდვა ეხლა მის ხელის გულზედ. სქელ დედა-კაცს თვალებმა ცბიერებით გაუელვეს.

— ოჰო, სთქვა მან და შეხედა გამხდარს კაცს: ხედავთ ამ ბავშვს რა აქვს? ორი გირვანქა და ხუთმეტი შილლინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმან დაუწყო ფულებს თვლა.

— ნუ თუ თქვენა ჰფიქრობთ, ჩემო შვილო, განაგრძელა მან, რომ ამ მცირე ფულით შეიძლოთ მისვლა სატახტო ქალაქამდის? დუბლინი ძალიან შორს არის. ორმოც და ხუთმეტი შილლინგით თქვენ ნახევარ გზასაც ვერ გაივლით. ასე არ არის, მაიკ?

მორამ შემდეგში მოიგონა, რომ მაიკი რამდენსამე წამს დაყოყმდა, მაგრამ სქელმა დედა-კაცმა შეიჭმუხვნა წარბები, დაუტყაპუნა ფეხი და გაიმეორა:

— ასე არ არის, მაიკ?

მაშინ მაიკმა სიჩქარით დაჰკრა კვერი მის სიტყვებს:

— ჰო, ჰო, ნახევარ გზასაც ვერ გაივლის.

— სწორეთ შუა გზაზე კონდუკტორები თქვენ გადმოგაგდებენ სადმე უდაბურ მინდვრებში და პოლიციას შეუძლია ისე მოგექცეთ, როგორც მაწანწალას, წარმოსთქვა დედა-კაცმა.

მორას სახე მოეღრუბლა და გული გაექანჩა, როგორც საქანჩავში. ამის რწმუნება ვიუსადმი ისეთი შეურყეველი იყო, რომ აზრათაც არ მოსვლია ბალინავინშივე გამოეკითხა რამ გზის ხარჯზედ. იმან, უეჭველია, გამოგზავნა რამდენიც საჭიროა. ის ფიქრი, რომ ვითომ მას დააგდებენ უფულოდ კასტლტოუერის და დუბლინის შუა, მინდორში, იმას ეჩვენა იმდენად საშიშრად, რომ მორთო ტირილი.

— კმარა, კმარა, ჩემო შვილო, ნუ სტირით, უთხრა სქელმა დედა-კაცმა, ის სცდილობდა დაემშვიდებინა მორა და თან აქეთ-იქით იცქირებოდა, შიშობდა, რომ ყურადღება არ მიაქციონ მორასათ:—მე ძალიან მიყვარან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა გოგოები. მე დიდი ხანი არ არის რაც მომიკვდა ქალი, რომელსაც სწორეთ ეგრეთი თვალები ჰქონდა, როგორიც თქვენა, ჩემო საყვარელო. მისი გულისათვის მე თქვენ წაგიყვანთ დუბლინში ჩემს ხარჯზედ. მე მადლობა არ მინდა, ხომ გითხარით, რომ მე მყამდა ქალი, რომელიც თქვენა გგავდათ. მე და მაიკი შეძლებული ხალხი ვართ და უფრო ადვილად დავხარჯავთ ფულსა, სინამ ის ვქნათ, რომ დავტოვოთ საწყალი ბავშვი უდაბურს მინდვრებში.

ამ თქმასთან მან გულ-გრილად ჩაიდო ჯიბეში ორმოცდა ხუთმეტი შილლინგი.

სქელმა დედა-კაცმა შეასრულა თვისი დაპირება. რკინის გზის სტანციაზედ იმან აიღო მორასათვის მესამე კლასის ნახევარ ბილეთი, რომელშიაც მისცა შვიდი შილლინგი და ექვსი პენსი. და მადლობელი ბავშვი ჩაჯდა ვაგონში თავის კეთილ-მოქმედის გვერდზედ. ყვირილმა, ფაციფუცმა და დასტვენამ გაუხეთქეს საწყალს გული და, როდესაც მატარებელი დაიძრა, სრულებით ვერ გაიგო რა ამბავი იყო იმის თავსა. მაღლა ადის, თუ იატაკის ქვეშ უნდა ჩავარდეს? რა მიზეზია, რომ მის თვალში მინდვრები ტრიალებენ და გარბიან?

— ნუ გეშინიანთ. ყველაფერი მშვიდობიანად გაივლის, უთხრა მაიკმა დამამშვიდებელის კილოთი: ნუ იცქირებით ფანჯარაში და ჩქარა დაეჩვევით ამ გვარს სიარულსა. ამ გზაზედ უბედური შემთხვევები არ მოხდებიან ხოლმე. მხოლოდ წარსულს კვირაში მატარებელი წაეჯახა ნახშირის ვაგონს და გაჭეჭყა რამდენიმე პასსაჟირი, მაგრამ ისინი ეხლა, ამის მოწყალებით უფრო ფრთხილად

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იქნებიან. შეექეცით ხაჭაპურს ღორის ხორცით, ეს მალიან ართობს ჭკუასა. შემდეგში თქვენ ყველაფერი უბრალოდ გეჩვენებათ.

მორა ძალიან მშიერი იყო და აილო ხაჭაპური მადლობის ცრემლებით. როცა დუბლინში მოვიდნენ ის ფეხ-და-ფეხ გამოჰყვა თავის მეგობრებს პლატფორმაზედ. ანთებულმა ფარნებმა, მუშების ყვირილმა და მთელმა ცოცხალმა სცენამ რკინის გზის დიდი სტანციისამ ისე შეაკრთეს ის, რომ შეშინებული იცქირებოდა აქეთ-იქით. კიდევ მადლობა ღმერთსა, რომ მასთან იყვნენ კეთილი მეგობრები. ის მოტრიალდა მაიკის და სქელი დედა-კაცისკენ, უი! ისინი გაქრნენ. მორა დარჩა მარტო, უკაპეიკოთ, უცხო ქალაქში ღამის თერთმეტს საათზედ.

ეხლა ის ელვის სისწრაფით მიჰხვდა, რომ მოატყუეს, მაგრამ როდისლა?! სქელი დედა-კაცი, მწვანე შლიაპით და ვარდებით, იყო ქურდი და არა კეთილი სამარიტელი, როგორც ეგონა უზაკველს ბავშვსა. მორა განრისხდა, მაგრამ ეს მრისხანება იყო ამაო. რა უნდა ექმნა ეხლა მას? რაღაც უიმედო განწირულებამ შეიპყრო იგი და უძრავად იდგა პლატფორმაზედ, რომელიც სწრაფათ ცარიელდებოდა.

დეჟურნმა ბარგის გადამზიდავმა მუშამ, რომელიც ათვალიერებდა ვაგონებს და ჰკეტავდა საღამოთ ყველა კარებებს, ცნობის მოყვარეობით შეხედა ამ პატარა, საოცარს გოგოს, რომელსაც ეტყობოდა, არ იცოდა, რა ექნა. იმას პირველად უნდოდა მისი გაგდება, მაგრამ ის ისე ნაზათ, ისეთი უსიტყვო მუდარებით უმზერდა მას, რომ.... რასაკვირველია ის არ იყო მატანტალა და ქურდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც მან ძალიან თანაგრძნობით ჰკითხა, რას უცდის იგი?

მისმა პატარა ცხვირმა, ხუჭუჭმა თმებმა და კეთილმა თვალებმა წამსვე დაიმსახურეს მორას ნდობა. ის დამშვიდდა. მართლაც, ის იყო დუბლინში და მაშასადამე მისი მიზანი მიღწეულია. ჯიბეში მას ჰქონდა წერილი სატუსაღოს პასტორისა და ამის ძალით მას მიუშვებდნენ გიუსთან.

— გეთაყვა, მიჩვენეთ გზა სატუსაღოსაკენ, უპასუხა მან: მორა სიყვარული არასოდეს არ დაგივიწყებთ თქვენ თავის ლოცვებში.

ახალგაზდა მუშამ გაიღიმა და გაიღრიჭა თავისი თეთრი სუფთა კბილები.

— დედა-კაცები იშვიათათ ჩქარობენ იქ ჩასაცვინათ, შენიშნა მან: ადრე თუ გვიან შენც იქ იქნები, როგორც მატანტალა. უთუოთ, მამაშენი ზის სატუსაღოში? ჰკითხა მან.

— არა, სატუსაღოში ზის კეთილი კაცი, რომელთანაც მე მოვედი ბალინავინიდამ, უპასუხა მორამ: ბოროტმა ხალხმა კი გამქურდეს და დავრჩი უცალფულოდ.

ახალგაზდა მუშამ მხიარულად გაიცინა, მისს საკვირველს ქცევაზედ, როდესაც საწყალი გოგო უამბობდა თავის უბედურს შემთხვევას.

— დღეს დაგვიანებულია სატუსაღოში წასასვლელად, შენ უნდა მოიცადო დილამდის, უთხრა მან.

მორამ ღრმად ამოიოხრა. ყოველს ნაბიჯზე მას წინ ეხიდებოდნენ ახალი ზღუდეები და ულობავდნენ გზასა. მაგრამ ახალგაზდა მუშა მეტი კეთილი-გულისა იყო, რომ დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოებინა საწყალი, დიდ ქალაქში გადმოგდებული ბავშვი ბედის ამარა.

— მე ღამის გასათევად შინ ვერ წაგიყვან, განაგრძო მან: ჩემი ბებერი დედა შიშისგან გადირევა, იმას მაშინვე მოეჩვენება, ვითამ შენ ქურდი ხარ და ასტეხს ალიაქოთს. წამოდი ჩემთან, მე გიშოვნი თავის შესაფარ ალაგს, სულელო ბავშო.

მორამ მას ეჭვიანად შეხედა. რაკილა მოტყუებული შეიქნა სქელი დედა-კაცის და მისი გამხდარი ამხანაგისაგან, იმას რწმუნება აღარა ჰქონდა ხალხზე. მაგრამ როცა იმან მოიგონა, რომ მას ფული აღარა ჰქონდა, დარწმუნდა, რომ ამ ჭაბუკს არ შეეძლო ანგარების მოყვარებით ემოქმედნა ასე და ამიტომ დაუყოვნებლათ გაჰყვა მას. გზა გრძელი არ ჰქონდათ. მისი წინამძღოლი შედგა დუბლინის ერთს ღამის გასათევ სახლთან და მისცა მეკარე დედა-კაცს ორი პენსი, მორას ღამის გათევისათვის.

— მე მოვალ შენთან ხვალ დილით, უთხრა მან და გაგაცილებ სატუსაღომდინ, ჩემო საწყალო, პატარა კუდიანო. ღამე მშვიდობისა!

იმან ერთიც გააღრიჭა თავის თეთრი კბილები და მსწრაფათ გაშორდა.

მორას მისცეს ჩალის ლეიბი დაბალი ოთახის იატაკზედ, სადაც ეყარა ბევრი ამისთანავე ლეიბები, რომლების დროებითი მფლობელები ხმა მაღლა ხვრინავდნენ. საწყალი გოგო ისეთი დასუსტებული იყო ამოდენა ვაივაგლახისაგან, რომელიც მან გამოიარა, რომ დიდათ მადლიერი იყო, როგორიც კი უნდა ყოფილიყო შესაფარი და ქვეშსაგები. ის ეხლა მარტო აღარც კი იყო, ისეთი

ნაციონალური ბიბლიოთეკა

ღრმა ნდობა ჰქონდა თეთრ კბილებიანი ახალი მეგობრისადმი.

როდესაც გაიღვიძა მეორე დილით, იმან ნახა თავისი თავი მხიარული, მოხარხარე, ხუმარი ხალხის ჯგუფში. რამდენიმე წამი ის ყურს უგდებდა მათს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკს, შემდეგ კი დაიბღერტა კალთები და გავარდა ქუჩაში.

მშვენიერი გაზაფხულის დღე იყო. ის ისე ბრმად იყო დარწმუნებული, რომ რკინის გზის ჭაბუკი მუშა მოვა მასთან, რომ ჩამოჯდა კარის კიბეზედ და დაიწყო ლოდინი. სწორეთ რვა საათზე გამოჩნდა ის ქუჩაზედ არხეინათ, მხიარულათ და სტვენით მომავალი. ეს სტვენა თითქო მისი ბუნების განუშორებელს ნაწილს შეადგენდა. ის, ალბათ, პირში სტვენით დაბადებულა და მთელს სიცოცხლეში უსტვენდა განუწყვეტლათ, მუშაობის დროსაც კი.

— აბა წავიდეთ ქალო, უთხრა იმან გულ-კეთილის ღიმილითა: აჩქარდი კი, თორემ მე ცხრა საათზე უეჭველად რკინის გზის სტანციაზე უნდა ვიყო: ოი, ოი, დაუმატა მან და დააშტერდა მოხრასა: შენ, მგონია, შიმშილით კვდები!

იმან მეტი აღარა სთქვა რა, გაემართა მახლობელ დუქნისკენ და უყიდა ერთი ბულკი და რძე. მორა მივარდა მათ სიხარბით, რადგანაც ოცდა ოთხი საათის განმავალობაში იმან მხოლოდ დილით, სახლში, შესჭამა ცოტა კარტოფილი და საღამოზე ვაგონში პატარა ხმაპური და ცოტა ოდენი ღორის ხორცი.

სატუსაღო იმყოფებოდა ქალაქის მეორე ნაპირში და პატარა გოგო, რომელიც წვალებით მისდევდა სწრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფად მოსიარულე მუშას, ჰპოებდა განსაკუთრებულს ნუგეშს იმისს განუწყვეტელს სტვენაში. თუმცა ცოცხალი, მხიარული მელოდიები, რომელთაც უსტვენდა მისი მეგობარი, სრულებითაც არ ეთანხმებოდნენ იმის მოქრუშულს გუნებას და მოსალოდნელს სამწუხარო შეხვედრას გიუსთან, მაგრამ ისინი მის პატარა მამაცურს გულში ამკვიდრებდენ იმედს და მხნეობას.

ნახევარ საათს უკან მათ მიაღწიეს უზარ-მაზარ, მოქურუხებულს შენობას. რომელსაც ერტყა მაღალი აგურის გალავანი.

— აი სატუსაღოც, სთქვა ჭაბუკმა და მოულოდნელად გაჩერდა კარების წინ, შესწყვიტა ერთს წამს სტვენაც.

მორამ საცოდავათ შეხედა მას. იმან გაიცინა და მაგრა ჩამოაწკარუნა ზარი. ქის კარი გაიღო და სატუსაღოს დარაჯმა გამოჰყო თავისი ბებერი, დაღმენჭილი სახე.

— ეხლა კი მშვიდობით, ჩემო ლამაზო, შეჰყვირა ყმაწვილმა კაცმა, აუხსნა რა დარაჯს მიზეზი ბავშვის მოსვლისა: იცხოვრე ბედნიერათ და ნუ გააჭყეტ ხოლმე აგრე დიდათ მაგ თვალებსა, ეგ ჯანმრთელობისათვისაც მავნებელია და ვერც შენს სულს დაიფარავს....

იმან ხმა მაღლად დაიმღერა ირლანდიის ცნობილი ლექსი, მერე გასწყვიტა ის ნახევარს ნოტზე, მხიარულად გაიხარხარა და გამოაჩინა კბილები. ერთს წამს უკან ის სწრაფად გაშორდა ქუჩას, დუბლინის მაწანწალების რალაც საყვარელი მელოდიის ხმა მაღლა სტვენით.

საწყალი მორა დიდ ხანს აწვალეს ოფიციალური ჩხრეკით, მანამ თვითონ სატუსაღოში შეუშვებდნენ. თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პირველათ კარის მცველმა წაიკითხა პასტორის წერილი, რაზედაც ათს წამამდის დააყოვნა. როდესაც ის დარწმუნდა, რომ საქმე იყო შესახებ მაკ-გარტისა, იმან ისე სასტიკათ შეხედა და იმ ნაირათ გაიქნია თავი, თითქო მორა კაცის კვლაში მონაწილე ყოფილიყოს. მერე იმავე ეჭვიანის სახით, იმან გადასცა მორა მეორე დარაჯსა, რომელმაც გაატარა ის რამდენიმე გრძელი დერეფნები და ბოლოს დასტოვა მარტო ერთს ცარიელს, ფილაქნით დაგებულს ოთახში.

გავიდა ნახევარ საათი; აღრეული ლოდინი და მარტოობა ამ მოქრუშულს ოთახში, მხიარულ ჭაბუკთან სეირნობის შემდეგ, დილის მზის სხივებით განათებულს ქუჩებზედ, განსაკუთრებულ სატანჯველათ ეჩვენებოდა საწყალს ბავშვს. ბოლოს კარები გაიღო და შემოვიდნენ სამი კაცი მუნდირებით. იმათ დაუწყეს ცივად და ჩუმად ცქერა ბავშვსა. მორას უნდოდა ეთქვა რამდენიმე ალერსიანი სიტყვა, მაგრამ ისინი შეაკვდნენ მას ტუჩებზედ. უცნობი ხალხი ისევ განაგრძელებდნენ მისს თავით-ფეხამდის ჩხრეკასა. შემდეგ ერთი მათგანი გავიდა, ცოტა ხნის უკან მოტრიალდა, რაღაცა წასჩურჩულა სხვებს და ხელმეორედ გაქრა. ეს უსიტყვო ქცევა აშინებდა მორას, ამ დროს უცებ ნელა გაიღო კარი და წყნარად შემოვიდა პატერი.

მისმა მოსვლამ ძალიან გაახარა საწყალი მორა და პატივის ცემით გაუკეთა რევერანსი. პატერი იყო მაღალის ტანისა, გამხმარი და მოღრუბლულის სახისა.

— თქვენ გიწოდებენ მორა სიულლივანს? ჰკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, უპასუხა გაბედვით მორამ, და მე უცდი გიუ მაკ-გარტის ნახვას.

— ის ხშირად გკითხულობდათ თქვენა, სთქვა პატერმა: თქვენი მოსვლა იმისთვის დიდი სასიხარულო იქნება, ის გაჯიუტებული დამნაშავეა, და მე იმედი მაქვს, თქვენ დაალმობიერებთ მისს დაუმორჩილებელს სულსა, რომელიც არ ექვემდებარება არა გვარს დარიგებასა. თქვენ არ უნდა დაივიწყოთ, შვილო ჩემო, რომ თქვენი მეგობარი მიახლოებულია სიკვდილსა და არ უნდა შეაშფოთოთ ტყუილის იმედებითა.

მორა შეკრთა. იმას კიდევაც არა სჯეროდა, რომ გიუ მალე მოკვდებოდა სახრჩობელაზედ. თუმცა მისი ცხოვრება არ ყოფილა ვარდებით მოფენილი, მაგრამ გულგრილად კაცის მოკვლა, რომელსაც ხშირად, სასაცინლოთ, კაცობრიულს მართლმსაჯულებას უწოდებენ, გაუგებარი იყო მისი ყმაწვილურის ჭკუისათვის. როგორ! მისი გულ-კეთილი, კეთილშობილი, პატიოსანი, ძალოვანი გიუ უნდა დასაჯონ სამარცხვინო სიკვდილითა, სხვისი დანაშაულობისთვის, და მისი მამა კი..... არა, ეს მოუწდომელია, შეუძლებელია! იმან მიიფარა ხელები პირზედ და დაიწყო მწარედ ტირილი.

— აბა, წავიდეთ, შვილო ჩემო, ტუსაღთან; ის მზაა თქვენს მისაღებათ, უთხრა პატერმა, რომელიც თავის შავს ანაფორაში სიკვდილის მოამბესა ჰგავდა.

მორა მეხანიკურად გაჰყვა მას თანა. იმათ გაიარეს ბევრი განიერი დერეფნები, ბევრი დაკეტილი კარებები, რომელნიც თითქო სასწაულით ილებოდნენ მათს წინა, და ბოლოს გაჩერდნენ ამ მოქუჩუხებულ შენობის თვით მოქუ-

რუხებულს განყოფილებაში, სასიკვდილოთ დანიშნულ დამნაშავეების სენაკების წინ. გასაღებმა დაიჩხარუნა ამ სენაკების ერთს კარებში, კარები გაიღო და მთელი სხეულით აკანკალებულმა მორამ დაინახა გიუ.

ერთს წამს თვალთ დაუბნელდა, შიშმა მოიცვა და კინალამ არ გაიქცა. მაგრამ ყველა იმის მოგონებამ, რაც მოხდა, მწუხარება, სირცხვილი, იმედი, სასოწარკვეთილებამ ღონიერი ნაკადულივით წალეკა მისი გული. მორამ დაივიწყა პატრის იქ ყოფნა, დაივიწყა სადაც იყო, დაივიწყა ყველაფერი ქვეყანაზედ, და მხოლოდ ხედავდა თავის თვალებ წინ კეთილშობილს წამებულსა, რომელიც უბრალო იყო და სიკვდილი კი გადაუწყვიტეს. ის ხმა მაღალის ქვითინით მივარდა და მოეხვია მისს მძლავრს ფიგურას თვისი პატარა ხელებითა.

## VII.

აღელვებისა და მწუხარებისაგან გულის შემფოთების შემდეგ, გიუმ წყნარად ითხოვა, რომ დაეტოებინათ ის მარტო მორასთან.

ამ თხოვნის ასრულება მრთლად არ შეიძლებოდა. რადგანაც სატუსაღოს კანონებით, ტუსაღს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა სიკვდილი არასოდეს არ სტოვებდნენ ერთს, სენაკში. კაცობრიობის მართლმსაჯულების საწყალი მსხვერპლის სიცოცხლე გადადის სასტიკი კანონის ხელში და ეს კანონი, თავისი გულს მოდგინე მსახურების შემწეობით, ყოველს წამს გამჭრიახად უყარაულებს თავის ნანადირევსა. მაგრამ პატერს იმედი ჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რითიმე დაალბობს მოუწანიებელს სულს ცოლვი-ლისას, დათანხმდა ტუსაღის სურვილის რამდენიმეთ დაკ-მაყოფილებაზედ და უბრძანა დარაჯებს თვალყური ედგოთ მხოლოდ ნახევრად გაღებულის კარებიდამ. ამ გვარად, თუ გიუს ეთქვა რამ ბავშვისთვის ჩურჩულით, მათი სიტ-ყვები ვერ მიაღწევდნენ სხვის ყურებამდის.

მორას დიდხანს არ შეეძლო შეეწყვიტა თავისი ქვით-ქვითი და გიუს ყოველი ღონის-ძიება მის გასაჩუმებლად იყო ამაო. ძვირფასი დრო გადიოდა.

— მორა, უთხრა იმან ბოლოს: შენ კარგათ მოი-ქეცი, რომ მოხვედი შენი საწყალის გიუს სანახავად, მა-გრამ რათა სტირი? აბა მე მიყურე, როგორ დამშვიდებუ-ლი და მხიარული ვარ.

მორამ შეხედა მას და მისი სახის გამომეტყველებამ საკმაოდ დაამშვიდა იგი. მისი სახე ბრწყინავდა მშვიდის სიხარულითა; თვალები ნათლად უელავდნენ, შუბლიდამ, რომელიც მუდამ მოღრუბლული ჰქონდა, ეხლა ეს ღრუ-ბელი განფანტულიყო, ველური, ტლანქი, შეჭმუხვნილი სა-ნახაობა გალმობიერებოდა; მორას ის აგრეთი არას დროს არ ენახა. ის გააკვირვა ამ ცვლილებამ. როგორს შინა-განს სიხარულს აწარმოვებდა საოცარი ცვლილება? საწ-ყალს ბავშვს არ შეეძლო გაეგო ესა, იმას არაფერი არ გაეგონა იმ წამებულებზედ, რომელნიც მიდიოდნენ სა-სიკვდილოდ ღიმილით და სიამით გაბრწყინვებული თვა-ლებითა.

— მორა, უთხრა იმან, ბოლოს, მტკიცე ხმით: ყუ-რი დამიგდე ერთი კვირის უკან მე წავალ. არა, არა, ნუ ტირი! ჩემი გზა გრძელი არ არის და იქ მე მელიან დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენი და პატარა კატლინი; მაგრამ გახსოვდეს, დაუმატა მან დაბლის ხმით, გახსოვდეს, რომ მამა შენი პატრიკი, უთუოდ უნდა წავიდეს აქედამ. ის აქ არასოდეს არ იქნება უშიშრობაში, მეგობრებს შეუძლიანთ, წაეჩხუბნონ და გასცენ იგი. აი, მორა, აილე ეს პაკეტი და გახსენი მხოლოდ იმ დღეს... მაგრამ არა, მეორე დღეს. ეს შენ მოგცემს შემწეობას გაისტუმრო მამა შენი ამერიკაში. მაგრამ, მორა, არც შენ და არც პატი არ უნდა წაჰყვეთ მას, პატრიკი თქვენ იქაც ისე დაგღუპავთ, როგორც დაგღუპავდათ აქა. თქვენ ორივემ უნდა დაიწყოთ სიარული სასწავლებელში და ისწავლოთ, არ დაივიწყოთ ეს უკანასკნელი სიტყვები შენი მეგობარი გიუსი და მოიგონე ხოლმე იგი. თუმცა ის იყო მოუხეშავი, უზრდელი ვეშაპი, მაგრამ უყვარდით შენა, პატი და... თქვენი დედა. ის გაჩუმდა და მოიწმინდა თავისი სველი თვალები.

მორამ გაკვირვებით ჩამოართვა პაკეტი, მაგრამ აზრები ეურჩებოდნენ და მას აღარ შეეძლო ეფიქრა მომავალზედ. ის ყურს უგდებდა, ტიროდა და სასოწარკვეთილებით ხმაურობდა.

დიდხანს დარჩა მორა ამ დღეს გიუსთან, მაგრამ ისინი მაინც უნდა გაყრილიყვნენ. როდესაც მორა გამოდიოდა სენაკიდამ, იმან მიიხედა, გიუ იდგა გამოჭიმული, თავი აელო მაღლა ამპარტავნულათ და ნაზად ადევნებდა მას თვალსა.

პატერმა გიუს თხოვნით, მისს ხარჯზე დაიქირავა ოთახი მორასთვის სატუსაღოს ახლოს. გიუს ეხლა მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, რომ მორა მასთან ყოფილიყო უკანასკნელს წამამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატერს ვერ შეეძლო წარმოედგინა, რა კავშირი ჰქონდა ამ მოუნანიებელს ცოდვილს პატარა, მოტირალ გოგოსთან; მაგრამ იმას მაინც იმედი ჰქონდა რომ მოალბობს იმის გაჯიქებულს სულსა და მოუმზადებს გზას სინანულისადმი. ამიტომ მორას უშვებდნენ ყოველ დღე ტუსაღთან და ის ატარებდა მისს სენაკში ყოველ დღე რამდენიმე საათსა. იმის წასვლის შემდეგ, გიუ ყოველთვის მიიფარებდა ხოლმე ხელებს სახეზედ და წაიბუტბუტებდა:

— იმას, სწორეთ კეტის თვალები აქვს.

დრო გადიოდა და ბედის წერის დღე ახლოვდებოდა. მაგრამ არა გვარს ლოცვებს, დარიგებას და არც მუქარას არ შეეძლოთ ემოქმედათ გიუზე ისე, რომ იმას აღეარებინა, მღვდლის წინაშე, ის საზიზღარი დანაშაულობა, რის გულისთვისაც უნდა ჩქარა დაეწყო ქანაობა სახრჩობელაზედ. მღვდლის დარიგების და ლაპარაკის დროს, ის ერთობ გაჯიუტებული იყო ხოლმე და იდგა ჩუმათ. როდესაც მღვდელი დაიწყებდა ლოცვას, ის სიამოვნებით იმეორებდა მას, მაგრამ, როცა სასოწარკვეთილებაში მოსული მღვდელი გაჯავრდებოდა, რომ მას არ შეეძლო მისთვის მიეტევებინა ცოდვები და ვერც აზიარებდა წმიდა საიდუმლოთი, თუ ის არ მოინანიებს, მაშინ გიუ უპასუხებდა ხოლმე მშვიდობიანი ღიმილითა:

— ღმერთი გულთ-მხილავია და მოწყალე, ის მე მომიტევებს ყველა ჩემს ცოდვებს.

მაშინ პატერი, რომელსაც ეშინოდა, რომ ეს ძვირფასი კაცის სული წაუვა მას ხელიდამ, ალსარებით განუწმენდელი ცოდვების გამო, მიდიოდა კეთილშობილურს გულის წყრომაში. ის ნათლად დაუხატავდა ხოლმე მას

ეროვნული ბიბლიოთეკა



საუკუნო ტანჯვას, რომელიც ელოდა ყველა მოუნანიებელს ცოდვილსა, მაგრამ ყოველივე იყო ამაო.

დასჯის დღის წინა საღამოს მორამ გაატარა გიუსთან ათი მინუტი და ცრემლის ღვრით და მწუხარებით უთხრა მას უკანასკნელი „მშვიდობით!“ მთელი სიცოცხლე ტანჯვისა და მწუხარებისა მან ამ ათს მინუტში გამოიარა. მაგრამ გიუ იყო დამშვიდებული. როგორც კი გავიდა მორა და მიიხურა კარები, იმან მოითხოვა, რომ სურს დაისვენოს და დაიძინა მშვიდობიანი მიგარის ძილით და ღიმილით ბაგეებზედ.

განთიადისას ის გააღვიძეს. ყველას უკვირდა მისი გასაოცარი სიმშვიდე. პატერი ხელ-ახლად ეხვეწა მას აღსარება ეთქვა, მაგრამ პატიმარი მხოლოდ გულს მოდგინედ ლოცულობდა, მეტი არაფერი.

ნუ თუ ის უბრალოა? ამ აზრმა გაურბინა პატერს თავში, მაგრამ იმან დააყრუა ეს ხმა, როგორც შეუძლებელი აზრი. მისი ბრალიანობა საეჭო არ იყო; ის დაატუსაღეს თავისი მსხვერპლის სისხლით გაწინწკლულს სერთუკში და სასიკვდინო იარაღით ჯიბეში. ამასთანავე, ის არასოდეს უარს არ ჰყოფდა იმ ნამდვილს ფაქტს, რომ სახელდობრ მან მოჰკლა მისტერ გამმონდი.

მაინც კი პატრი ჰგრძნობდა, რომ გიუს სულიერი მდგომარეობა ეწინააღმდეგებოდა ყველაფერს, რაც კი მან იცოდა საკუთარის გამოცდილებით კაცის მკვლელებზედ. იმას ენახა, თუ როგორი წყევა-კრულვით და ბრიყული დაცინვით ადიოდნენ ისინი ეშაფოტზედ; ის დასწრებია უკანაიკნელს საათებს ურწმუნო სკეპტიკებისას, იმას გაეგონა, თუ როგორ მისს ლოცვებს ჰკიცხავდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ მას ურიგოთ ლანძღავდნენ. მაგრამ გიუ იყო მშვიდობიანი, პატივისმცემელი და წყნარად ისმენდა მისს ლოცვებს, მხოლოდ თავის დანაშაულობაში არ უნდოდა გატეხილიყო.

ყველაფერი მომზადებული იყო სასჯელისათვის. ბრწყინვალე მზე კაშკაშებდა. დილის რვა საათი იყო.

ორმოც-და-ათ კაცამდის იდგა ქუჩაზე, სატუსაღოს პირ-და-პირ და ელოდა, როდის ამართვენ შავს ბაირაღს —ნიშანს იმისას, რომ კაცობრიობის მართლმსაჯულებამ გადაუხადა კაცის კვლისთვის კაცის კვლითვე. მწუხარე, დასაფლავების ზარის ხმა უყინამდა გულს მჭვრეტელთა, რომელთ შორისაც ჩანდა პატარა მორაც. ფერმკრთალი, შეუნიშნავი, ის ეგდო მიწაზედ, თითქმის უგრძნობლად, მხოლოდ დიდი ცისფერი თვალები, ველურად გაშტერებული ჰქონდა ჯოხისკენ, რომლის წვერზედაც უნდა გამოჩენილიყო შავი ბაირაღი.

აი, ხალხი აღელდა და შავი ბაირაღი მძიმედ გამოჩნდა ბნელს სატუსაღოს შენობაზედ. პატარა გოგო შეთრთოლდა და ხელები დაიფარა პირზედ.

— შენი საქმე გაათავეს, ჩემო კარგო, სთქვა ერთმა მუშამ, რომელიც გულ-გრილად სწევდა ჩიბუხს: მადლობა ღმერთს, რომ იმ მხარეში, სადაც ეხლა შენ გადასახლდი არც შიმშილია და არც მებატონეები!

და თუმცა ეს მუშა ამ სიტყვებს ვითომც გულ-გრილად ამბობდა, მაგრამ მაინც ნაცრის ფერი დაედო სახეზედ და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

— შენ ეი, მურერი! მგონია, შენც გინდა იგემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახრჩობელა! მიაძახა მას ერთმა მის გვერდზე მდგომმა დედა-კაცმა, ბრიყული ხარხარითა.

ყველაფერი გათავებული იყო. ხალხის მართლმსაჯულება დღესასწაულობდა, მიუწყო რა თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ.

---

მორას რაღა მოუვიდა? მეგობრის სიკვდილის შემდეგ, ის დარჩა მდიდარ მემკვიდრეთ. მისგან ნაანდერძევი ხუთასი გირვანქა სტერლინგი შეიტანეს ბალინავინის ბანკში, გარდა იმისა, რაც პატრიკ სიულლივანს დაუნიშნა ამერიკაში წასასვლელად, რაზედაც პატრიკი კმაყოფილი იყო და სიამოვნებით დასტოვა თავისი სამშობლო და ოჯახი საუკუნოთა. მორა და პატი შევიდნენ სასწავლებელში და ჩვენ შეგვეძლო, შემდეგში გვეამბნა, თუ პატარა გოგო როგორ გაიზარდა და დადგა შავ ხუჭუჭ თმიან, ლამაზ, ახალგაზდა ქალად, თუ როგორ შეჰხვდა ერთხელ დუბლინის სტანციაზედ მუშას, რომელსაც ეკრიჭა თავისი თეთრი კბილები და მხიარულად უსტვენდა ირლანდიის მელოდიებსა, როგორ იცნეს იმათ ერთმანეთი, დაიწყეს ხშირად ერთმანეთის ნახვა, როგორ ცოტცოტათი მხურვალე სიყვარულმა და, ბოლოს, ბედნიერმა ქორწინებამ შეაერთა მათი, ახალგაზდა გულები, მაგრამ ყველა ეს იქნებოდა წინამსწარათობა, თუმცა შესაძლოა, რომ ბედის წიგნში ასე იყოს ჩაწერილი მომავალი ცხოვრება პატარა მორასი.

* * *

ოლ. ლეკანოზოვი.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ახალ მოდის ექიმი.

(რუსულიდგან)

დიდ კაცთა ხახლში, ზალს და ვეჩერში,
სადაც აჭრელებს თვალს მორთულობა,
სადაც რომ პირველს ადგილს იკავებს
ფორმა, მოდები, მრთლად გარეგნობა, —
იქ მე მარადის მაღალ იდეის
ლიტონი სიტყვით ყმა ვარ ერთგული
და, რა თქმა უნდა, რომ ძრიელაც ვარ
გახარებული, გახარებული!...
მაგრამ, რასაც იქ გატაცებაში
ვიტყვი, რომ შემდეგ ვალათ დავიდო
და ცხოვრებაში, ამ მუხდალ ხალხში,
სიტყვა მარადის საქმეთ ვაქციო, —
რომ, მართლა, რაღაც იდეისათვის
შევივიწროვო თავისუფლება,
თქვენ თვით იფიქრეთ, ეს სიტუტუცე —
რას ეგვანება, რას ეგვანება!...

* *
*

როდესაც ვზივარ გაშლილ სუფრაზედ,
კაკაბ-ხოხბებით ვარ შექცეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ვარ წითელ წინანდლის ღვინით,
შამპანსკ-ბორდოთიც შეხურებული,
იმ დროს მზათა ვარ ხმა ავიმაღლო,
გლეხ-კაცობა ვცნა დაბრიყვებული
და რა დამიშლის, რომ გულით ვიყო
გახარებული, გახარებული!!
მაგრამ, როდესაც აჯამ ტეტიას
თვის გრძელი ენა წამოჰქავდება,—
არათ ჩამაგდებს... მოიწადინებს
პირში შემობმას—ახ! თავხედობა!
რომ მე მის ბოდვას ყური ვათხოვო,
მივსცე იმდენი კადნიერება...
რომ ის გავხადო პასუხის ღირსი...
რას ეგვანება, რას ეგვანება!!...

*
* *

როს სოვდაგარი, დიდი თავადი,
ანუ სხვა ვინმე სახელ განთქმული,
მიმიხმობს მაჯის გასაშინჯავათ—
ვისწრაფი მისკენ, ვით ფრთებ შესხმული!...
და თუ ხანგრძლივაც მას მოუხერხე
ლოგინში წოლა მოსვენებული,
რაღა თქმა უნდა, რომ მით ვიქნები
გახარებული, გახარებული!...
მაგრამ, როდესაც ატირებული
ვინმე სადგომზედ მომივარდება
და მოინდომებს მას შინ ვეახლო,
თავს ავაცილო უბედურება,—
რომ მე მას წავყვე, წუმპეში შევყვე;

და მით თავს მივცსე ჩემს დამცირება..,
რომ გომურებში ვეხეტიალო—
რას ეგვანება, რას ეგვანება!!

*
* *

როდესაცა მყავს მე მოსარჩენათ
კნეინა მეტათ განაზებული,
გაფუფუნებულ თივთიკში მწოლი,
ატლას-ბაბთებში გამოხვეული,—
მაშინ არ ვზარობ ხშირად მის ნახვას,
ყურთ-სმენათაც ვარ გადაქცეული...
და რა თქმა უნდა, რომ გულითაც ვარ
გახარებული, გახარებული!...
მაგრამ, როდესაც შუა ღამის ჟამს
თავხედი ვინმე ზარს მიჩხარუნებს
და არ მეხსნება... მთხოვს წავყვე თანა,
შველა რამ მივსცე ქვრივ-ოხრის შვილებს,—
რომ ჯოხით ის არ მოვაფრენინო...
რომ ალუსრულო რაც ენებება...
ხომ მით თავს გავლენ კვლავაც ისინი!...
რას ეგვანება, რას ეგვანება!!...

*
* *

როგორც ექიმი, ხალხთა მკურნალი,
ყველგან ვარ მეტათ პატივ-ცემული!...
მიტომც მიჭირავს მე თავი მაღლა,
მიტომც ვარ ასე გალაღებული!...
ავათ-მყოფს ვარჩენ, როგორც მამხვდება...
ძველი წამლობა მაქვს მიღებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რა დამიშლის, რომ გულით ვიყო
გახარებული, გახარებული!
და რომ წიგნებით სტოლი ავივსო,
ყური ვადევნო ახალ სწავლასა...
რომ ჩაუღრმავდე მეცნიერებას...
პირს შევაფურთხო ზარმაცობასა...
ნება თქვენია, ამას ვერ ვიზამ!...
მე ეხლა ეს არ შემეფერება:
რომ ბოვშვისავით წიგნს გვერთ მოუჯდე—
რას ეგვანება, რას ეგვანება!...

* * *

როდესაც შრომა პაციენტისგან
მაქს ერთი ათათ დაფასებული,
როცა მასა აქვს ყოველს მისვლისთვის
ხუთ-ათ თუმნობით გადადებული,
ერთი სიტყვითა, როცა მე მისგან
ჯიბე მექნება გამომსებული,
რაღა თქმა უნდა, გულით ვიქნები
გახარებული, გახარებული!...
მაგრამ როდესაც, თუნდ რომ გლახასაც,
სამადლოთ ხელის მიწვდა სჭირდება,—
როს უსასყიდლოთ ვინმე თხოულობს
ავათმყოფს მივსცე ჭირიდგან შვება,—
რომ მე ამ გიჟურს გზასა დავადგე...
თავს მივაყენო მით შეწუხება...
რომ მუქთათ ხალხსა რჩენა დაუწყო—
რას ეგვანება, რას ეგვანება!...

მიხ. ასათიანი.

10 ოკტომბერს 1879 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბედნიერი ქალი.

(რუსულიდგან)

შემიძლიან გულ-წრფელად ვსთქვა,
რომ ვარ სხვაზედ ბედნიერი;
თუმცა ჩემს ქმარს აკლია ჭკვა,
მაგრამ მე მაქვს ზომიერი.
არც ფული აქვს ჩემსა ქმარსა,
არც ზდილია წესიერი,
მაგრამ მისთვის ისიც კმარა,
რომ ცოლი ჰყავს მშვენიერი.
მოხერხებაც არ მაკლია
და ფულიც მაქვს ხანდის-ხანო,
უკეთუ შემომელია,
ვიცი სიდგან მოვიტანო.
ჩემი საქმე კარგათ მიმყავს:
ტანზე ვიცომ მდიდრულათა,
ჩემი ქმარი შალში დამყავს,
მაგრამ ვმალავ ქურდულათა.
მასწავლებლები მოდიან,
ის კი სვეტებს ეფარება,
ყმაწვილებს მისი რცხვენიანთ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ან ის ვის ეკადრება!
მე მათ ხელში, დიახ, ბევრი
მოვიმატე სწავლა კია,
მაგრამ ქმარი უბედური
აქამომდე დარდაკია.
რით არა ვარ ბედნიერი?!
ქეიფში ვარ დღე და ღამე,
შემომნატრის ჩემი მტერი;
აბა, სხვა რაღა მინდა მე?!

ს. ნასიძე.

---

## ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი.

(სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. რომანი ლ. არდაზიანისა. 1878 წ.)

> ... ანუ საგანი,
> რა არს, ვერ ვსცანი,
> ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?
>
> გრ. ორბელიანი

(დასასრული.)

### VI.

ჩამოთვლილი ამბების ერთი გადახედვით კაცს ეგონება, რომ მოთხრობაში არა არის-რა მართლა ისეთი შესანიშნავი, რომ ღირდეს მისი გამოკვლევა და გარჩევა. ვიღაც მეჯღანუაშვილი ჯერ საშინელ სიღარიბეში სამადლოდ შესანახი ყოფილა, მერე ისე გამდიდრებულა, რომ იმის ფულს თვლა აღარა ჰქონია. ღმერთმა მისცეს და ისე ტკბილათაც შეარგოს, როგორც თავისი დედის მუძუ. მორჩა და გათავდა! აქ რაღა თავის-ტეხა უნდა, როდესაც ჩვენში ყოველი მდიდარი თითქმის ამ ნაირათვე გამდიდრებულა, ასეთი იარაღი უხმარნია!

რასაკვირველია, ღმერთმა ტკბილათ შეარგოს! მე ხომ იმას არას ვართმევ და ძალიანაც რომ მოვინდომო, ვერ წა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვართმევ. საქმე არც სოლომანის პიროვნებაზეა. ის არ იქნება, სხვა იქნება. მეჯღანუაშვილის მაგიერ შეიძლება სოლომან ივანიჩი იყოს, ან ივან მინაიჩი—ეგ სულ ერთია. საქმე თითონ იმ საზოგადოებაზეა, იმ ცხოვრებაზეა, სადაც ამისთანა პირები თამამათ დაიარებიან, სადაც ცხოვრება თითით გვაჩვენებს მათზე და თავ-მომწონეთ გვეუბნება: „აჰა, ესე არის ძვალი ძვალთა ჩემთაგან და ხორცი ხორცთა ჩემთაგან! ამაშია ჩემი დიდება და სასოება. ეს არის ჩემი ძალა და ღონე. აბა, ვის შეგიძლიანთ ხმა გამცეთ ან სოლომანაებს ან მე! სოლომანი გავამდიდრე, ავაყვავე—ეგ იყო ჩემი საკუთარი ნება. მაგივრათ, ათასი სოლომანასთანა ობოლი შემოვინარცხე და ვინაცვალე. თქვენ რა დავი გაქვთ! ჩემი სურვილი იმაში მდგომარეობს, რომ ათასი ადამიანის ბედის ნანგრევებზე ავაშენო კეკლუცი შენობა სოლომანის ან მიკირტუმას ბედნიერებისა. ვის რა გნებამთო?“

ამისთანა შეუბრალებელ სიტყვებს ჩაგვძახის გულ-გაქვავებული ცხოვრება მას აქეთ, რაც დედა-მიწის ზურგზედ დაბადებულა კაცი. ეს უსირცხვილო და უნამუსო სიტყვები გვესმის ყველგას. ეს სიტყვები გვიმწარებენ სიამოვნებას, შხამათა და ბარასტათ გვადენენ ყოველ იმ წუთს, როდესაც კი ჩვენ ვეძლევით დავიწყებას, როდესაც ვიფარებთ ყურებზე თითებს, რომ აღარ გავიგონოთ დროებით მაინც;—ვხუჭამთ თვალებს, რომ ვეღარ დავინახოთ ის უხვი მოვლენანი, რომლების პირითაც ცხოვრება გვეღაპარაკება ზემოთ მოყვანილ ულმერთო სიტყვებს. მაგრამ არც ყურების დაცმით და არც თვალების დახუჭვით საქმე არა რიგდება. ცხოვრების ულიერობა და შეუწყნარებლობა გვკრამენ ხოლმე წიხლსა, წუთიერი სიამოვნება ჰქრება თვალის დახამხამებაზე და შენ უნებლიეთ უნდა ეწიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი მძიმე უღელი, უნდა ჩაუდგე გაუთავებელ სვეს კვალში და პირუტყვივით იხვნიშო, ივაი-ვაგლახო, მანამ ზურგზე ტყავი არ გადაგძვრება ერთიანათ, ე. ი. სიკვდილამდე. სწუხს, იტანჯება, კვნესის მთელი კაცობრიობა, გადმოდის დაუშრობელი და განუწყვეტელი ცრემლი ტანჯულთა თვალებიდგან. ირწყვება მთელი ხმელეთი უბედურთა ცრემლით და სისხლით. მაგრამ ხსნა არსაიდამ არის. ცხოვრება თავისას არ იშლის. მიდის თავისთვის დინჯათ და ფეხ-ქვეშა სჭყლეტამს ყველას, ვინც კი მას გზაში შემოეყრება და აუქცევს მას ზურგსა, არ მისცემს ჯეროვანს პატივს, არ მოუხდის მძიმეთ ქუდსა და არ დაუჩოქებს მუხლის კვერებზე.

რასაკვირველია, თუ კი ჩვენგან ამპარტავანი ცხოვრება მოითხოვდეს მარტო ისეთ პატივისცემას, რომელიც გამოიხატება უბრალო სალამში—ქუდის-მოხდაში ანუ გინდა ბრალიანში, ე. ი. აქლემებივით დაჩოქებაში, და ამით უთუოთ დაიშლიდეს თავის სიმძლავრეს, გვაკმარებდეს ამდენი ხნის წამებასა,—ვინ იქნებოდა ისეთი ცრუ, შეუპოვარი, რომ ყოველთვის ქუდი არ მოეშვლიპა და დღეში მაინც ათჯერ არ დაეჩოქნა მისთვის!? მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცხოვრება სხვანაირი არკაუჭი რამ არის და თხოულობს ჩვენგან სრულებით სხვა პატივს. ის ამბობს: „ვისაც გინდათ ჩემი გული მოიგოთ და ეღირსნეთ ჩემგნით ხელის შეწყობას, უთუოთ დაანებეთ თავი ყველა იმ სისულელეს, რომელსაც თქვენ ეძახით რაღაც იმ ზნეობით მოვალეობას,“ „სინიდისს,“ „პატიოსნებას,“ „სიყვარულს,“ «ძმობას,» „ერთობას;“ დაივიწყეთ ცოლი, შვილი, ყოველი ნათესაობა; დაუტოვეთ ზრუნვა სოფელზე, ქალაქზე, სამშობლოზე, მთელ კაცობრიობაზე და შემომიდექით მე. რამდენი უფრო ვრცლათ და ერთგულათ შეასრულებთ ჩემ წა-

დილს,—იმდენი მომატებულათ აგავსებთ, აგამაღლებთ, ჩაგისხამთ ჩემ კალთაში, მოგივლით, დაგიგურგულებთ, ერთი სიტყვით, ფიანდაზათ გაგეშლებით; და რამდენი ნაკლებათ ისმენთ ჩემ სახარებას, რამდენი მომატებულ ჯიუტობას გამოიჩენთ წინაშე ჩემსა, რაც ბევრჯელ შემომაფურთხებთ მე პირში, ამიქცევთ ფეხსა, ჩაიდენთ პატიოსნებას, გამოიჩენთ ძმათა სიყვარულს, სხვებზედ იფიქრებთ და იზრუნებთ,—იმდენათ უნდა ელოდებოდეთ ჩემგან ნაკლებ მოწყალებას და მომატებულ რისხვას; იმდენი ბალღამიანი და მხამიანი იქნება თქვენი სიცოცხლე; იმდენათ მომეტებულ მწარე და ცრემლიან დილას გაგინათებთ, მომატებულათ დაგიბნელებთ მზესა, გაწურებთ ცხვირში ძმარსა, სისხლის ცრემლს არ შაგიშრობთ თვალზე.“

ამისთანა ლექსებს გვეუბნება ცხოვრება. ამის აღსრულებაშია გამოხატული პატივი მისდამი. ეს არის სალამი და მუხლთ მოდრეკა მისდამი. აღასრულებ—ხომ კარგი და პატიოსანი; არა და—მომჭამე ფეხებიო!

რა უნდა ვქნათ? მართლა უნდა გამოვუდგეთ ცხოვრების სახარებას, დავიჭიროთ ხელში ამოღებული ხმალი, გატენილი თოფი, დავივიწყოთ ზნეობითი მოვალეობა, სიყვარული ადამიანისა და გავყლიტოთ, ვინც უფრო მოსუსტოა, დავსვათ ყველაფრიდგან ცარიელი, დავეპატრონოთ მის სარჩოსა და ვიცხოვროთ ასეთი გზით აშენებული ბედნიერებითა? თუ ვუსმინოთ კეთილ ანგელოზს, რომელიც ყოველ მინუტს მფარველათ მოგვდგომია გვერდითა და ყურში განუწყვეტლივ ჩაგვმღერის ქრისტეს მცნებაებს, აღვიძებს ჩვენში ღვთიურ ცეცხლს პატიოსნებისას და სიყვარულისას?

წავალთ პირველ გზაზე, უსმენთ ცხოვრების ქადაგებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გვიტყუილებს და გვიზიდავს თავისკენ: მაშინ ჩვენ უნდა დავკარგოთ ყოველი კაცური ღირსება, ადამიანობა, უნდა გადავიქცეთ ცოფიან მხეცებათ, რომლებსაც დაუღიათ ყბა და მარტო იმას იძახიან—ჩავგაყაროთ ამ საოხრეშიო; უნდა დავუბრუნდეთ იმ უწინდელ დროს, როდესაც მთელი ხმელეთი დასახლებული იყო მარტო პირუტყვებით და არ არსებობდა კაცი; მაშინ უნდა ვაღვიაროთ რომ, ეს ამოტელა საუკუნები ტყუილათ გვიცხოვრნია, შემცდარა ბუნება, რომ თავის ქმნილებათათვის მიუცია ძალა, რომლითაც ეს ქმნილება იწევს წინ, უმჯობესდება ყველაფერში; უვრცელდება გონიერება, ეზრდება ჭკუა, უფაქიზდება ზნეობა; მაშინ უნდა ჩავაბაროთ მიწას ყოველივე ისა, რაც აქამდის მოგვიპოვებია მეცნიერების მადლით; მაშინ უნდა დავკარგოთ და დავივიწყოთ ისა, რითაც დღეს განვირჩევით პირუტყვ ცხოველებიდგან.

რასაკვირველია, ეს მეტად ძნელი საქმეა ადამიანისათვის. კაცი ვერ გახდება ამ მხრით ცხოვრების სრული და სპეტაკი იდეალი.

დაგვრჩომია მეორე გზა, რომელზედაც მივყევართ კეთილ ანგელოზს. ანგელოზი გვეუბნება წინათვე, რომ ჩემ საზმანებელში ვერასა ჰნახავთ გაუზომელი სიღატაკისა და სიდარიბის მეტსაო; იქ გამომცხვარი პურები არა მაქვს თქვენთვის გამზადებულიო. იქ არის მხოლოდ შეუგინებელი პატიოსნება და ადამიანობა, არა მარტო ჭამა-სმაშია კაცის დანიშნულება, არამედ უანგარო სიყვარულში, თავ-განწირულებაში მოძმეთა და საზოგადო ხალხთა სასარგებლოთო. ამ გზას დაადგები კიდე და—შიმშილით კუჭი გაგიხმება, წყურვილით ხახა გაგიფიცხდება, დაიჩრჩობი. მაშინ ან ერთი რაღათ გინდა და ან მეორე!

ამისთანა ორთა წყალთ შუაა ჩავარდნილი ჩვენი სიცოცხლე. კაცს ვერც ის მოუხერხებია, რომ თავის ადამიანობაზე და მთელ ქვეყანაზე აიღოს ხელი და გახდეს უგრძნობელ, უგუნურ პირუტყვათ; რომ მუდამ მოძმის მტერი იყოს და ყველასა ჰგლეჯავდეს პირიდამ ლუკმას—ზოგჯერ სირცხვილი დასწვამს და შეაყენებს, ზოგჯერ შიში, და ამიტომ ძალა უნებურათ ცოტათი მაინც უნდა შედგას ფეხი ადამიანობის საზრმანებელში. ვერც ის მოუხერხებია, რომ გახდეს უმანკო და უბუწო იდეალი სრულებით პატიოსანი ადამიანისა: უთმობს ცხოვრებას და იმის სასტიკ მოთხოვნილებას, რადგან ჭამა-სმა საჭიროა მისთვის.

აი, ასეთი მახინჯი ფერი აქვს ჩვენ ცხოვრებას. კაცს არ შეუძლიან შერჩეს თავის-თავს, არ შეუძლიან განუწყვეტლივ ემსახუროს მარტო თავის გულის მოთხოვნილებას, თავის აზრსა. ძალა-უნებურათ, ღმერთსაც ემორჩილება და მამონსაც, ცალი ფეხი უდგა ცხოვრების ტლაპოში, ცალი—ადამიანობის საზრმანებელში. გულით რომ უმანკო იყოს, საქმით უნდა უთუოდ მიიღოს მონაწილეობა ცხოვრების უსამართლობაში; აგრეთვე, რაც უნდა წამხდარი, ბილწი და მყრალი იყოს კაცი თავის გულში, საქმით არ შეიძლება, რომ ყველაფერში მარტო უსინდისობა გამოიჩინოს, ძალა-უნებურათ, უნდა სინდისთან კავშირი დაიჭიროს. და აქედგან ცხადათ აიხსნება ყოველი ადამიანის ორ-პირობა და ორ-ყაბაზობა. ცხოვრება ამოღებული ხმლით გვადგა თავზე და მოდი შენ, წინ გადაუდექ იმას!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII

გულზე როგორღაც მოეფხანება ხოლმე მკითხველს, რაღაც ნაირათ შეისვენებს, ამოისუნთქებს თავისუფლათ, როდესაც შეხვდება ისეთი წიგნი, სადაც ცხოვრებას ხელს არ ავარებენ, სადაც იმის მოვლენაებს არ აფუჩოჩებენ და არ ეფაფრებიან, არამედ იმას სასტიკათ ეპყრობიან. ასეთი გრძნობის მიზეზი ის არის, რომ ყველა ჩვენგანსა სჭირს შეურიგებელი ჯავრი ცხოვრებისა, ყველას გვაზის იმისი მწვავე დაღი და გვეჯავრება იგი. რაც უნდა ბოროტი და გაფუჭებული იყოს კაცი, არ შეიძლება, რომ იმას არ უნდოდეს რიგიანობა, არა ცდილობდეს, რომ უცნობი ადამიანი მაინც დააჯეროს თავის სიკეთეში. ყველა კაცის გულში ღვივის ეს ადამიანური ცეცხლი, მაგრამ ყველას არა აქვს იმოტელა ძალა, რომ ნაკლებათ ჩაიდინოს უსამართლობა და მომატებულათ მისცეს სალამი პატიოსნებას. ეს უძლურება კიდე თითონ ცხოვრებასთან საქმის დაჭერის ბრალია. ამიტომ მე ვამბობ, რომ ყოველი კაცი ცხოვრების მომდურავია. და რამდენი მწერალი ღრმათ იყურება ცხოვრებაში, რამდენი იმის გულს ნაკლები ჭუჭყი მოხვედრია ქვეყნიერებისა, იმდენი ღრმათა და ნათლად ესმის ეს ჭეშმარიტება, იმოდენი მომატებული სიბრალულით უყურებს კაცის პიროვნებას, ხდის მას ყოველ-ნაირ ბრალსა და ეს ბრალი მრთლიანათ გადააქვს იმ საზოგადოების ქედზე, რომელშიცა ტრიალებს ეს კაცი.

აი ამისთანა ღრმა შეხედულობა გამოიჩინა განსვენებულმა არდაზიანმა თავის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“, რომელიც ამიტომ დარჩება ჩვენი მწერლობის ქვა-კუთხედათ.

ეს თხზულება პირუთვნელათ იყურება ცხოვრებაში და გვაჩვენებს მის უმთავრეს აზრს, აგრეთვე გვახედებს ჩვენ საკუთარ სინდისში, რომელსაც უჭირამს ხელში სასწორი და ჰზომავს — ცალ მხარეზე ჩვენ პიროვნებას, მეორე მხარეზე ცხოვრების მიმართულებას. აბა, კაცის პიროვნება რას შეადგენს ცხოვრების სიმძიმესთან! და ამიტომ პიროვნებასა სძლევს ცხოვრება. თავისი წიგნით არდაზიანი გვეუბნება — აი, საქმე ასე არის, და ახლა თქვენ იცით. აიღეთ, დაიღეთ და იქნება ღმერთმა ჩაგვაგონოთ რამე ცხოველი აზრი და როგორმე თავს უშველოთო.

აბა ჩვენც ნუ მოვიყრუებთ ყურსა და ჩვენი სოლომანს ამბით ვნახოთ, რა დღეშია ჩავარდნილი ჩვენში ადამიანის პიროვნება?

## VIII

როდესაც სოლომანა პირველათ გამოდის გზაზე, ჩვენ ის მოგვწონს საშინლათ, ჩვენ შევხარით მის უმანკო ახალგაზდობას, იმის პიტიოსნებას. მაგრამ, აგერ ჩაიხედა ცხოვრების სარკეში, დაინახა ქვეყნიერობა, იპოვნა საქმე, რომელიც მას გაუჩენს სარჩოს და ურომლისოდაც, ჩვენ კარგათ ვიცით, ის უნდა გახდეს შიმშილის მსხვერპლი. ჩვენ გვიხარიან, რომ საწყალმა და საცოდავმა ყმაწვილმა იშოვნა ლუკმა პური. მაგრამ ერთი ესეც ვიკითხოთ, რა მისცა მან ცხოვრებას ლუკმა პურის მაგიერ? რაზე აიღო სამუდამოთ ხელი? რა მსხვერპლი შესწირა ცხოვრებას ნაცვლათ ლუკმა პურისა? აქ უნდა დაუჭიროთ სოლომანას სადავე და ვათქმევინოთ აღსარება. ამისთვის ბევრიც არ დაგვჭირდება. თითონ სოლომანა გულ-გახსნილი და პირადი კაცია, თითონვე გვეტყვის: მწუხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით ვიგონებ ჩემ წარსულს სიამაყეს, სინიდისიანობას და სამართლიანობას. ესენი მე გავყიდე გამუდმებულ ტყუილზე, რომელიც ხელის ხელცახოცათ გავიხადე — ვატყუილებდი იმათ, ვისგანაც ვყიდულობდი საქონელს, ვატყუილებდი აგრეთვე იმათ, ვინც ჩემგან ყიდულობდნენ. მაშ რა წყალში უნდა ჩავვარდნილიყავ, როგორ მეცხოვრა, თუკი უტყუვრობით ვერა სახსარს ვერა ვხედამდი! მართალი უთქვამს ამის მთქმელს:

კტუ ნა სვიტა ჩისნა ზუდით,
ზუდით ნასით ხლება გუდით!

აი ამ სიტყვებს ლაპარაკობს სოლომანა და ვინ გაამტყუნებს იმას? მშიერი ხომ ვერ მოკვდებოდა, მართლა?

თითონ ჩვენი უშექილო და უმგზავსო ცხოვრების ბრალია, რომ მეჯღანუაშვილმა ხელი მიჰყო ტყუილს. თითონ კარგათ იცის, შეგნებული კაცია, რომ მოტყუანება არ შეადგენს კაცის ღირსებას, ტყუილი არ არის პატიოსანი ადამიანის ხელობა. მაშ თუ პატიოსნებასთან დანაშაული აქვს ჩვენ სოლომონ ისაკიჩს, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სოლომანმა, მართალია, გარყვნილ კინტოებს მიაფურთხა, მაგრამ არც თითონ დარჩა ისეთი სპეტაკი და უჭუჭყო, როგორც ჩვენ მას უყურებდით თავ-და-პირველ. მაშასადამე, სოლომონს დააჯდა შავი ლაქა, რომელიც მას არ აძლევს ნებას ამაყობისას. ჩვენა ვთქვით, რომ ცხოვრება ძალას ატანს ყოველს კაცსა, რომ თავი მრუდი გზით აცხოვროს. ყველა პატიოსანი კაცისთვის ეს მეტათ მძიმე უღელია: აქ კაცმა მოტყუებით, ქურდულათ უნდა გამოგლიჯოს თავის მოძმეს ლუკმა და მით გაიტკბარუროს ტუჩები. რასაკვირველია, ჩვენ აქ შეგვიძლიან გავიმართლოთ თავი იმ მოსაზრებით, რომ ერთი კაცი ქხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება მეორეს, ერთი ხელობა მეორეს. მებაღე ეხმარება მებუთნეს, მეწისქვილე მედუქნეს და სხვანი. ერთ კაცს არ შეუძლიან გააკეთოს ყოველივე, რაც მისთვის საჭიროა. ამიტომ ყველამ გაინაწილეს საქმე და ერთმანეთს შველიან, ერთმანერთში სცვლიან თავიანთ ნაწარმოებს. მასთან ყველა ჩვენგანი ცდილობს, რომ რაც შეიძლება მომატებულად დააფასოს თავისი შრომა და იაფად იყიდოს სხვისა ოფლი. ამაობაში ერთი კაცი ატყუანებს მეორეს. მებაღე ხელს უჭერს თავის მწვანილს, რომ იმაში ბევრი ფული მისცენ; მეპურე ცდილობს, რომ ნაკლები გამოიღოს და მომატებული მწვანილი იშოვნოს. აქედან, დღეს შენ მომატყუებ, ამიტომ რომ შენთვის სასარგებლოა ჩემი მოტყუანება; ხვალ კიდე მე მოგატყუებ, რადგანაც შენი მოტყუება კიდე ჩემთვის არის საჭირო. ამიტომ, რადგან ორივეს ერთი და იგივე წადილი გვაქვს, ჩვენ ერთმანერთში გამოვალთ იოლად, ბოლოს არც შენ იქნები ზარალში, არც მე. ჩვენ გვეგონა ერთმანეთს ვატყუებთო, მაგრამ ორნივ ძმურად გამოველით თანაბრად მოტყუებულნი. კარგი იქნება, რომ ჩვენ არა ვსცდებოდეთ და არ გვინდოდეს ერთმანერთის ამაო მოტყუება. ჩვენ საქონელს ერთი ფასი ჰქონდეს: მოხვიდე შენ, ჩემგნით წაიღო სარჩო, მოვიდე, მე შენგნით წამოვიღო. აქ უფრო სინიდისი წმინდა იქნებოდა.

მაგრამ ძნელი ის არის, რომ საქმე ასე იაფად არ გამოდის. ჩვენი სოლომონ მეჯღანუაშვილი ატყუებს არა მარტო ერთსა და ორ კაცს, იგი თავის ტყუილს მოზდებს თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთშიც გადადის, თავისი ნაწარმოები კი სრულებით არა აქვს რა. ის სხვის ნაოფლ-ნადაგვესა სყიდულობს და მერე ყიდის. ის სხვისა საქონელის ტრიალში მდიდრდება. მართა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, კაცია ირჯება: გლეხს მიეგებება ქალაქს გარეთ, ტყუილათ არ ჩამოიყვანსღა ქალაქში, იყიდის მისგან სავაჭროს, გლეხს უმოკლდება გზა და შინ მალე მიეშველება თავის სახლობას; მერე სოლომანას მოაქვს თავისი სავაჭრო და თბილისელებზე ჰყიდის. ამ შუა-მავლობისთვის შეერგება ერთი ლუკმა პური. მაგრამ როდესაც ამ შუა-მავლობისთვისვე მეჯღანუაშვილი მილიონობითა ჰკრეფს ფულებს, ეს კი არ ეკადრება სინიდისიერ კაცს. რაში ერგება ამოტელა საწყაული? რაში იღებს მილიონს? რომელი ნეტარება მიავლინა საზოგადოებას?—ერთი ნემსი რას ჰქვია, ისიც არ გაუკეთებია მეჯღანუაშვილს!... მაგრამ ნუ გავკიცხამთ ჩვენ სოლომან ისაკიჩს, პირველი მიტომ, რომ თითონაც კარგათ ჰგრძნობს თავის დაცემას, თითონ კარგათ იცის, რომ რაკი ის ერთხელ აჰყვა ტყუილს, იმის შემდეგ ჩვენ თვალიდგან დაგვეკარგა ის პატიოსანი თვრამეტის წლის ახალგაზდა, რომელიც ასეთი დევნილი იყო ქვეყნიდგან და ამ ნაირათ სოლომანამ სრულებით არ გაამართლა ჩვენი იმედები. იმან ცხოვრებიდამ აიღო მთელი ვეებართა ტომარა ტალახისა, გაიმურა, გაიყანგა სახე და არც ამ ლაფის ჩამობანას ცდილობს იგი. მთელი თავისი სიცოცხლე სულ მარდათა სწირა. პირველათ რომ ზნეობის ცეცხლმა გამოყარა ვეებართა ნაპერწკლები, როდესაც იმან უცებ დაანება თავი წამხდარ ბიჭებს და გადახტა გარყვნილების უბსკრულის ნაპირიდგან პატიოსნების ბილიკზე, ეს გამბედავი მოძრაობა ძრიელ გასახარი იყო. მაგრამ დღეს ჩვენა ვხედავთ, რომ ამ ცეცხლის ნათელმა მარტო თვალები აგვიბა, მოგვატყუა, ვითომც სოლომანი არ შეერევა დაცემულობის მორევსაო. ეს მოძრაობა მხოლოდ მომაკვდავის უკანასკნელი სიცოცხლის ნიშანი იყო, უკანასკნელი ბრძოლა სიკვდილთან.

## IX

რას ეძებდა მეჯღანუაშვილი ფულებში და რას მოეწია მათგან?

რაკი ჩვენმა ახალგაზრდა სოლომანამ ერთხელ შეყო ფეხი ცხოვრების ტალღაში, მერე ამ ტალღამ გაიტაცა იგი შუა ზღვაში და იმისი იქიდგან გამოყვანა აღარ შეიძლებოდა— თითონ არა ცდილობდა ნაპირზე გამოსვლას, სხვას კიდე მასთან საქმე არა ვისა ჰქონდა. მერე ისე შეეჩვია ცხოვრების მორევში ადვილათ ცურვასა და აქეთ-იქით ქანებასა, რომ იგი ვერც კი წარმოიდგენდა ხმელეთზე ყოფნას. ის უფრო და უფრო შუაში იწევდა, უფრო ღრმათ ეფლებოდა, ვიდრემდის არ შეტოპა იმ ადგილას, სადაც ლაღათ და თამამათ დაცურავენ უზარმაზარი ვეშაპები და ერთი კუდის მოქნევით მთელ ხომალდებსა ღუპავენ შიგ მსხდომარე ადამიანებითურთ. სოლომანა ბიჭი გადაიქცევა თითონაც ვეშაპათ, რომელსაც გაუბტყელებენ სახელს—სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. დღეს სოლომანი უზარმაზარი ვეშაპია.

მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ, რათ გამოიცვალა ასე საშინლათ სახე ჩვენმა სოლომანამ? რისთვის მიჰყო ხელი თავის ღირსების დანგრევას და რათ აღიშენა ტყუილების ტაძარი? რათ დაიდო ამოტელა საპალნე სიმდაბლისა? ჩვენ კარგათ ვიცით, რომ სოლომონას წინათ არა ჰქონდა ფულის სიყვარული იქამდის, რომ კაცმა ყოველივე დაივიწყოს, ყველაფერი მოითმინოს, ოღონდ კი ფულის ზანდუკათ გადაიქცეს.

ერთი ბეწო ღვთისნიერი ბიჭი, რომელსაც თავის დღე-

ში არ მოელანდება ფულის სიმრავლე ხუთსა და ექვს მანეთ-
ზე ზევით, უცებ ტყავიდამა ძვრება, რომ ერთი წლის განმა-
ვალობაში ოცდა თხუთმეტი თუმანი გამოჭკრას ხელცახოცში
და, ამ წარმატების შემდეგ, გატაცებით მოინდომოს გამდი-
დრება, მასთან დიდი გამდიდრებაც. კიდევ არას ვიტყოდით,
რომ სოლომანი ყოფილიყო სრულებით ხეპრი, შეუგნებელი,
აჯამი კაცი, რომლისთვისაც ტყუილსა და მართალს არავითა-
რი განსხვავება არა აქვს, თუკი ორივე ემსახურებიან მის ჯი-
ბეს. ჩვენ ვიცით, რომ სოლომანა თითონაც იტანჯება თავის
ტყუილებით, თითონვე ჰხედამს ამაში თავის ღირსების დაცე-
მას, თითონვე იწვება, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელ არ
უწირნია სწორეთ.

პირველათ იმას უნდოდა მხოლოდ, რომ ცხოვრების
ტანჯული არა ყოფილიყო. ჰსურდა, რომ თავისი ოფლით
სიამოვნება ენახა. ერთი სიტყვით, ფული მხოლოდ იმისთვის
უნდოდა სოლომანას, რომ სხვისი მუნათი არა ყოფილიყო,
თავისთვის გაეჩინა საკუთარი კეთილ-დღეობა, რაც ჩარჩუა
ბიჭს შეშვენის. სოლომონი ისეთ უბედურ მდგომარეობაში
იყო, რომ ის ვერც კი გაბედავდა სიმდიდრეში წარმოედგინა
თავისი თავი. პირველათ იმან გროში-გროშ მოაგვარა, ითმი-
ნა საშინელი ღარიბული ცხოვრება, მუშაობდა მხოლოდ იმი-
ტომ, რომ იგი იყო ამაყი ახალგაზდა, რომელიც ვერ გაიმე-
ტებდა თავს, ვერ დამცირდებოდა ისე, რომ წასულიყო და
მთხოვრობა დაეწყო. მასთან სოლომანს ისეთ ჭკვიან ბიჭათ
ვიცნობთ, რომ იმას შეუძლიან თავის აწმყოზედაც და მომა-
ვალზედაც ფიქრობს. ისა ჰხედამს, თუ რა შედეგი ექნება, რომ
იმან დაიწყოს ფულების წინდაუხედველათ ფლანგვა. იმან იცის,
რომ დღითი დღიურათ ფულის მოგება და ხარჯვა მაგოდნათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გამოიყვანენ მას სიღარიბიდგან. იცის, რომ ერთხელაც წამოიქრუშება მის თავზე ცა, შაემთხვევა შავი და ბალღამიანი დღე, როდესაც იმას აღარ შეეძლება მუშაობა. ამ აზრისა ეშინიან სოლომანს. მუშაობს დაუდგრომელივ, მანამ სიძვე-ლე მოზდევს. იცის, რომ სიზარმაცით არავის არ აუშენებია ქოხი, ახსოვს, რა დღეში დარჩნენ ისა და მისი დედა, როდესაც მოკვდა მამა და არაფერი საცხოვრებელი წყარო არ დაუნარჩუნა სახლობას. აი, ყოველივე ეს კარგათ ესმის და ამიტომ ცდილობს, რომ რამდენსამე თუმანს დაუჭიროს თავი, აღარა ნახოს მეორეთ მწარე დღე და მასთან, თუ სახლობა ეყოლება, არც ისინი იყვნენ ს რ უ ლ ე ბ ი თ უნუგეშონი.

სოფელი მისთვის არ იზრუნავდა, მის ცოლშვილს არავინ უპატრონებდა პატიოსნური თანაგრძნობით. სოლომანას არ დაავიწყდება ის უშვერი და უნამუსო წადილი, რომელიც დედა-გაიანეს განუცხადა სარქის ბეგაშვილმა ღრჯოლებიან მაჭკანკალი ბებრის პირით. კარგათ იცის, თუ რა ნაირათ შეუწყნარებელია ყოველ ღარიბთან ქვეყანა. ისიც კაცია, იმასაც, ადრე თუ გვიან, ეყოლება ცოლშვილი, ისიც არ გადარჩება სიკვდილს, და როგორ უნდა წარმოიდგინოს გულგრილათ, რომ იმის ცოლშვილიც ასე უნუგეშოთ უნდა დარჩეს მის სიკვდილის შემდეგ, როგორც თითონ დაემართა მამის შემდეგ? სოლომანს ნათლათ ახსოვს დედის ლაპარაკი მათ წარსულ ცხოვრებაზე. ღრჯოლებიანი ბებერი და მეწვრილმანეები არ გამოდიან მისი მეხსიერებიდგან. აი ამიტომ ილებს ჩვენი ახალგაზდა ძილს, აი, ამიტომ იგი ითმენს საშინელ და წარმოუდგენელ გაჭირვებას, ამიტომ იგი უკან არ იწევს ქვეყნის მოტყუებაში, ამიტომ ის ისე ეკიდება ცხოვრებას, როგორც მტერი, ჰგლეჯავს მას, რის გამოგლეჯაც კი შესაძლებელია.

თავის დაცვა, სიცოცხლის სურვილი, მომავალი თავისიანების სიყვარული, აი ყოველივე ის, რის გამოც ჩვენი სოლომონი ამბობს, რომ „ვისაც თევზი გინდათ, ფეხიც სველი გქონდეთო“. ვისაც გინდათ, რომ ცხოვრება პირში არ გაფურთხებდესთ და ცხვირში ძმარს არ გაწურებდეთო, ნურას დაიზარებთ, ვიდრე მკლავში ძალა მოგდევთო.

ამ გვარათ, მეჯღანუაშვილმა ცხოვრების ტალახში იმიტომ შედგა ფეხი, რომ იმას არ უნდოდა უფრო აყროლებულ ადგილებში არც თავისი და არც მომავალი სახლობის სიარული. ცხოვრებამ, ქვეყნის ეკონომიურმა მდგომარეობამ გაუჭირა იმას საქმე იქამდის, რომ მარტო ტალახში და ნახა მან სიცოცხლის წყარო. სრულებითი უნუგეშობის გამო, დაიწერა პირჯვარი და შეუდგა ქვეყნის მოტყუებას.

მაშინ მოინდომა იმან სიმდიდრით სახელის გაკეთება, რომელსაც გაჭირებამ ჯერ შეაჩვია ნაკლულევანების ატანას, რომ ფულები ეშოვნა შავი დღისთვის, და როცა დარწმუნდა, რომ ამავე ხელის მოჭირებით გამდიდრებაც შეიძლება, მაშინა თქვა —ბარემ მილიონებიც შევყაროვო.

აი, მაშინ სრულებით დაავიწყდა სოლომანს პირველი მიზანი ხელმოჭერილი ცხოვრებისა. იმას უნდოდა მხოლოდ, რომ საჩრო ეშოვნა თავის და სახლობის სასიამოვნოთ, გაუჭირებელი სიცოცხლისთვის. მაგრამ რაკი ფულების გაბრთხილებამ ის გადააქცია ნამდვილ ასკეტათ, ფულებმა შეაყვარეს თავი, მაშინ სოლომონს აღარა უნდოდა რა საყვარელი ფულების გარდა. ის ასკილივითა თრთის, თითო გროშზე ცოდვიანივითა კანკალებს, რომ ცალი ფული არ მოაკლდეს იმის ორმოს,—თავს ყოველ განსაცდელში ჩააგდებს, ოღონდ, რაც შეიძლება, მომატებული ფული შეინახოს!

ერთი იკითხოს კაცმა, რა თავში უნდა იცეს იმოტელა ოქროები, როდესაც თითონ ხომ დაბრანძული და ნახევარზე მშიერი დაიარება და ახლა თავის სახლობას ხომ არაფერს სიკეთეს არ აჩვენებს! უგულანი საშინელ სიღარიბეს და ჩამოქრუშულ დღეს ატარებენ. მამა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს შვილებისადმი. თავის დღეში იმას თამარასთვის არ გაუცინია, თავის დღეში მისი გული არ გაშლილა მამობრივი ალერსით ცოლშვილისადმი. თექვსმეტი წლის თამარას და მთელი ოცი წელიწადი ჯვარ დაწერილ სოფიოს უკვირთ, რომ მათი შინა კაცი ერთხელ მაინც შუბლ გახსნილი დაინახეს. აქამდის როგორც თამარას, ეგრეთვე მის ძმა ისაკს თავისი მამა ეგონათ ერთ უბრალო მთხოვარათ. არავის არა ჰქონდა მოლოდინი, რომ იმათთვის როდისმე გაჭირებაში ამოიხედამს მზე, და ცხოვრება გაათბობს მათ ცოტათი მაინც.

მაშ რათ უნდა სოლომანს თავისი ფულით სამსე ორმო, თუ კი ვერავის ვერ გაახარებს თავის სიცოცხლეში? საუბედუროთ, უნდა ვთქვათ, რომ სოლომონა უმიზნოთ აგროვებს ფულებს... მაგრამ არა, იმასაც აქვს მიზანი, რომ მდიდარის სახელი დაიმსახუროს ქვეყანაზე.

ბოლოს დროს კი ჰგრძნობს ჩვენი სოლომონ ისაკიჩი და გული სტკივა, რომ ასე უბრალოთ წაიხდინა გული, დაკარგა უკეთესი გრძნობანი, უკეთესი ფიქრები და გადაიქცა ფულის ყუთათ.

იმის მაგივრად, რომ სოლომანს დაებადნა თავისთვის ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება, გაეხარებინა თავისი სახლობა და საკუთარი გული, გამხდარიყო ღირსეული მამა ღირსეული შვილებისა,—იმან მწარეთ გაატარა თავისი წუთის სოფელი. ამის მაგივრათ სოლომანმა დაუწყო წარმოუდგენლათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი, საშინლათ მძიმე და ერთგული სამსახური ფულებსა, რომლებიც ვერ დააფასებდნენ თავის დღეში ვერც იმის თავგანწირულებას და ვერც მის ბეჯითობას. იმას თავისი შვილები, თავის ცოლი არ მოგონებია, მანამ კარგათ და ხანგრძლივ არ დაწვა და დადაგა ისინი სიცივით, შიმშილით და მუშაობით. ის გამოუდგა მხოლოდ ფულებს. ფულებთან იმას სრულებით დაავიწყდა ყოველივე-ფერი, დაავიწყდა აგრეთვე საკუთარი თავი. ფულებმა გაუთხარეს მას ორმო, რომლიდგანაც ჩვენი სოლომან ისაკიჩი ვეღარ ამოვა, გინდა დღეს ოთხმოცი წლის მოხუცმა ას წლამდინ კიდევ იცოცხლოს. უბრალო ჩარჩუა რამა ყოფილიყო, ლაგოდახელი დალაქი არ ეცდებოდა მის მოტყუებას, თითონ სოლომანი გახეთს არც კი ნახავდა; გინდ როგორმე წასულიყო, ვერ მოტყუვდებოდა, ამიტომ რომ იმას ქალაქშივე ეყოლებოდა ვინმე გულზე მოკიდებული. მასთან ეცოდინებოდა, რომ იმას ოთხას თუმნიანს და ორ ვენახიან ქალს არავინ მისცემდნენ. აქ კი დარწმუნებული იყო, რომ იმის მოტყუება არავის ეწადებოდა. ის კი არა თუ, მახინჯი ქალი ცალკე დარჩა ხელთა და მზითვათაც ოთხი მანეთისაც არა ჰქონიარა მის ცოლსა. აი, სიმდიდრემ როგორ გაუთხარა მას სამარე! აქამდის სიხარულ მოკლებულმა, აქაც მოიწყვიტა გული. და მერე ხომ მთელი იმისი სიცოცხლე მხოლოდ ერთი ვრცელი ოქროს ჯაჭვია, რომელიც შესდგება მწუხარების და ვაი-ვაგლახის რგოლებიდგან.

ჯერ კარგა დასტანჯავს თავის სახლობას, ყურს არ მიუგდებს თავის შვილებს, არც კი ახსოვს, რომ იმას შვილები ჰყავანდნენ სადმე. და მერე, როდესაც მოვლენ ასაკში, ქალი გასათხოვარი გახდება და ვაჟი ჯვარ დასაწერი, მხოლოდ მაშინ, ისიც შემთხვევის წყალობით, შეიბრალებს თავის ცოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილსა და გამოაჩენს უთვალავ ოქროებსა. უნდა ეხლა მაინც ასიამოვნოს მათ და ისიამოვნოს თითონაც. მაგრამ რაღა დროსია! დაგვიანებულია, ჩემო სოლომან ისაკიჩ. წავიდა ძვირფასი დრო, გაჰქრა უკვალოთ. ეხლა ათასი კოშკებიც რომ აიშენო, აავსო თვალითა და მარგალიტით, ააყვავო და ააჭრელო შენი ცოლ-შვილი და შენი თავი ძვირფასი საც-მელით, თვალ-მარგალიტებით, იტრიალო ასრეთ წოდებულ „მაღალ საზოგადოებაში", გასცვითო თეატრის ლოჟები შიგ ჯდომით,--ეხლა, შენი მტერი, შენ მაგით ვეღარასა იქ. ამეე-ბის გემოვნება თქვენ სრულებით არა გაქვსთ, დაიარებით, შენი თქმისა არ იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვები, მდი-დრები, მაგრე შვრებიან, თქვენც ჰმაიმუნობთ, აჩვენებთ სხვე-ბსა, მითომ „ჩვენც აქა ვართო!" მაგრამ თქვენ დიდი ხანია, აღარა ხართ. თქვენზე გული ვერ მიუვა განათლებულ ადა-მიანს. რაინდიმე არ შეირთამს თქვენ თამროს, თუმცა სოლო-მე ათჯერ დაჯერებული იყოს, რომ მას აუბამს ფულებით თვალებს. თქვენ დიდი ხანია გააუბედურეთ თამრო. თვენთვის ევროპიული ცხოვრება სრული ტანჯვაა. ამიტომ, ტყუილად კი არ ამბობს შენი მეუღლე, რომ ისევ ციხის უბანში, თქვენ ძველ ქოხში, გერჩივნათ ცხოვრება, ვიდრე სოლოლაკის უკეთესს სახლში. მართალია, იქ მშივრები იყავით, მაგრამ იქ ჯანზე ხომ მაინც კარგათ იყავით. თქვენთვის შეჩვეული ჭირი შეუ-ჩვეველ ლხინზე კარგი გამოდგა.

## VIII

ასე უგემურათ და უგუნურათ განვლო დღენი ჩვენმა სოლომან ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა, როგორც თავის საკუთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ბედნიერებისათვის, აგრეთვე თავის ცოლ-შვილისთვის. ახ-
ლა გადავავლოთ თვალი, თუ რა მოუტანა ქვეყანას ჩვენმა
მეჯღანუაშვილმა თავისი სიცოცხლით? ამოვწერ მეტად შე-
სანიშნავ მინუშს, თუ რა რიგათა ვაჭრობდა ჩვენი გმირი.

„— აბა, ჩემო საყვარელო! რამდენი ვარია არის და რო-
გორ ჰყიდი?

— თვრამეტი ვარია გახლავს; ორი მანათი მიბომეთ.

— ეჰ, ჩემო საყვარელო! ასეთი ფასი თქვი, რომ ჭკვაზე-
დაც ახლო იყოს; სწორეთ გითხრა, ორ მანეთათ არ ღირს
და არც არავინ მოგცემს მაგდენ ფულსა; ხომ კარგათ იცი,
ფული ქვიშასავით წყალში არა ჰყრია, ანუ პანტასავით ტყეში
არ მოდის.

— ეგ კარგათ ვიცი, და თქვენც კარგა უნდა იცოდეთ, რომ
ვარიებიც ტყეში არ იზდებიან, რომ ამათაც მოვლა და
გაზდა უნდათ, რომ შორის სოფლიდგან მოვდივარ.

— მაშ სწორე ფასი რა არის?

— ცხრა აბაზი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დრო შაგვექნა, ხუთ გროშიან
ვარიასაც კი ფასი დაედო! ვინ გაუძლებს ამისთანა საშინელ
სიმვირესა! აბა, ღმერთი რათ მოგვცემს კარგსა!

— მე იმ დროს მოვესწარ, როდესაც ქალამანს ვყიდუ-
ლობდი ხოლმე შაურათ და ორ შაურათ; ახლა კი ათ შაურა-
თაც ველარ გვიშოვია. თუ თქვენ ქალამნებს ფასი მოემატა,
მითომ ჩვენს ვარიებსა ფასი რატომ არ უნდა მოემატოს?!

— გხედავ, ძმაო, ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ ძვირათ კი
აფასებ ვარიებსა. ოთხი აბაზი მოგცე?

— ვერ მივცემ.

— ოთხ-აბაზ-უზალთუნი?—ეს რა უთხარი, თეთრი ფული

ამოვიღე და დავანახვე ვარიების პატრონსა, განგებ, რომ დამებრმავებინა ფულის სილამაზითა.

— მაგისთანა ფულები ბევრი მინახავს, მე არ მიკვირს.

— აჰა, მანათი!

— არ შეიძლება.

— მაშ რას ითხოვ?

— უკანასკნელი ფასი—ცხრა აბაზი.

— მაიცა სად მიხვალ! აბა მიჩვენე შენი ვარიები.

აი ვარიები, გაშინჯეთ; თვითო ამისთანა ვარია აქ, ამ მოედანზე, სამ შაურათ იყიდება, მე კი გთხოვ ორ-ორ შაურსა; ხუთ აბაზს რომ იძლევი, ღმერთი არ არის თქვენში!

— უჰ, რა გამხდრები არიან, თითქოს არა გიჭმევიარა.

— მართალია, გზაზედ არა მიჭმევია-რა.

— მაშ რაღას დიდ-დიდს იძახი, შე დალოცვილო! განა გამხდარსა და მსუქან საქონელს ერთი ფასი სძევს?

— აქ ნება-ყოფლობით უნდა იყოს ვაჭრობა. თუ არ მოგწონს სავაჭრო, თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის.

— აჰა, ხუთ-აბაზ უზალთუნი.

— არ იქნება.

— დაიჭი, დაიჭი ექვსი აბაზი; ამასაც შენის ხათრისთვის გაძლევ, თორე...

— რას მაბრიყვებ, გამიშვით.

— სად მიხვალ!

— წავალ, ქალაქი დიდია.

— მაიცა, მაიცადე, ერთ სიტყვას გეტყვი.

— აჰა, მოვიცდი: მითხარ ერთი სიტყვა.

— აი, ძმაო, რას გეტყვი. აქედამ სიონამდინ რომ წახვიდე, ჯერ ერთი რამდენ დროს დაჰკარგავ; მეორე, ქალამანი გაგიცვდება; მესამე, ვარიები შიმშილისაგან უფრო შემსუბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქდებიან, იქნება კიდეც დაიხოცნენ, და მაშინ, რასაკვირველია არავინ მოგცემს ექვს აბაზსაცა. ჭკუას ნუ დაჰკარგავ.

— ახა, ღმერთო ჩემო! ეს რა ჭირში ჩავვარდი! სად გაგონილა, რომ კაცს თავისს საქონელზე უფლება არა ჰქონდეს, მანამ არ გაყიდის. აღარა ვყიდი, თავი დამანებეთ.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, ოხერო! ვინ გეჭიდება! ჯანაბამდის გზა გქონდეს. მაგრამ ამასაც კი გეტყვი, ჭკვას წააგებ, ქართველი სხვა ვინ ყოფილა ჭკვიანი, რომ შენ იყო?

— გარწმუნებ, აქამომდე მქონდა ჭკუა, და მას აქეთ, რაც შენ შეგხვდი, ჭკუა დავკარგე, ასე გამინჯე, აღარ ვიცი, ექვსი აბაზი რავდენი ფულია. გამარჯვებით.“ 80—82 გვ.

მაგრამ გლეხს მაინც თავს არ დაანებებს. დაუსევს თავის მეგობრებ-ჩარჩებსა შუამავლათ და ისინი იქამდის მააბეზრებენ თავსა, რომ შვიდ აბაზათ გააყიდვინებენ გლეხს თავის ვარიებსა. „საწყალი გლეხი კაცი დაღონებული და თავდაკიდებული წავიდა. მე კი მიხაროდა, რომ იაფათ ვიყიდე ვარიებიო,“ გვეუბნება ჩვენი მეჯღანუაშვილი, რომელმაც იქვე გაასაღა ეს ვარიები წყვილი ხუთ მაურათ და ჩვიდმეტი მაური ხელათ მოიგო.

უნდა მოიგონო, მკითხველო, რომ ეს სცენა იმ დროსა ხდება, როდესაც მეჯღანუაშვილი ფულში ყელამდინა ცურავდა. ამ დღეს მოუხდება იმას ფულების დათვლა. ეხლა ჩვენ ის უნდა წარმოვიდგინოთ, თუ მეჯღანუაშვილი დღეში რამთენ ამისთანა ვაჭრობას ჩაიდენდა, რომ გლეხი კაცისთვის ორი და სამი აბაზი მეტი ეძრო! მაგრამ ჩვენ ამ მინუშს ნუღარას მიუმატებთ. იგი თავის თავათ უფრო ბევრს ამბობს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ.

ამ სახით, მეჯღანუაშვილი ჰყვლეფამს ყველას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთანაც კი დაიჭერს საქმეს, ორი გროშისთვისაც კი ახრ-ჩობს და გულს უღონებს კაცსა. ოთხი აბაზი რაღა სათქმელია, როდესაც თავის ორმოში თითონ ეგულება ოცი ათასი თუმანი და იქ კი იმყოფება ოთხმოცი ათასი; გლეხი კაცისთვის კი ჩვიდმეტი შაურის დაკლება, მალათ ხელიდგან გამოგლეჯა გაღარიბებას შეადგენს: რამტოლს შეუკურთხებს საწყალს იმისი ცოლი, როდესაც იგი თვრამეტ ვარიაში მიიტანს შინ სულ შვიდ აბაზს! რანაირი ტყუილი მიზეზები უნდა მოაგვაროს, რომ თავის ცოლთან გაიმართლოს თავი ასეთ უხეირობაზე! რა გაუგიდოდა საწყალ გლეხს ამისთანა გამოქნილ ოსტატებთან, როგორიც სოლომანა და მისი ნაცნობები იყვნენ! მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს, რომ თუ ასეთი მარჯვე გლეხიც კი მოტყუვდა და მწარეთ დაბრუნდა სახლში, რაღა უნდა ეშველოს საწყალ გლეხს, რომელიც პირველათ ჩამოდის თბილისში თავის ნამცეცი სარჩოს გასაყიდათ!

ამისთანა ოსტატობამ და გლეხების ვალში ჩაგდებამ გაამდიდრა ჩვენი სოლომონ ისაკიჩ, იმან აუვსო ფულით გული, სული და ჯიბეები. გლეხის ზარალი სოლომანის ჯიბეებს არგებდა. და ასრეთ ჩვენი „პატიოსნებით" გამდიდრებული კაცი, რომელსაც არავითარი ავაზაკობა არ ჩაუდენია, კაცი არ მოუკლავს, გარყვნილობა არ უქნია, ეს კაცი წრუპელასავით სწუწავს გლეხის სისხლსა და ხორცსა, გლეხის ოფლსა და შემოსავალს. ეს კაცი გადასწოლია გლეხების ღრუბლიან დღესა და აღარ აძლევს მას გამოდარებას.

ეს ყოველივე კარგათ ესმის ჩვენ სოლომან ისაკიჩს, მოიგონებს ხოლმე თავის საქციელს გლეხებთან აღებ-მიცემობაში და ედება გულზე ცეცხლი, იწვის, მაგრამ, ამით მაინც რას უშველის ან თავის თავს, ან გლეხებს. იგი დღესაც იმავე მაღლატანებით ყიდულობს გლეხებიდგან, როგორც მუდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IX.

ამ სახით, მეჯღანუაშვილი ქვეყანაზე მოსულა არც თავის სასიამოვნოთ და გასაბედნიერებლათ, არც ქვეყნის სასარგებლოთ. იგი როგორც თავისი საკუთარი უბედურების ამშენებელია, აგრეთვე ქვეყნის უმიზნო მომატყუებელია, ქვეყნის სისხლის მსმელია.

ზოგი სოლომან ისაკიჩს დაუწყებს ჩაქოლვას, შეკურთხებას, ამის გამო. მაგრამ ჩვენ ისრევე გულწრფელათ გვებრალება მეჯღანუაშვილი, როგორც ყოველივე, ვინც ქვეყნის მსხვერპლათ გამხდარა. მართლათაც, დიდი შეწყნარების ღირსია კაცი, რომელიც თითონვე ჰგრძნობს თვის ცხოვრების სიფუჭეს, რომელიც ჰხედავს თავის დაცემას და სიყვარულით იგონებს იმ დროს, როდესაც იგი იყო უმანკო მტრედივით სუფთა და უცოდველი. ბევრიც რომ გასწყრეთ მეჯღანუაშვილზე, მაინც იგი დარწმუნებულია, რომ მისი უბედურება ცხოვრების უმგზავსოებაზეა აშენებული. ის მუდამ გეტყვით, რომ გარემოებამ გამოხრა მისი უკეთესი თვისებები, რომ გარემოებამ გამოჰგლიჯა მას ჭაბუკობის ღირსებები და იმათ მაგივრათ მიუთითა ათასნაირ სისაძაგლეზე, ჩაუგდო გულში ფუჭი აზრი—თაგვივით ეზიდნა ცხოვრებიდგან მარცვლები და ემარხნა ორმოში, რომ ვერც თითონ გამოეცხო პური ამ ხორბლიდგან და ვერც სხვას ერგო მათგან. მეჯღანუაშვილი მწარეთ იღიმება ცხოვრებაზე, თავის გავლილ და აწმყო დროზე და ვერსად ველარა სცნობს თავის პირისახეს.

აი, ეს შეწუხებული მდგომარეობაა ჩვენთვის მეტათ ძვირფასი. იგი გვაძლევს ჩვენ იმ იმედსა, რომ ერთხელ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაცში ღრმათ ჩანერგება პატიოსნების ცეცხლი, მისი მორიანათ ამოგლეჯა გულიდგან თვით მილიონებსაც არ შეუძლიანთ. ამით ჩვენა ვხედავთ, რომ თითონ სოლომან ისაკიჩი უკმაყოფილო, მომდურავია თავისი მოქმედების და გარშემო რტყმული ცხოვრებისა. ჩვენა ვტყობულობთ, რომ არც მილიონები შეარიგებენ გონიერ კაცს ცხოვრებასთან.

და ამიტომ, ჩვენ, გინდა ცხოვრების წყობას უყურებდეთ ისე, როგორც ციდან მოვლენილ ნეტარებას, მაინც უნდა ღრმათ დავაკვირდეთ მის მდგომარეობას, როდესაც ასეთი მოხუცებული კაცი, როგორც სოლომან ისაკიჩი, მოგვითხრობს, რომ ცხოვრება კაცის მომხიბლავი და დამდაბლებელიაო.

მაგრამ არა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას თითონ ჩვენც არ ვაღმერთებთ, თუმცა იმდენი შხამი არ დაგვილევია მასში, რაც ჩაუსხამ სოლომან ისაკიჩს თავის გულ-მუცელში. ჩვენა ვხედამთ, რომ კაცი, რომელსაც არა აქვს გამაგრებული შეხედულობა ცხოვრებაზე, არა აქვს გამორკვეული პატიოსანი სავალი გზა, როდესაც მას არ შეუძლიან იპოვნოს თავის გულში მაგარი და უტყუარი ინსტინკტები, თავის გონებაში ნათელი აზრი საზოგადოების და პიროვნობის სარგებლობისა,—რომ ასეთი კაცი დიდხანს ვერ გაუმაგრდება ცხოვრების ტალღას და მიეცემა მას, როგორც დავინახეთ მეჯლანუაშვილში. ჩვენ იმას ძვირათ ვაფასებთ, რომ ჩვენ აზრს არა სთვლიან სიმტყუნეთ თითონ ისინი, ვინც ცხოვრების ბორბალს ატრიალებენ, ვინც ქვეყნის არჩევანს ბურთივით ათამაშებენ ხელში.

სოლომანისაგან ჩვენთვის ესეც საკმარისია, რომ სრულებით არ დახშვია გრძნობა. ცხოვრებასთან კი ის არა ტყუის: თუ კი ცხოვრება არ შეიწყნარებს მეჯლანუაშვილს, მშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერ ახალგაზდას, თუ კი იგი მიუსევს იმის დედა-გაიანეს ყოველ ნაირ სიცუდეს ქვეყნისას; მაშ მეჯლანუაშვილი რაღათ დაუწყებს ლოლიაობას სარქისბეგაშვილებს და ყველას, ვინც ამ მყრალ ცხოვრებას შეადგენს?

აი, აქ უნდა ვხედამდეთ ჩვენ ნაკლულევანებას. მანამ ასეთი ნაკლულევანება არის, სინამდისინ ჩვენ არავითარი ნება არა გვაქვს, რომ მეჯლანუშვილზე რამე ძვირი ვთქვათ.

მეჯლანუაშვილის კი არა, თვით უცუდესი ქვეყნის გამომწუწნავნი რომ ერთ დღეზე ამოაგდოთ დედა-მიწის ზურგიდგან; მაინც ხვალე თქვენი გაშტერებული თვალები დაინახავენ, რომ იმათი ადგილები სხვებს დაუჭერნიათ, მათ სკამზე სხვები გამოჭიმულან. იმიტომ რომ ყველა ჩვენგანს გულში ენატრება მათი მდგომარეობა. ყველა ჩვენგანში ცხოვრების უარაქათობამ ღრმათ ჩანერგა ფულის მოყვარეობა, ყველა ჩვენგანი ოქროს ზოდებში ჰხედავს უმაღლეს ჯილდოს ცხოვრებისას. ყველას ფული მიგვაჩნია უღონიერეს იარაღათ ნეტარების და სიამის მოსაპოვებლათ. სიმდიდრე არის თავი და ბოლო ყველა ჩვენი წადილებისა. თუ ჩვენ ვისურვებთ მეჯლანუაშვილების ამოწყვეტას, მაშინ ეს სურვილი უნდა გადავიდეს მთელ კაცობრიობაზე, მთელი კაცთა ნათესაობა უნდა ამოვარდეს; მიტომ რომ მეჯლანუაშვილები თავიანთი ცხოვრებით აღვიარებენ მხოლოდ იმას, რაც ყველას გულში გვიძევს. მეჯლანუაშვილებში ჩვენა ვცნობთ ჩვენ საკუთარ თავს, მხოლოდ უფრო დიდათ გამოხატულს. ჩვენ ყველანი გულზე ხელს ვიცემთ, როდესაც სადმე ქონებას დავინახავთ. მეჯლანუაშვილები იმით გაირჩევიან ჩვენიდგან, რომ იმათ ბედმა არგუნა სურვილის აღსრულება და ჩვენ ვერა; იმათ უფრო კარგი შემთხვევაები შეახვედრა, ვიდრე ჩვენ. მეჯლანუაშვილი თავით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხებამდის შესდგება ჩვენი სულიდგან და ჩვენი ხორციდგან. ჩვენსა და მის შუა შინაგანი განსხვავება არა სუფევს. ისა და ათასი იმისთანა, სულ ყველანი უბრალო, დაბალი ჩამომავლობისანი არიან. მათ მამა-პაპებს ჩვენსავით შავი სისხლი უდიოდათ ძარღვებში, და მხოლოდ ფულის მოპოებამ დაუწმინდათ იგი. არც ერთი გლეხი, არც ერთი თავადი, არც მე და არც შენ, მკითხველო, მეჯლანუაშვილის ფულებზე ტუჩებს არ ავიტრუკამდით. მაშ თუ ეს ასეა, რას ჩავციებივართ ჩვენ მოძმეებს, რომელთაც ცხოვრებაში მილიონი მიუღიათ? რა გვინდა ჩვენ იმათგან? ხომ არ შეიძლება, რომ ყოველი ადამიანი მილიონერი გახდეს? ამდენი საცხოვრებელი არ იპოვება ქვეყანაზე. მაშ რას გადავკიდებივართ საწყალ მეჯლანუაშვილს, რომელსაც ასეთი წვითა და დაგვით მოუპოვებია ფულის გროვა, რომელსაც შეუწირავს მისთვის მთელი თავისი სიცოცხლე, თავისი უკეთესი გრძნობანი და სხვ.? რა გვინდა ამ კაცისგან? —არაფერი. ვერაფრის მოთხოვნა ვერ შეგვიძლიან ადამიანისგან, რომელიც თავიდამ ფრჩხილებამდინ ქვეყნის გარემოებაებისაგან არის გაკეთებული. რაც ცხოვრებას მიუცია მეჯლანუაშვილისთვინ, იმას მარტო ის აბადია. სხვა ციდამ არა ჩამოვარდნია-რა მას და ნურც ჩვენ მოვედავებით. ჩვენ თუ მეჯლანუაშვილზე ვლაპარაკობთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვთქვათ ჩვენი აზრი თითონ ცხოვრების უწესობაზე, უვარგისობაზე, გაუწყობლობაზე. უწესობაზე და ყველა ამაებზე კიდევ მისთვის ვიკისრეთ სჯა და ბაასი, რომ ყველა ჩვენმა მკითხველმა ჩვენზე უკეთ დაუწყოს ცხოვრებას გამოცდილების თვალით ყურება, შენიშნოს უხვი ნაკლულევანებანი და ნაღრატები ცხოვრების გზაში და თუ მგლავი-ზურგი მოზდევს, „დარის თუ ავდარის, მისი გული მაგარია“, შეუდგეს ამ ოღრო-ჩოღროების ამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



საზას, მიიმხროს მეჯღანუაშვილებიც, პართენებიც და ტიტლუზაებიც ამ ფრიად საჭირო საქმეში. ჩვენი სურვილი მხოლოდ ამაშია. მხოლოდ ეს აზრი გვაძლევს წადილს მუშაობისას, წერისას. თუ არ ესა, ჩვენ სიცოცხლეშიაც კალამს ხელს არ მოვკიდებდით. ვეცადნეთ, ცდა ბედის მონავრეა.

ამიტომა ვლაპარაკობთ ასე ვრცლათ მეჯღანუაშვილზე, თორემ იმის მილიონები ისრე დაიკარგა საზოგადოებისთვის, როგორც შარშანდელი თოვლი თვალისთვის. ჩვენ იმის მილიონები ტყემლის ჩირათაც არ გამოგვადგება. ჩვენ მხოლოდ გვინდა, რომ გავიგოთ ჩვენი საკუთარი ცხოვრება, შევისწავლოთ მისი იარები და დაჭრილი ალაგები. გავიგოთ ამ ავათმყოფობის ნამდვილი მიზეზები და მერე, იქნება, მალამოც გამოჩნდეს სადმე.

აი, როდესაც ყოველი წევრი საზოგადოებისა, ყველა სოლომან ისაკიჩები, ავეტიკები, კირაკუზ-მარტირუზები თავს შემოიყრიან ბაღდასარებთან, პეტრუზ-პოღოს-გალუსტ-ოჭანეზებთან; როდესაც დარეჯანი, თამარი, მაკრინე გამოელაპარაკებიან ელენე, გაიანე, კეკელაებს; როდესაც მასწავლებელი ილარიონი დაუგდებს ყურს გეგენა გლეხის საჩივარს და გააგებინებს თავის სიტყვას,—როდესაც ყოველი ადამიანი დააცქერდება და დაინახავს ცხოვრების უკუღმა ბრუნვას; როდესაც ყველა ფაქტი ჩვენი ცხოვრებისა მამაო ჩვენოსავით გვექნება გაზეპირებული; როდესაც ცხოვრების მოვლინებას არ დაუწყებთ გამოშტერებულათ, აპატიურათ ყურებას; როდესაც ყველა მათ ჩაუფიქრდებით ღრმათ, გამოვიკვლევთ; ერთი სიტყვით, როდესაც ჩვენ თვალ დახუჭულები აღარ ვივლით ქვეყანაზე და ჩვენი ტვინი დაიწყებს მოძრაობს: მაშინ ჩვენ ბედს შეგვიძლიან თავი იქით უყოთ, საითაც გვწადიან და როგორც

უფრო კეთილი იქნება. მაშინ ჩვენ ცხოვრებას ისე გავაწყობთ, როგორც გვინდა. მაშინ აღარ მოხდება, როგორც დღეს, რომ მეჯღანუაშვილს გული ეფუფქება გლეხის მოტყუანებაში და მის ფულს კი მაინც ჯიბეში იდებს. ამისთანა ტანჯვიდგან ამოვიყვანთ საწყალ სოლომან ისაკიჩს, მეტადრე დარბეულებს მისგან გლეხებსა. მაშინ გლეხსაც აღარ გაუჭირდება კბილის გასისხლიანება. მაშინ სულ სხვა ფრივი მზე ამობრწყინდება ცაზე . . . .

მანამდის კი დავანებოთ თავი მეჯღანუაშვილის პიროვნებას. იგი ისეთივე შესაბრალისი მსხვერპლია ცხოვრებისა, როგორც ტატო ცულუკიძე ან ყოველი გლახა, მათხოვარა. ჩვენ ნუ ვიქნებით ვიწრო და აჩქარებული შეხედულობისა ქვეყნიერებაზე. ჩვენი სიყვარული და თანაგრძნობა გადავიტანოთ ყოველ ადამიანის პიროვნობაზე, რამთენათაც კი ეს შესაძლებელია ეხლანდელი კაცისთვის. ზოგი მასხარათ ავიგდოთ, ზოგს მწარე სიტყვა ვკრათ გულში, ზოგს გულგრილათ ველაპარაკოთ—სულ მისთვის, რომ აგების ჩვენი ხალხის ყველა წარმომადგენელმა თავისი ტვინი შეატოკოს და დაიწყოს ფიქრობა, სჯა, მოსაზრება, დაკვირვება. მხოლოდ ყველა მათი გონიერებით და სიკეთით შეიძლება ქვეყანამ ფერი იცვალოს. სხვაფრივ არავითარი სიკეთის მოლოდინი ნურავისა ჰქონია. ეს არის ჩვენი აზრი. ამას უნდა დავადგეთ ჩვენა.

სტ. ჭრ—შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამდენიმე სიტყვა ჩვენ მეურნეობაზე.

მოსავლის სიუხვე რამდენათაც მიწის ნაყოფიერობაზედ, იმდენათ მიწის შემუშავებაზედაც და გაკეთებაზედ არის დამოკიდებული. ამიტომ რაც-გინდ ნაყოფიერობის ძალით იყოს ჩვენი ქვეყანა სავსე, იგი მაინც მოსავლით ყოველთვის მეორე ხარისხზე იქმნება შედარებით იმ ქვეყნებთან, რომელთაც ნაყოფიერობის ძალა უფრო მცირედი აქვსთ, მაგრამ არიან შემუშავებულნი გაცილებით კარგათ, ვიდრე ჩვენი მხარეა. ბავარიისთანა ძალა-გამოცლილი და უნაყოფო მიწა, ვგონებ, ძნელად იპოვებოდეს დასავლეთ ევროპაში, მაგრამ მოსავლით და ჭირნახულით ისიც კი სჯობია ჩვენ ქვეყანას. ვინც ჩვენი სოფლელი გლეხი კაცის სისაწყლე იცის, იგი ადვილად დამთანხმდება, რომ ჩვენ მიწა-მამულს ძალიან დიდი გაუმჯობესობა სჭირდება, ჩვენი უბრალო ხალხის სიცოცხლისთვის და დღეგრძელობისთვის. გლეხს და მის სახნავ მიწის შუა ისეთი დამოკიდებულებაა, როგორც ძუძუთა უმაწვილის და დედის შუა: თუ ძალე გაშრა დედა და ძიძაც ვერ უშოვა თავის შვილს, უეჭველია რომ ბავშვი კვდება; თუ გაუძლურდა მიწა და ვეღარ აძლევს გლეხს მისთვის საჭირო გამორჩენას, უსა-

თუნდ გლეხიც ისე კვდება როგორც მუმუთა უდედო და უმიძო ბავში; ხოლო თუ ეს უკანასკნელი მართლა სრულიად მოისპო რომელსამე ქვეყნის ზურგიდან, მაშინ დგება იმ ქვეყნისთვის ნამდვილი სიკვდილი, მაშინ სრულიად იკარგება სიყვარული მამულისა და სამშობლოსი. კეთილ-დღეობა ყოველის მხრისა იზომება გლეხი კაცის მდგომიარობით, და გლეხი კაცის მდგომიარობა კიდე არის დამოკიდებული მამულის ვარგისობაზედ: რამდენად კარგია ან ცუდია მამული, იმდენათ კარგს ან ცუდს მდგომიარობაშია გლეხი კაცი ეკონომიურის მხრით ჩავარდნილი. სიმდიდრე მხარისა მშვენიერ ქალაქებში, შენობებში, რკინის გზებში და გემებში კი არ გამოიხატება, არამედ თითონ გლეხი კაცის კარგათ დაკმაყოფილებულ ცხოვრებაში, მის მატერიალურად დამოუკიდებლობაში. დასავლეთი ევროპის გლეხი ჩვენ გლეხზედ მიწა-მამულით ღარიბია, მაგრამ თავის ეკონომიური მდგომიარობით კი ჩვენ გლეხს გაცილებით სჯობია და — შემიძლიან კიდეც ვსთქვა — ჩვენ აზნაურებზედაც მდიდარია. მას თავისი ეკონომიური დამოუკიდებლობა იმოტელა მალას აძლევს, რომ აქნობამდისინ იგი მის ქვეყანაში გამრავლებულ პროლეტარიატთან გამარჯვებით ბრძოლას იტანს: იგი რომ ისეთი საწყალი და ღატაკი იყოს, როგორც ჩვენი გლეხია, აქნობამდისინ მთლად იქმნებოდა პროლეტარიატისაგან გადაყლაპული. მას შინაგანი კავშირი თავის საქმეებისა, თავის წყობილობისა იქნობამდისინ მისხლობით აწონილი და გამოკვლეული აქვს, რომ გასავალ ხარჯს შემოსავლისას თავის დღეში არ გადააჭარბებს; ჩვენი გლეხი კი ამ შემთხვევაში ყოველთვის მამა-პაპურ კვალს მისდევს და ვალებისაგან მისთვისაც ჩაყლაპულია.

ჩვენ მამა-პაპები დიდი ხანია დაგვეხოცნენ, მათ სიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილისათანავე გაგვიქრა ის დროც, როდესაც ჩვენი გლეხის მატერიალური სიუხვე დუღდა და გადმოდიოდა. ეხლა ჩვენ მამა-პაპის გზა აღარას-გვარგებს. ეხლა უფრო საჭიროა, მიაქციოს გლეხმა ყურადღება თავის მიწას, შეისწავლოს მისი ჭეშმარიტი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამ შესწავლით თავისი უბედური მდგომიარობა შეამციროს მაინც, თუ სრულიად ვერ მოსპობს. მადლობა ღმერთსა, ჩვენში მიწა კიდე ისე უძალო არ არი, რომ, კარგ-შემუშავების შემდეგ, მან კაცს ჯეროვანი ნაყოფი არ მისცეს.

ჩვენმა გლეხმა რომ იცოდეს, რომ მის ხარ-კამბეჩის ნანეხვს და მამულ შუა დიდი კავშირი არსებობს, მას რომ გეეგებოდეს, რომ ის მასალა, რომელსაც იგი მამულიდან იღებს თავის ხარ-კამბეჩის გამოსაკვებლად, ისევ მამულს უნდა დაუბრუნდეს, იგი აღარ იჩივლებდა ამისთანა მოუსავლობაზედ და ჭირნახულის შემცირებაზედ. ყველა მემამულე დამთანხმდება, რომ უწინდებულად მოსავალი ვეღარ მოსდის, რომ უწინდებული სიუხვე მოსავლისა ჩვენ მინდვრებზე გამქრალია. მიზეზი ამ შემთხვევისა, კიდევ ვიმეორებ, ისევ მიწის მოუვლელობაში მდგომარეობს. ეხლანდელი მიწის მოვლა და შემუშავება ვერ აკმაყოფილებს ჩვენ ეკონომიურ წყობილობის მოთხოვნილებას და ეს ვერ გაუგია ჩვენ დარბაისელ მემამულეს და განსაკუთრებით გლეხს. მაშინ, როდესაც კოდი პური რვა აბაზი ღირდა, გლეხსკაცს შეეძლო, როგორც უნდოდა, ისე ეჩიჩქნა თავის მიწა, მაგრამ ეხლა, როდესაც მოსავლიან წელიწადში კოდი ოთხი-ხუთი მანეთი ღირს, მან უთუოთ თავი უნდა ანებოს მამა-პაპურ გაკვეთილ გზას და, დროს მოთხოვნილების და გვარათ, შეუდგეს თავის საქმის გაუმჯობესობას. რადგანაც მეურნეობის გაუმჯობესობა მიწის ნაყოფიერობის გაძლიერების გარდა

თხოულობს აგრეთვე ჩვენ მამა-პაპურ სამეურნეო იარაღის შეცვლას, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ უფრო სამეურნეო იარაღზედ მოვილაპარაკო მკითხველთან.

,,იმედის" პირველ ნომერში მქონდა ლაპარაკი შესახებ ჩვენი ურმის უვარგისობისა და ზოგიერთ მკითხველს იქნება კიდეც უკვირდეს, რომ მე ჩვენ გორიან და მთიან მხარეში ოთხ-თვლიან სათრუსალებელს უფრო ვრჩეულობ, ვიდრე ორ თვალიან ურემს. თუ მკითხველი ამისთანა შეხედულობაზედ დამთანხმდება, ვეტყვი ეხლა ორიოდ სიტყვას ჩვენ გუთანზედაც.

ჩვენ გუთანს თუმცა ყველა საჭირო ნაწილები აქვს მიწის სახნავათ, მაგრამ უმთავრესი ნაკლულევანება მისი მდგომარეობს იმაში, რომ 1, მას ხვნის დროს ბელტის სიგანის გამოცვლას ვერ შეუძლიან. 2, საკვეთი მაგრათ და თითქმის მოუშლელად აქვს გუთნის ზურგს მიჭედებული. 3, გამწევ ძალას გუთანში ერთი და იგივე ადგილი აქვს დანიშნული გასაწევად: კაცი მოთხოვნილებისამებრ ამ ადგილს ჩვენ გუთანში ვერ შესცვლის. 4, სიღრმე და სითხელე ხვნისა გუთნის თავის აწევაზედ დამოკიდებულია ისე და იმ რიგად, რომ გუთნის თავს ყოველთვის ასამაღლებელი იარაღი სჭირდება (გათლილი ხე, ან სხვა რაიმე). 5, თვლები ჩვენ გუთანს მარტო თავთან აქვს მოწყობილი: საჭიროებისამებრ კაცი ვერ დასწევს მათ უკან ან წინ ხვნის სიღრმე—სითხელის გამოსაცვლელად. 6, ბელტის გადასაბრუნებელი ფიცარი ხისა აქვს; თუმცა ხის ფიცარი მიწას კარგად ფშხვნის, მაგრამ გუთანს ბევრ ხუხებას მალას აძლევს, რადგანაც ნალი ჩვენი გუთნისა უმისოთაც ხისაა და არა რკინისა. 7, ჩვენ გუთანს ნალის და სახნისის დამჭერი რკინა სრულიად არა აქვს: სახნისი წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცმულია ზარივით ერთ გამწვეტებულ ხეზე, რომელიც შეა-დგენს იმავე დროს გუთნის ნალს. 8, გუთნის ნაწილებში არავითარი სიმეტრია არ არსებობს: სახნისის და საკვეთის სიგრძე, სიგანე და სიპტყე ერთი ერთმანეთს სრულიად ვერ შეჰფერიან. 9, კუთხე, რომელსაც შეადგენენ ერთათ საკვეთი და გუთნის წელი, შეუცვლელია ყოველთვის, საკვეთის უძრავად გაკეთებულობისა-გამო. 10, ხელის მოსაჭიდი ტოტი ჩვენ გუთანს ერთი აქვს, რისგამოც გუთნის ყოველი უმცირესი რყევა გუთნი-დედისთვის ძიელ საგრძნობელია და მალე ჰღლის მას.

ჩვენი გუთანი თავის წყობილობით და შედგენილობით ისეა გაკეთებული, რომ კაცს ვერ შეუძლიან დამტკიცებით მი-აწეროს იგი რომელსამე გვარს ანუ ჯიშს ეხლანდელ გუთნე-ბისას. ეს ან მითი უნდა აიღსნებოდეს, რომ ჩიენ ქვეყნის იატაკს, ანუ მიწას, არავითარი საერთო თვისებაები არა აქვს სხვა ქვეყნების იატაკებთან — რაც შეუძლებელია; — ან კიდე მითი, რომ ჩვენი გუთნის თავ-და-პირველი წარმოდგენა და მისი კონსტრუქცია სრულებით შემთხვევითი ყოფილა და დროთა განმავლობის შემდეგაც მის კონსტრუქციისთვის — ეტყობა — ჯეროვანი ყურადღება არ უთხოვებიათ. ყველა გუთანს დასავლეთ ევროპაში თავისი ისტორია აქვს და ჩვენი კი მას მოკლებულია. რასაკვირველია, იმ მიზეზისა-გამო, რომ ჩვენ წინა-პრების თავში არას დროს სამეურნეო წყობილობის აზრს არ უტრიალია: მათ ოღონდ მიწისაგან ეჭამათ და ესვათ, საშუალება კი, რომლითაც იგინი მას, ე. ი. მიწას რასმე გა-მორჩებოდნენ, სულ ერთი იყო.

მკითხველი ვგონებ არ დაგვზრახავს, აქ რომ მოკლე გენეოლოგია შესახებ ევროპის გუთნებისა მას მოვახსენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით უფრო, რომ ზოგიერთს მკითხველს—დარწმუნებული ვარ—მთელი შედგენილობა ჩვენი გუთნისა გაცილებით ჩემზე კარგათ ეყურება და უეჭველია ისიც ეცოდინება, თუ რომელ გვარ გუთნებისას ეკუთვნის ჩვენი გუთანი.

ახლანდელი ახალ კონსტრუკციაზედ შედგენილი ევროპის გუთნები არიან წარმომდგარნი მარტო ორ სხვა-და-სხვანაირ გუთნის ფორმიდან: ბრაბანტისა და ბოგემიისა. ბრაბანტის გუთნის გვარტომობას ეკუთვნიან სულ ის გუთნები, რომლებსაც ვეძახით ჩვენ ინგლისურს და ნემეცურს, თუმცა აგრეთვე ამ ორივე გვარს თავისი საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ, რომლებიც განირჩევიან ბრაბანტის გუთნიდან; ასე, რომ ეხლანდელი ახა ლი კონსტრუკციის ინგლისური გუთნები, როგორც: ბუსბისა, ბალლისა, რანსომისა, ხორნებისა, ფილანსონისა და ხოვარდისა წარმოსდგებიან როტერგამის გუთნიდან, მაგრამ ეს უკანასკნელი კი თავის ჩამამავლობით ეკუთვნის მაინც ბრაბანტის გუთანს.

რაც შეეხება მეორე განყოფილებას — ე. ი. ნემეცურ გუთნებს — მათი სხვა-და-სხვა ფირმის წარმოდგენა შვერცის გუთნის კონსტრუკციიდან იწყობა. პირველად ვიურტემბერგში 1819 წ. შვერცმა ბრაბანტის გუთნის კონსტრუქცია შესცვალა და მერმე მის გუთნიდან წარმოსდგა ხოხენგეიმერის გუთანი, რომელმაც თავის მხრით დასდო დასაწყისი სხვა-და-სხვა ნემეცური გუთნებისა, როგორც: ფიდატისა, ცუგმაიერისა შუტლევორტისა (1871 წ.), კნორისა 1850 წ.) და სხვა.

მეორე შესანიშნავი გვარი ეხლანდელი ახალი გუთნებისა —როგორც ზევით ვსთქვით—არის ბოგემის გუთნის კონსტრუკცია. ეს მითი განირჩევა ბრაბანტის გვარეულობიდგან, რომ მას სახნისი უფრო ბტყელი აქვს როგორც ნიჩაბი და თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოხ გუთანიც უსაკვეთოა: სახნისი ერთ და იგივე დროში საკვეთის დანიშნულებასაც ასრულებს. ბოგემის გუთნის გვარი ევროპაში ჯერ კიდე მიელ არ არი გავრცელებული, თუმცა გუთანის ჯიში, ნამეტნავათ ქვერტის კონსტრუკციაზედ გაკეთებული, თითქმის ყველა გვარ სახნავ იატაკისთვის გამოსადეგია.

მე იმ აზრისა არა ვარ, რომ ეს ყველა ახალი სისტემის გუთნები ჩვენ მხარეში გამოსადეგნი იყვნენ. არა რომელი იმათგანი, რასაკვირველია, ჩვენ მიწის იატაკს ვერ შეჰფერის ისე, როგორც ჩვენი გუთანი, მაგრამ ამითი კიდე არ დამტკიცდება, რომ ჩვენი მიწა ვითომც სამუდამოდ მიუკარებელი იყოს იმ გუთნებისთვის. ახალი გუთნების უვარგისობა და გამოუდეგებლობა ჩვენ მხარეში წარმოსდგება თითონ ჩვენი სახნავ მიწების მოუვლელობისაგან. თუმცა ჩვენი გლეხი რამდენიმე ათასი წელიწადია, რაც თავის მიწას უვლის, ე. ი. მასზედ მუშაობს, მაგრამ იგი კიდე მაინც გაუწმენდავია ქვებისაგან, ბორმვებისაგან და ტინებისაგან. იქნება აქ მიპასუხოს ვინმემ, რომ ჩვენი გლეხი იმისთანა მუშაობას, როგორც მიწის ქვებიდგან გასუფთავებაა, ვერ აუვა, რადგანაც მამული ბევრი აქვს, და მაშასადამე შემთხვევაც—ერთ მინდორს რამდენიმე წელიწადი თავი ანებოს და მეორეზე სახნავად გადავიდეს. ამაზედ ვიტყვი შემდეგს. მართალია, როდესაც სიუხვე სახნავ მიწებისა მცხოვრებთ სჭარბით, მაშინ ზემო-აღნიშნულ შემთხვევას ზედ-მოქმედება აქვს მამულის წმინდად შენახვაზედ, მაგრამ ვინც ჩვენში დღიურის სახნავ მიწის ფასი იცის, იგი ადვილად დამთანხმდება, რომ ჩვენ გლეხს მამულის სიუხვე ყელზედ არ აწევს, და თუ აქნობამდისინ ჯეროვნულად ჩვენი მიწები არ უსუფთავებიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უწმენდიათ, ეს მისთვის რომ ჩვენ გლეხს მოთხოვნილება არ ჰქონია, რადგანაც თავის მამა-პაპური გუთნით უხნავს და არა მამულის სიუხვე ყელზედ დასდგომია. ცხრა ან რვა უღელი ხარი ჩვენ გუთანს იმდენად მიწის სახნავად არა სჭირდება — დარწმუნებული ვარ — რამდენათაც ბორძიკების სათხრელად და ქვების ამოსაყრელად. რა ჰქნას ამისთანა მამულზედ მეურნემ, რომელსაც, წარმოვიდგინოთ, გამოუწერია მატემატიკურად გამოკვლეულ კონსტრუკციაზედ გაკეთებული გუთანი და აპირებს ხვნას. ადვილად წარმოსადგენია, რომ იგი თავის გუთანს ხეირიანად ვერ ამუშავებს და ეს შემთხვევა საკმაოა, რომ ზოგიერთმა მეურნემ დასკვნა გამოიყვანოს, ვითომც ჩვენ მხარეში ახალი გუთანი არა გვარობს მიწის მეტი-მეტი სიმსუქნისა გამო, რომელიც თხოულობს ღრმათ ხვნას, და რომელსაც ვითომც ევროპის კონსტრუქციის გუთნები ვერ აკმაყოფილებენ.

დასავლეთ ევროპაში მომგზავრი კაცი, როდესაც იქაურ მინდვრებს და სახნავ მიწებს შეჰხედავს, უკვირს მათი სიმშვენიერე და სისუფთავე. ეს სიმშვენიერე და სისუფთავე მართლა მარტო იმის შედეგი კი არ არის, რომ დასავლეთ ევროპაში მიწა ცოტაა და მომუშავე ხელი კი ბლომა, რისგამოც წარმოსდგება იქაურ არე-მარეს ანუ ბუნების დათრგუნვა და კაცის გემოვნებაზედ გადაკეთება — როგორც ზოგიერთი ჰფიქრობს — არამედ ამ სისუფთავეს და მიწის სახნავად მომზადებას თხოულობს თითონ იქაური მიწის შესამუშავებელი იარაღი. ევროპიული გლეხი რომ ჩვენი დარბაისელი გუთნითა ჰხვნიდეს, რასაკვირველია, მინდვრის გაწმენდა მისთვის საჭირო არ იქნებოდა. როდესაც კარგი გუთნით ოღრო-ჩოღრიანი მიწა იხვნება, მაშინ მინდორს უფრო აფუჭებს და არა სარგებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას უტანს და ცუდათ მოხნულ მინდორს კიდე ზედმოქმედებს აქვს თითონ მასზედ მოყვანილი ჭირნახულის მოსავალზედ. ბელტის ერთნაირი სიღრმე და სიგანე, მისი გადმობრუნება და დაწყობა, გუთნის მსწრაფლი მსვლელობა რამთენათაც გუთნის აგებულობაზედ, ანუ კონსტრუქციაზედ, იმდენად სახნავ მიწის ზევითა პირზედაც, ანუ იატაკზედ არის დამოკიდებული. ყოველ წინ-წაჩხირულ ბორძვსთან ან ქვასთან შეტაკებას მოაქვს გუთნის რყევა რისგამოც გუთანი თავის მსვლელობას სცვლის და ოღრო-ჩოღროთ ხნავს. თუ ჩვენ სახეში ვიქონიებთ, რომ ჩვენ გუთანში რვა უღელი ხარი აბია, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ამ წეროებისავით გაბმულ ძალასთან გუთნის ერთ და იგივე პარალელზე ტარება სრულიად შეუძლებელია, მისთვის რომ ჯერ ერთი, ჩვენ გუთანში მომატებულ ნაწილად ხეპრი და მოუწურთნელი საქონელი აბია და მეორეთ, თითონ ეს გამწევი ძალაც მეტად გაზვიადებული და გაგძელებულია; ამასთანავე თუ ადგილის უთანასწორობა და ქვებისაგან განურჩევლობა დაუმატეთ, მაშინ ხომ ნათლად გამოჩნდება, რომ ნამდვილი ხვნა ჩვენში არ არსებობს,—რომ ქვემოთა ნაწილი ნახნავი მიწისა ყოველთვის ხორკლიანი და გორაკებიანი რჩება. ამ შემთხვევას ჭირნახულის მოსავალზედ გავლენა აქვს, როგორც ზევით ვსთქვი, რადგანაც საზდო ნაწილები მცენარისა ოღრო-ჩოღროთ მოხნულ მიწაში თანასწორათ ვერ თავდებიან.

რასაკვირველია იმ პირებისთვის, რომელნიც, ხვნის დროს, საქონლის ძალას არ აფასებენ, და იმ მომატებულ კაცის შრომას, რომელიც რვა უღელის გარეკვას უნდება, სახეში არ იღებენ, უეჭველია ყოველი ლაპარაკი მინდვრის გაწმენდაზე ამაო იქნება. ადვილი მოსალოდნელია, რომ ამ ლაპარაკზედ, იქნება,

ისეთივე შენიშვნა მივიღო, როგორც ამას წინათ გზების და ფურგუნის თავობაზედ იყო „დროების“ 44 №-ში; მაგრამ არა უშავს-რა, დროს გასართობელ ლაპარაკისთვის ამისთანა შენიშვნებს შემდეგში მივცემ მნიშვნელობას, როდესაც ნეხვზე დავიწყებ ლაპარაკს, ახლა კი გადავალ უღლის საუბარზედ.

საქონლის შებმას, მის გასწევ ტვირთთან მიყენებას და მობმას მალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის ჯანმრთელობისთვის, ამიტომ ყოველ იარაღს, რომელიც კი რაისამე მონაწილეობას იღებს საქონლის ტვირთის გაწევაში, რასაკვირველია, ჯეროვანი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. ერთი ამისთანა იარაღი არის უღელი. ჩვენი უღელი თავის ფორმით წარმოადგენს დამორილ ოთს-კუთხიან ხეს, რომლის სიგანე ოთხი თითის დადებაა და სიგძე $2\frac{1}{2}$ არშინი. ამ დამორილ ხეს $1\frac{1}{2}$ მტკავალზედ თავში და ბოლოში აქვს ორ-ორი ნახვრეტი, რომლებშუაც ადგილი ორი ამაღლებული კუჟრით დაჭერილია. ნახვრეტებში ჩაყრილია ტაბიკები. როდესაც საქონლის შებმა უნდათ, აღნიშნულ ტაბიკებს აპეურით გადააბმენ ხოლმე, ისე რომ საქონლის კისრის გასაყოფი ადგილი გაგრძელებულ ოთხ-კუთხიანს (პარალელოგრამს) წარმოადგენს. მკითხველს, რასაკვირველია, ლაპარაკი არ უნდა მასზედ, რომ ჩვენი საქონლის კისერი პარალელოგრამული არ არი: იგი უფრო ოვალურ წრეს შეადგენს და, მაშასადამე, ამისთანა უღლის კისერთან შეუფერებლობას ცუდი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს საქონელზე. მაგრამ ამის გარდა უმთავრესი ნაკლულევანება ჩვენი უღლისა ის არის, რომ მას კისრით მისაწოლ ადგილას არამც თუ ერთი რაიმე რბილი ჩული არ აკრამს, კისრის დაუმალავად შესანახად, არამედ აზის ხის კუჟრი, რომლის დანიშნულება მასში მდგომარეობს, რომ კისრის ნაკეცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყავი დაიჭიროს და უფრო მაგრა ჭყლიტოს. ამისთანა მოუსაზრებელი უღლის კაკეთებულობისაგან წარმოსდგება, რომ ჩვენი საქონელი კისერში დამეჭეჭიანებულია და დაკუჟრებული; ნამეტნავად ეს დაკუჟრება კისრისა ეტყობა კამეჩებს, ვიდრე ხარებს, რადგანაც კისრის ბალანი მათ ისრე ხშირი არა აქვსთ როგორც უკანასკნელებს. ადვილად მოსალოდნელია, რომ ჩვენი კამეჩის ჯიში კისერ-კუჟრიანად გადაკეთდეს, თუ ნამეტნავად ბუღებს ხანგრძლივი ხმარება დაუწყეს მუშაობაში. მე თითონ მინახავს რამთენიმე მაგალითი ბუღის კალოში შებმისა, მაგრამ აბამენ მათ ურმის თავში, თუ არა, არ ვიცი. ჩვენ გლეხს ისე წარმოუდგენია კამბეჩის კისერი, ასე ჰგონია, იგი რკინის და ქვის სიმაგრეს უდრისო და მის დაბებრებას მისთვისაც გულ-გრილად უცქერის: მას ჰგონია, კამეჩის კისერი რამდენადაც მაგარი და დაკორძებული ტყავით იქნება მოსილი, იმდენად კამეჩი უღელს უფრო ადვილად გაუძლებსო. ეს დასკვნა მე იქიდგან გამომყავს, ვიმეორებ, რომ ჩვენ გლეხს აქნობამდისინ არა საშუალება არ უხმარია, რომ კისრის მისაწოლი ადგილი უღელში რაც შეიძლება რბილი ყოფილიყო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მკითხველი დამთანხმდება, რომ საქონლით ტვირთის გაწევა დედა-მიწაზედ გორიზონტალურია და ამისთანა გაწევა შეიძლება მარტო ან თავით, ან ქედ-მკერდით და ან კიდე ქედით, როგორც ქართულ უღელშია. ამ სამ გაწევაში, საქონელს სუყველაზე კარგათ თავით ემარჯვება, რადგანაც მარტო თავით გაწევის დროს კისერი, ქედი და მკერდი ერთნაირად მონაწილეობას იღებენ; ასე რომ თავით გაწევის ძალა შეადგენს ერთად სამ სხვა ასოების ძალებს და შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოიხატოს: თ=კ+მკ+ქ; მაშინ როდესაც კისრით გაწევისა კი იქმ-

ნება მარტო თ=ქ+მკ—კ. აქედან სჩანს რომ კისრით გაწევის დროს თითონ კისერი არა მონაწილეობას, გარდა უღლის დაჭერისა, არ იღებს: საქონელი უფრო ქედით და მკერდით ეწევა, თუმცა მკერდის ძალას პირდაპირი კი არა გეზი მიმართულება აქვს, ქვევიდან ზევითკენ. ამისგამო ქართული უღელი თითონ თავის დანიშნულებით გამოუსადეგია სხვა უღლის ფორმებზედ. ჩემის ჭაზრით სუყველაზე კარგი უღელი ის არის, რომელსაც საქონელი ხმარობს თავით და არა კისრით.

ამისთანა თავზე დასადგომი უღლები დასავლეთ ევროპაში მიელ არი გავრცელებული, და საქონელსაც იგი კარგათ, ე. ი. ჯანმრთელიანად ინახავს. ამისთანა უღელი შესდგება ერთ შვილდისავით მოკაკული პტუელი რკინისაგან, რომელიც თავში და ბოლოში თავდება, რგოლებით თოკის გასაყრელად და ტვირთის მოსაბმელად; რკინა არის მიჭედებული ხეზე, რომელსაც ქვეითა მხარეზე მიკრობილი აქვს ბლომათ რბილი ჩულები და ორი მაგარი თასმა. მთელი უღელი თავის წყობილობით წარმოადგენს ამ რიგათ შუბლზედ დასადგმელ კეხს. შუბლზე დადგმის დროს კეხს მიაბმენ ხოლმე რქებზედ ზემო აღნიშნულ თასმებით, რომ არ ჩამოვარდეს. როდესაც ტვირთი მსუბუქია, საქონელი ეწევა მას შუბლით; როდესაც კი მძიმეა იგი უღელს მისცემს ხოლმე თავს.

ამ ფორმის უღელი მით უფრო კარგია, რომ საქონელი მასში თავის ძალას ეკონომიურად ხმარობს, ე. ი. დაყენების დროს თავისი ძალა ლონე შეუძლიან შეასვენოს, ჩვენ უღელში ეს კი შეუძლებელია, რადგანაც, როდესაც საქონელს დააყენებენ, თუმცა ქედი ისვენებს, მაგრამ კისერს კი ისევ ურმის თავი და მასზედ დადებული ტვირთი ზევიდან აწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ნაკლულევანება ამ ზემო აღნიშნულ უღლის ფორმისა ეს არის, რომ ორსავ მხრივ თოკები აქვს, ტვირთის გამოსაზმელად — როგორც ზევითა ვსთქვი — ამიტომ საქონელს ხშირი შემთხვევა ეძლევა ფეხების გახლართვისა და მათი თოკების გარეთ გადადგმისა, აქედან კიდე ის წარმოსდგება, რომ მეურმეს ან მეხრეს საქონლის ფეხის გასწორებაში ბევრი დრო ეკარგება, მაშინ როდესაც ჩვენი უღელი კი ამ თვისებას მოკლებულია; მაგრამ ამ ნაკლულევანებასთან პირველი და სუყველაზე შესანიშნავი თვისება თავზე დასადგომი უღლისა ის არის, რომ საქონელი მასში კისრის ძალას გაცილებით კარგათ და მარჯვეთ ხმარობს, ვიდრე ჩვენი კისერზე დასადები უღლით, და ამ შემთხვევას უფრო სუყველაზედ დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული.

ამისგარდა, ჩვენ უღელში თავის ქნევა და ძალ-ძალ კისრის ღრეცა, საქონელს ძიელ ჩქარა ჰღლის. უეჭველია, რომ საქონელი სადღათებისავით ტვირთის გაწევაში ფეხს ვერ აყოლებს და ყოველ თითოეულ საქონლის წაბორძიკებას და კისრის დაქნევას, მეორე ცალის კისრის ნძრევა გამოჰყავს, ასე რომ თუ ლაბა კისრის ქნევას დაჩვეულია უღელში, უეჭველია, იგი თავის გვერდში შებმულს ამხანაგს მოსვენებას არ მისცემს; ან კიდე იქნება ნიკორას ბუზები აწუხებს და კისერს მისთვის იქნევს, ლაბასი რაღა ბრალია რომ იმასაც ტყუილ უბრალოდ კისერს აქნევინებენ? ეს მაგალითები მე სასიცილოდ არ მომყავს, იგინი ამტკიცებენ, რამდენად საქონლის შებმა ცუდია ისეთ უღელში, რომელიც წარმოადგენს თანასწორე მხრიან, გორიზონტალურად მოქმედ აზარმაცსა. ერთი ცუდი თვისება, როგორც კისრის ღრეცაა, უფრო ხშირია იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი გლეხი თავის მამა-პაპის ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღლების-მებრ ჯერეთ გამოუქნელს მოზვერს, ან ზაქს უღელში მშვიდ საქონელს უწყვილებს ხოლმე. ხეპრი და გამოუქნელი საქონელი, რასაკვირველია, თანასწორეთ უღლის გაწევას ჯერ შეუჩვეველია და, მაშასადამე, წარმოუდგენელია, რომ მან თავის ამხანაგს უღელი სწორეთ დაუჭიროს, იგი ან დიდი ძალით ეწევა წინ, ან სულ უკანა რჩება, ისე რომ თითონაც სვისაგან სათრევი ხდება. აქედან წარმოსდგება რომ ჩვენმა საქონელმა თავისი ძალა არამც თუ მარტო ტვირთის სიმძიმეს უნდა აზმაროს, არამედ რამთენიმე ნაწილით თავის მომხრე ამხანაგსაც. ანუ უფრო სწორეთ ვსთქვა, იგი სიმძიმის გაწევაში თავის ამხანაგის გაწევის მიმართულებაზედ დამოკიდებულია: საით და როგორც ეწევა გადარეული ლაბა იქით და მისგვარად უნდა შეუფეროს თავისი ძალა მშვიდმა ნიკორამაც. თავზე დასადგამ უღელში კი ერთი საქონლის ძალის მიმართულებას მეორეზე გავლენა არა აქვს: საქონელმა ოღონდ კი სწორეთ გასწიოს და თითონ როგორც უნდა ჭდრეჯდეს, კისერს მეორე ამხანაგს მითი არ დაუშლის.

ამის გარდა, თავზე დასადგომ უღელში თოკები პირუტყვის სხეულთან ხეხების ადგილებში პტყელ-რბილ ღვედით არიან შემოზღუდულნი, ასე რომ, როდესაც საქონელი გაწევის დროს ორსავ მხრივ თოკებს გასჭიმავს, მას გვერდებზე პტყლად ეკვრება რბილი ღვედი და არა ხმელი თოკი, და ამ რიგათ საქონელი ინახებს გვერდების გადაყვლეფისაგან.

ერთი სიტყვით, ზემო აღნიშნულს უღელში საქონელი ყოველის მხრით ყველა გაფუჭებისაგან და ტყუილ-უბრალო ძალის დაკარგვისაგან დაცულია გაცილებით კარგათ, ვიდრე ჩვენ უღელში.

* * *

# ბიბლიოგრაფია.

### დედა-ენა.

ანუ ანბანი და პირველ-საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისთვის შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან.

მესამე, **გადასწორებული** გამოცემა.

(ეს წიგნი მოწონებულია (?) და სახელმძღვანელოთ დადებული მსწავლულთა კომიტეტისაგან განათლების მინისტრის დამტკიცებით).

Обученіе должно быть нагляднымъ элементарнымъ, должно раздѣляться на ступени, должно идти отъ простаго къ сложному, отъ извѣстнаго къ неизвѣстному, отъ близкаго къ далекому, отъ наглядраго къ отвлеченному и т. д... Учить должно только полезному.

*Ам. Коменскій*

... Преподаваніе должно быть привлекательнымъ...

Обученіе отечественному языку должно состовлять главную задачу книги для первоначальнаго чтенія.

*Миропольскій*

Слѣпое подраженіе въ воспитаніи также вредно, какъ и въ другихъ сферахъ общественной дѣятельности, форма его въ каждомъ государствѣ должно возникать изъ собственной національной почвы.

*Печкинъ*

ამ ღლეებში გამოვიდა მესამედ დაბეჭდილი საყმაწვილო წიგნი „დედა-ენა“ უფ. იაკობ გოგებაშვილისაგან შედგენილი. დიდის სიხარულით ველოდებოდით ამ მესამე გამოცემის გამოსვლას, 1, იმიტომ რომ ჯერ-ჯერობით ამ წიგნზე ჰკიდია ჩვენი მოზარდი თაობის ბედ-იღბალი, 2, იმიტომ, რომ წინა გამოცემებში ბევრი, მრიელ ბევრი ნაკლულევანება იყო, რომლის გასწორებას, სიტყვიერათ, გვპირდებოდა ავტორი.

დაიბეჭდა წიგნი; გამოვიდა სტამბიდამ და დაურიგდა წიგნის მაღაზიებს გასასყიდლათ. იმ წამსვე მოვძებნე, მინდოდა მენახა ახალი, გასწორებული წიგნი, მაგრამ ჩემი მოლოდინი ახალი გამოცემის სიკეთის შესახებ გამიცრუვდა, „ვითა სიზმარი ღამისა“. წიგნი თითქმის სრულიად შეუცვლელი, სრულიად გაუუმჯობესებელია, მხოლოდ აქა-იქ ათიოდ რაღაც უხეირო სტატია ჩაუკერებია, რომლით არც სიკეთე ემატება წიგნს, არც აკლდება.

ამიტომ მსურს, სხვათა შორის, ვაჩვენო ამ წიგნის ნაკლულევანება იმ პირთ, რომელთაც ცოტად მაინც აინტერესებს ჩვენი ახალ-მოზარდის სწავლების საქმე, და მით სწავლების დროს გვერდი მაინც აუქციოს ამ ნაკლულევანებებს, საცა კი შეიძლება. ძველ გამოცემებში ანბანი და ნორმალური სიტყვები წვრილი ასოებით იყო დაბეჭდილი; ამაზე ბევრჯერ უჩვე-

ნეს უფალ შემადგენელს, მაგრამ არავის შენიშვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სახალხო სამინისტროს და ყველა იმ კაცის აზრითაც, ვინც ცოტათი მაინც ზრუნავს ყმაწვილების აღზრდისა და კეთილ დღეობისთვის (ან ვინ იქნება ისეთი ამისათვის არ ზრუნავდეს?!) ყოველი წიგნი საყმაწვილოდ დაწერილი სხვილი და გარკვეული ასოებით უნდა იყოს დაბეჭდილი, რადგანაც ახლად მოსწავლის თვალს დიდი ჯაფა ადგია კითხვის დროს, და წვრილი ასოების კითხვა მეტის მეტს ჯაფას მოითხოვს და გაუფუჭებს თვალს, ამ საუკეთესო და მიუცილებლად საჭირო ორგანს, ყმაწვილს. ამასგარდა ანბანი და სავარჯისოდ მოყვანილი სიტყვები ძველებურად შეუცვლელნი არიან. საკითხავ წიგნში აუარებელი კარგი და ცუდი სტატიები, სასაუბროები ძველებურად გაჭიანურებულნი და მეტის-მეტად რთულნი, წერა და ხაზვა (черченіе), განუმორებელნი და-ძმანი კითხვისა, სრულიად განდევნილნი, შეადგენენ ამ მესამე გამოცემის კუთვნილებასაც. მე მსურდა ჩემი აზრი ვრცლად გამომეთქვა პირველ დაწყებით წიგნის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვიკმაროთ ზემო მოყვანილი სიტყვები კომენსკის, მიროპოლსკის და პეჩკინისა, რადგანაც აქედამაც ყველას კარგად, ნათლად შეუძლიან დაინახოს და სცნოს პირველ დაწყებითი წიგნის დანიშნულება.

მე მხოლოდ ჩემის მხრით ვიტყვი, რომ ყოველმა ახლად მოსწავლემ თავ-და-პირველად არე-მარე და მიდამო უნდა შეისწავლოს. აქ შეუძლიან იმას აუარებელი მასალა იშოვნოს. მთელი სოფელი თითქმის ყოველი მხრით მთელ სახელმწიფოს შეედრება. რა გინდა—აქ ვერ შეხვდები, რა გინდა—აქ არ იყოს. აქ ყველაფერია, მხოლოდ კაცია საჭირო, რომ ისარგებლოს ამითი. მაშ ყმაწვილმა თავ-და-პირველად ეს თავისი სოფელი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა სამეფო შეისწავლოს კარგად, როგორც რუსები იტყვიან, до мельчайшихъ подробностей. მერე ნელ-ნელ გავიდეს სოფლის გარე და, რაც უცნობი შეხვდეს, შეისწავლოს.

ამიტომ მოსწავლეს, სწავლის დაწყების დროს, საკითხავ წიგნში ერთი სიტყვა რა არის უცნობი არ უნდა შეხვდეს და ათასში თუ ერთი სიტყვა შეხვდება, განუმარტებლად არ უნდა გაუშვას ოსტატმა. საკითხავ წიგნებზე ამას თუ ვიტყვით, ანბანი როგორიღა უნდა იყოს? რაღა თქმა უნდა, ანბანში ერთი სიტყვაც არ უნდა იყოს ყმაწვილისთვის უცნობი და უინტერესო. უცნობი და უინტერესო არც ერთი სიტყვა არ უნდა იყოს, მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ზოგი სიტყვა ნაცნობი, გაგონილი ექნება ყმაწვილს, მაგრამ იმის კითხვის დროს ის ვერაფერ საინტერესოს ვერ წარმოიდგენს, მაგ. კუ, არწივი, შავი, კანი და სხვა მრავალი ამისთანის წაკითხვა წაახალისებს მოსწავლეს?... ვთქვათ ყმაწვილმა წაიკითხა დანა. იმას იმ წამშივე მოაგონდება თავის ცხოვრებიდამ, როგორ თამაშობდა ერთხელ პატარა გოგო-ბიჭებთან, როგორ აკეთებდნენ კოჩიოტისა და აგურისაგან პატარა წისქვილს და როგორ მოიჭრა საჩვენებელი თითი ან სხვა რამე. ამ გვარი მოგონება ძვირფასი რამ არის პატარა ყმაწვილისთვის. ამას მრიელ აინტერესებს ამისთანაებზე ლაპარაკი... ვისაც თვალ-ყური უდევნებია პატარაებისთვის, ის ადვილად დამეთანხმება ამაში. ბევრჯერ მინახავს, რომ ამ გვარი სიტყვის წაკითხვის შემდეგ პატარას დაუწყია ხოლმე რამეზე ლაპარაკი თავისი წარსული ცხოვრებიდამ. თავის დღეში არ უნდა მოუშალოს მასწავლებელმა მოსწავლეს ამ გვარი ლაპარაკი... ლორი თქვი თუნდ. ყმაწვილისთვის ამისი სახელიც კმარა სათქმელად. იმ წამსვე მოაგონდება პატარა გოჭები, იმათი დევნა, ჭყივილი, ხუნტრუცი, ხითხითი და სხვ. და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, ვიმეორებ კიდევ, უმაწვილს სწავლის პირველ დაწყებით დროს ყოველთვის ასეთი სიტყვები უნდა აურჩიოთ ხოლმე.

ახლა გადავათვალიეროთ უფ. გოგებაშვილის წიგნი „დედა-ენა“ და ვნახოთ რამდენათ ამართლებს ის ზემო მოყვანილ სიტყვებს.

დავიწყოთ ანბანიდამ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მეთოდა, რომელზედაც არის შედგენილი „დედა ენა“, ამ დროში ერთ უკეთეს მეთოდათ არის ცნობილი. მაგრამ რამდენად კარგა შეუსრულებია ავტორს, სულ სხვაა.

„დედაენის“ პირველსავე გვერდზე ანაბნის დაწყებისათანავე, შევხვდებათ უმაწვილისთვის გაუგებარი სურათი. აი ეს სურათები: ია, ხე, (მეწნა,) სახე, (თავი) მახე, (რაგვი). ვერც ერთს ამ სურათთაგანს ვერ გამოიცნობს უმაწვილი მასწავლებლის დაუხმარებლად, ამიტომ რომ ეს სურათები ცხადათ იმას ვერ გამოგვიხატვენ, რისი თქმაც გვსურს. ია იას არა გავს, სახე უმაწვილისთვის გაუგებარი სიტყვაა, ხე საზოგადო სახელია და წიგნში მეწნა არის დახატული და სხვ.

ამ გვარის სურათების წყალობით, შეგირდს გული უფრთხება, ამიტომ რომ ორი–სამი სურათის დასახელების დროს ოსტატი ეუბნება: ამ სურათს თავი კიარა სახე ქვიანო, იმ სურათს მეწნა კიარა ხე ქვიანო და სხვ. ასეთი შენიშვნის შემდეგ ბავშვი ფიქრობს: ესა·და-ეს ნახატი მეწნა მეგონა და ოსტატი ხეს ეძახის (უმაწვილმა ჯერჯერობით ხე არ იცის, რა არის).

ამგვარი შენიშვნისაგან შეშინებული უმაწვილი სხვა სურათების დასახელების დროს თავისთავად ფიქრობს: ვაი თუ ეს სურათი ის არ იყოს, რაც მე მგონია, რისთვისაც ბავშვი დიდ ქიმმაშშია, არ იცის, რა ქნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ის მახე, რომელსაც უფ. გოგებაშვილი მახეს ეძახის, ჩვენს სოფლებში იშვიათად სადმე მოიძებნება, ამიტომაც ეს მახე ისეთნაირად უცნობია ჩვენებური ბავშვებისათვის, როგორც ბოჩკა, უშატი, ლეიკა, რუჩკა და სხვ. რუსული სიტყვები.

ამგვარივე სურათებია. ნავი, არწივი, კაჭკაჭი, ფინჯანი. ეს საგნები ან სულებით არ უნახავს ჩვენებურ ბავშვებს და ან თუ უნახავს, ისიც ათსში ერთს. თან ამ სურათებს ერთი დიდი ნაკლულევანება აქვსთ, რომელიც ძრიელ ყურადღების მიქცევას თხოულობს.

რა არის ეს ნაკლულევანება? სურათების უსიმმეტრიობა. აი მაგ. კუ ნავის ტოლაა, მამალი ძროხაზე დიდი, ობობა ორი კამეჩის ტოლა, ბაყაყი ცხენზე უდიდესი, ერთის მხრით სურათების უცხოობა, მეორეს მხრით ამითი უსიმმეტრიაობა, როგორც გნებავს, და საუცხოვო რამ არის პირველ დაწყებით წიგნში! ეს სურათები. ახლა გადავათვალიეროთ ანბანში ცალკ-ცალკე სიტყვები და ვნახოთ რამდენად საყოველთაოდ დაუწერია ეს ანბანი უფ. გოგებაშვილს, ე. ი. ანბანში ნახმარი სიტყვები საქართველოს ყველა ნაწილებში მცხოვრებთ შვილებს გამოადგებათ თუ არა? მაგრამ ჯერ უნდა ვთქვა, რომ საკითხავად მოყვანილი სავარჯიშო სიტყვები, როგორც ზევითაც ვთქვით, უსათუოდ ყმაწვილის ცხოვრებიდგან უნდა იყოს აღებული. ანბანის შემდგენელს თუ ასეთი სიტყვების შერჩევა არ შეუძლიან, ვურჩევთ, სულ ნუ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს... მეტყვიან... ძნელია, ძრიელ ძნელია იმ გვარის სიტყვების შეკრება, რომელნიც საქართველოს ყველა ნაწილებში მცხოვრებ ბავშვებს ესმოდესთო. ეს მართალია, მაგრამ ჩვენი აზრი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რაც შეიძლება, საყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაოდ სახმარი ანბანი შევადგინოთ და თუ ვერ მოვახერხოთ, მაშინ სხვა და სხვა ადგილისთვის კერძო ანბანი შედგეს კითხვის შესასწავლად, ე. ი. იმერეთისათვის ცალკე, სამეგრელოსათვის ცალკე, ქართლ-კახეთისათვის ცალკე, თუშებისათვის ცალკე და სხვ. კითხვის შესწავლის შემდეგ კი ყველა ყმაწვილებს მიეცესთ საერთოდ ერთი წიგნი, როგორც სამშობლო ენის, ისე მცირე ოდენი მეცნიერების შესასწავლად.

ყველა ამაებს იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ქართული ენა სხვა-და-სხვა გვარი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი სისტემა, სხვათა შორის, შეადგენს მიუცილებელს პედაგოგიურ მოთხოვნილებას... მოსკოვის და პეტერბურღის მაზრებში რომ ერთგვარი ანბანით ასწავლოს კაცმა, ისიც კი დიდი ცოდვაა. მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რას ემგზავსება არხანგელში და ვორონეჟში რომ „როდნოე სლოვო" ერთ გვარად ასწავლო?! არხანგელის მაზრის მცხოვრებელთ შვილებისთვის რა არის „როდნოე სლოვოში?" ბევრი არაფერი.

ამ ორიოდე შენიშვნის შემდეგ ვურჩევთ უფ. გოგებაშვილს, თუ სიკეთე სურს ჩვენი ახალ-მოზარდი თაობისათვის, თავისი „დედა-ენა" ყველასთვის გასაგებად გახადოს, ან არა და თუ ეს ვერ მოახერხოს, საქართველოს რომელიმე ნაწილისათვის შეიმუშაოს ანბანი მაინც, თორემ ქვემო მოყვანილს, ზოგიერთი ყმაწვილისთვის უმნიშვნელო სიტყვებს, ვერ ასცდება, რაც, რასაკვირველია, ისეთი მავნებელია პირველ დაწყებითი სწავლაში, როგორც უცხო ენის სწავლება.

რა იცის, თუ ღმერთი გწამს, იმერელმა ბავშვმა, ან რა უნდა შეიძინოს ამ სიტყვებიდამ: „სესე, მათა, ოსი, ამო, (ასი არც იმერელმა და არც სხვამ არ იცის, რა არის, თუმცადა კი გაუგონია) კეკე, მაკა, თაზო, ზაზა, მზა, აზიზი, თუ-

თა, ხაში (მარტო ქალაქელმა ბავშვებმა იციან) ნამი, ოდი, თალი, ღალანი, ნაძვი, (მთაში მცხოვრებლებმა იციან მხოლოდ) გუთანი, გემი (რომელმა ბავშვმა იცის?) ჩაქუჩი, მაყაში, ყოში, ციყვი, ტაძარი, კნუტი, წიწაკა, წრუწუნი, წალო, ჭერამი, ნაჭუჭი, ჯაგანი, განჯინა, რაყრაყი, და სხვ. ახლა მიბრძანე თუ ღმერთი გწამსთ, ეს სიტყვები და რუსული სიტყვები „კოზლიკი, დომი, ნებო“ და ამგვარები რომ ჩაუწეროთ იმერელ ყმაწვილებს, რომელი უფრო ეჩოთირება? ჩემი აზრით სულ ერთია. ეს სავარჯიშოდ საკითხავი თითქმის თავიდამ ბოლომდის ერთგვარია,—ჯერ ერთი სიტყვაა, მერე მეორე მარცვლებზეა გაყოფილი და შემდეგ ასოებზე ცალკ-ცალკე. ამის შემდეგ იწყობა ნორმალური სიტყვები და ბოლოს მოკლე წინა-დადებები.

ეს სისტემა მართალია ყველგან მიღებულია, მაგრამ უფ. გოგებაშვილს ორი შესანიშნავი მხარე გაუშვია ყურადღებიდამ და არც ცდილობს გაასწოროს.

ეს გახლავთ: 1, წინადადებები უხეირონი არიან; 2, წინადადებების შემდეგ ანდაზები, გამოცანები და მოკლე ლექსები უნდა მოეყვანა, საცა კი შეიძლებოდა. მე რომ ვამბობ წინადადების უხეირობას, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან მხოლოდ შემდეგ წინადადებაებს: „ბაყაყმა ბევრი იყვირა, კოკა ხეხე, მამას დუმა დადე (გვერ. 6) „ღორი დადაღე“ (გვერ. 7) და სხვ. ამას გარდა ერთი და იგივე წინადადება რამდენჯერმე გამეორებული. მაგ. „კოკა ხეხე. (გვერ. 4) მუხა ხეა, ნეკი თითია“ ეს წინადადებები მეექვსე გვერდზე არიან კიდევ გამეორებულნი, რისთვის?...

ყველა ამ სიკეთესთან ანბანს ორი რამ სიკეთე დაუმატეთ: უსათუოდ პირველ დაწყებითი წიგნი მსხვილი ასოებით უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს დაბეჭდილი, რომ ყმაწვილის შეუჩვეველს თვალს ადვილად შეეძლოს ნაწერის გარკვევა და თვალი არ გაიფუჭოს; 2, გონების სავარჯიშო უნდა რამ ეძლეოდეს მოსწავლეს. ყმაწვილი სანამ ანბანს შეისწავლიდეს, სამი თვე მაინც გაივლის, რა უნდა აკეთოს ამ დროს განმავალობაში ბავშმა? მარტო უნდა იკითხოს და იკითხოს? ამის პასუხი ვისაც გნებოს, იმას ჰკითხე, „დედა-ენაში“ კი ამაოდ მოსძებნით.

ეს მცირე შენიშვნა ვიკმაროთ ანბანზე, ახლა გადავიდეთ თვით საკითხავ წიგნზე და შეძლებისადა გვარად განვიხილოთ.

## II

პირველ საკითხავ წიგნის პირველსავე გვერდზე არის სახალხო ლექსი: „მოდი ვნახოთ ვენახი“....

ეს ლექსი, უნდა გითხრა, სწორედ საყმაწვილოა, არც უსარგებლოა ყმაწვილისთვის და დიდის სიამოვნებით წაიკითხავენ და იმღერებენ, მაგრამ ჩვენის ფიქრით უადგილო ადგილს არის ჩართული. ეს ლექსი კარგი იქნებოდა, ცხოველებზე რომ საუბარია, იქ ჩაერთო ავტორს. ამ ლექსის ქვევით იწყებს საკითხავი მოკლე-მოკლე სტატიები, რომლების შინაარსია: სიზარმაცე, ბეჯითობა და სწავლა.

ვითამაშოთ თუ ვიკითხოთ? ვისწავლოთ თუ ვიზარმაცოთ? რვა სტატიაში, ერთის გარდა, ეს კითხვები ესმის შეგირდს სწავლის დაწყებისთანავე. ნუ თუ ამით ფიქრობს უფ. გოგებაშვილი ყმაწვილებს სწავლა შეაყვაროს,? ყმაწვილს შიშით, მალდატანებით და მეტადრე ქადაგებით კი არ უნდა ვაყვარებდეთ სწავლას, თვითონ სწავლება ისეთ გზაზე დავაყენოთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაწვილი თვით ამან მიიზიდოს. ამიტომ სტატიის „მოსიყვარულე ამხანაგის" გარდა, სუყველანი უნდა ჩავაბაროთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების არხივს.

ხანამ საზოგადოდ დანარჩენ სტატიებზედ რამეს ვიტყოდეთ, უფრო კარგი იქნება, ჩემის აზრით, ჯერ სასაუბროებს გადავავლოთ თვალი, რადგანაც საყმაწვილო წიგნში ჯერ პირველად სასაუბრო საჭირო, მერე კი ამაზე დამოკიდებულნი სტატიები. უფ. გოგებაშვილი კი ამ პედაგოგიის უმთავრეს მოთხოვნილებას ეწინააღმდეგება. რისთვის? ვინ იცის, უფ. გოგებაშვილის მეტმა, მაგრამ, უკაცრავად, სასაუბრო ხან წინ მოუყვანია უფ. გოგებაშვილს და ხან უკან. ერთი სიტყვით, როგორც მოხვედრია, ისე. მაგრამ მსურს, ვკითხო უფ. გოგებაშვილს: რომელ წელში უნდა იმუსაიფონ მასწავლებელმა და შეგირდებმა იმ საგნებზე, რომელნიც დედა-ენაში არიან მოყვანილნი? ამაზე მიპასუხებს: ეჭვი არ არის პირველ წელიწადს და მეორე წლის პირველ ნახევარშიო, რადგანაც ამ დროს განმავალობაში უმაწვილები მთელს წიგნს გაათავებენო. კარგი და პატიოსანი; მაგრამ ნეტავ ვიცოდე იმ ოც-და-ოთხ სასაუბროს, რომელიც ამ წიგნშია, რამდენ საათს ახმარს უფ. გოგებაშვილი? ჩემის აზრით თუ მივიღებთ ამ სასაუბროების სიდიდეს და სირთულეს მხედველობაში, თითო სასაუბროს ხუთ-ხუთ საათს მაინც მოუნდება ყოველი მასწავლებელი. ესეც შენი ას ოცი საათი. კვირაში რომ ორი საათი გადინარჩუნო სასაუბროებისათვის, ესეც დიდი ღვთის წყალობაა. სოფლის შკოლაში წელიწადში ოც-და-ათი კვირა თუ არის სწავლა, ესეც სამოცი საათი. აქედამ გამოდის, რომ სასაუბროების გავლას ორ წელიწადს მაინც მოუნდება შეგირდი, მაგრამ ერთი მინდა ვკითხო ავტორს: ის კითხვები, რომელნიც სასაუბროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან მოყვანილნი, შეიძლება მოსწავლემ პირველს ან მეორე წელიწადს გააგებიოს თავის მოსწავლეს რიგიანად? ძალიან ეჭვი მაქვს. ამისი ხეირიანად გაგებინება არათუ ჩვენს დაუმზადებელ ოსტატებს არ შეუძლიანთ, არამედ თვით ჩვენს ხელოვანს პედაგოგს გოგებაშვილსაც. აი მაგ. მე-73 გვერდზე: როგორ ჩნდება ბალახი, რომელი ბალახი იხმარება წამლად? რომელი ბალახია შხამიანი? ამ კითხვებზე მგონი თვით ის ჯანიოზ ექიმიც ვერ გიპასუხებდათ, რომელიც ბალახებიდამ ამზადებდა წამლებს, არა-თუ შვიდი, რვა წლის ბალღმა მოგვცეს პასუხი. ან ესა მე-77 გვერდზე: რომელმა ქირნახულმა უფრო დიდი გაჰოსავალი იცის?... მე-81 გვერდზე: სადაც ბევრი ხეებია, რა ჰქვიან? (?) ამავე გვერდზე კითხვა—როდის იციან ხეხილებმა აყვავება? (განა ხეხილებმა იციან რამე?)

ჯერ შეგირდებმა წელიწადის დრონი არ იციანდა ამგვარ კითხვებს კი აძლევს... — 116 გვერდზე: რას ჰქვიან წვიმა? რასა ჰქვიან ქარი? ამგვარი კითხვების ჩამოთვლა საჭირონი არ არიან, რადგანაც მაგალითად ესენიც საკმარისნი არიან.

სასაუბრო ისეთ ნაირათ უნდა იყოს მიმართული, ისეთ ნაირად ადვილად მიხვდეს ყმაყვილი, რომ ოსტატს ბევრი ჩიჩინი არ მოუნდეს, თანაც ამ სასაუბრომ ჩააფიქროს და ამოქმედოს ყმაწვილის ჭკუა გონება. „დედა-ენის“ შემდგენელი კი ისეთ კითხვებს სწერს სასაუბროში, რომ მთელი თავისი სიცოცხლეც რომ ამას მოანდომოს შეგირდმა, მაინც ვერ გაიგებს. უფ. გოგებაშვილის კითხვები ძველი ფილოსოფოსების კითხვებს ჰგვანან.

ჰო, მართლა, მომაგონდა ორი ფილოსოფოსის ბაასი ერთმანეთთან. ერთმა მეორეს ჰკითხა: რა არის კაცი? მეორემ

უპასუხა: კაცია ოროფეხი ცხოველი, რომელსაც ბუმბული არ აქვსო. ბაასის შემდეგ წავიდნენ თავთავისთვის. პირველმა გაპტკვნა მამალი ცოცხლად და გაატანა კაცს თავის ნაცნობ ფილოსოფოსთან, თან წერილიც მისწერა. ამაში სხვათა შორის ეწერა: ორ კაცს გიგზავნიო. ფილოსოფოსმა გახსნა წერილი და წაიკითხა. გაუკვირდა ეს ადგილი და ჰკითხა გამოგზავნილს კაცს, სად არის შენი ამხანაგიო? ამან მოახსენა არავინ არ მხლებია. მერე კი მიხვდა, როგორც იყო საქმე. ამ გვარი შემთხვევა ბევრჯერ შეხვდებათ უფ. გოგებაშვილის წყალობით ჩვენს ყმაწვილებს, მაგრამ... მაგრამ... და მაგრამ...

## III

## საკითხავი წიგნი.

ღმერთმა ასეთი არეულ-დარეული და აფუშულ-დაფუშული სიმდიდრე შენს აკის მდომს მისცეს, როგორიც დედაენის სტატიებია. რა გინდა, აქ არის. მე მხოლოდ ზოგიერთა სტატიების უვარგისობას და უალაგო ალაგს ხმარებას გიჩვენებ, მკითხველო...

მოლლეშოტი ამბობს: თუ გინდა კარგი მსჯელობა შეადგინო რამე საგანზე, ეს საგანი კარგა უნდა გაშინჯო, და მიიღო რაც შეიძლება ნამდვილი შთაბეჭდილებაო. ეს ხომ ნამდვილია; მაშ უფ. გოგებაშვილი თავის წიგნში ამ ჭეშმარიტებას რატომ ყურადღებას არ აქცევს.

ლექსი ჯავახეთზე ნუ თუ შეიძლება ანბანის შემდეგ წავაკითხოთ ყმაწვილს? ლექსი ორი სტრიქონია, მაგრამ ახლად

მოსწავლე ბავშვებისთვის სამი თუ ოთხი სიტყვაა უცნობი, მაგ. ჯავახეთი, კალმახი, ქერის პური და სხვ. ესენი ისე იციან პატარა ბავშვებმა, როგორც, მე და შენ, მკითხველო, ჩინეთური ენა. „ირემი“ მშვენიერი ლექსია, მაგრამ უადგილო ალაგს არის ჩართული. ეს ცხოველი ისე უცნობია ჩვენი უმაწვილებისათვის, რომ ამის ასე ადრე წაკითხვა სარგებლობის ნაცვლად ზიანს მოუტანს პატარა ნორჩს ტვინს. თუნდა ქვემო მოყვანილი ლექსების და ამბების სათაურები ნახეთ და შემდეგ თვით წიგნში გასინჯეთ, თორემ ამ პატარა ჟურნალში სად შეიძლება ამდენი ბალაბურდის გარჩევა: ნადირობა, მშიერი კაცის ნატვრა, საბრალო დედაბრისასა, უსუნო ყვავილი (!) თავისი თავის დასჯა, თამარ მეფე, ედემი, ქალების მუშაობა, ქართველები და სხვ.

ამ წიგნში ბევრი ისეთი ამბები, გამოცანები, ლექსები და ანდაზებია, რუსულიდამ გადმოთარგმნილი, რომელთაც წმინდა რუსული ხასიათი აქვთ. ამათ ნაცვლად შეიძლებოდა ჩვენი ცხოვრებიდამ ამგვარივე ამბები, ზღაპრები, ლექსები და გამოცანები ეშოვნა უფ. გოგებაშვილს. უმაწვილისთვის თავისი ცხოვრებიდამ აღებულ საგანს ათასჯერ უფრო დიდი ინტერესი და სარგებლობა აქვს, ვინემ სხვა ქვეყნის ნაწარმოებ რამეს; ამისი ხასიათი ძრიელ შორს არის უმაწვილის გონებაზე. ყველა ხალხს თავისი ცხოვრებიდამ აქვს აღებული ამბავი, ზღაპარი, ლექსი და გამოცანა. ამაში იხატება ამ ხალხის ხასიათი და სულის კვეთება. სხვა ქვეყნელი ამბავი თუ იმ ხალხშიც არ არის, რომლისთვისაც გადმოღება გვინდა, რაც უნდა კარგი იყოს, მაინც ვერ შეეთვისება უცხო გულს. მაგ. ჩიტი და მელია, თხა (38 გვერ.) და სხვა ნათარგმნი ლექსები უფრო აინტერესებენ და უცოცხლებენ გულს უმაწვილს, თუ ია

ვნახოთ ვენახი?... კურდღელმა თქვა ჩირგვში ვზივარ?... გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო, ჩემო რკინაო?... კურდღლის ლექსი თქვი. ჩვენმა ყმაწვილმა კარგად იცის კურდღლობა, თავისი თვალით უნახავს და უსეირნია კურდღლის დაჭერის დროს და სხვ. სხვა ლექსიც ამისი კარგი ნაცნობია. ამიტომ ყოველი ავტორი უნდა ცდილობდეს, რომ საყმაწვილო წიგნში ყველაფერი თუ არა, უმეტესი ნაწილი მაინც ნამდვილად იმ ხალხის ცხოვრებიდამ იყოს აღებული, რომლის შვილებისათვის დგენს წიგნს. ნათარგმნი და სხვა ქვეყნიდამ უდროოთ ჩვენს ქვეყანაში გადმონერგული, ჰეჩვინის არ იყოს, ყველაფერი მავნებელია.

ამ მცირე შენიშვნით ვათავებთ ჩვენი „დედა-ენის“ განხილვას და სრული იმედი გვაქვს, რომ ყოვ. გოგებაშვილი, როგორც მოყვარე თავის ქვეყნის მოზარდი ახალგაზდობის, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ყოველ საფუძვლიანს შენიშვნას, ვისგანაც უნდა იყოს, და მომავლისათვის მისცემს ჩვენს შვილებს რიგიან შესწორებულ წიგნს.

გადალმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლიოგრაფია.

## ივერია № IV.

### I

ჩვეულებისამებრ (?) პირველ აპრილს გამოვიდა (უნდა გვეთქვა — გამობრძანდაო, რადგან „იმედი", აკაკის სიტყვით, „გამოხოხორიკდება" ხოლმე) მეოთხე ნომერი „ივერიისა". ჩვენი განძრახვა იყო, მოგვეცადნა კიდევ რამდენიმე ნომრისთვის და მერე ერთად მიგვეცა მკითხველისთვის ანგარიში ყველა მათზე. რასაკვირველია, ეს განძრახვა ისევ თავის ძალაში დარჩება, მაგრამ ამ ხელად გული არ გვიძლებს, რომ დავჩუმდეთ შესახებ ორი სტატიისა — „რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა" უ. გ. თ—მ—ისა და „იმედის" ბელლეტრისტიკისა.

პირველი სტატიის ავტორი, როგორც თითონვე აღვიარებს, მეტად ნაზი, წყნარი, ჭკვიანი, სუსტი და მშიშარა ყმაწვილი ყოფილა, რის გამოისობითაც აღელვებული და დარწმუნებული კილო ნაწერისა მუშტის კრივათა სჩვენებია და ამიტომ თაკილობს პოლემიკას როგორც „ივერიის" პატივცემულ თანამშრომელს ა. ნ—ლთან, აგრეთვე „იმედის" ბიბლიოგრაფთანაც. მაგრამ ჭიუტობაში კი მეტად შესამჩნევ სიმძლავრეს იჩენს. იმახის, რომ „შარშანდელი რუსეთი" ვერც უ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ნ — ღმა გაიგო და ვერც — აბდუშელიშვილმაო. მე ის არ მინდოდა მეთქვა, რაცა ვთქვიო და სხვა ფრივ არ შემეძლო მეთქვა, რადგან ცენზურა არ მათქმევინებდაო. ეხლანდელი რუსეთის მოძრაობას სწავლა-განათლების მახინჯ სისტემას კი არა, რუსეთის ჩინოვნიკობას ვაბრალებდიო. მერე მიჰყვება ჩვენი ჯიუტი ავტორი და სამართლიანათ სულ ტყავს აძრობს ამ გარყვნილ ჩინოვნიკობას, მოჰყავს როგორც თავისი საკუთარი შეხედულობა, აგრეთვე გამოჩენილი რუსის მწერლის კაველინის მშვენიერი სიტყვები, შაგეევის სტატისტიკური ცნობები, ვოლკოვის რჩევა, „რომ თავად-აზნაურობამ იკისროს მძიმე სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება", და სხვა.

ჩვენ პირველათ ის გვაკვირვებსს, რომ თუ კი „შარშანდელ რუსეთში" არ ათქმევინეს პატივ-ცემულ ავტორს ასეთი საყვედური ჩინოვნიკებისადმი, „რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა" რომელ წითელ კვერცხათ-ღა გადაექცათ? მას აქეთ სულ მეოთხე თვეა. ცენზურას არავითარი გამაფრთხილებელი და წითელი მელნით ამაჭრელებელი ძალა არ ჩამორთმევია, თუ არ მომატებია, უკანასკნელი ამბის შემდეგ. მაშ როგორ მოახერხა უ. გ. თ—მ—მა რუსეთის არეულობის ახსნა მეოთხე ნომერში? ის არ ერჩივნა პატიოსნურათ ეღვიარებინა—„მაპატიეთ, შევცდი, რომ მართლა ყმაწვილის თვალით შევხედე ფრიად უდიდეს მოვლენას რუსეთის ცხოვრებისასაო? არ ერჩივნა, მადლობა განეცხადებინა მათთვის, რომლებიც გაფაციცებული თვალებით შეჰყურებენ რუსეთის მოძრაობას და რომლებიც აღელვა და გააკვირვა უ. გ. თ—მ—ის უცოდინარობამ ამ საქმეში და რომლებმაც, შემძლებისა და გვარათ, აჩვენეს უმთავრესი მიზეზნი ამ მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინებისა?... მაგრამ, არა და! თუმცა ავტორი ნამეტნავათ იკატუნებს თავსა, იჩენს სიწუნარეს და ქოქოლას აყრის პოლემიკას, მაგრამ თითონ მაინც საშინელი პოლემიკოსი ყოფილა, მძლავრი სოფისტი, რომელიც შემდგარა ცივ შარზე და თავის შეცთომილებას აბრალებს მისს კრიტიკოსებს და ნამეტნავათ ცენზურას... ხაწყალი ცენზურა! რამოდენი უღონო, უძლური და რეგვენი კაცი გამოგიყვანია ქვეყანაში! რამდენი მოუმზადებელი და თავ-ბედის გაუგებელი მწერალი ამოგივარებია კალთების ქვეშ! რამდენი ,,მგლოვარენი სულითა'' დაგიხსნია შენი ყოვლად შემძლებელი წერტილებით!! უფრო საბრალონი არიან უ. გ. თ—მ—ის კრიტიკოსები. ,,ობოლო, ვის მოჰკლამო? და-ჩემ გამზდელსაო''. სწორეთ ასეთი სიკეთე გადუხადა მძლავრმა პოლემიკოსმა. თავმოყვარე ვინმე ბრძანებულა, სწყენია—თქვენ რომ არ მითხრათ, მე კი არ ვიციო რა?

მაგრამ ამ ჯიუტობის გარდა და, როგორც ყოველი სიჯიუტის შედეგი, პატივცემულმა ავტორმა გამოიჩინა საშინელი გაუგონრობა და, საზოგადოთ ,,ივერიის'' სენისა და გვარათ, ,,აზრის უარყოფა''.

ვთქვათ, დაუჯეროთ უ. გ. თ—მ—ს, რომ იმისი პირველი სტატია შავი კი არა თეთრია; ვთქვათ, რომ ,,შარშანდელი რუსეთი'' და ,,რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა'' ერთი და იგივეა, როგორც ვაშლი გასჭრა შუაზე და ორივე ნახევარი ერთმანეთსა ჰგვანდნენ ყველაფერში; ვთქვათ, რომ ჩვენ არ გვესმის ავტორის აზრი ან გაძრახ, უსინიდისობით ვამახინჯებთ იმის ნამდვილ აზრს, როგორც ჩვეულებრივ ,,ივერია'' მიზდევს ამ მომაკვდინებელს სენს: ამით მითომ უ. გ. თ—მ—ი ასწორებს საქმეს? მითომ ამით ის იჩენს რუსეთის მდგომარეობის გაგებასა და მისი მიზეზების ცოდნას?—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც არ მომიკვდეთ! ამით უფრო უკან-უკან იწევს და „სოციალისტები“ კი მიურბიან ხელიდგან. აი როგორ:

„ივერიის“ პირველ ნომერში იმანა თქვა, რომ რუსეთის რევოლიუციონერები სულ ყმაწვილები არიან, რომლებიც გამორიცხეს სასწავლებლებიდგან და ამით მოუსპეს იმოტელა ახალ-გაზდობას სახსარი სწავლა-განათლების მიღებისა. ამათაც მოუკიდათ გული, განიმრახეს ტოლსტოის ჯვარის ამოყრა, წავიდნენ ხალხში, მიიმხრეს იგი და აბუნტებენო. მეოთხე ნომერში არეულობას აბრალებს ჩინოვნიკებს, მოჰყავს შაკეევის სიტყვა, რომელიდგანაც სჩანს, რომ 1870 წლიდამ 1877 წლამდე, ე. ი. მარტო შვიდის წლის განმავალობაში დაკარგა მმართებლობამ 63,443 რევოლიუციონერი ციმბირში, გარდა იმათი, ვინც ეხლა რუსეთის სატუსაღოებში ათი-ათასობით არიან დამწყვდეულნი. ამის შემდეგ ავტორი ამბობს—

„ეს უსამართლოდ კაცის დაღუპვა ასე ხდებოდა: რომელიმე ახალგაზდა კაცი (ზოგჯერ (?) მოხუციც) ორიოდ სიტყვით იხსენიებდა რომელიმე ჩინოვნიკის ან იმის მფარველ კაცის საქციელს. პოლიცია მესამე განყოფილებას (ეხლა გაუქმებულ კანცელარიას ჟანდარმებისას) შეატყობინებდა, რომ ესა და ეს მწერალი, სტუდენტი, გიმნაზიელი ან სხვა ვინმე მართებლობის წინააღმდეგ ლაპარაკობს, მდიდრებს ემტერება, ღმერთი არა სწამს, სოციალისტია და ამიტომაც საჭიროა იმის აქედგან გადაკარგვაო. მესამე განყოფილებაც მოიწერებოდა, სამართალში მიეცითო და, თუ გაამართლონ, ციმბირში გაგზავნეთო“.

აქამდის გამოგდებული შეგირდები იყვნენ არეულობის უსტაბაშებათ ტოლსტოის მეოხებით, ეხლა კიდე ჩინოვნიკების ტყუილ ცილის-წამებამ, სიცრუემ და გარყვნილობამ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგონა ვიღაც სოციალისტები, მართებლობის მოწინააღმდეგენი, რომლებიც ტყუილ უბრალოთ დაღუპეს ციმბირში! თავი არ უნდა ამისთანა სიბრძნის გამოთქმას! „შარშანდელი რუსეთი“ გვეუბნება, რომ რევოლიუციონერები არიან მართლაო, მოგვითხრობს მათ დაბადების ისტორიას, ტოლსტოის შესანიშნავ ბებიაობას ამისთანა ძნელ მშობიერობაში; „რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა“ კი ხან გვეუბნება არიან რევოციონერები, სოციალისტებიო, ხან კი გვარწმუნებს, რომ ეს სულ ტყუვილია, ჩინოვნიკებმა თითონ გამოიგონეს რევოლიუციონერებიო. იქნება მესამე სტატიაში კიდე იქადაგოს ჩვენმა პატივცემულმა ავტორმა, რომ „არეულობა“ ჟანდარმების საქმეა— თითონ არიან სოციალისტები და სხვებს, უმანკო პირებს, აბრალებენ, რომ თავიდგან აიცდინონ მართებლობის მრისხანებაო. რას არ იტყვის კაცის ენა!

მაგრამ, მეშინიან აქ გავათავო შენიშვნა — გამოჩნდებიან ისეთი ჭორიკანები, რომლებიც ჩემ სიტყვებს ახსნიან სურვილისამებრ თვისისა და შემწამებენ ჩინოვნიკების დაცვას, მომხრეობას. ღმერთმა დამიხსნას! მე იქნება უფრო მომატებული ზიზღით უყურებდე საზოგადოთ ყოველ გვარ ბიუროკრატიას, ვიდრე უ. გ. თ—მ—ი; მაგრამ საქმე აქ ჩვენ გრძნობაზედ კი არ არის, საქმე იმაშია, თუ რამდენათ ჩინოვნიკობაა პირველი და აუკანასკნელი მიზეზი არეულობისა.

რუსეთის ეხლანდელი მოძრაობა თითო რამე წვრილმანით არ აიხსნება. ამ მოძრაობას აქვს თავისი ნიადაგი, სადაც მას გაუდგამს ფესვები და იკვებება ათას-ნაირი ნაყოფიერი საზრდოთი. ჩვენ იმასა ვკითხულობთ, თუ ვინ ამზადებს ასე უხვათ ამ საზრდოს? უ. გ. თ—მ—ა ჯერ სთქვა, რომ ტოლსტოი თავის ხელით აცხობდა გამტკიცულ შოთებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არეულობის მუცლისთვისაო. ვინ იტყვის, რომ ეს ტყუილია?—არავინ! ტოლსტოი დიდი დამნაშავეა ამ საქმეში. მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ტოლსტოისა ჰქონდა იმოდენა შეძლება, რომ მარტო თითონ აევსო ეს უშველებელი ვეშაპი, რევოლიუცია?—შეუძლებელია, რომ ერთმა კაცმა, ისიც სწავლა-გათლების სისტემით, მოახდინოს „სოციალური არეულობა“. მაშ თუ ეს არ არის ჭკვასთან ახლო, ვის მოვკიდოთ ხელი, რომ ჩამოვაცხოთ თავზე ბრალი ამ საშიშ მოვლენისა? — უ. გ. თ—მ—ი ამბობს, რომ ჩინოვნიკობას უნდა ვტაცოთ ხელი და სულ ჯვარს ვაცვათო, გარყვნილები გამოდგნენო. მაშ, უმანკო ანგელოზები რომა ყოფილიყვნენ ჩვენი ჩინოვნიკები, რუსეთი სრულებით დაწყნარებული იქნებოდა? რევოლიუციონერები აღარ გაჩნდებოდნენ? ვინ იტყვის! ჩინოვნიკობასაც ბევრი დანაშაული აქვს ამ მოძრაობაში, იმანაც კაი საღი საზრდო მისცა რევოლიუციონერებს, ხშირათ თითონ ჩინოვნიკებიც და მეტადრე მათი შვილებიც დარევოლიუციონერდნენ, მაგრამ მარტო ჩინოვნიკობას არ შეუძლიან ამოდენა მოძრაობის აღძვრა, სოციალური არეულობის საზრდოს მარტოთავისი ჯიბიდგან მიტანა. მართალია, მე ძალიან მომწონს ავტორის თავ-გამომეტებული ლაპარაკი ჩინოვნიკობაზე, ძალიანაც აშავებს მათ უადამიანო და უსინიდისო ქცევას, მაგრამ ამაზე ხომ არაა ჰკიდია საქმე! ავტორსა სთხოვენ არეულობის მიზეზებს,

## А онъ украдкой киваетъ на Петра!

თუ მართლა არ შეიძლება ამ საგანზე ჩვენ მწერლობაში ლაპარაკი, მაშ რაათ ლაპარაკობთ? და თუ შეიძლება კიდე და, ამნაირათ არა, ჩემო ბატონო. ეს მართლა ბავშური ლიტერატურაა, როგორც სამართლიანათ განწყენინათ უ. აბდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელიშვილმა. თუმცა თქვენ კი არ უნდა გწყენოდათ, არამედ მიგეღოთ მხედველობაში მისი და უ. ა. ნ—ლის შენიშვნები, რაიცა თქვენ ითაკილეთ და ხელ მეორეთ დაამტკიცეთ თქვენი მოკლე შეხედულობა ამ ფრიად დიდ საგანზე, რომელსაც ათასი მიზეზი ერთათ შესდგომია და ერთათა ჰკვებავს...

ამაზე ჩვენ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ „იმედში“

* * *

მეორე სტატია, როგორც მოგახსენეთ, არის „კრიტიკული“ და შეეხება „იმედის“ ბელეტრისტიკას. აღარ იშლის „ივერიის“ კრიტიკოსი და კრინტის ჩაწყვეტა ვერ მოუხერხებია—ენა ექავლება საშინლათ. ან რა ქნას? გული სტკივა საწყალს ჩვენი მწერლობის ბედ-იღბალზე, უნდა ორიოდე სიტყვა თითონაც ჩაურიოს და გზაზე დააყენოს მწერლობა! მაგრამ „ურიას ერთი დღე შეხვდა, ისიც შაფათიო“, ამისთანა საქმე მოზდის ხოლმე ჩვენს „კრიტიკოსსაც“: „ივერიის“ თითო ნომერში რომ ერგოს ბაასი თითო ამისთანა საიმისო კითხვაზე, როგორც, მაგ.—მოისპოს „ვეფხვის ტყაოსანში“ უცოდინარი რუსთაველის მიერ ნახმარი ნაწილი „და“ მეოთხე სტრიქონის დასაწყისში თუ დარჩესო?—ის დარბაისლურათ, დალაგებით მოგიყვებოდათ და, რასაკვირველია, დაგიმტკიცებდათ, რომ ეს ორიგინალური კუთვნილება ძველი დროების ლექსისა უთუოდ უნდა მოისპოს, რადგან სრულებით მეტი მარცვალი გამოდისო. აქედგან გადავიდოდა და უ. ზალიკა-ლოვიანსაც დააჯერებდა საწყალი დავით გურამიშვილის ლექსების დამახინჯებაშიც. ანუ მიგეცათ ნება ქონია მსჯელობა, თუ რომელი შთაგონებით „დროება - ივერიამ“, დაუღლების შემდეგ, სიტყვა „უფალი“ (Господинъ) შესცვალა სიტყვა „ბატონი“ზე (баринъ). დაამტკიცებდა თავისი შესანიშნავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძვლიანობით, რომ „უფალი“ ცუდი სიტყვაა, რომ „ბატონს“ არ შეედრება არც „უსტა“, არც „აღა“. თუმცა, რასაკვირველია, ბევრნი ამ უკანასკნელ სიტყვებს არჩევდნენ „ბატონს“, მაგრამ „კრიტიკოსი“ ისეთი მჭერ-მეტყველობითა და გატაცებით დაიწყებდა ლაპარაკს, რომ ყველას დაარწმუნებდა თავის აზრის სიმართლეში.

აი, ამისთანა საგნები, მართლაც რომ „ივერიის“ „კრიტიკოსის“ ჭკვასთან ახლო იქნებოდნენ და ბევრ კარგ რამესაც გავიგონებდით მისი ენა-პირიდგან; თუ არ და, საწყალს, თავის საუბედუროთ აუღია მოთხრობაების გარჩევა, ან მთელი ჟურნალის თვალის გადავლება! კატას ვინ მოსთხოვს, რომ ლომივით დაიბღავლოს დაბურვილ ტყეში? ანუ ბაყაყს ვინ აჭკიდებს აქლემის საპალნეს?—არც ერთი ჭკვიანი კაცი არ იზამს ასეთ სისულელეს, მაგრამ ჩვენი „კრიტიკოსისთვის“ კი წამოუკიდნიათ ასეთი მძიმე ტვირთი. მოდი შენა და ღვთის განგება გამოიცან!.. ამიტომაც ზედ შუაზე გაწყვეტილა, საბრალო: „ახალმაზდა მწერალი სანთელივით იგრიხება და ყოველივე სიტყვა მოქმედობს მასზედაო“. უნდა მორიდებით და სიფრთხილით გავარჩიოთ (?) მათი ნაწერებიო, რადგან ბევრმა „მოთხრობის“ მწერალმა თითონაც არ იცის, რასა სწერამს და უნდა გაუკვეროთ გზაო. ჰხედამთ, როგორ დიდრონსა ლაპარაკობს! აცა თუ რა ქნას, ეე!.. მაგრამ რაც ითქმის, რომ ყველაფერი აღსრულდებოდეს, სად წავიდოდა! მეტადრე კაცი რაც უფრო მაწაწო, პაწაწკუნტელაა, მით უფრო მომატებულ რიხს აძლევს თავის ლაპარაკს. ეს საზოგადო კანონი აქაც გამართლდა.

„კრიტიკოსი“... (მაგრამ არა, რადგან ის ძალიან მცირეწლოვანი ვინმე ჩანს, ასოს „რ“, გამოსთქვამს ასოთი “ლ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ დაუმახოთ “კრიტიკოსი“, ჩამოსთვლის უ. გიორგი წერელაშვილის მოთხრობის შინაარს და, როდესაც გავა ბოლოში, უცებ ამოუჯდება გული და მოჰყვება საშინელ ტირილს. იმის ცოდვით, მედა ჩემმა ღმერთმა, გული დამეწვა. იცით, რაზედ იტირა საწყალმა?—უ. გ. წერელაშვილის გულ-ქვაობაზე. მოვიყვანოთ იმისივე სიტყვები, რომლებიც ტირი-ლში და ქვითინში ძლივს გავიგონე:

,,რას ემართლებოდა ავტორი ეფემიას შვილებს და რის-თვის დახოცა ისინი? ან მხნე და შვილებისათვის თავგადადე-ბული დედა რად დასტანჯა ისე უწყალოდ? მართალია, ლექებში ჩხუბიც მოხდება ხოლმე, ხანდისხან კაციც კვდება, ხან ბოლ-მაც წამოუვლის ადამიანს, მაგრამ ეს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევაა, რომ ამის საზოგადო მოვლენად ჩათვლა, ამის განზოგადოება დიდი შეცდომაა ავტორისა.“

ამით ჩვენ ,,კრიტიკოსსა“ სწადიან უ. გ. წერელაშვილის ჭკვაზე დაუყენება. სხვა არა აქვსრა სათქმელად. რათქმა უნდა, რომ ეს სულ ცრემლების ბრალია. ტირილში კაცი რას არ ამოუშვებს გულიდგან, ეგებ მიმსუბუქოსო. თორემ აბა სხვა რითი უნდა აიხსნას ზემოთ მოყვანილი დარიგება? საიდგან უნდა ჰქონდეს ავტორს იმედი, რომ მის სიტყვას გავლენა ექნება ახალგაზრდა მწერალზე? თორემ, აბა შეხედეთ თითონ ,,ივერიას“, რომელიც მუხლს იდრეკავს გოლდსმიტის ,,ვეკ-ფილდის მოძღვრის“ წინ და რომელმაც ამ რომანით ლამის დაგვაბეროს, მანამ გაათავებდეს. რატომ ჩვენი ,,კრიტიკოსი“ არ ეკითხება გოლდსმიტსა ამნაირათვე ღვდლის ქალის ოლი-ვიას თაობაზე? ოლივია ერთი ეშხიანი, მშვენიერი, კალმით ნახატი რამ ქალწული იყოვო, ჟინიანათ გვეუბნება გოლდსმი-ტი. ამისთანა არსებას უგულო გოლდსმიტი მებატონესთან

გააქცევს და წაართმევინებს ნამუსს, მის უკეთეს განძს. რატომ „ივერიის“ ბიბლიოგრაფი არ უსაყვედურებს გოლდსმიტს ამისთანა საცოდავი მოვლენის აღწერას? ეგ ხომ საზოგადო მოვლენა არ არის, ეგ არის მხოლოდ განსაკუთრებული„ შემთხვევა. მართლათაც, ყველა ღვდელს ხომ მშვენიერი ქალი არა ჰყავს და, თუ ჰყავს, ყველას ხომ ოლივია არა ჰქვიან? მერე, ყველა ლამაზი ქალი ღვდლისა, ყველა ოლივია ხომ არ გაიქცევა მებატონესთან და არ წაართმევინებს ნამუსს? მაშ სადათ სწერს ამისთანა „განსაკუთრებულ შემთხვევას“ ის თავგაქავებული გოლდსმიტი? და თუ სწერს ამისთანა შეუსაბამორასმეს, მაშ რათ ეცვა ჯვარს „ივერია“, როდესაც „იმედმა“ საფუძვლიანათ დაიწუნა ეს რომანი?

ამ ნაირი საფუძვლიანი გარჩევა გამოიჩინეს ჩვენმა ივერიელებმა. ღმერთმა ნუ მოაკლოთ. უ. გ. ჭრელაშვილი ბევრს კი იცინებს ამისთანა გარჩევაზე. ის ელოდებოდა მოთხრობის შინაარსის გარჩევას და, ამის მაგიერათ, გარეგნობაზე, ისიც უსაფუძვლო შენიშვნა, მიყვა. დალოცვილი რამ არის ეს „ივერიის“ კრიტიკა!

აბა, საწყალ შაქროს რაღას მიართმევენ?

„არ ვიცით, გულში რა ჰქონდა დანერგული, ეს კი ვიცით, რომ ძარღვებში თქვენ პაპას სისხლის მაგივრათ დო უნდა სდგომოდა“.

უფ. შაქრო, მომილოცავს ახალი მეცნიერებითი მოვლენის აღმოჩენა თქვენ წინაპრებში „ივერიის“ მეოხებით! თურმე, როგორც გვარწმუნებს ამ პატივ-ცემული ჟურნალის ნატურალისტი და არხეოლოგი, პაპა-თქვენს სისხლის მაგივრათ დო სდგომია! ესეც კარგია. თუ თქვენ უწყალოთ გამტვერებენ ივერიელები, წინაპარი ხომ მაინც შესანიშნავი გყოლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთანა ოთხგროშიანი მასხვილობით მოგვაქვსთ თავი; ამისთანა გონების საგძლით გამოზრდიხართ და ჰყოფთ ქვეყანაში თავსა!?—მხურვალეთ მებრალებით.

მაგრამ მაინც ვნახოთ, რა შენიშვნებს აძლევენ უ. შაქროს, რომ იმაზე „გავლენა იქონიონ"?

„გლეხები ვენახში მუშაობენ და „კნიაზი და კნიაჟნა" ბატონის სახლის ბალკონზედ სხედან და ლაპარაკობენ.

„გვესმის, (გესმისთ კი? მაშ აქამდის რატომ ერთხელ მაინც არ ამოიღეთ ხმა ამაზე?!) რომ ავტორს, უ. შაქროს ეს სცენა იმიტომ აუწერია, რომ დაგვანახოს, ზოგი როგორ ბევრსა მუშაობს და არაფერი რჩება ხელში და ზოგი კი უშრომლად როგორ ყელთამდე სავსეა.

„—დიაღ კარგი აზრია, მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამ აზრს „მარტიანთ პაპასთან"?

„—არაფერი". და სხვა-და-სხვა.

მეც ვიტყვი—რა დამოკიდებულება აქვს თქვენ ნაწერს ჟურნალისტიკასთან?—არაფერი! რა გესმით ჩვენი ცხოვრებიდგან?—არაფერი! რა გაიგეთ" მარტიაანთ პაპაში"?—არაფერი. რა დამოკიდებულება აქვს საღი კაცის აზრსა და თქვენ შეხედულობას ქვეყნიერობაზე?—არაფერი!

მართლათაც და აბა რომელი სრული ჭკვის პატრონი იზამს იმას, რაც ამ „იმედის" ბელეტრისტიკის" დამწერს უქნია? ლაპარაკობს, ანუ ჰბოდავს რაღაცეებს ორი მოთხრობის შესახებ და ბოლოს ამით ათავებს თავის ნაბღარჯნსა: „იმედის" მეორე ნომერზედ ვერას ვიტყვით (თითქო სხვა რამეზე კი ბევრი რამის თქმა შეგვეძლოსთ!): იგია ულეველ ფრაზების ზღვა, ნამდვილი ნაყოფი დიაკვნურის პერიოდისა, რომელიც მოჰყვა შარშან ბ. ნიკოლაძისაგან ამოჩენილს აკვნურს პერიოდს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის თქვენი განჩინება მთელ ,,იმედზედ“. მაშ მაგეთი ბრტყელი სახელი რაღაზე წამაასხვით თქვენ ნაწერს? — გაუგებრობით! საზოგადოთ, თქვენ ძალიან შორს წასულხართ უმეცრებაში და ლიტერატურულ სინიდისზე ხელის აღებაში. რას ნიშნავს თქვენი უგანასკნელი ფრაზა? განა შეიძლება მაგრე თამამი ლაპარაკი მკითხველთან! ,,ულევი ფრაზების ზღვა“ არის მეორე ნომერი ,,იმედისა“? მაშ ნიშადური იქ ვერ იპოვნეთ განა? არა მგონია! მთელ ნომერზე იტყვიან ,,ულევი ფრაზების ზღვაა“ და ერთ მაგალითს მაინც ვერ მოიყვანენ ჟურნალიდგან? მაგისთანა კნავილის მოლოდინი არა გვქონდა თქვენისთანა დევებისაგან, სწორეთ მოგახსენოთ.

ეხლა მე რომ მოვყვე და საქვეყნოთ დავიწყო ღაღადება — ,,ივერია“ აზრების თვალ-მარგალიტებისაგან არის შემდგარი, თითო მისი სიტყვა, თითო წინადადება — თითო იაგუნდის თვალს უდრის, მეთქი, და დასამტკიცებლათ ერთი სიტყვა და ერთი წინადადებაც ვერ მოვიყვანო, — დამიჯერებენ? უსინდისობაში თუ არა ჭკვა-ნაკლულობაში მაინც არ ჩამომართმევენ თითონ ქართველი საზოგადოების უმრავლესობაც კია? უჭკოობაც კარგია ხანდისხან, მაგრამ მაგრე წრეს გარეთაც არ შეიძლება, ,,ბატონებო“ (баре).

## II

,,Юридическое Обозрѣніе“ ყოველ კვირაობითი ჟურნალი. გამოცემა ა. ს. ფრენკელისა ა. ვ. სტეფანოვის რედაქციით 1881 № 1.

პირველ აპრილსავე გამოვიდა ზემოთ ნაჩვენები პატარა ჟურნალი რუსულ ენაზე ჩვენ ქალაქში. აგერა ერთი წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შესრულდა თითქმის, რაც „Тифлисскій Вѣстникъ"ი და „Обзоръ"ი გაჩუმებულნი არიან და ზღვის პირას ელოდებიან ავდრიანი დღის გამოდარებას. ჩვენში, საქართველოში, ხეირიან რუსულ მწერლობას დღეს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქართულს. ეს არც გასაკვირველია. ჩვენ ქვეყანაში ყოველი უმაღლესი მობრუნება სულისა, ყოველი აქტი და ანგარიში ჩვენი სამოქალაქო ცხოვრებისა უმეტესათ რუსებს აბარიათ ხელში და, გინდა ქართველებსაც ებაროთ, მაინც რუსულ ენაზე ხდება ყოველი გვარი საზოგადობრივი განჩინება. მიზეზიც ეს არის უმეტესათ ჩვენი ქართული მწერლობის უფერულობისა და თითქო უსაჭირო სამკაულისა, ურომლისოთაც თითქო ნირი არ ვის შეეცვლება. ამიტომაც დაეტყო ჩვენ ცხოვრებას უფრო მძლავრი უარაქათობა მის შემდეგ, რაც სმა ჩაწყვიტეს ამ ორმა გვარიანმა გაზეთებმა, და ბურთი და მოედანი დაულოცეს ოფიციალურ „Кавказъ"ს და რაღაც „Объявленія"ებს, რომლებიც ისე შორსა დგანან კავკასიის აქეთა მხრის ცხოვრებასთან, როგორც მოქრუშული და ცუდი ზამთრის დღე მშვენიერ მაისის დილასთან.

ამისთანა დროს, ასეთ სასოწარკვეთილებაში, გამოვიდა „Юридическое Обозрѣніе" გამოჩენილი ადვოკატი სტეფანოვის რედაქციით, რომელსაც დაჰპირდნენ მონაწილეობის მიღებას ყველა პატიოსანი და სწავლული იურისტები.

ჯერ გარეგანი მხარე ამ ჟურნალისა შეგვექნა სასიამოვნოთ, რადგან იქა ვნახეთ ნ. ნიკოლაძის სახელი, რომელიც, როგორც სჩანს იმის სტატიიდგან, შემთხვევით კი არა, ხანგრძლივ მონაწილეობას აპირობს ამ ჟურნალში. სასიამოვნოა ეს ამბავი იმით, რომ ჟურნალი არ იქნება ნამეტნავათ სპეცია-

ლური და მიეცემა მას პუბლიცისტიკური ხასიათი, რომ ეგება ჩვენ საზოგადოებას ეღირსოს გაგება თავისი „უფლებაებისა", რომელიც იმასა აქვს მინიჭებული მართებლობისაგან და რომლიდგანაც უმეტესობას „ინჩიც" არ ესმის.

ჟურნალის გადათვალიერებამ არამც თუ გაამართლა ჩვენი იმედი, არამედ, ჩვენდა სასიხარულოთ, იქა ვნახეთ ამაზე მომეტებულიც. მოკლე, მაგრამ ჭკვიანი სტატია, სახელად „ჟურნალის მოვალეობა" (о задачахъ журнала) გვპირდება, რომ გაავრცელოს ჩვენ საზოგადოებაში არა მარტო ეხლანდელი წესდებაების პრაკტიკული გაგება, შეასტყობინოს მისი ტეორეტიკული დედა აზრი, არამედ თავის თითქმის უმთავრესს მოვალეობათა სთვლის, რომ თითონ ეს წესდებაები, თითონ ეს კანონები გამოიკვლიოს და აჩვენოს მართებლობას მათი ძალა და უძლურება. ის ამბობს:

რუსეთის რჯულ-დებულობა, როგორც სისხლის სამართლისა, აგრეთვე სამოქალაქოსი, მთლიანათ შემოღებულია კავკაზეთშიც, მაშინ როდესაც ყველამ იცის, რომ კავკაზეთს ათას-ნაირი თავსნიერი ხასიათები სჭირს. მრავალ საუკუნოების ისტორია ხალხებთა, რომლებიცა სცხოვრობენ ამ საკვირველ და მდიდარ ქვეყანაში, მათი აწინდელი ეკონომიური მდგომარეობა, ვაჭრობა, ხელობა, მერე მათი გონებითი, ზნეობითი და სარწმუნოებითი განათლების ხარისხი — ყოველივე ესეები არა ჰგვანან იმას, რასაცა ვხედამთ რუსეთის შუა გუბერნიებში. ბევრში ჩამოვრჩით ჩვენ რუსეთს, და ბევრში კი, იქნება, წინაც გაუსწარით. ხალხთა საჭიროება და მოთხოვნილება თავის დღეშიაც ერთნაირი არ იქნება, და ამიტომ საოცარია, გაუგებარია, რომ კავკაზეთსაც იგივე კანონები აქვს, როგორიც რუსეთს,—იმდენათ საოცარია ესა, რამდენათაც საოცარი იქ-

ნებოდა მოგვეთხოვნათ, რომ ერთნაირ ყაიდაზე იხმარონ დათ-ვის ტყავები თბილისში და ირკუტსკში“ (ციმბირშია).

შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ჩვენი ცხოვრება ერთ მხარეს იწევს, კანონები კი მეორე მხარეს ეწევიან, ამიტომ იგინი ერთმანეთს ჯიბრში უდგენან, ერთმანერთსა ზდევნიან და ამ ბრძოლაში გადის დრო, მსხვერპლი მსხვერპლს ემატება და სიკეთის, გაუმჯობესობის ნიშანი არსაიდა-მა სჩანსო, კანონი ვერ ასრულებს თავის დანიშნულების დედა აზრსაო. მერე მოჰყავს ის სამართლიანი შეხედულობა ,,უფლებაზე“ (право), რომლის ძალითაც ,,უფლებანი“ ხალხთა არ არიან მომწყვდეულნი უსტავებში, კანონების და სტატიების ტომებში, და რომლის ძალით ,,უფლებანი“ გადადიან ყოველ-გვარ საზოგადოობრივ თვით მართებლობაზე, ყოველ-გვარ კო-ლექტიურ ცხოვრებაზე, ათას-ნაირ ბანკების საზოგადოებაზე და ამხანაგობაზე, გადადიან თვით ხალხთა განათლების საქ-მეებზე, გარდა ამისა ასრედ წოდებული საფინანსო ,,უფლება-ნი“, რომელსაც ეკუთნის გადასახადის განაწილება ხალხ-ში და მათი აკრეფის სისტემა. ერთი სიტყვით, ჟურნალს, როგორც სჩანს, ესმის ჩვენი საზოგადოების საჭიროება ამ ფრიად მძიმე და აქამდის გაუგებარი იურიდიკული ცხოვრების შეტყობისა და განმარტებისა, რის კარგსა და საღ ცოდნასაც შეუძლიან მართლად ხალხის ფეხზე დაყენება და თავზე ხე-ლის მოსმევინება.—სტატია თავდება შემდეგი დაპირებით:

,,უშველოთ მომქმედი კანონების და ცხოვრების შუა თანხმობას, ავხსნათ ბნელი მხარე იურიდიკული არსებობისა და კითხვები, რომლების ახსნასაც უსათუოთ მოითხოვს ფეხ-ადგმული იურიდიკული ცხოვრება საზოგადოების, ხელი შეუწყოთ გაქსაქსულ, გაცალკევებულ საზოგადო ძალასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონის, საზოგადობრივ ელემენტების შეერთებას ქვეყნის სასარგებლო საქმეში სამუშაოთ; გამოვააშკარაოთ იურიდიკული მოვლენათა შინაგანი ბუნება, გამოვიძიოთ მათი მიზეზები, უშველოთ იმის მოშორებას, რაც მათში ცუდია, და მის დაარსებას, რაც სასარგებლოა, — აი ყოველივე ის პრაქტიკული მოვალეობა, რომელიც ამ ხანათ იკისრა ჩვენმა ჟურნალმა. რამდენათაც შესაძლებელია ამ მიზნის აღსრულება, ამას, რასაკვირველია, მომავალი გვაჩვენებს; მაგრამ ერთ რასმეში კი ეხლაც არ არის ეჭვი, და ეს ერთიც არის ისა, რომ ჩვენ გულს-მოდგენით და მხურვალეთა ვართ მოწადინებულნი ვემსახურნეთ ამ საქმეს მთელი ჩვენი შეძლებით“.

რასაკვირველია, არც იმაშია ეჭვი, რომ რამდენი თავგამომეტებულათ და სინიდისიერათ შეუდგება თავის წმინდა დანიშნულებას ეს ჟურნალი, იმდენი მომატებულ გამამხნევებელ და დამაჯილდოებელ თანაგრძნობას მოიპოვებს საზოგადოების მხრით. ჩვენ წინათვე მხურვალე იმედი გვიღივის გულში, რომ მოხსენებული ჟურნალი, თავის თანამშრომლების მეოხებით და მეტადრე თავის ნასწავლ და ბარაქიანათ გამომზადებული რედაქტორის უ. სტეფანოვის მეცადინეობით, აანთებს ლამპარს მეცნიერებისას ჩვენ დაბნელებულ საზოგადოებაში, აამაღლებს დროშას ხალხთა თვით-მართველობისას, ემსახურება ჭეშმარიტებას და შეძლებისამებრ დაუცობს პირში ბურთს მომაკვდინებელ უსამართლოებას, უსმენს ხალხის გოდებას ყოველი საზოგადობრივი „უფლებაების“ მოკლებულებაში, ეცდება, რომ დასთრგუნოს და გააშავოს ყოველი კერძო თუ კოლექტიური პირის შეუსაბამო და მრავალთათვის მავნე და მაზარალებელი მოქმედება...

სიხარულით ვეგებებით ამ ახალ ჟურნალს. ვისურვებთ, რომ ეს სიხარული ერთი ათათ განძლიერდეს ამას იქით უფრო.

1881 წ. აპრილის 2.

სტ. ჭრელაშვილი

## შინაური მიმოხილვა.

„ჩვენ განვთავისუფლდებით ვნებათაგან, როდესაც მათზედ ვფიქრობთ"-ო, ამბობს ფილოსოფოსი სპინოზა. მაშასადამე, ჩვენი საზოგადობრივი ცხოვრების უსწორ-მასწორობაზედ ლაპარაკი და სჯა შეადგენს ერთ უპირველესს მოვალეობას ჩვენი მწერლობისას, რომელიც არის—თუ არ არის, უნდა იყოს — გამომთქმელი ჩვენი სწავლით და განათლებით მოწინავე საზოგადოების ფიქრისა, მის ცხოვრებაზედ შეხედულობისა და სურვილისა. სამწუხაროდ ჩვენდა, ძალიან იშვიათათ ვხედავთ ხოლმე ჩვენში ისეთ მოვლინებაებს, რომლებიც ეთანხმებოდნენ ჩვენი საზოგადობრივი ცხოვრების ნამდვილ მოთხოვნილებაებს; თითქმის ყოველთვის მოწამე ვართ ხოლმე უფრო იმისთანა მოვლინებაებისა, რომლებიც შეადგენენ ამ ცხოვრების სიმახინჯის ნიშნებს, ხდიან მას უფერულათ, უკიდებენ ობს. მით უმეტეს ჩვენი მწერლობა ვალდებულია ფხიზელი იყოს და ყოვლის ღონის ძიებით სცდილობდეს ჩვენი საზოგადობრივი ცხოვრების ნამდვილ გზაზედ დაყენებას, რომ მით შეამციროს მაინც არის მოხსენებული მოვლინებაები. მაგრამ ჩვენ მწერლობას თითქმის ყოველთვის ან ეპარებიან ხოლმე თვალიდგან საზოგადობრივი ცხოვრების მახინჯი მოვლინებაების წინამორბედი ნიშნები, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ, მის უსაფუძლო სჯის გამო, რჩებიან სოლმე უყურადღებოთ საზოგადოების მხრით. ამისათვისაც თან-და-თან მრავლდებიან ჩვენში საზოგადოების შემარცხვენელი მოვლინებები, რომლებისთვისაც არა ერთხელ შემოგვიკურთხებს შთამომავლობა. ამ დროებით ჩვენ გვსურს გამოველაპარაკოთ მკითხველებს ერთ ამ გვარ მოვლინებაზედ, რომელიც ძალიან საყურადღებოა და რომლის მოსპობაც ფრიად საჭიროა ჩვენი ხალხის უკიდურეს მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

საეჭვო არ არის, რომ ამ წლის პირველი მარტის შემთხვევა შემაძრწუნებელია ყველასთვის, მაშასადამე ჩვენთვისაც. ამისათვის ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის ის ქვეშევრდომითი თანაგრძნობა, რომელიც საქართველოს თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა, რომლებიც ამასთანავე შეადგენდენ მთელი ჩვენი ხალხის დეპუტაციას, გამოუცხადეს ახალ **იმპერატორს ალექსანდრე მესამეს** თავის პეტერბურღში გამგზავრებით, განსაკუთრებით, როდესაც მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ კავკასიის მთებში, თოვლის ზვავების გამო, გზა შეკრული იყო და არ მოერიდნენ ნაბდებით საჯდომზედ გადასხოხებასაც, თუ კი შემთხვევა მოითხოვდა. მაგრამ სამწუხარო ის არის ჩვენთვის, რომ ეს პატივცემული პირები მიხოხავდნენ, როგორც გარემოებისაგან აღმოსჩნდა, თურმე უფრო იმისათვის, რომ ერთს ეჩვენებინა პეტერბურღელებისათვის თავისი ახოვანება, მეორეს—სიმდიდრე, მესამეს ენახა ცერემონია, მეოთხეს თავი გაერთო და სხვ. ზრუნვა კი იმ ხალხის კეთილ-მდგომარეობაზედ, რომლის წარმომადგენლებთაც ისინი გაემგზავრნენ ცივ ზამთარში პეტერბურღისაკენ, როგორც საქმისაგან აღმოსჩნდა, სულ არა ჰქონიათ. კიდევ არაფერი იქნებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ აზრში მაინც არის ჰქონოდათ ამ გვარი ზრუნვა. მაშინ ჩვენ ვიფიქრებდით, რომ ან ვერ გაბედესო მისი გამოცხადება ახალი ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ წინაშე, რადგანაც ႨႱ იმყოფება მწუხარებაში, ან კიდევ კავკასიის მთებში დარჩათო ეს ზრუნვა აზრებითურთ, რადგანაც გაჭირვების ატანას შეჩვეულნი არ არიან. მაგრამ ორივე ამ ფიქრს გვირღვევენ ისინი თავიანთ მოქმედებით: კავკასიის მთებიც გაუჭირვებლათ გადაისრიალეს და თხოვნაც გაუბედეს ႨႫႮႤႰႠႲႭრს...

ჩვენი ხალხის მხრით ქვეშევრდომითი თანაგრძნობა აქედგანაც გამოცხადებული იყო ႫႨႱ ႨႫႮႤႰႠႲႭႰႭႡႨႧႨႱ ႳႣႨႣႤႡႳႪႤႱႭႡႨႱ წინაშე. ამისათვის ႫႨႱ წინაშე ჩვენი დეპუტატების წარდგომისაგან, გარდა პირათ ქვეშევრდომითი თანაგრძნობის გამოცხადებისა, თითქმის ყველა ჩვენგანი მოელოდებოდა ხალხის სასიკეთო საქმესაც. რაღა თქმა უნდა, რომ წამსვლელ ჩვენი ხალხის წარმომადგენელებსაც კარგათ უნდა მოეფიქრებინათ თავის ოფიციალურ მოვალეობაზედ, გადაეწყვიტათ, თუ რა უფრო საჭიროა ჩვენი დავარდნილი მხარისათვის და ასე მომზადებულები ყოველ გვარ შემთხვევისათვის შესდგომოდნენ გზას. თუ არა და დალოცვილებმა აალირეს თავები და უთავბოლოთ გასწიეს პეტერბურღისაკენ, თითქო მგზავრობის მეტი იმათ არავითარი სხვა მოვალეობა არ აწვათ კისერზედ. რახანც მაინც-და-მაინც ამ გვარი შეხედულობისა იყვნენ ისინი თავიანთ საქმეზედ, არც უნდა სხვა რამე ეკისრნათ, უთავ-ბოლოთ ენა არ უნდა ეტოკებინათ. მეტიჩარაობა ჯერ თვითეული კერძო პირისა საზიზღარია და მთელი ხალხის წარმომადგენლებისა ხომ წრეს გადასული უსამართლობაა. ეს იმიტომ, რომ ამ გვარ შემთხვევაში წარმომადგენლების ჩირქი ეცხება მთელ ხალხს. „როგორიც მღვდელიო — ისეთი

გრიო“, ამბობს ანდაზა, და რით ან ვით შეგიძლიანთ დაარწმუნოთ, რომ მთელი ხალხი იმ აზრისა და იმ სურვილისა არ არის, როგორი აზრიც და სურვილიც აქვსთ იმის წარმომადგენლებს? ამისათვისაც ძალიან სიფრთხილე მართებსთ ყოველთვის იმ პირებს, რომლებზედაც ბევრათ დამყარებულია ბედი და უბედობა ხალხისა. რაკიღა გაუბედეს ჩვენმა წარჩინებულმა პირებმა თხოვნა მართებლობას, ხუთიოდ ჩვენებურ „კონვოინებისათვის“ მხრებზედ დასაკერებელ ვენზელებისათვის კი არ უნდა შეეწუხებინათ, უნდა ეთხოვნათ ისეთი რამეები, რომლების ბოძება ნამდვილათ შეეფერებოდა მის იმპერატორებითს უდიდებულესობას და რომლებიც მოუტანდნენ კეთილ-მდგომარეობის ნაგლეჯს მაინც ჩვენ გაჭირვებულ ხალხს.

შემდეგ იმ გონივრულ პეტიციისა, რომელიც მიართვა ხელმწიფე იმპერატორს პოლშის დეპუტაციამ, რატომ არ შერცხვათ მაინც ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს, რომ იმისთანა უმნიშვნელო საგნის თხოვნით, რომელიც ზევით მოვიხსენეთ, ან იმპერატორი შეაწუხეს და ან თავიანთი თავები. ნუ თუ მარტო პოლშელებისათვისა აქვსთ დიდი მნიშვნელობა ეროვნობის შემოღებას, სამშობლო ენის სამოქალაქო უფლებას და ნაფიც მსაჯულების სასამართლოს დაწესებას? დარწმუნებული ბძანდებოდნენ ჩვენი ხალხის წარმომადგენლები, რომ ჩვენთვის უფრო საჭირო არიან ყველა ესები, მინამ პოლშელებისათვის, რომლებიც განათლებით ჩვენზედ გაცილებით მაღლა სდგანან და, მაშასადამე, ხელში უჭირავსთ ერთი კეთილ-მდგომარეობის იარაღთაგანი. არც უმაღლეს სასწავლებელს არიან ისინი მოკლებულნი ჩვენსავით. მაშასადამე, ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს უფრო ბევრი რამ ჰქონდათ სათხოვნელი, თუ კი მოეფიქრებინათ და მოენდომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინათ. მაგრამ, საწუხაროთ ჩვენდა, იმათი ფიქრიც სხვა ნაირის და ნდომაცა.

თითქმის ყველა ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენელების ფიქრი უმეტეს ნაწილათ იმაში მდგომარეობს ხოლმე, რომ, რამდენათაც კი შესაძლოა მათთვის, გაცარცვონ თავიანთი ამომრჩევლები თავიდგან ფეხამდის, სანამდისინ უფლება აქვსთ მათი წარმომადგენლობისა, გაცარცვონ ისე, რომ არც წვადი დასწვან და არც შამფური, არც ამომრჩევლები მიუხვდნენ და არც მთავრობა. იმათ ძალიან კარგათ იციან, რაც მოელისთ, თუ ან ამომრჩევლები მიუხვდნენ მოხსენებულ ფიქრს, ან მთავრობამ ალღო აიღო მაზედ, და ამისათვის ყოველთვის სცდილობენ უმნიშვნელო რამე საგნებით ისარგებლონ ხოლმე მათ გზა და კვალის დასაბნევათ, როგორც ისარგებლეს ქვეშევრდომითი თხოვნისათვის იმ უმნიშვნელო საგნით, რომელმაც ასე აადელვა ყველა ჩვენგანი, ვისაც კი ცოტაოდენი რამ ესმის. იმათ ფიქრს ეთანხმება იმათი წადილიც, რომელიც მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ოღონდ თითონ ისარგებლონ ყოველ-ნაირი ქვეყნიური სიამოვნებით, არაფრის და არავის ჯავრი არ გაჰყვესთ საიქიოს, თორემ მათი ამომრჩევლები თუ გინდ შიმშილით ამოწყდნენ. ამ გვარ იმათ ფიქრს და სურვილს პირ-და-პირ ეწინააღმდეგება ზრუნვა ხალხის კეთილ-მდგომარეობაზედ. რაღა თქმა უნდა, რომ, თუ მას თავის სამშობლო ენაზედ ექმნება საქმეების წარმოება, თუ მიეცა ეხლანდელზედ უკეთესი სასამართლო და თვით მმართველობა, მაშინ ის იმისთანა პირებს, რომლებიც ეხლა მის წარმომადგენლებათ ირიცხებიან, არამც თუ თავის წარმომადგენლებათ აღარ ამოირჩევს, არამედ არავითარ მნიშვნელობას მათ აღარ მისცემს და არც რამე საზოგადო საქმეზედ მიუშვებს;

მაშინ ის მიხვდება, რომ მის წარმომადგენლებზედ არის დამყარებული თითქმის მთელი მისი ბედი და უბედობა და არა მარტოის მნიშვნელობა აქვსთ, რომელსაც ქალა აძლევს—ტყუილ-უბრალო სახელის ქონება. ამისათვისაც ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენლები ყოველთვის სცდილობენ ხოლმე მელურათ მხარი აუქციონ ყველა იმ საგნებს, რომლებსაც კი შეუძლიანთ რამდენათმე მოხსენებულ მდგომარეობამდის ხალხის მიყვანა.

ძალიან სამწუხაროა ჩვენთვის ეს, მაგრამ ასე კი გახლავსთ. შეიძლება ზოგიერთი არ დაგვეთანხმდეს ჩვენ ამ გვარ ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენლების შეხედულობაზედ შესახებ თავიანთ საქმისა. ამისთანა პირებისათვის, რასაკვირველია, საჭიროა დამტკიცება. აი დამტკიცებაც. ეჭვი არ არის, რომ მარტო თავ-მოყვარეობას არ შეიძლება მიეწეროს ის უდიერი ხარჯი თავად-აზნაურობის წარმომადგენლობის კანდიდატებისა, როგორსაც ისინი შეუდგებიან ხოლმე კენჭის ყრის დროს. ამ დრომდის მყუდროთ მცხოვრებნი, ისინი თითქმის მთელს თავიანთს საცხოვრებელს სწირავენ ხოლმე ღარიბ თავად-აზნაურების წვეულობას და ხშირათ ყელამდის ვალშიაც ვარდებიან ხოლმე, ოღონდ კი მომხრეები მოიპოვონ. ჩვენ თვითონ მოწამე ვყოფილვართ ამ გვარის შემთხვევებისა ბევრი კიდევ სხვა ამ გვარი საქმეები ხდებიან ხოლმე ამ ყოვლად შემძლებელ კენჭის ყრის დროს: ნათესაობაც მეთხუთმეტე თაობამდის, მოყვრობაც, მოყვრის მოყვრობაც, ნათლიობაც, ნათლიის ნათლიობაც მაშინ გაძლიერდებიან ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, კარგი ღვინო, თეთრი პური ან ღომი და ჭადი, ფოთის ან სალიანის თევზეულობა, მსუქანი ხორცი სხვა-და-სხვა მოსაწყოებით დაუნანებლათ იხარჯებიან ხოლმე; სახლის პატრონების ალერსს და ქილიკს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს სამზღვარი არა აქვსთ ხოლმე, მაშინ როდესაც სხვა დროს, იმათ შეხედულობით, იმისთანა ღატაკ თავად-აზნაურობასთან, რომელიც ამ შემთხვევაში სტუმრობას შეადგენს ხოლმე, ლაპარაკსაც არ იკადრებენ. რომელ თავად-აზნაურთაგანს შეუძლიან გულზედ ხელი დაიდოს და ისე სთქვას, რომ ეს ყველაფერი მართალი არ არის და თავის-თავზედაც არ გამოუცდია? რისთვის ხდება ყოველივე ეს, თუ ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენლობის კანდიდატები არ ხელმძღვანელობენ ხოლმე იმ აზრით და სურვილით, რომ ტკბილათ მოსჭამონ წუთის სოფელი, ერთი ასათ მაინც, თუ მეტათ ვერ მოასწრეს, ამოინაზღაურონ თავიანთი დანახარჯი, შემდეგ წარმომადგენლებათ ამორჩევისა?...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენლობის კანდიდატები უგებენ ხოლმე მოხსენებულ მახეს თავიანთ მოძმეებს და ეს უკანასკნელებიც ებმიან ხოლმე შიგ იმდენათ ზნეობით სიწამხდრის გამო არა, როგორც ბევრნი ფიქრობენ, რამდენათაც უსწავლელობის და გაუნათლებლობის გამო. ამომრჩევლებმა არ იციან, რომ იმათი და მთელი ხალხის ბედი და უბედობა ბევრათ დამყარებულია იმათგან ამორჩეულ პირებზედ, ჰგონიათ რომ საქმე წარმომადგენლებისა საზოგადოების კეთილ-მდგომარეობაზედ ზრუნვაში კი არა მდგომარეობს, არამედ მთავრობასთან მისვლა-მოსვლაში, წარჩინებული სტუმრებისთვის წვეულებაების გამართვაში და სხვა ამ გვარ უბრალო რამეებში; ამისათვის ისინი უმეტეს ნაწილათ ირჩევენ ხოლმე იმისთანა პირებს, რომლებიც უფრო კარგათ უმასპინძლებენ და რომლებსაც ჩინები და დამოკიდებულება დიდი აქვსთ, თუ გინდ თავში სრულებით არაფერი არ ედოსთ. არც ამორჩეულებს ეყურებათ უმეტეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილათ თავიანთი მოვალეობა და ამისათვის მარტო ქვეყნიურ
სიამეს სწირავენ ხოლმე თავიანთ წარმომადგენლობის ვადას;
სამუალებისათვის კიდევ მიმართვენ ხოლმე ამომრჩევლების
ჯიბეებს.

მხოლოდ სწავლა განათლებას შეუძლიან მოსპობა ჩვენი
თავად-აზნაურობის ამ გვარი მახინჯი შეხედულობისა თავიანთ
საქმეზედ. იმათ საყოველთაოდ სწავლა-განათლების მიღებამდის
კიდევ ბევრი თავი გახმება. ამისათვის ჩვენი მწერლობის ვალია
ყოველ შემთხვევაში უხელ-მძღვანელობდეს მათ: უჩვენებდესთ,
თუ რა ნაირი თვისებაების პირები უნდა ამოირჩიონ თავიანთ
წარმომადგენლებათ, ან სხვა რამე თავიანთ საქმეებში უფრო-
სებათ, უხსნიდეს მათ მოვალეობაებს და ამ მოვალეობაების
მნიშვნელობას საზოგადოების კეთილ-მდგომარეობისათვის და
სხვ. რაღა თქმა უნდა, რომ ეს საქმე უმეტესათ იმ ჩვენი
მწერლობის ორგანს ეკუთვნის, რომელიც უფრო გავრცელებუ-
ლია ხალხში და საყოველთაოა, ე. ი. გაზეთს. მაგრამ,
სამწუხაროდ ჩვენდა, „დროება“ თითქმის არაოდეს არ ასრუ-
ლებს ხოლმე ამ თავის სამღვთო მოვალეობას. ამის დასამტ-
კიცებელი ფაქტისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის; ავი-
ღოთ იგივე ჩვენი თავად-აზნაურობის წარმომადგენლების
ზემოთ მოხსენებული ქვეშევრდომითი თხოვნა, რომელიც
გაგვიხდა მიზეზათ ამ სტატიის დაწერისა. „დროებამ“
შესახებ ამ საგნისა ამ წლის მე 67 ნომერში ჯერ
მიახვედრა საზოგადოება, თუ რა ცუდათ მოიქცნენ ჩვე-
ნი დეპუტატები, და შემდეგ მე 68, 71 და 75 ნომრებში
ფელეტონებით საქვეყნოთაც გამოაშკარავა ისინი და მასხა-
რათ აიგდო. ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი: ჩვენი
დეპუტატები სწორეთ რომ ღირსნი არიან გაკიცხვისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცინვისა; შემდეგში მათ გასაფრთხილებლათ ეს თითქმის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მაგრამ, განა მარტო ამაში მდგომარეობდა „დროების“ მოვალეობა? არა, იმის უფრო პირ-და-პირ მოვალეობას შეადგენდა ის, რომ რაკიღა გაიგო და გამოაცხადა კიდეც ჩვენი დეპუტაციის პეტერბურღში წასასვლელათ მომზადება, აეხსნა მისთვის მისი მოვალეობა, შეეტყობინებინა, რის თხოვა უფრო საჭირო იყო ჩვენი ხალხისათვის, თუ შემთხვევა მიეცემოდა, და სხვ. თუ არა და, რა მიუცია დალოცვილ „დროებას“ ჩვენი დეპუტაციისათვის, რასა სთხოვს? თვითონვე ეს გაზეთი თავის ამ წლის მე 68 ნომრის ფელეტონში აღიარებს, რომ ჩვენმა დეპუტატებმა არ იციან, რა არის ეროვნობაო, საჭმელია, თუ სასმელიო, არ ეყურებათ სამშობლო ენის სამოქალაქო უფლებაო. მერე, ვისი ბრალია ეს? ნუ თუ „დროება“ არა გრძნობს, რომ იმ ჩვენი დეპუტაციის მოქმედებაში, რომელსაც ასე ჰკიცხავს და საცინლათ იგდებს, თვითონაც თავის წინ-დაუხედაობით მონაწილეობა აქვს? თითონ ეს საყვედური პატივ-ცემული „დროების“ დეპუტაციისადმი ვერ უშვრება ლაზათიან რეკომენდაციას ამ გაზეთს. მართლაც რას აკეთებდა „დროება“ ამ თხუთმეტი წლის განმავალობაში, თუ ამომრჩევის რიგებსაც ვერ გააცნო საზოგადოება და ეროვნობის სიკეთე, სამშობლო ენის სამოქალაქო უფლების აზრი და ნაფიც მსაჯულების მნიშვნელობა ვერ ჩააგონა მას?...

მიზანი ამ ჩვენი ბაასისა მდგომარეობს იმაში, რომ ახლა მაინც არის გაიგოს ჩვენმა თავად-აზნაურობამ, რომ მისი და მასთან მთელი ჩვენი ხალხის ბედი და უბედობა ბევრათ დამყარებულია მისგან თავის წარმომადგენლებათ ამორჩეულ პირებზედ, რომ ახლანდელი მისი წარმომადგენლები ვერ აკმაყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფილებენ თავიანთი მოვალეობის მოთხოვნილებაებს და შემდეგში შეეცადოს უფრო ღირსეული პირების ამორჩევას, მიუდგომელათ და მიუხედველათ მათის ჩინებისა, შეძლებისა და დამოკიდებულებისა.

მიხეილ გურგენიძე.

8 აპრილს 1881 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორიოდე სიტყვა უ. ნიკოლაძის გასამართლებაზე

7 და 8 აპრილს ამ წლისას.

უ. ნიკოლაძე ადმინისტრაციის გარდაწყვეტილებით გაგზავნილი იყო სტავროპოლის გუბერნიაში უვადოთ. სწორეთ არ ვიცი, ჩვენმა მკითხველმა იცის ამ „უვადოთ" გადასახლების სრული მნიშვნელობა, თუ არა. მე უფრო იმ აზრისა კი ვარ, რომ არ იცის, რადგან ჩვენი ქვეყანა ისეთი კურთხეული და დალოცვილი მხარეა, სადაც მისი შვილები თითონ ადმინისტრაციასაც უმანკო მტრედებად მიაჩნია. მაშასადამე, ადმინისტრაციას ყოველთვის შეუძლიან დანდობილი იყოს ჩვენ კეთილ-გონიერებაზე და კრძალვაზე, რომელთაც სწორეთ რომ საზღვარი არა აქვსთ. ჩვენ განცხრომით და უდარდელათ მივსდევთ იმ სიბრძნეს, რომელიც მუდამ გვაბრთხილებს და გვიუბნება — „თქვენ ქერქში იყავით, რა თქვენი საქმეაო!" ჩვენც არ გამოვდივართ ჩვენი საკუთარი ქერქიდამ, რამეთუ ვუწყით: ვინაიდგან ჩვენ როგორმე გამოვალთ იმა ქერქიდგან, მეყვსეულათ მიგავე შეგვაძვრენენ, დამატებით ცხარე ცრემლებისა; ამიტომაც ვხედავთ ხოლმე მუდამ იმ ფრიად სასიამოვნო მოვლენასა, რომ არც ჩვენი შვილები, არც მამა-პაპები, არც ძმები და არც დები არ ეჩხირებიან ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ მოძრაობაში, რისთვისაც ვართ განუსაზღვრებლათ დასაჩუქრებული არა მარტო ადმინისტრაციის უხვი თანაგრძნობით, არამედ ჩვენი პატივცემული და დამსახურებული გაზეთი „დროებითაც" და მიზეზიც ჩვენი ასეთი კეთილ-გონიერებასა, რომ ჩვენში, ათასში ერთი სულელის გარდა, არავინ არც უვადოთ არის სადმე გადასახლებული და არც დროებით. ამიტომაცა მჯერა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ იცის უ. ნიკოლაძის უკადრო სტავროპოლში გადასახლების მნიშვნელობა. მე მინდა ცოტათი მაინც წარმოუდგინო მკითხველს ეს ძნელი გარემოება. უკადრო გადასახლება იმასა ნიშნავს, რომ, შენ, მკითხველო, (ღმერთმა კი დაგიხსნას!) მოშორდე შენ წრეს, დააგდო ხელიდამ შენი საქმე, რომლითაცა შოულობ ლუკმა პურსა და იკვებები შენი სახლობითურთ, უკეთუ მისი გამოკვებაც შენ კისერზეა დამყარებული; მოშორდე შენ სახლობას (რა ძნელია, უკეთუ გიყვარს იგი!) და გაუდგე შორ გზას, სადაც არა გყავს არც ნაცნობი, არც მეგობარი, არც თვისი და ტომი და სადაც—რაც ყველა ამაზე უფრო ძნელია—ვერ იშოვნი ვერანაირს საქმეს, რომ ლუკმა პური დაიმსახურო. მაგრამ არა, უკადრო გადასახლება მარტო ამას არა ნიშნავს. ეს დროებით გადასახლებასაცა სჭირს. უკადროთ კიდევ სხვა რამ არის. ყველა ზემოთ მოყვანილ სიძნელესთან იმასა სჭირს ის უძნელესი ზნეობითი ტანჯვა, რომელიც მოზდევს უცოდინრობას, თუ როდემდის გასტანს შენი სასჯელი? როდესაც იცი შენი ვადა, მაშინ შეჰკრეფავ მთელ შენ ზნეობითს და ფიზიკურ ძალას, რომ მოემზადო შინაურ ტანჯვასთან საბრძოლველათ ამა-და-ამ ხნის განმავალობაში. მაგრამ ძნელი ის არის, როდესაც არ იცი, რამოდენი ხანი უნდა იტანჯო, რასა-და-რას შეუფარდო შენი ზნეობითი ძალა, რას უნდა ებრძოლო, რომელ ვადას უნდა შეეჭიდო, რა დაგჭირდება ამ ბრძოლისთვის? რა გაქვს და რა გაკლია, რომ შეიძინო ამ გარემოებაში? ამ უცოდინრობით კაცს მარჯვენა სწყდება, მკლავი მირსა ვარდება, თავი გამობრუებულია და გრძნობა აღელვებული, რასაც მოსდევს საშინელი და საზიზღარი აპატია. ლახვარივით დაგეცემა თავზე შენი უცოდინარობა ვადისა, მეტადრე როდესაც უზრალო

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამე საბუთი გიხატავს გახურებულს და ადუღებულს ტვინში იმ იმედს, რომ აი დღეს და აი ხვალ დადგება ის ბედნიერი წუთი, როდესაც გაწყდება შენ გარშემო ყოველ გვარი დაბრკოლების ბადე და შენ იგრძნობ თავს „სრულებით თავისუფალს“. მიდის საათი, მიდის დღე, თან მიზდევენ თვეებიც, მაგრამ ის არის ავი, რომ თან მიაქვთ უვადოთ გადასახლებულის ტყუილი იმედები...

ამისთანა მდგომარეობაში იმყოფებოდა უ. ნიკოლაძე. როგორ გაბედე, დაანებე თავი შენ ქერქსა და მით აწყენინე ადმინისტრაციასა!? რასაკვირველია, ჩვენმა საზოგადოებამაც დაატანა ერთ-ხმათ ადმინისტრაციას — მაშ გუბერნატორი რისაა, თუ ყველაფერს ისე არ აწარმოებს, როგორც მისი სურვილი თხოულობსო!

მაგრამ უფრო გონივრულათ მოიქცა იგივე ადმინისტრაცია, როდესაც გამოუცხადა უ. ნიკოლაძეს ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნება. ჩამოვიდა თუ არა თბილისში, უ. ნიკოლაძემ ვერც კი მოასწრო თავისუფლათ ამოსუნთქვა — აქა-იქ სასამართლოებში დაიბარეს მისი „დანაშაულობის“ გასარჩეკათ. მე დავესწარ უკანასკნელ პროცესზე 7—8 აპრილს. უ. ნიკოლაძე დაბარებული იყო სისხლის სასამართლოში, პალატის განყოფილებაში. დიახ, სისხლის სასამართლოში! მე ვთქვი, რა ღმერთი გასწყრომია ამ კაცსა — როგორც რედაქტორსა და მწერალსა; ჯერ ხომ ცენზურამ გააძრო ტყავი, მერე, როგორც წარმომადგენელს თბილისის თვით მმართველებისას, ადმინისტრაციამ უკრა თავი სტავროპოლში! ამ სისხლის სასამართლოში რისათვის უნდა იყოს მოწვეული, მეთქი? იქნება ახლა კიდე, როგორც კერძო კაცს, დაემართა რამე, იქნება, სცემა ვისმეს, ან ხომ არა-ვინ შემოაკვდა, მეთქი?

თუ არა და, სისხლის სამართალში რა უნდა, მეთქი? ასეთი განცვიფრებული შევედი სასამართლოს ზალაში. ხალხით სავსე იყო იქაურობა და ერთი იმდენი კიდე გარეთ იდგა, რადგან ადგილი აღარ იყო ზალაში. რაცა ვნახე და გავიგონე, იმან დამარწმუნა, რომ უ. ნიკოლაძე სასამართლოში მოწვეულია არც კაცის გალახვისთვის, არც მკვლელობისთვის, არც ვისიმე სახლის გატეხისთვის. ეს ყველაფერი მე ძალიან მიამა, სწორეთ გითხრათ; მაგრამ მაინც ვერ შევურიგდი, რომ ამისთანა სისხლის დანაშაული არა ჰქონდა რა კაცსა და მაინც სისხლის სამართალში კი იყო მიწვეული, როგორც ბრალდებული. რათა? — თურმე ისევ წინანდელი დანაშაულობისთვის რედაკტორობის დროს. წერისთვის მწერალი სისხლის სამართალში!

მთელ რუსეთში უ. ნიკოლაძისთანა ბევრი და ნაყოფიერი ბრძოლა ცენზურასთან არავის შეხვედრია, არამც თუ მარტო პროვინციალური ბეჭდვის შევიწროების შესახებ, არამედ საზოგადოთ შესახებ მთელი რუსეთის ცენზურის უსტავისა. მაგრამ ამაზედ საკუთრათ როდისმე თავისუფალ დროს მოვილაპარაკოთ. ეხლა კი მე ისევ იმ სისხლის სამართალთან ვარ.

ცამეტი საჩივარი იყო ერთად მოგროვებული სხვა-და-სხვა პირებიდგან და დაწესებულებებიდგან (учрежденія). ზოგი მასწავლებელი უჩიოდა, რომ უ. ნიკოლაძემ ცილი შემწამა და საქვეყნოთ შემარცხვინა, ვითომც მე შეგირდების ცემა ვიცოდეო. ტყუის უ. რედაკტორი „Обзоръ“-ისა. მე ვცემე მხოლოდ ჩემ ნათესავს, — თუმცა, მართალია, ისიც შეგირდია, მაგრამ რაკი ნათესავია, მე შემეძლო ნათესაურათ გამებერტყა იგიო. ზოგი ამბობდა — გვარცხვენს უ. ნიკოლაძე, ვითომც

პოლიციელები სვამდნენ ცხარე სასმელებს, ამ სმაში ავიწყდებოდეთ თავიანთი ზენაური დანიშნულება და ვითომც (?) ითვრებოდნენ კიდეცაო. ეს უშვერი და უსირცხვილო ცილისწამებაა. პოლიციელი თავის დღეში არ დაითვრებაო (!?!). მეტადრე წრეს გარეთ უსინიდისობათ მიაჩნდათ „Обзоръ“-ის სიტყვები პოლიციელებზე — „въ дребезчи пьяна“, რაც ნიშნავს ქართულათ, რომ პოლიციელები სასმელებით გაჟღენთილები იყვნენო, დასველებულებიო. სურამის სუდია, უ. კაფაფოვი უჩიოდა და წყნარათ მოსთქვამდა, რომ ის თავის მოთხოვნილებას მეტათ ნაზათ ეკიდება და იგი არა ხელმძღვანელობს არავითარი ბილწი წადილებითა და ანგარიშით თავის თანამდებობის აღსრულებაში. არავისთვის სამართლიანი და საფუძვლიანი თხოვნა არ დაუფხრეწნია შუა-შუა ამავე სამართლიანობისთვის და არ მიუყრია თავზე. უჩიოდნენ აგრეთვე, როგორც გაბედა უ. ნიკოლაძემ და თავის გაზეთში გამოაცხადა, რომ ყოველი სერაფიმოვიჩის უპრავლენიაში ჩუმჩუმათ ჩინოვნიკები სასჯელმწიროთ და სახალხო დოვლათს იყოფენ ერთმანეთში და ის დოვლათიც თითქმის 40 ათასი მანეთი თურმე იყოლია. და სხვ. და სხვ.

ამოტელა საჩივრებზე პასუხი უნდა ეგო უ ნიკოლაძეს. პროკურორმა, უ. სმიტინმა, როგორც ყოველი პროკურორის წმინდა ვალია (?), ყველაფერში გაამტყუნა ბრალდებული და საქვეყნოთ გამოიჩინა თავი იმ იშვიათი და საგანგებო ზომით, რომელიც მთელ რუსეთში არ მომხდარა და რომელიცა მდგომარეობს მასში, რომ უ. ნიკოლაძეს წაართვას კანონმა ორისამი წლით რედაქტორობა და მასთან ან 18 თვით ციხეში ჩასვას, ან და 4000 მანეთით დაშტრაფოს. მე მოველოდებოდი უ. პროკურორისაგან, რომ უ. ნიკოლაძისთვის ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამე კანონს გამოიგონებდა და მოსთხოვდა პალატას, რომ ნიკოლაძეს სრულებით წაერთოს ყოველ-გვარი ნიში წერისა, კითხვისა, ფიქრისა, ლაპარაკისა, დაიშტრაფოს ასი ათასი თუმნით პალატის კანცელარიის და ცოტაც მაჩივრების სასარგებლოთ, და, უკეთუ ფული არ ექნება, ათასი წელიწადი კატორღაში იქნეს გაგზავნილი და მხოლოდ ამ შედარებით ცოტა ხნის შემდეგ ჰქონდეს ნება თავის ქვეყანაში დაბრუნებისა საცხოვრებლათ.

მაგრამ მე უფრო პალატამ გამაკვირვა. იმან გადაუწყვიტა „დამნაშავეს" ოცი თუმანი შტრაფი და ოც-და-ათიც სხვა-და-სხვა სახარჯო, სულ ორმოც-და-ათი თუმანი. მართალია, უ. ნიკოლაძისთვის ესეც კაი კაკაა, მაგრამ იმ სასჯელთან, რაც პროკურორსა ჰსურდა, ეს თითქმის არაფერია.

ერთმა ეშმაკურმა შედარებამ უშველა უ. ნიკოლაძეს მსაჯულებთან. იმანა სთქვა: თუ კი სასამართლოებში ერთი და იგივე საქმე ზოგან მართლდება და ზოგანა მტყუნდება, მოკიდებული მომრიგებელ სასამართლოდამ სენატამდის, თუმცა ყველგან ჭეშმარიტებითა ხელმძღვანელობენ, —ჰო, თუ კი შეიძლება შეცდომა ამ სხვა-და-სხვა სასამართლოებში, სადაც ათას-ნაირი იარაღი აქვსთ სიმართლის გამოსაძიებლათ, მე, ერთმა კაცმა, რომელსაც ათას-ნაირი საქმე და თავში ცემა მაქვს გაზეთის წასაყვანათ, განა არ შემიძლიან შევსცდე? წმინდათაგანი ხომ არა ვარო? ამ ხერხიანმა შედარებამ დაიხსნა უ. ნიკოლაძე პალატის ხელიდგან, თორემ, შენი მტერი, იმას დღე დაადგებოდა! მართლაც, რაღა ეთქმოდათ ამ შედარებასთან?... მაგრამ მაინც სრულებით ვერ გაამართლეს „დამნაშავე", თუმცა ამით უფრო ასწევდნენ მაღლათავიანთ ავტორიტეტს.

ტატალა.

---

## უმთავრესი კორრექტურული შეცდომილებაების გასწორება „იმედის" მეორე ნომერში.

| გვერ. | სტრიქ. | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|
| 118 | 8 და 9 | და ახლა წაიკითხავს იმის ამ წლის მესამე ნომერს, | და ახლა წაიკითხავს იმის ამ წლის მესამე ნომერში დაბეჭდილს ა. ნ—ლის სტატიას, |
| 121 | 4 | ამ საქმის ასრულებას | ამ სურვილის ასრულებას |
| 122 | 16 და 17 | ოთხი სავაჟო და ხუთი სა-ქალო პროგიმნაზია, | ოთხი სავაჟო და ხუთი სა-ქალო გიმნაზია, |
| — | 23 | სამ-ოც-და-ცხრა სულს | სამ ოც სულს |
| 131 | 19 | ამისათვის სწავლა უნდა ზრდიდესო. პატიოსანს, | ამისათვის სწავლა უნდა ზრდიდესო პატიოსანს, |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განცხადება.

„იმედის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, საყდრის ქუჩაზედ, № 18, მიიღება შეწირვა ასაგებათ ქ. თბილისში, მიცვალებული იმპერატორის სახელზედ, ორივე სქესის ღარიბ-ობოლ ყმაწვილებისათვის შესაძლო ვრცელის აღსაზრდელის სადგურისა.

სია შემომწირავთა პირთა შენაწირევის ჩვენებით ყოველ კვირას გამოცხადებული იქნება ადგილობრივ გაზეთებში.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ თავიანთი შეწირვა ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის შემდეგის ადრესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ“.*

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა



X. ბიბლიოგრაფია: I, „დედა-ენა" ი. გოგებაშვილისა — გადადმელისა, II, „ივერიის" № IV და „юридическое обозрѣніе"-ს № I — ხტ. ჭრელაშვილისა . . . . 43

XI. შინაური მიმოხილვა—მიხეილ გურგენიძისა . . . . . . . . . . . 73

XII. ორიოდე სიტყვა უ. ნიკოლაძის გასამართლებაზედ 7 და 8 აპრილს ამ წლისას —ტატალასი . . . . . . . . 83

XIII. განცხადება. . . . . . . . . . 89

XIV. უმთავრესი კორრექტურული შეცდომილებების გასწორება „იმედის" მეორე ნომერში. . . . . . . . . . 90

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„იმედზედ" ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, საყდრის ქუჩაზედ — № 18, ვორონცოვის ძეგლის ახლო.

გარეშე მცხოვრებლებმა შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ."*

მარტის და აპრილის წიგნები გამოვიდნენ ერთად, იმიტომ რომ სამუდამოთ მოისპოს ჟურნალის გამოსვლის დაგვიანება. შემდეგში თვითეული ნომერი გამოვა იმ თვისთვის, რომელსაც ეკუთვნის.

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.

რედაქტორი და გამომცემი მიხეილ გურგენიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა